# ეს წერილი ყველა პენსიონერმა და უმუშევარმა უნდა წაიკითხოს 8

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№35 (78)
29 სექტემბერი - 5 ოქტომბერი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

ლუკა კურტანიძე:
3 **ხელები ექავებათ, ისე უნდათ ჩემი დაჭერა**

4 **მანანა ღურჭუმელიძე კანადას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს**

ლალი აფციაური:
**პატიმრებს პოტენციის დასაქვეითებლად გაურკვეველ მედიკამენტს უყრიან საკვებში** 5

გელა ნიკოლეიშვილი:
**ციხეებში წელიწადში 100-ზე მეტი პატიმარი კვდება** 7

**სოროსის ფონდის საგანგაშო ანგარიში** 10

**თუ ასე გააგრძელა, საკუთარ ჰალსტუხს ბოლომდე შეაჭმევენ** 13

2
## ვიღაცამ გაეროს ბუდეს გადაუფრინა



## ტრამპი და ტრამპა-ცუმპა 16

## ქართველი ემიგრანტები 14 ოქტომბერს პრეზიდენტის რეზიდენციის ალებით იმუქრებიან 11




ზვიად ყუშიტაშვილი:
14-ში, როცა მას ულტიმატუმს წავუყენებთ, ერთი საათის განმავლობაში გადადგომის შესახებ განცხადებას თუ არ დაწერს, ავიღებთ რეზიდენციას, საკრებულოს, პარლამენტს და ყველა მსგავსი მნიშვნელობის ობიექტს...

29 სექტემბერი — 5 ოქტომბერი, 2010 წელი. №35 (78)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გამონათქვამები



**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

პუშკინის, ლერმონტოვისა და ტოლსტოის დროიდან მოყოლებული დღემდე, კავკასიის მთები ყოველთვის იყო ველურობის და პარადოქსების სიმბოლო. ეს იყო რეგიონი, სადაც პიროვნებები და მათი სულები ფუნდამენტურად თავისუფალი, მაგრამ მოქალაქეები პოლიტიკურად დაჩაგრულნი იყვნენ...

*mfa.gov.ge*



**ედუარდ შევარდნაძე, ექსპრეზიდენტი:**

ქართული ოპოზიცია მართლა სუსტი აღმოჩნდა. სერიოზლი შეცდომები დაუშვა — ასი ათასი კაცი რომ შეიკრიბა სტადიონზე, სამებაში რატომ წავიდნენ, იქ რა უნდოდათ? ეს ხალხი მთავრობის სასახლესთან რომ მისულიყო, პრეზიდენტი გამოვიდოდა, ხალხს დაელაპარაკებოდა, რაღაცას დაჰპირდებოდა... არ არის გამორიცხული, ხალხის ნებას გაემარჯვა.

*„ყველა სიახლე“*



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე:**

რაც ჩვენ ვნახეთ დონალდ ტრამპისა და სააკაშვილის შეხვედრის სახით, ეს არის ნათელი დასტური იმისა, რა უბედურებაც სჭირს ჩვენს ქვეყანას. გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში აშშ-ის პრეზიდენტი ხვდება აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ბატონ ილჰამ ალიევს, ხვდება ქალბატონ როზა ოტუმბაევას, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტმა კვლავ ვერ იპოვა დრო საქართველოს პრეზიდენტთან შესახვედრად.

*„ასავალ-დასავალი“*



**რამაზ კლიმიაშვილი, პოლიტოლოგი:**

სააკაშვილი ამბობს, რომ არ არსებობს ჩრდილო და სამხრეთ კავკასია, კავკასია ერთიანი უნდა იყოსო. სინამდვილეში ჩრდილო კავკასია ეკუთვნის რუსეთს. რა გამოდის, სააკაშვილი ახალ ომს იწყებს რუსეთთან ჩრდილოეთ კავკასიის წასართმევად? ეს არის ახალი პროვოკაცია რუსეთის მიმართ.

*„ასავალ-დასავალი“*



**ვალერი კვარაცხელია, პოლიტიკური პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე, ჟურნალისტი:**

პირდაპირ ვაცხადებ: პოლიტიკურად ჩვენი დაღუპვა დაიწყო იმ დღიდან, რა დღიდანაც ავიკვიატეთ, რომ რუსეთი არის ჩვენი მტერი!

*„ასავალ-დასავალი“*



**სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:**

ჩვენს მიამიტ უცხოელ მეგობრებს, საქართველოში კორუფციის გარდაცვალების გამო აღტაცებას რომ გამოთქვამენ, შევთავაზებდი, ერთი „კანისტრა“ ბენზინი შემოიტანონ საზღვარზე და ნახავენ, სად მოხვდებიან იმ „კანისტრიანად!“

*„ყველა სიახლე“*



**დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:**

ხელისუფლება კი გაიძახის, ავშენდით და ავყვავდითო, მაგრამ რეალურად სხვა სიტუაციაა. ექსპორტს ბევრად სჭარბობს იმპორტი, უცხოეთიდან დახმარება კი მკვეთრად შემცირდა.

*„ყველა სიახლე“*



**როზიზონ მარგველანი, ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი:**

ზვიადის მტრები და მისი ოჯახი შეიკრნენ და ამტკიცებენ, რომ ზვიადი მოკლეს.

*„ყველა სიახლე“*

# ვილაცამ გაეროს ბუდეს გადაუფრინა

**გასულ კვირას სახელისუფლო პროპაგანდა ხშირად და მომაბეზრებლად აშუქებდა მიხეილ სააკაშვილის ვიზიტს შტატებში და მის გამოსვლას გაეროში. ეს ერთობ გამაღიზიანებელი იყო, თუმცა სახელისუფლო არხების მესვეურებმა, როგორც ჩანს, დაკვეთა მიიღეს, წარმოაჩინონ ყოველივე ეს, როგორც რაღაც მასშტაბური და უაღესად მნიშვნელოვანი. უცხოური მასმედიის მიდგომა რადიკალურად საპირისპირო იყო. იგი გაეროში სააკაშვილის გამოსვლის დროს დაცარიელებულ დარბაზზე აკეთერბდა აქცენტს; იმაზე, რომ, მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილი ყურადღების ღირსად არ ცნეს.**



**ასეთი წიაღსვლების გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული არ არის, თუ იმის რესურსი არ გაქვს, რომ თანამოსაუბრე შემოთავაზებული დილემის ჩარჩოებში დააკავო. ზესახელმწიფოებს ასე არასოდეს მიმართავენ, ეს ცუდ ტონად ითვლება, დამცირების მცდელობაზე მიანიშნებს, გაღიზიანებას იწვევს და სერიოზულად არ აღიქმება.**

## ჯერ საქართველოს აერთიანებდა, ახლა კავკასიას მიადგა

ეს გასაკვირი არც არის, სერიოზული მედია, როგორც წესი, ყურადღებას მხოლოდ იმ ლიდერებს აქცევს, რომლებსაც შეუძლიათ, რაიმე რეალური მოიმოქმედონ ან რაღაც თვალსაზრისით ინტერესს წარმოადგენენ. მიხეილ სააკაშვილი მათ რიცხვს, როგორც ჩანს, უკვე აღარ მიეკუთვნება. თუმცა, ვინაიდან ჩვენ მასთან ჯერ კიდევ გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში ვიმყოფებით, მოკლედ მიმოვიხილოთ მისი გამოსვლის მთავარი მესიჯები, რათა ნაწილობრივ მაინც გავერკვეთ, თუ რა ხდება მის ქვეცნობიერსა და ზეცნობიერში, და, შესაბამისად, ჩვენი უბედური ქვეყნის თავს.

თუ სააკაშვილის გამოსვლას პროპაგანდისტულ რიტორიკას გამოვაკლებთ, სულ რამდენიმე ნიშანდობლივი მომენტი დარჩება. ერთ-ერთი მათგანი შემდეგი ფრაზის მიღმა იმალება: **„განსაკუთრებული ხედვის წინ წამოსაწევად ჩამოვედი, რომელსაც თავისუფალი, სტაბილური და ერთიანი კავკასია ჰქვია“. როდესაც „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში თომას დე ვაალის წერილის „შეწყვიტეთ დიდი თამაში“** ანალიზს ვრცელი პუბლიკაცია მივუძღვენით, ზოგს შესაძლოა მოეჩვენა კიდეც, რომ მისთვის ამდენი ყურადღების დათმობა არ ღირდა. არადა, დე ვაალის წერილი, ცხადად მიანიშნებდა იმაზე, რომ გარკვეულ ანგლო-ამერიკულ წრეებს სამხრეთ კავკასიაში (და საერთოდ ევრაზიაში) სტრატეგიის შეცვლის იდეა გაუჩნდა.

გავიდა ერთი კვირა და გაეროს ტრიბუნიდან მიხეილ სააკაშვილმა ერთიანი კავკასიის იდეის გახმიანება დაიწყო. შეგახსენებთ, რომ დე ვაალის წერილში წარმოდგენილი იყო შენიღბული წინადადება სამხრეთ კავკასიის ერთობლივ გაკონტროლებაზე დაინტერესებული ზესახელმწიფოების მიერ, (რუსეთ-დასავლეთის ფაქტობრივ კონდომინიუმზე), ადგილობრივი სახელმწიფოების მიმართ უნიფიცირებული მიდგომის გამოყენებასა და მათ ნეიტრალიტეტზე; იყო (შენიღბული) მუქარაც, იმის თაობაზე, რომ, თუ რუსეთი ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე არ წავა, ის ჩრდილოეთ კავკასიაში სერიოზულ პრობლემებს წააწყდება. იყო დასავლელი პოლიტიკოსების შეგულიანებაც იმ თვალსაზრისით, რომ გახსნილი საზღვრები და ღია ბაზარი მათ სტრატეგიული მიზნების (ქვეტექსტში ექსპანსიის) მიღწევაში დაეხმარება. შევადაროთ ორი უკანასკნელი პუნქტი ორ ფრაზას მიხეილ სააკაშვილის გამოსვლიდან **„ჩემი მეორე მოწოდება რუსეთის ხელმძღვანელობისადმი: თქვენ არჩევანის წინაშე დგახართ. თქვენ ჩვენი საერთო რეგიონის მიმდებარე ტრანსფორმაციაში უნდა მიიღოთ მონაწილეობა, სხვა ქვეყნები უნდა აღიქვათ არა როგორც ვასალები, არამედ როგორც პარტნიორები. სხვა შემთხვევაში ტრანსფორმაცია თქვენს გარეშე მოხდება“... „მშვიდობა ჩვენი ყველაზე ძვირფასი საერთო მიზანია და ამასთანავე, ერთადერთი გზა არის იმ საერთო მიზნებისკენ, რომელსაც თითოეული ჩვენგანი რომ იზიარებს“.**

პირველ პასაჟში წარმოდგენილია ჰიპოტეტური არჩევანი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ ორი შესაძლო ვარიანტიდან უნდა გააკეთოს. საერთოდ, პოლიტიკაში არჩევანს ორი ვარიანტიდან არჩევანი არ ჰქვია, თავისუფალი არჩევანი სამი (და მეტი) ვარიანტიდან იწყება. მსგავს ულტიმატუმებს კი, ჟარგონულად „ვილკა“-ს უწოდებენ, ასეთი წიაღსვლების გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული არ არის, თუ იმის რესურსი არ გაქვს, რომ თანამოსაუბრე შემოთავაზებული დილემის ჩარჩოებში დააკავო. ზესახელმწიფოებს ასე არასოდეს მიმართავენ, ეს ცუდ ტონად ითვლება, დამცირების მცდელობაზე მიანიშნებს, გაღიზიანებას იწვევს და სერიოზულად არ აღიქმება. **თომას დე ვაალს ეს მშვენივრად ესმის, ამიტომაც თავის პუბლიკაციებში მთავარ მესიჯებს ძალიან ოსტატურად ფუთავს; სააკაშვილი კი გაცილებით სწორხაზოვანი ჩანს. ვერაფერს ვიზამთ. იგი, დე ვაალისგან განსხვავებით, ბრიტანელი ჯენტლმენი არ გახლავთ, ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად კი, ჯენტლმენი საერთოდ არ არის.**

## ბლეფი ყველას როდი ეხერხება

საბოლოო ჯამში, რუსეთს სთავაზობენ, დათმოს ის რეალური სამხედრო და ეკონომიკური პოზიციები, რომლებიც ბოლო წლებში სამხრეთ კავკასიაში დაიკავა და გაცვალოს აშშ-ის არარსებულ ბაზებზე საქართველოში, საქართველოს ჰიპოტეტურ გაწევრებაზე ნატოში და ა.შ.

მარტივად რომ ვთქვათ, ამ სქემის ფარგლებში ხელშესახები წარმოსახვითში იცვლება, დაახლოებით როგორც თავის დროზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჯარების გაყვანა მათი ნატოში არგაწევრების დაპირებაზე გაიცვალა. თუ რით დასრულდა ეს კომბინაცია, რუსებს ძალიან კარგად ახსოვთ. ამჟამად ვითარება განსხვავებულია, დასავლეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ჩიხში შევიდა და მის მიერ თამაშის ამ რაუნდის მოგების შესაძლებლობები მკვეთრად შეიზღუდა. ასეთ ვითარებაში, პოლიტიკაშიც და პოკერშიც წინა პლანზე, როგორც წესი, ბლეფი გამოდის, რომლის მიზანია არარსებული არსებულად წარმოაჩინოს (მაგ. საფრთხე ან მიღწევა) და ის განსჯის ან ვაჭრობის საგნად აქციოს. **დე ვაალის შემთხვევაში, ეს ნატიფი ბლეფია; ის ბუნდოვნად საუბრობს იმაზე, რომ რეგიონული ლიდერები ზესახელმწიფოებით მანიპულირებენ, შესაბამისად, გულისხმობს იმას, რომ არაადეკვატურმა „ტუზემცებმა“ შეიძლება რაღაც არნახული მოიმოქმედონ, რასაც ნამდვილი მოთამაშეები არასოდეს (საკუთარი ხელით) არ გააკეთებენ.** სააკაშვილის რიტორიკა კი ნაჯახივით მარტივი და უხეში ჩანდა („ხუთი ტუზი მყავს, დაიშალეთ!“ სტილია): **„ჩვენ ურყევი ნაბიჯებით მოვდივართ წინ ევროკავშირისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ“, „ჩვენ ვსაუბრობთ არა მხოლოდ ხელმძღვანელობის ან თუნდაც ინსტიტუტების ცვლილებებზე, არამედ რაღაც უფრო სიღრმისეულსა და ძლიერზე, რაც ლონდონურმა ჟურნალმა „ეკონომისტმა“ ამას წინათ დაახასიათა როგორც საქართველოს „მენტალური რევოლუცია“.** ყველამ, ვისაც პოკერი უთამაშია ან, როგორც მინიმუმი, ჯეიმს ბონდის თავგადასავლების ბოლო სერიას უყურა (წინა ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**რატომ ტყუის სააკაშვილის ადმინისტრაციის წარმომადგენელი? თანაც ისევ და ისევ იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტი ზედაპირზე დევს და მისი გადამოწმება ძალზე იოლია. თუ ისიც ბაიბურში არ არის, რა ხდება ამქვეყნად და, შესაძლოა, ავადსახსენებელი ხიდიც გალაქტიკაში ყველაზე გრძელი და ლამაზი ჰგონია? თუმცა რას ვერჩით, ადმინისტრაცია ყოველთვის ისეთია, როგორი შეფიც ჰყავს.**

◀ მსახიობი, მგონი, ბევრად ჯობდა), შეიძლება ყოველივე ამის უკან აღმოაჩინოს ბლეფი, რომელიც საკუთარი, თითქოსდა რეალურად არსებული კოზირების წარმოჩენას ემსახურება. **ბლეფი, მხოლოდ კინოშია სახალისო, მისი გამოყენება პოლიტიკაში, ან თუნდაც ბანქოს თამაშის დროს, თუ შესაბამისი უნარ-ჩვევები არ გაქვს, მძიმე შედეგებით სრულდება. აგვისტოს ომი, რომლის წინარე პერიოდში ბლეფის ელემენტს ძალზე დიდი ადგილი ეკავა, ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა. თუმცა იმ ტრიუკებს, რომელთაც სააკაშვილი მიმართავს ხანდახან ძნელია, ბლეფი უწოდო.**

ერთი მაგალითი სხვა სფეროდან: როდესაც სააკაშვილის რეზიდენციაში სტუმრობისას ჟურნალ „GQ"-ს კოლუმნისტებმა (ქსენია სობჩაკმა და ქსენია სოკოლოვამ) თბილისის ისტორიულ ცენტრში უშნოდ გაჩრილ უგვანო ნაგებობის შესახებ, რომელსაც ოფიციალური წყაროები „მშვიდობის ხიდს" უწოდებენ, ხოლო თბილისელებმა ისეთი სახელი მოუძებნეს, რომლის გამეორება აქ ცენზურის ჩარჩოებს აშკარად გასცდება, ჰკითხეს „რა არის ეს?" სააკაშვილმა თვალის დაუხამხამებლად უპასუხა „ეს არის ხიდი ფეხით მოსიარულეთათვის. ყველაზე გრძელი ევროპაში". თუ ადამიანი კლინიკური იდიოტი არ არის და ცხოვრებაში ერთხელ მაინც ტურისტული ცნობარი გადაუშლია, მან იცის რომ ლონდონში ფეხით მოსიარულეთათვის არსებობს „მილენიუმის ხიდი" (სიგრძე 370 მეტრი), ხოლო პარიზში „სიმონა დე ბოვუარის ხიდი" (სიგრძე 304 მეტრი), ევროპაში არის სხვა, თბილისურ „მშვიდობის ხიდზე" (156 მეტრი) გაცილებით გრძელი ხიდები ფეხით მოსიარულეთათვის, თუმცა ამ ორი, ყველაზე ცნობილი ობიექტით შემოვიფარგლოთ. ვის რაში სჭირდება ტრაბახი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების უარყოფას ეფუძნება? რატომ იგდებს ადამიანი სასაცილო მდგომარეობაში თავს, მაშინ, როდესაც ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს? ან იქნებ სააკაშვილს მართლა ჰგონია, რომ მისი ხიდი ევროპაში ყველაზე გრძელია? თუ ეს ასეა, საქმე ცუდადაა.

„GQ"-ს პუბლიკაციაში არის კიდევ ერთი მონაკვეთი, რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ მსგავსი თვისებები სააკაშვილის გარემოცვასაც ახასიათებს. როდესაც ჟურნალისტები მისი ადმინისტრაციის წარმომადგენელთან აგვისტოს ომზე წაკამათდნენ, ამ უკანასკნელმა თქვა: **„ევროკავშირმა ოკუპაციის ფაქტი აღიარა". რამდენიმე წუთში კი მისმა შეფმა იმავე ჟურნალისტებს უთხრა: „ვფიქრობ, რომ ევროკავშირის ოფიციალური განცხადება (ოკუპაციის თაობაზე. — რედ.) უკვე წელს იქნება".** გაკეთდება თუ არა ხსენებული განცხადება, ცალკე თემაა და სააკაშვილის იმედები ამასთან დაკავშირებით შეიძლება ერთობ გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ დღევანდელ რეალობას ამ შემთხვევაში იგი სავსებით ადეკვატურად აღწერს, მსგავსი პოზიცია ევროკავშირს დღეისთვის არ დაუფიქსირებია, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. **რატომ ტყუის სააკაშვილის ადმინისტრაციის წარმომადგენელი? თანაც ისევ და ისევ იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტი ზედაპირზე დევს და მისი გადამოწმება ძალზე იოლია. თუ ისიც ბაიბურში არ არის, რა ხდება ამქვეყნად და, შესაძლოა, ავადსახსენებელი ხიდიც გალაქტიკაში ყველაზე გრძელი და ლამაზი ჰგონია? თუმცა რას ვერჩით, ადმინისტრაცია ყოველთვის ისეთია, როგორი შეფიც ჰყავს;** ეს მაგალითი მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რომ დაგვეფიქსირებინა განსხვავება გააზრებულ ბლეფსა და ყოვლად უაზრო, სულელურ ტყუილს შორის.

## ვინ გვათამაშებს წაგებულ თამაშს?

**დავუბრუნდეთ დაცარიელებულ დარბაზს გაეროში, სადაც სააკაშვილის ერთობ გაწელილი სიტყვა გრძელდება და ერთი წუთით დავუშვათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ანგლო-ამერიკელი პარტნიორების დახმარებით მართლაც დაიწყებს კავკასიური ინტეგრაციის გზაზე რეალური ნაბიჯების გადადგმას, თანაც მოსკოვის პოზიციის გათვალისწინების გარეშე.**

დღეისთვის ამ თვალსაზრისით ორი მთავარი ვექტორის გამოკვეთა შეიძლება: სწრაფი ინტეგრაცია აზერბაიჯანთან (ცნობილი იდეები კონფედერაციის შესახებ ამ ოპერიდანაა) და ჩრდილოეთ კავკასიაში იმ ძალების მხარდაჭერა, რომლებიც კრემლს უპირისპირდებიან. ცხადია, ნებისმიერ მოძრაობას ამ მიმართულებით რუსეთის უაღრესად მწვავე და ხისტი რეაქცია მოჰყვება, თუმცა, ვინაიდან ფანტაზიას საზღვარი არ აქვს (მიხეილ სააკაშვილი ამაში, ალბათ, დაგვემოწმება), წამით წარმოვიდგინოთ, რომ ეს ძალისხმევა წარმატებით დაგვირგვინდა, კავკასია გაერთიანდა, ხოლო რუსეთმა ის სამუდამოდ დატოვა. რას მოასწავებს საქართველოსთვის ეს პერსპექტივა? ის უფრო მრავალრიცხოვანი, განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და განვითარების დონის ერებთან „ერთ ქვაბში" აღმოჩნდება. სტრუქტურული პრობლემები და ცენტრიდანული მისწრაფებები ამ ახალ წარმონაქმნში აიძულებს დასავლეთს, სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის მას „ზედამხედველი" დაუნიშნოს. ძალიან დიდი ალბათობით, ეს თურქეთი იქნება. **კავკასიის უსაფრთხოება და ეკონომიკის სადავეები ბუნებრივად პროექტის უფრო ძლიერი და მდიდარი მონაწილეების ხელში გადავა, ქართველების შესაძლებლობათა მაქსიმუმი ამ ახალ რეალობაში საკუთარი ეთნიკური სახის შენარჩუნება იქნება, მარტივად რომ ვთქვათ, ერთგვარი „კულტურული ავტონომიით" დაკმაყოფილება მოგვიწევს; ბოლო სიტყვას კი ჩვენი ქვეყნის სევდიან თავგადასავალში, ამ პროექტის ფარგლებში, სავარაუდოდ, დემოგრაფია იტყვის.**

დამოუკიდებლობისთვის და თვითმყოფადობისთვის ბრძოლის საუკუნეები ამ კონტექსტში ძალიან ულიმღამო და სამარცხვინო შედეგით დაგვირგვინდება. მომავლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ეს ეპიზოდი, სავარაუდოდ, შევა როგორც ერის თვითმკვლელობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი. ეს პესიმისტური ვარაუდი რომც არ გამართლდეს, საკუთარი ქვეყნის ბედის მიბმა გარე ძალების საეჭვო გეოპოლიტიკურ პროექტზე მეტისმეტად სარისკო ჩანს.

**პრობლემა, სამწუხაროდ, ისაა, რომ სააკაშვილის პოლიტიკური ჯგუფი, როგორც ჩანს, მზად არის, აიტაცოს ნებისმიერი იდეა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივების შესაძლებლობას მისცემს და დასავლელი პარტნიორების თვალში მის არსებობას რაღაცით მაინც გაამართლებს.** ამ დროს საერთაშორისო არენაზე ის გამოიყურება დაახლოებით ისე, როგორც გამოიყურებოდა ქართული დელეგაცია (სააკაშვილის მეთაურობით), რომლის მიღება გასულ კვირას დონალდ ტრამპმა ინება. **სავარაუდოდ, სპარსეთის არც ერთ შაჰს, ბიზანტიის არც ერთ იმპერატორს არ უნახავს ასეთი მაამებლური გამომეტყველების ქართველები, თუმცა იმ დროს საქართველო სულ სხვა ქვეყანა იყო, სადაც სულ სხვა ხალხი ცხოვრობდა; იქ დღევანდელი „ახალი ქართველების" მსგავსი ტიპების ფუნქცია (მაქსიმუმ) საჯინიბოების წმენდით შემოიფარგლებოდა. იმ დამამცირებელი სცენის ხილვის შემდეგ, რომელსაც ადგილი ტრამპის კაბინეტში ჰქონდა, ბევრ ადამიანს, შესაძლოა, გაუჩნდა სურვილი, პათეტიკურად იკითხოს: „ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ასეთი ეს დონალდ ტრამპი?", თუმცა გაცილებით სწორი, ალბათ, სხვა ფორმულირების გამოყენება იქნებოდა: „ვინ ვართ ჩვენ? საით მივდივართ? რას დავემსგავსეთ?".**

**დიმიტრი მონიავა**

---

ლუკა კურტანიძე:

# ხელები ექავებათ, ისე უნდათ ჩემი დაჭერა



**ძიუდოს ფედერაციაში ტოკიოში მომხადი ინციდენტით გამოწვეულმა მღელვარებამ ჭიდაობის ფედერაციაში გადაინაცვლა. გასულ კვირას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში აღმასრულებელი კომისიის სხდომაზე კამათი ლამის ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ერთმანეთს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი და სახელოვანი მოჭიდავე ლუკა კურტანიძე დაუპირისპირდნენ. ჭიდაობის ფედერაციაში მომხდარი ინციდენტის დეტალებსა და საერთოდ ჭიდაობის ფედერაციაში არსებულ მდგომარეობაზე ლუკა კურტანიძე გვესაუბრება.**

**— ძიუდოს ფედერაციაში დაძაბულმა მდგომარეობამ ჭიდაობის ფედერაციაში გადაინაცვლა. რა გახდა ინციდენტების მიზეზი?**

— ის ორი კინკილა მედალი, რომლებიც ტოკიოში წელს ავიღეთ, ჩვენი ბიჭების დამსახურებაა, მაგრამ ეს საკმარისი არაა, რადგან ქართველ სპორტსმენებს უფრო დიდი პოტენციალი აქვთ. როცა 30 ადამიანისაგან შემდგარი ნაკრები მიდის ჩემპიონატზე, მინიმუმ 10 მედალი მაინც უნდა ჩამოიტანონ. ყველაფერი პირადი ინტერესების გათვალისწინებით ხდება. სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს იმ სპორტის სახეობამ, რომელიც ყველაზე საამაყო იყო ჩვენთვის, კრახი განიცადა. როცა გამიზნულად უშვებ შეცდომას, ეს დანაშაულია და ამაზე პასუხი უნდა აგოს ყველამ.

ყველაზე დიდი პრობლემა სპორტული ბაზების გადატანამ შექმნა. სპორტსმენებს არ აქვთ საშუალება, შეჯიბრებებისთვის ნორმალურ პირობებში მოემზადონ, რაც შემდგომ უკვე შედეგებზეც მოქმედებს. მთავარი მოსამზადებლი ბაზა 2008 წლამდე ბორჯომ-ბაკურიანში იყო და 2004 წლიდან 2008 წლამდე პერიოდიც ქართული ჭიდაობის ისტორიაში წარმატებული გამოდგა. 2008 წლის შემდეგ მოინდომეს ახალი ველოსიპედის გამოგონება. მაშინდელმა სპორტის დეპარტამენტმა და მათმა ჭკუის დამრიგებლებმა ბორჯომის ბაზის დახურვა და დუშეთში გადამისამართება გადაწყვიტეს. ეს არაა სტანდარტული ბაზა. ესაა ქალაქის ცენტრში მოწყობილი სასტუმრო და სასტუმროდან ერთ კილომეტრში არის სავარჯიშო დარბაზი, **დუშეთის ე. წ ბაზა ამ ხელისუფლების მომხრეთა საკუთრებაა. ესაა ხელისუფლების მარჯვენა ჯიბიდან ამოღებული და მარცხენა ჯიბეში ჩადებული თანხა. პროფესიონალებმა კიდეც რომ მოითხოვონ ბორჯომის ბაზის აღდგენა, თავიანთ მოთხოვნას შეეწირებიან. ეს არის რეჟიმი, რომელიც დასამსხვრევია. როდესაც სპორტში ასე უხეშად ერევი და ამას სპორტული ინტერსები და წარმატებები ეწირება, ეს დანაშაულია. როდესაც მე ვუთითებ არსებულ შეცდომებზე და ვთავაზობ მდგომარეობის გამოსწორების გზებს, დაუფარავი აგრესიით მიპირისპირდებიან. ყველამ კარგად იცის, რომ ბორჯომის ბაზა ლერი ხაბელოვის კუთვნილებაა, რომელიც დღევანდელი ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად მიუღებელია, მაგრამ ეს ბაზა ამ ადამიანმა გააკეთა ქართველი სპორტსმენებისთვის.** საქართველოში მოჭიდავეებს ასეთი მოწესრიგებული და საერთაშორისო სტანდარტების ბაზა არ გვაქვს და ასე ერთი ხელის აღებით ამ ბაზის გაუქმება დანაშაულია.

**— თქვენ დღევანდელი ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად მიუღებელი ხართ იმის გამო, რომ ხშირად აკრიტიკებთ მას. ამის გამო სპორტულ ცხოვრებაში თუ გექმნებათ პრობლემები?**

**— იგნორირებული ვარ როგორც სპორტსმენი და როგორც მოქალაქე. ყველგან თვალყურს მადევნებენ. ერთი სული აქვთ, ფეხი გადამიბრუნდეს. ხელები ექავებათ, ისე უნდათ ჩემი დაჭერა. ჩემი 30 წლის შრომა ჩემი ქვეყნისთვის და ერისთვის აბსოლუტურად წყალში ჩაყრილია. ერთი რამ მინდა ვუთხრა ჩემს ოპონენტებს, ჩემს გულში და ჩემს სულში სიძულვილისა და მტრობის ადგილი არ არის.** აქტიური სპორტიდან წასვლას ვაპირებ. უკვე მესამე წელია, მაქვს სურვილი ვიყო პროფესიონალი მწვრთნელი, მაგრამ ამის საშუალება არ მეძლევა სწორედ იმიტომ, რომ ვამბობ სიმართლეს. ამის გამო ვარ, ასე ვთქვათ, რეპრესირებული და მაქსიმალურად შეზღუდული. შარშან ვმონაწილეობდი ქვიშის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც ვერცხლის მედალი მოვიპოვე. ამის შემდეგ მივმართეთ ჩემპიონატის ორგანიზატორებს და ვუთხარით, რომ ვიყავით დაინტერსებულნი ამ ჩემპიონატის საქართველოში, კერძოდ ბათუმში, ჩატარებით. მივიღეთ იმის უფლება, რომ 2011 წელს ჩემპიონატი ჩატარდეს ბათუმში. ამის შემდეგ, მთელი ერთი წელი, ვემზადებოდი მომდევნო ჩემპიონატისთვის. **2010 წლის ჩემპიონატზე ოთხკაციანი დელეგაცია უნდა ჩასულიყო მონტენეგროში, მათ შორის ერთი ვიყავი მე, მაგრამ, რადგან პოლიტიკურად მიუღებელი ვარ ხელისუფლებისთვის და არ ვაზროვნებ ისე, როგორც მათ სურთ, ჩემი წასვლა ჩაიშალა. დელეგატებს შორის ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი ვიყავი და მხოლოდ ჩემი წასვლა დაბლოკეს. მიზეზი იყო ის, რომ თურმე ჩემს გასაშვებად თანხები არ ეყოთ! არადა, ვინც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, თურქი სპორტსმენი, მას შარშან 15 წამში მოვუგე მეორე შეხვედრა.**

როდესაც ახალგაზრდა ხედავს, რომ სპორტსმენის შრომა დაუფასებელია, მას ინტერესი ეკარგება სპორტის მიმართ. ჩემი შვილისთვის მაგალითი არ ვარ. 30 წელიწადი შევალიე ქართულ სპორტს, დღეს კი ჩემი თაფლივით ნათქვამი სიტყვა მათ ყელში ძვალივით ეჩხირებათ. ჩემი შვილი ადგება და მეტყვის: შენ ამდენი იშრომე, ამდენი წარმატება მოუტანე ქვეყნას და მაინც ქვებს გესვრიან. რატომ უნდა ვიყო მეც სპორტსმენი? და მე პასუხს ვერ გავცემ.

**დღევანდელ საქართველოში მისაბაძი აღარ არის გამოჩენლი, წარმატებული ადამიანი. უფრო მომგებიანია, ვინმე ჩაუშვა, იყო მლიქვნელი. თუ უსამართლობა მოხდება, ხმა არ ამოიღო. აი, ასეთი საქციელი ხდება ახალგაზრდებისთვის მისაბაძი, რადგან ხედავენ, რომ ასეთები უფრო ფასდებიან. არ მინდა საქართველოში კეთილსინდისიერი ადამიანებისთვის მისაბაძი იყოს უღირსობა, უსამართლობა.**

**— თქვენი აზრით, ხელისუფლების ინტერესში არ შედის ქართული სპორტის წარმატება?**

— ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლება დაინტერესებულია მხოლოდ ერთი რამით: რაც შეიძლება დიდხანს, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ძალაუფლება, მაგრამ ყველამ უნდა ამოიღოს ხმა. გარწმუნებთ, მე რომ ხმა არ ამომეღო, შევგუებოდი უსამართლობას და დამეკარგა ის ღირებულებები, რაც ჩემთვის ძვირფასია, არც ხელფასებს მომიხსნიდნენ, არც შემავიწროებდნენ, არც არსად დამბლოკავდნენ და ვიქნებოდი ერთ-ერთი წარმატებული და „დაფასებული" სპორტსმენი. მაგრამ არაფრად მიღირს ასეთი დაფასება, თუ ჩემი ერი გაიხრწნა.

**ლილი მიროტაძე**
**თეო ტაბატაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაბრაზებულნი



**სოსო ჯაჭვლიანი,**
**მსახიობი და რეჟისორი:**

— პოლიტიკაშიც ასეა, რაა... მოდი, ახლა ვიქეიფოთ, შენ ჩემი ახლობელი ხარ, კაი ადგილზე დაგნიშნავ, მერე ისე მოვიქცეთ, ვითომ ქრთამი არ აგვილია. აი, ეგრე აკეთებს სააკაშვილი, ქვეყანას ანგრევს, მაგრამ ძირი გაიძლიერა ამ სიმონებში!

*„ალია“*



**მინდია უგრეხელიძე,**
**კონსტიტუციონალისტი, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი:**

— დიდი საფრთხეები გველის ძალიან და მე არავის არ ვურჩევ, რომ ამ საქმეს ხელი მოაწეროს... ჩვენი მომავალი ცხოვრებისა და ჩვენი შვილიშვილების ბედი წყდება, ეს ახლა ვისაც არ ესმის, ის ყოფილა ბრმა, ყრუ და რეგვენი, მაშინ... ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის, და კონსტიტუცია რაღაც ფარატია ქაღალდად რჩება.

*„ალია“*



**ნოდარ ჯავახიშვილი,**
**„ეროვნული ფორუმის“ წევრი:**

— მუთაქებში ფული თუ აქვს შენახული ადამიანს, ამათი რომ ეშინა, იმიტომ აქვს და ახლა გამოიტანს იმიტომ, რომ ბათუმში მუქთად მაძლევენო და ერთი პროცენტი მაინც ექნებათ გარანტია, რომ არ წაართმევენ მუთაქიანად?!

*„ალია“*



**თემურ შაშიაშვილი,**
**მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**

— საწარმო „კვარციტში“ დღეს საქმეებს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მიხეილ მაჭავარიანის ძმა წარმართავს. „მადნეულიც“ და „კვარციტიც“ სააკაშვილის ბიძის საკუთრებაა. სააკაშვილს თუ წესრიგის დამყარება სურს, რა უნდა იქ მთავარ ფიგურად მაჭავარიანის ძმას? ბარამიძის ძმა ფოთის პორტშია, მიშას ძმა ყველგან კურატორია...

*„ყველა სიახლე“*



**სულხან მოლაშვილი,**
**„თავისუფალი აზრის სახლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი:**

— სტრასბურგში ჩემი საქმის გაგზავნიდან ექვსი წელი გავიდა და დადგა დრო, სტრასბურგმა მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე — სულხან მოლაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

— ჩემს კოლეგებს, იურისტებს, მოვუწოდებ, ვინც კი უკანონო გადაწყვეტილებას აწერს ხელს, ვინც უკანონო მოსმენებს ატარებს და ხალხს უკანონოდ აპატიმრებს, ნუ ეგონებათ, რომ მათ მომავალში მშვიდი ცხოვრება ელით.

*„ალია“*

# მანანა ღურჭუმელიძე კანადას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყოფილი პრეზიდენტი მანანა ღურჭუმელიძე კანადაში იმყოფება და პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. „საქართველოდან ჩემი და ჩემი ოჯახის უსაფრთხოებისთვის წავედი. სახელმწიფო უწყებები ჩემი მასალების გამო გვდევნიდნენ. ამჟამად კანადაში ვიმყოფები და ამავე ქვეყანაში ვითხოვ პოლიტიკურ თავშესაფარს“, — აცხადებს ღურჭუმელიძე.**



ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პედაგოგთა პროფკავშირებს განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი აშკარად და დაუფარავად „გადაეკიდა“. დიდი ხანია, მიზეზს ეძებდნენ პროფკავშირებში დარღვევების აღმოსაჩენად. ერთი წელი იქექა საფინანსო პოლიციამ პედაგოგთა პროფკავშირებში, მაგრამ ხელცარიელი ისევ უკან გაბრუნდა.

მანანა ღურჭუმალიძეს ფულის გაფლანგვასაც აბრალებდნენ. მან სასამართლოში უჩივლა „ბრალმდებლებს“ და პროცესი მოიგო კიდეც! თუმცა ამით არ დასრულებულა პროფკავშირებისთვის პრობლემების შექმნის მცდელობა. ფინანსურ დარღვევებზე საუბარი არ წყდებოდა. ამის გამო ორგანიზაციაში მოიწვიეს აუდიტი, რომელმაც ერთთვიანი მუშაობის შემდეგ დადო დასკვნა — პროფკავშირების საბუთები სრულ წესრიგშია!

რატომ ცდილობს ხელისუფლება და მინისტრი შაშკინი პედაგოგთა პროფკავშირების გზიდან ჩამოშორებას?

**ყველას კარგად ახსოვს, ალბათ, ცოტა ხნის წინათ ხელისუფლებას როგორ უნდოდა მასწავლებლების მასშტაბური გათავისუფლების დაწყება, რაზეც პროფკავშირი, დიდი ხანია, აფრთხილებდა საზოგადოებას. ხელისფლებას, ალბათ, არ აწყობდა ძლიერი პროფკავშირი, რომელიც მასწავლებლების უფლებების დასაცავად თავდაუზოგავად იბრძოლებდა და მასწავლებლების განთავისუფლებაში ხელს შეუშლიდა.**

შაშკინმა თავისი პირით თქვა: „არ დავუშვებ საქართველოში მეორე განათლების სამინისტროს არსებობას!“

მეორე, რის გამოც არ აწყობდათ, ალბათ, ღურჭუმელიძის თავმჯდომარეობა, მასწავლებლების ტესტირება იყო. როცა მასწავლებლებს არ მისცეს ტესტირებისთვის მომზადების არც საშუალება და არც ნიმუშები, რის მიხედვითაც გაივლიდნენ ამ ტესტირებას, პროფკავშირი სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა განათლების სამინისტროს, ითხოვდა, ჯერ მასწავლებლების მომზადებას და შემდეგ ტესტირების გავლას.

**მაშინ, როდესაც ქვეყანა მართვის ტოტალიტარულ რეჟიმზე გადადის, სადაც პარტიული ცხოვრება სკოლის ასაკიდან იწყება, ასეთი სისტემისთვის ღურჭუმელიძისნაირი ადამიანები საშიშია.**

**მესამე იყო, ალბათ, ის, რომ სახელმწიფო მასწავლებელთა ჯანმრთელობის დაზღვევას აპირებდა, თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ თვითონ მასწავლებლებს უნდა გადაეხადათ მომსახურების საფასური. ამ შემთხვევაშიც მასწავლებლების უფლებებს პროფკავშირი აუცილებლად დაიცავდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ დირექტორებს, რომლებიც აქამდე არჩევით ინიშნებოდნენ, ამიერიდან განათლების სამინისტრო თვითონ დანიშნავდა. ერთი სიტყვით, რაც კი განათლების სისტემაში დემოკრატიული დაინერგა, ყველაფრის აღმოფხვრა იგეგმება.**

მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირს დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს და მანანა ღურჭუმელიძე ევროპის პროფკავშირების ვიცე-პრეზიდენტია, მინისტრ შაშკინთან გამკლავება, როგორც ჩანს, არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

ისე მოხდა, რომ ღურჭუმელიძეს მასწავლებლების დაცვა კი არა, საკუთარი თავის დაცვა მოუხდა. ბოლოს ველარ გაუძლო დარტყმებს, ლანძღვას, შეურაცხყოფას და იძულებული გახდა, წასულიყო.

**მაშინ, როდესაც ქვეყანა მართვის ტოტალიტარულ რეჟიმზე გადადის, სადაც პარტიული ცხოვრება სკოლის ასაკიდან იწყება, ასეთი სისტემისთვის ღურჭუმელიძისნაირი ადამიანები საშიშია.** პედაგოგებს დამცველი არ უნდა ეგულებოდეთ სადმე. გარდა ამისა, პედაგოგთა მასიური შემცირების გამო კრიტიკის თავიდან ასაცილებლადაც სჭირდებოდათ ღურჭუმელიძის მოშორება და პედაგოგთა პროკავშირებისთვის ბრძოლის უნარის წართმევა.

**ქალბატონი მანანას მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანების ხელმძღვანელმა ირაკლი პეტრიაშვილმაც გააკეთა განცხადება, თუმცა მან აღნიშნა, რომ ქალბატონმა მანანამ თანამდებობა ჯანმრთლობის გაურესების გამო დატოვა.**

რაც შეეხება პედაგოგთა პროფკავშირებს, ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ სურთ. სამი დღის განმავლობაში უშედეგოდ ვცდილობდით კომენტარის მიღებას, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ აღმოჩნდა. რას ვიზამთ, ყველა საკუთარ ტყავს უფრთხილდება! ისინი, ვინც ცოტა ხნის წინათ მანანა ღურჭუმელიძის გვერდით იდგნენ, დღეს დუმილის უფლებას იყენებს. როგორც ჩანს, შაშკინის უწყებამ უკვე მოასწრო მათთან „მუშაობა“!

**თეო ტაბატაძე**

**P.S ქვეყანაში არსებულ მდგომრეობას რომ ველარ გაუძლო, სააკაშვილის რეჟიმს საქართველოდან ათასობით ადამიანი გაექცა, ზოგი ნებით, ზოგიც იძულებით.**

**მარტო 2009 წელს პოლონეთის ხელისუფლებას 4000-მა ქართველმა ემიგრანტმა მიმართა თავშესაფრის თხოვნით. მანანა ღურჭუმელიძის მსგავსად, იძულებული გახადეს საქართველოდან წასულიყო ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე, რომელმაც შვეიცარიის ხელისუფლებას სთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. მათი ბედი გაიზიარა გაზეთ „შანსის“ მთავარმა რედაქტორმა ბონდო ქურდაძემ, რადგან მუდმივ შანტაჟსა და მუქარას ველარ გაუძლო და დღეს ოჯახიანად პოლონეთშია. რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ადამიანი ეწირება დღევანდელი ხელისუფლების უპასუხიმგებლო პოლიტიკას.**

## მოკლედ



### პატიმრები შიმშილობენ

**საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ აცხადებს, რომ ქსნის სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების 16 მსჯავრდებულის მიერ ხელმოწერილი წერილის მიხედვით, პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს.** წერილში ნათქვამია, რომ ხსენებულ დაწესებულებაში პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლა ხორციელდება და მათი უფლებები უხეშად ირღვევა. განსაკუთრებით სასტიკად იმ მსჯავრდებულებს ეპყრობიან, რომლებიც ადგილზე შექმნილ მძიმე პირობებსა და ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებს მორჩილად ვერ ეგუებიან და საჩივრებს წერენ. მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ადვოკატები მდგომარეობის გასარკვევად ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებას ეწვივნენ.



### ყველაზე ცოტას მასწავლებლებს უხდიან

**„საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიები საფინანსო სფეროში მომუშავე ადამიანებს აქვთ.** 2010 წლის მეორე კვარტალში საშუალო ხელფასის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 1378 ლარი — სწორედ ამ სეგმენტში დაფიქსირდა. ამ საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში ზოგადად საშუალო თვიური ხელფასი 600 ლარამდე თანხით განისაზღვრებოდა, რაც სასიხარულო წინსვლად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან წინა კვარტალში იგივე მაჩვენებელი ახლანდელზე 6%-ით ნაკლები იყო. სამაგიეროდ, საშუალოდ 7%-ით მოიმატა საარსებო მინიმუმმაც. „საქსტატის“ მონაცემებით, ყველაზე დაბალი ანაზღაურება განათლების სფეროში დასაქმებულ ადამიანებს აქვთ, მათი საშუალო თვიური შემოსავალი 297 ლარს არ აღემატება.




### „ჯეოსელი“ გვატყუებს

**კომუნიკაციების ეროვნული კომისია, როგორც ჩანს, „ჯეოსელს“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა და ამჯერადაც მომხმარებლის მოტყუებაში ადანაშაულებს.** საუბარია „ჯეოსელის“ სარეკლამო რგოლზე – „5000 SMS უფასოდ“. აბონენტების მოტყუება იმაში გამოიხატება, რომ ამ სერვისის გასააქტიურებლად მათ 2 ლარის გადახდა უწევთ და საბოლოოდ „უფასოდ“ აღარ გამოდის. მარეგულირებელი „ჯეოსელის“ დაჯარიმებაზე იმსჯელებს. შეგახსენებთ, კომუნიკაციების კომისიამ ფიჭური კავშირგაბმულობის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია აბონენტების მოტყუებაში რამდენიმე კვირის წინაც დაადანაშაულა. მაშინ საქმე „ჯეოსელის“ ზარების წუთობრივ დამრგვალებას ეხებოდა და მომტყუებელი ადმინისტრაციული გაფრთხილებით გადარჩა.



### პირადი საგადასახადო აგენტები

**ამიერიდან საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესწავლაში, მიმდინარე სიახლეების გაცნობაში, დეკლარაციებისა და ანგარიშგების ფორმების სწორად შევსებაში პირადი საგადასახადო აგენტები დაგვეხმარებიან.** ახალი ინსტიტუტი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა შემოიღო. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს, რომელიც საგადასახადო სამსახურში საამისო განცხადების შევსებას პირადი აგენტის დაუხმარებლადაც მოახერხებს. ამის შემდეგ აგენტი საგადასახადო ვალდებულებების უკეთ შესრულებაში კი დაგვეხმარება, მაგრამ გადახდაში, სამწუხაროდ, დამხმარე ჯერ კიდევ არავინ გვყავს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### ლალი აფციაური:

# ციხეებში შექმნილ არაადამიანურ ვითარებას სექსუალური მინისტრი ვერ უშველის

**დღეისათვის საქართველოში სასჯელაღსრულების 17 დაწესებულება ფუნქციონირებს. ვითარება ყველგან გაუსაძლისია. სულ ცოტა ხნის წინათ ქსნის სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს. საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ აცხადებს, რომ  კოლონიის 16 მსჯავრდებულის მიერ ხელმოწერილი წერილი მიიღო, რომელშიც ნათქვამია, რომ დაწესებულებაში პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლა ხორციელდება და მათი უფლებები უხეშად ირღვევა. განსაკუთრებით სასტიკად იმ მსჯავრდებულებს ეპყრობიან, რომლებიც მძიმე პირობებსა და ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებზე საჩივრებს წერენ.**



## პატიმრებს პოტენციის დასაქვეითებლად გაურკვეველ მედიკამენტს უყრიან საკვებში

პატიმრების გაუსაძლისი მდგომარეობა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სიტუაცია, ალბათ, არავისთვისაა უცხო, ამაზე უკვე საერთაშორისო ორგანიზაციებიც საუბრობენ. ევროპის წამების პრევენციის კომიტეტმა საქართველოს შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა კრიტიკულად შეაფასა.

როგორც სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა განაცხადა, ევროპის წამების პრევენციის კომიტეტმა საქართველოს შესახებ მომზადებულ მეოთხე მოხსენებაში კრიტიკული ტონი შეინარჩუნა, წარმოდგენილი რეკომენდაციები კი ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს.

**სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, პატიმრების უფლებათა დამცველ ლალი აფციაურს ვესაუბრეთ.**

**— ქსნის კოლონიის საპატიმროში პატიმრებმა პროტესტის ნიშნად შიმშილობა რომ დაიწყეს, რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— მათ არაადამიანურად ექცევიან. თითქმის ყოველ დღე მიწევს სასჯელაღსრულების ორგანოებში მისვლა და ვიცი, რა მძიმე პირობებში იხდიან პატიმრები სასჯელს. მათ არაადამიანურად ექცევიან. შეგიძლიათ ყოველგვარი გადამოწმების გარეშე გაავრცელოთ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რადგან ზუსტია და უტყუარი. ყოველ დღე ვხვდები პატიმრებს და ასეთ ინფორმაციას ვღებულობ მათგან. ალბათ, ნორმალურ ქვეყანაში ისიც კი საკმარისი იქნებოდა ამ პრობლემაზე ყურადღების გასამახვილებლად, რაც ევროპის წამების წინააღმდეგ პრევენციამ გამოაქვეყნა. საკმაოდ კრიტიკული დასკვნა დაიდო საქართველოში პატიმრების ყოფასთან დაკავშირებით. თუმცა მე უფრო უარესიც შემიძლია დავამატო. **თითქმის ყველა საპყრობილეში ყველა პატიმარი ჩაყენებული ჰყავთ ევროპული კონვენციის მესამე მუხლის საწინააღმდეგო მოწყობის ქვეშ. მათი პირობები უთანასწორდება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. საკნები პატიმრებით გადატვირთულია, ცუდია სამედიცინო მომსახურება, კვება, ჰიგიენა, ოჯახებთან ურთიერთობა... რომელი ერთი ჩამოვთვალო.** ოქტომბერში კანონში ცვლილება შედის, რომლის მიხედვითაც განათლების უფლებაც კი ერთმევათ ამ ადამიანებს.

**— ხელისუფლება ხშირად იწონებს ხოლმე თავს ახალი სტანდარტებით აშენებული საპყრობილეებით. ყველაზე უფრო გაუსაძლისი მდგომარეობა რომელ დაწესებულებაშია?**

— აბსოლუტურად ყველგან ერთნაირი მდგომარეობაა. ის, რითაც ხელისუფლება თავს იწონებს, სულაც არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. თუნდაც ციხეებში ვინტილიაციის საკითხი რომ ავიღოთ. **პატიმართა 99% თამბაქოს მომხმარებელია. წარმოიდგინეთ, რა ძნელია, ისუნთქოს პატიმარმა საკანში, სადაც არაა ჰაერის გამწოვი და მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარაა. ანალოგიურ მდგომარეობაში ვართ ჩვენც, ადვოკატები. ნებისმიერ საგამოძიებო ოთახში, განსაკუთრებით კი ზაფხულის პერიოდში, შეუძლებელია ათ წუთზე მეტ ხანს გაჩერება. იქ არის საშინელი უჟანგბადობა, სიცხე და იმისათვის, რომ ტვინი არ შეგვიშუპდეს, მე პირადად ცენტრალურ კიბეზე გამოვდივარ ხოლმე ჰაერის ჩასასუნთქად.** ხომ წარმოგიდგენიათ, რა მდგომარეობაში არიან პატიმრები. მოუწესრიგებელია პატიმრებთან ადვოკატთა შესვლის პირობებიც. საათობით უნდა იდგე უსასრულო რიგში, რომ შენი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმარი მოინახულო. რაც არ უნდა იძახოს ხელისუფლებამ, რომ ევროპული სტანდარტების ციხეები და კარგი და სექსუალური მინისტრი გვყავსო (პრეზიდენტის სიტყვებია, დავესესხები), საქმეს არ შველის. **თითქმის ლინჩის წესით არიან პატიმრები გასამართლებულნი. განაჩენები, რაც 2007 წლის მერე პატიმრებს გამოუტანეს, ხელისუფლების ნულოვან ტოლერანტობაზე მოუთითებს. ქვეყანას დღეს სასამართლო აღარ ჰყავს. სასამართლო არის ხელისუფლების პოლიტიკური ნების აღმსრულებელი. შეკვეთა მოდის პროკურატურიდან და უპირობოდ სრულდება.**

დღეს ციხეები ინფექციების კერადაა ქცეული. ამ ბოლო დროს ძალიან გავრცელდა პატიმრებში შიდსი, რის დამალვასაც ხელისუფლება საგულდაგულოდ ცდილობს, მაგრამ არაფერი იმალება. აღარ ვლაპარაკობ ტუბერკულიოზზე, C ჰეპატიტზე. ადამიანს, ვინც ერთი კვირით მაინც მოხვდება საპატიმროში, დიდი შანსი აქვს, რომ რაიმე განუკურნებელი სენით დაავადდეს. სამედიცინო მომსახურებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მარტივად რომ ვთქვათ, საპატიმროს, სადაც 4000-მდე პატიმარია, ერთი ან ორი ექიმი არ ეყოფა. დღევანდელი გაუსაძლისი პირობების გამო პატიმართა დიდი ნაწილი დაავადებულია. ხშირია პატიმართა სიკვდილიანობა ელემენტარული უყურადღებობის გამო.

**მსოფლიოს ყველა ციხეში ვარ ნამყოფი, მათ შორის ყველაზე სასტიკ ციხეებშიც, სადაც პატიმრებს ყველაზე მძიმედ სჯიან და მინდა გითხრათ, რომ ყველგან მეუღლეების ურთიერთობა წინა პლანზეა წამოწეული. იმისათვის, რომ ოჯახები არ დაინგრეს. ჩვენთან ამას ყურადღებას არავინ აქცევს. როცა ახლადაშენებულ ციხეებში პირადი პაემნების ოთახის შესახებ ვიკითხე, მიპასუხეს, რომ ეს გათვალისწინებული არ იყო. სამაგიეროდ, კარგი გამოსავალი ნახეს: პატიმრებს გაურკვეველი წარმომავლობის მედიკამენტს უყრიან საკვებში პოტენციის დასაქვეითებლად.** ამ პრეპარატების მიღების შემდგომ პატიმრები ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას უჩივიან. არავინ იცის რა პრეპარატია, საერთოდ დარეგისტრირებული არის თუ არა ჯანდაცვის სამინისტროში.

**— როგორ გგონიათ, ევროპის წამების პრევენციის დასკვნის შემდეგ შეეცდება თუ არა ხელისუფლება სიტუაციის ოდნავ მაინც გამოსწორებას?**

— არაფერს არ შეეცდება. მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა მიბმულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებზე, რომლებიც სავალდებულო წესით უნდა შეასრულოს ჩვენმა ქვეყანამ. **მალე მომიწევს, ალბათ, ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება და იძულებული ვიქნები, ევროკავშირს მოვთხოვო, ჩვენი ქვეყანა გარიცხოს მისი რიგებიდან. ამის მიზეზი ისაა, რომ გამუდმებით ირღვევა ადამიანთა უფლებები და ამის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებიც პირდაპირ წერენ. ეს მაშინ, როცა ისინი ყოველთვის საჩვენებელ ციხეებში მიჰყავთ და თქვენ წარმოიდგინეთ, რეალური სურათი რომ ნახონ, მაშინ რას დაწერენ!** ჩვენს ციხეებში რაც ხდება, არის ქვეყნის გენოციდი. 40 000 პატიმარი ჰყავს სახელმწიფოს და ამ ადამიანების ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება, სახუმრო საქმე არაა. სულ მოვუწოდებ პატიმართა ახლობლებს, ხმა ამოიღონ არსებული სიტუაციის წინააღმდეგ, ისაუბრონ ამ თემაზე, მშვიდობიანი აქცია მოაწყონ; თუ საჭირო გახდა, იშიმშილონ კიდეც, რადგან სხვა გამოსავალი აღარაა.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ




### 123 ხმით 4-ის წინააღმდეგ

**ამ შეფარდებით პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა ახალი რედაქციის საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი.** პროექტი დეპუტატებს იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა წარუდგინა და შემდეგ თითქმის ოთხი საათის განმავლობაში დასმულ შეკითხვებს პასუხობდა. „ქრისტიან-დემოკრატების“ მოთხოვნაზე, ახალი რედაქციის კონსტიტუციაში აღდგეს ძველი ნორმა, რომლის საფუძველზეც ძალოვანი სტრუქტურების შერწყმა იკრძალებოდა, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ერთიან სახელმწიფო უწყებად ჩამოყალიბებული შსს და უშიშროება კარგად გამართული მოდელია და მათი გაყოფა „მიულებელია“.



### სააკაშვილის გაუგონარი ფარსი

**ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გაეროში გამოსვლას და განსაკუთრებით სიღარიბის დაძლევის თაობაზე გაკეთებულ განცხადებებს გაუგონარი ფარსი და აბსოლუტური სიყალბე უწოდა.** გაერო-ს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურებისა და მსოფლიო ლიდერების მიმართ საგანგებო განცხადებაში აღნიშნა, რომ „გაერო-ს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე საქართველოს სახელით მონაწილეობს პრეზიდენტი, რომლის არათანმიმდევრულმა და გაუაზრებელმა პოლიტიკამ გაერო-ს მიერ აღიარებული ერთიანი ქართული სახელმწიფო სამ ნაწილად დაშალა“.



### ერთიან კავკასიას სააკაშვილს არ ანდობენ

**„ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილს საერთაშორისო საზოგადოებაში სათანადო ავტორიტეტის არქონის გამო ერთიანი კავკასიის იდეის განხორციელებას არავინ ანდობს.** „მიხეილ სააკაშვილს აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებების შანსი 2005 წელს ჰქონდა. აგვისტოს ომის შემდეგ კი, არც აფხაზები და არც ოსები ამ შეთავაზებას სერიოზულად აღარ შეხედავენ. მიხეილ სააკაშვილი ქართველებს ჰპირდებოდა, საქართველო ნატოში ძალიან მალე შევაო. საქართველოს გაერთიანებასაც გვპირდებოდა... არ მინდა, ვინმემ აფხაზებსა და ოსებს ცრუ იმედები შთაუნერგოს“, — აღნიშნა ალასანიამ.



### ქართული პრემიერა მოსკოვში

**მოსკოვის თეატრი „Et Cetera“ სეზონს რობერტ სტურუას სპექტაკლით გახსნის. ქართველი რეჟისორი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოსკოველი მაყურებლის წინაშე საპრემიერო სპექტაკლ „ქარიშხალით“ წარსდგება.** სპექტაკლი რუსეთში ქართველთა კავშირის დახმარებითა და შემწეობით დაიდგა. მალე სპექტაკლი მონაწილეობას მიიღებს ხელოვნების ფესტივალში „ალუბლის ტყე“. როგორც რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ ხუბუტიამ აღნიშნა, რობერტ სტურუა სწორედ იმ მასშტაბის პიროვნებაა, რომელსაც რუსეთსა და საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა ძალუძს, „ამიტომაც ქართველთა კავშირი რუსეთში მაქსიმალურად ხელს შეუწყობს სახელოვან მაესტროს“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მალე უამრავი ადამიანი შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე დადგება

**ბოლო დროს საკვები პროდუქტების გაძვირების მიზეზებსა და მომავალში ფასების მოსალოდნელ გაზრდაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება კონსერვატიული პარტიის წევრი ლაშა ჩხარტიშვილი.**



## ლაშა ჩხარტიშვილი: საქართველოში მილიონ რვაასი ათასი სოციალურად დაუცველი ადამიანია, ეს ქვეყნის რეალური მოსახლეობის ნახევარზე მეტია

**— ბატონო ლაშა, კვების პროდუქტებზე ფასები დღითიდღე იზრდება, რაც მოსახლეობაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. თქვენი აზრით, რითაა ეს განპირობებული?**

— დღეის მდგომარეობით, ორმოცდაათიდან ას პროცენტამდე ფასების ზრდის პროცესი შეინიშნება პირველადი მოხმარების პროდუქციაზე, განსაკუთრებით პურზე, შაქარზე, ბოსტნეულზე, ხილზე და ა.შ. ეს კი, რა თქმა უნდა, გამოწვეულია ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკით, რაც გამოიხატება ეკონომიკის იმ დარგის მონოპოლიზებაში, რასაც ვაჭრობა ჰქვია, ანუ დღეს რეალურად ქვეყანაში სახეზე გვაქვს ოლიგარქიული ეკონომიკური სექტორები (მათ შორის ვაჭრობის სფეროც), რომლებსაც კონკურენტების მოშორება სჭირდება და ხელისუფლება ამას აკეთებს კიდეც წვრილი და საშუალო ბიზნესის განადგურების ხარჯზე.

მოკლედ, ეს არის საკმაოდ სწრაფად განვითარებადი პროცესი, რომელიც ვაჭრობის სფეროს მალე მიიყვანს იმ მდგომარეობამდე, რა მდგომარეობაც დღეს ფარმაცევტულ ბაზარზეა. მოგეხსენებათ, იქ მონოპოლია აქვს სამ კომპანიას: „პე-ეს-პე“-ს, „ჯი-პი-სი“-სა და „ავერს“-ს. სხვა კომპანიებმა კი, ფაქტობრივად, ვერ შეძლეს ბაზარზე დამკვიდრება და გაფართოება.

...ვაჭრობის მონოპოლიზება თავისთავად გამოიწვევს კონკურენციის მოსპობას ამ სფეროში, რაც ნაწილობრივ მოხდა კიდეც, ეს კი პირდაპირ კავშირშია ფასების ზრდასთან, ვინაიდან იქ, სადაც არ არის კონკურენცია, ბუნებრივია, ფასებიც მაღალია...

**— საკვები პროდუქტების გაძვირება რამდენად უკავშირდება გარევაჭრობის აკრძალვას?**

— **როგორც კი აიკრძალა გარევაჭრობა, დაახლოებით ხუთ დღეში დაიწყო ფასების კოლოსალური ზრდა. ასე რომ, ეს აკრძალვა და პროდუქტების გაძვირება, რა თქმა უნდა, ერთმანეთს უკავშირდება. ასევე უკავშირდება ეს პროცესი ხელისუფლების მიერ ვაჭრობით დაკავებული წვრილი მეწარმეების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლასაც, რის შედეგადაც სულ მცირე ხანში ათასობით ადამიანი გამოაკლდა ვაჭრობის სფეროს და, შესაბამისად, მკვეთრად შემცირდა კონკურენციაც.** ერთი სიტყვით, ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ ყველაფერი, **ეკონომიკის აბსოლუტურად ყველა დარგი, მიმართულება მოექცეს ხელისუფლების კონტროლქვეშ, რათა მან ერთპიროვნულად შეძლოს ამ ყველაფრის მართვა — ბიზნესმენების დატერორება, გატყავება და საკუთარი ჯიბის გასქელება;** საზოგადოებისთვის კი, რა თქმა უნდა, ეს იქნება უმძიმესი შედეგების მომტანი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ წვრილმეწარმეობის მოსპობა გამოიწვევს უმუშევართა რაოდენობის კატასტროფულ გაზრდას (თუმცა ამ მხრივ არც ახლა ვართ დალხენილები) და მერე კიდევ, საკვები პროდუქტების ესოდენ მყისიერი გაძვირება ჩვენს ისედაც უმძიმეს სოციალურ ფონს ათჯერ და ოცჯერ უფრო დაამძიმებს... ამის ნიშნები უკვე ჩანს კიდეც.

**დღეს საქართველოში მილიონ რვაასი ათასზე მეტ ადამიანს აქვს განაცხადი დაწერილი სოციალურად დაუცველთა სიაში შეყვანის მოთხოვნით. ეს ქვეყნის რეალური მოსახლეობის ნახევარზე მეტია და მათი რაოდენობა მუდმივად იზრდება**. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს სტატისტიკაც ცხადყოფს, რეალურად რა მდგომარეობაა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით; მაგრამ ხელისუფლებას ამის დანახვა არ სურს და ნაცვლად იმისა, რომ ყველაფერს აკეთებდეს ამ ვითარების გამოსასწორებლად, სააკაშვილი გამოდის და ამაყად გვიცხადებს, აი, ამდენი სასტუმრო ავაშენეთ, ხალხი დავასაქმეთო. ეს არის აბსურდი, წარმოუდგენელი ცინიზმი და დაცინვა იმ ასეულ ათასობით გაუბედურებული ადამიანისა, რომელთაც ხელისუფლებამ სამუშაო კი არ მისცა, არამედ, რაც ჰქონდათ, ისიც წაართვა და ლუკმა-პურის გარეშე დატოვა.

**— ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში ბაკურ კვეზერელმა განაცხადა, ხორბლის საკმარისი მარაგი გვაქვს და მომდევნო რამდენიმე თვის მანძილზე პურის ფასი არ გაიზრდებაო. ამ განცხადებიდან ორი თუ სამი კვირის შემდეგ პური გაძვირდა. როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც მონოპოლიზაციის**



**პროცესთან გვაქვს საქმე თუ უბრალოდ კვეზერელის ალგებრის მასწავლებელს უნდა დავაბრალოთ ყველაფერი?**

— ის ფაქტი, რომ რამდენიმე თვის სამყოფი მარაგის პირობებში ფასები კოლოსალური მასშტაბით იზრდება, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ხორბლისა და პურის ბიზნესშიც საქმე გვაქვს სერიოზულ მონოპოლიებთან. მაგალითად, ერთ-ერთ მონოპოლისტად სახელდება არჩილ გეგენავა და მასთან დაახლოებული პირები, თუმცა სათავე მონოპოლიზაციის პროცესისა, რა თქმა უნდა, არის ხელისუფლება და, შესაბამისად, სრული პასუხისმგებლობა ფასების გაზრდაზე, პროდუქტების გაძვირებაზე, ბუნებრივია, სწორედ მას ეკისრება.

**— რა ღონისძიებების გატარება შეიძლებოდა იმისთვის, რომ ძველი ფასები ცოტა ხნით მაინც შენარჩუნებულიყო?**

— რომ არა ხელისუფლების კორუფციული მისწრაფებები და დაუოკებელი სურვილი, რომ მართოს და აკონტროლოს ქვეყანაში არსებული აბსოლუტურად ყველა ბიზნესსექტორი, სხვა თუ არაფერი, პურის ფასი მაინც მომდევნო ერთი-ორი თვის მანძილზე არ გაიზრდებოდა, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა გაზრდილიყო. ამასთან, ხელისუფლებას უნდა დაეწყო ზრუნვა საგადასახადო ტვირთის შემცირებაზე, მაგრამ არა თუ ეს არ გააკეთა, არამედ საგადასახადო კოდექსში შეიტანა ზოგიერთი ისეთი ნორმები, რომლებიც ერთიორად დაამძიმებს მეწარმეების მდგომარეობას და უბიძგებს მათ პროდუქციის გაძვირებისკენ. ერთი სიტყვით, ხელისუფლებამ იმის ნაცვლად, რომ მომზადებული დახვედროდა მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ფასების ზრდის პროცესს, ნიადაგი შეამზადა და, შეიძლება ითქვას, ყველანაირი პირობა შექმნა საიმისოდ, რომ ეს პროცესი აქაც დაწყებულიყო, თანაც საკმაოდ ინტენსიურად...

**— ბევრი ფიქრობს, რომ ფასების გაზრდა ხელისუფლების მიერ არჩევნებზე დახარჯული საბიუჯეტო თანხების შესავსებად მოხდა. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს მოსაზრება?**

— იმ თანხების შევსება, რაც „ნაცმოძრაობამ“ არჩევნებში დახარჯა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყველაფერს გააკეთებენ, რათა ეს თანხა ხელახლა მოიძიონ. **სამწუხაროდ, საკვების გაძვირება ერთჯერადი ღონისძიება არ არის სააკაშვილისა და მისი მეგობარი ოლიგარქების ჯიბეებისთვის ამ დანაკლისის შესავსებად. ეს ფასები, რომელიც გაიზარდა, თუ არ მოხდა რამე პრინციპული ცვლილება ბაზარზე, დარჩება გაზრდილი, რის შედეგადაც მალე უამრავი ადამიანი შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე დადგება...**

**— დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ არის შესაძლებელი, რომ მომავალში ფასები კიდევ უფრო გაიზარდოს?**

— რაც უფრო მძაფრი იქნება მონოპოლიზაციის პროცესი, მით უფრო გაიზრდება ფასებიც, უმუშევრობაც და ჯერჯერობით სწორედ აქეთკენ მიდის ყველაფერი. ხელისუფლება წარმატებით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს. ასე რომ, სანამ საზოგადოება არ იქნება აქტიური, სანამ თვით გარემოვაჭრეები და საშუალო თუ წვრილმეწარმეები არ მიხვდებიან, რომ საჭიროა ბრძოლა ამ რეჟიმის წინააღმდეგ, ეს პროცესი გაგრძელება და მოსახლეობა, რომლის დიდი ნაწილიც სოციალურად ისედაც დაუცველია, აღმოჩნდება უმძიმეს მდგომარეობაში. თუმცა ის, რაც დღესდღეობით ქვეყანაში ხდება, უკვე საგანგაშოა და თითოეული ჩვენგანისთვის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.

**— საზოგადოების აქტიურობაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ ერთ დღეს მხოლოდ ვაჭრობის სფეროში ჩართული ადამიანები რომ გამოვიდნენ ქუჩაში, ბრძოლას მიეცემა აზრი და დარწმუნებული ვარ, კონკრეტულ შედეგებსაც მივაღწევთ...

**— კი მაგრამ, ხომ გამოდის ეს ხალხი? უკვე თვეზე მეტია, მერიასთან აქციებს მართავენ.**

— არც ერთ აქციაზე ხუთას კაცზე მეტი არ შეკრებილა, მაშინ, როცა მარტო თბილისში ათი ათასი გარემოვაჭრეა. ამიტომ ვამბობ, რომ მათი მხრიდან საჭიროა მეტი აქტიურობა, თუმცა გარევაჭრობის აკრძალვა არ არის მხოლოდ იმ ადამიანების პრობლემა, რომლებიც ამ სფეროში იყვნენ დასაქმებული, ეს ეხება თითოეული ჩვენგანის ჯიბეს, ასე რომ, ვიმეორებ, სანამ საზოგადოება არ იქნება ერთიანი, სამასი და ხუთასკაციანი აქციებით, ბუნებრივია, ვერ ვაიძულებთ ხელისუფლებას, შეწყვიტოს საგადასახადო და საბაჟო ტერორი, რომელსაც ის დღესდღეობით ერთობ წარმატებით ახორციელებს.

დღეს ხელისუფლებას და პირადად სააკაშვილს ეს ქვეყანა წარმოუდგენია საკონცენტრაციო ბანაკად, სადაც ადამიანებს სული უნდა ამოხდეთ შიმშილით. ამის ნათელი მაგალითია ის ბარბაროსობა, რაც გააკეთეს თუნდაც გარემოვაჭრეებთან მიმართებაში, თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. გარემოვაჭრეების შემდეგ რიგში დგანან ტაქსისტები და მიკროავტობუსების მძღოლები, რომელთა წინააღმდეგაც ხელისუფლება აპირებს შეტევას. ამაში დარწმუნებული ვარ და ამიტომ მინდა, მივმართო ყველას, ვისაც ამ ქვეყანაზე გული შესტკივა, გავერთიანდეთ, სანამ გვიან არ არის, სანამ თავზე დაგვმხობია ეს ქვეყანა, თორემ სააკაშვილის გიჟურ ფანტაზიებს, შიზოფრენიულ გამოხდომებსა და ავადმყოფურ იდეებს საბოლოოდ შეეწირება საქართველო...

**ესაუბრა**
**ჯაბა ჟვანია**

**როგორც კი აიკრძალა გარევაჭრობა, დაახლოებით ხუთ დღეში დაიწყო ფასების კოლოსალური ზრდა. ასე რომ, ეს აკრძალვა და პროდუქტების გაძვირება, რა თქმა უნდა, ერთმანეთს უკავშირდება. ასევე უკავშირდება ეს პროცესი ხელისუფლების მიერ ვაჭრობით დაკავებული წვრილი მეწარმეების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლასაც, რის შედეგადაც სულ მცირე ხანში ათასობით ადამიანი გამოაკლდა ვაჭრობის სფეროს და, შესაბამისად, მკვეთრად შემცირდა კონკურენციაც.**

**სამწუხაროდ, საკვების გაძვირება ერთჯერადი ღონისძიება არ არის სააკაშვილისა და მისი მეგობარი ოლიგარქების ჯიბეებისთვის ამ დანაკლისის შესავსებად. ეს ფასები, რომელიც გაიზარდა, თუ არ მოხდა რამე პრინციპული ცვლილება ბაზარზე, დარჩება გაზრდილი, რის შედეგადაც მალე უამრავი ადამიანი შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე დადგება...**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ფერიცვალება დღეს ქსანში მთელი ზონა სასტიკად სცემეს

**ქსნის კოლონიაში მდგომარეობა გაუსაძლისად მძიმეა. ამის შესახებ ორგანიზაციას „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" პატიმრებმა ციხიდან გამოგზავნილი წერილით შეატყობინეს. 19 აგვისტოდან, როცა ციხეში პატიმრებს სპეცრაზმი გაუსწორდა, მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ადმინისტრაციის თანამშრომლები დღემდე განურჩევლად ყველა პატიმარს სცემენ, სამკურნალო დაწესებულებაში კი მხოლოდ მომაკვდავ მდგომარეობაში მყოფი პატიმრები გადაჰყავთ. მოუწესრიგებელია კვების საკითხიც. ყოველდღიურად მათ მხოლოდ ე. წ. სალაფავსა და გაურკვეველ სითხეს აწვდიან; შეზღუდულია პაემნები და გასეირნების უფლება.**
**რა ხდება ქართულ ციხეებში და რას ერჩის ციხის ადმინისტრაცია პატიმრებს, ამაზე ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი გვესაუბრება.**



## გელა ნიკოლეიშვილი:
# არაადამიანური მოპყრობის გამო ქართულ ციხეებში ყოველწლიურად 100-ზე მეტი პატიმარი კვდება

— რამდენიმე დღეა, რაც დამიკავშირდა პატიმარი, რომელმაც შემატყობინა ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტი (პირდაპირ უთითებდა პატიმრის სახელსა და გვარს), ამასთან, ისიც, რაც მოხდა 19 აგვისტოს, ფერიცვალების დღეს, როდესაც, ფაქტობრივად, მთელი ზონა ცემეს. განსაკუთრებით მკაცრად მოექცნენ მათ, ვისაც საჩივარი აქვს შეტანილი სტრასბურგის სასამართლოში. ადმინისტრაცია მოითხოვდა სტრასბურგიდან საქმეების გამოტანას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამასთან დაკავშირებითაც უკვე წასულია საჩივარი სტრასბურგში.

მდგომარეობა გაუარესდა არამარტო ქსანში, არამედ რუსთავის I დაწესებულებაშიც. ამის თაობაზე ჩემთვის ცნობილი გახდა პატიმრების, ადვოკატების, პატიმრების ოჯახების წევრების მეშვეობით. სამწუხაროდ, პატიმრების მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა უკვე ტენდენციად იქცა, ეს არის უკვე ნორმა და არა გამონაკლისი.

**— გარდა იმისა, რომ ითხოვენ სტრასბურგიდან საჩივრების გამოტანას, რას უკავშირდება ხოლმე პატიმრებზე ფიზიკური ანგარიშსწორება?**

— ფაქტობრივად, განუსაზღვრელი უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და აბსოლუტურად უუფლებოები არიან პატიმრები. ნებისმიერ ქმედებაზე, სიტყვაზე, ადმინისტრაციის თანამშრომლებს თუ მოეჩვენათ, რომ ხმამაღლა დაილაპარაკეს, თუ მოეჩვენათ, რომ უხეშად მიმართეს, ხელი უკან არ წაიღეს, ბრძანება დროულად არ შეასრულეს, ნებისმიერ ასეთ მცირე გადაცდომას აუცილებლად მოჰყვება პატიმრის ფიზიკური დასჯა, დარტყმა, წამორტყმა, ღირსების შემლახველი მოპყრობა, გინება. ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანები დააბეჩავონ, დაიმორჩილონ. ციხეში ადამიანი, როგორც პიროვნება, აღარ უნდა არსებობდეს. ეს არის მათი მიზანი, რასაც აღწევენ კიდეც. პატიმრები ქცეული არიან დაშინებულ მასად. იმის მიუხედავად, რომ კანონში პირდაპირ წერია, რისი უფლება აქვს პატიმარს.

**— როცა ბედავენ პატიმრები და წერენ საჩივარს, რა რეაგირება მოჰყვება ხოლმე ამას?**

— ყოფილა შემთხვევები, რომ უჩივლია პატიმარს, ცემის ფაქტებიც დადასტურებულა, სხეულის დაზიანებაც; დეტალურად აღუწერია პატიმარს ვინ, როგორ, რა სიტუაციაში მიაყენა დაზიანებები, მაგრამ დაწყებულა გამოძიება და დასრულებულა შემდეგი სიტყვებით: პატიმრის მიერ ნათქვამი, რომ თითქოს ფიზიკური დაზიანებები მიაყენა სასჯელაღსრულების დაწესებულების ამა და ამ წარმომადგენელმა, არ დადასტურდა. არ მახსოვს შემთხვევა, პატიმარს სიმართლე დაემტკიცებინოს.

**— თითქოს იყო ხელისუფლების მხრიდან მცდელობა, რომ სიტუაცია გამოსწორებულიყო პენიტენციალურ სისტემაში. შეიცვალა მინისტრი, ქალი დაინიშნა. აშენდა ახალი ციხეები, პატიმრებს აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა... გამოასწორა ამან მდგომარეობა?**

— ეს ძალიან პირობითია, მხოლოდ ქაღალდზე და მხოლოდ სიტყვიერად. ბევრ პატიმარს აქვს ტუბერკულოზი, C ჰეპატიტი, რაც აუცილებლად სპეციალიზირებულ დაწესებულებაში გადაყვანასა და სპეციალიზებულ მკურნალობას საჭიროებს და ათასობით ლარი ჯდება. როგორც წესი, ამბობენ, რომ მათ ამის საშუალება არ აქვთ და მკურნალობას არ უტარებენ პატიმარს. რაც შეეხება ახალი ციხეების აშენებას, ახალი სახალხო დამცველის დანიშვნას, რომელმაც სხვათაშორის, არაერთხელ აღნიშნა ცემის ფაქტებისა და დაზიანებების შესახებ, მაგრამ მისი მტკიცებაც, რომ მისმა წარმომადგენელმა ნახა პატიმარი, შეადგინა ოქმი და გადაუგზავნა პროკურატურას იმავე შედეგით მთავრდება, როგორც პატიმრის ჩივილი. მკვლელობის ფაქტებიც კი არის ციხეში. მაგალითად, ნადიმ ცეცხლაძე მარტის თვეში გარდაიცვალა, აშკარად ნაცემი და ნაწამები წამოიყვანეს გეგუთის კოლონიიდან ე. წ. რეზბალნიცაზე. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სულ ერთი წელი ჰქონდა მისჯილი და რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი.

რაც შეეხება ახალი ციხეების მშენებლობასა და მინისტრად ქალის დანიშვნას, ჩვენი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია ფასადური დემოკრატია. ფასადების შეღებვა, ხოლო ფასადების უკან რაც არის, დამალულია, არ ჩანს. ასეთივე სურათი გვაქვს პენიტენციალურ სისტემაშიც. ქალი მინისტრიც ისეთივე ბუტაფორია და ფასადია, როგორც სხვა დანარჩენი. იგი ვერც ერკვევა და არც ერევა არაფერში. და საერთოდ, **ხათუნა კალმახელიძის უფროსი არის ვანო მერაბიშვილი. კონკრეტული შემთხვევაც შემიძლია გითხრათ. როდესაც ცნობილი უფლებადამცველები, სერგეი კავალიოვი და ერნს ჩორნი ჩამოვიდნენ თბილისში და მოითხოვეს პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიასთან შესვლა, შეხვდნენ მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს, მინისტრმა უთხრა: ერთი წუთით, ვანო მერაბიშვილს დავურეკავ და ვკითხავ, თუ შეიძლება მისი ნახვაო. დაურეკა და უარი მიიღო.** პენიტენციალურ დაწესებულებებს განკარგავს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რაც, ასევე, კანონის აშკარა დარღვევა და კომუნისტური გადმონაშთია. სწორედ ასეთი გადმონაშთი რომ იყო, იმიტომ გაიყო ეს სისტემა და ჯერ იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა, შემდეგ ცალკე სამინისტრო შეიქმნა, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად და ფასადურად არის, რეალურად ისევ შინაგან საქმეთა სამინისტრო აკონტროლებს სიტუაციას.

**— ამბობენ, რომ პატიმართა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია...**

— გეთანხმებით, რომ გაიზარდა სიკვდილიანობა ციხეში. არაადამიანური მოპყრობის გამო გარდაცვლილი პატიმრების რაოდენობა უკვე ყოველწლიურად 100-ს აჭარბებს, რაც ადრე არასდროს ყოფილა. ეს ოფიციალური მონაცემებია. ჩვენ არ ვიცით, რა სურათი გვაქვს არაოფიციალურად.

**სოფო გელაშვილი**

# «ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი» და «ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები» ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

**არასამთავრობო ორგანიზაცია-კავშირი „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები" (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი) 2003 წელს შეიქმნა. მასში იმთავითვე გაერთიანდა 500-ზე მეტი ადამიანი ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახებიდან. კავშირის მიზანი აფხაზეთის ომის შედეგად დარღვეული ოჯახების გამთლიანება და აფხაზებსა და ქართველებს შორის ნათესაური კავშირების აღდგენაა. 7 წლის მანძილზე ამ კავშირის ძალისხმევით 4000-მდე ქართულ-აფხაზური ოჯახი და მათი ნათესავები შეხვდნენ ერთმანეთს.**

ამ ხნის განმავლობაში ამ კავშირს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებდნენ, რომელთა მხარდაჭერით საშვილიშვილო საქმე კეთდებოდა. დაფინანსება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა; შარშან, ივნისიდან, ერთი წლით აღნიშნული კავშირი უნდა დაეფინანსებინა **„ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს"**, მაგრამ რატომღაც ეს არ მოხერხდა. ამ ფონდმა ეს თანამშრომლობა 3 თვით ადრე შეწყვიტა. არადა, მისი კოორდინატორი ზაალ ანჯაფარიძე ჩემთან ერთ-ერთ ინტერვიუში იმ კეთილშობილურ საქმეებზე საუბრობდა, რასაც „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები" აკეთებდნენ; აქებდა რეზო ბენდელიანს და სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ორგანიზაციას არ აფინანსებდა ხელისუფლება.

„ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" დირექტორმა ქეთი ვაშაკიძემ ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების" ხელმძღვანელ რეზო ბენდელიანს: „პროექტის მიზნების მისაღწევად ,,ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" მიერ თქვენი ორგანიზაციისათვის გადმორიცხული თანხა შეადგენს 33 483 დოლარს, ამ თანხიდან ჩვენ არ ვამტკიცებთ თქვენ მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას 6 900 დოლარის ოდენობით და ვითხოვთ მის უკან დაბრუნებას. მოთხოვნილი თანხა მოიცავს:

**აფხაზური მხრიდან პროექტის კოორდინატორის ხელფასს, რომელიც, მისივე თქმით, მას არასოდეს მიუღია;**

**ტრენერ-ინსტრუქტორის თვიურ ანაზღაურებას (ტრენინგი ჩატარდა მხოლოდ ორჯერ);**

**ოფისის ქირას ზუგდიდში, რომელიც ფაქტიურად არ იყო დაქირავებული.**

**ვითხოვთ მხოლოდ იმ თანხის დაბრუნებას, რომლის თაობაზეც ინფორმაციის გადამოწმება უკვე მოხდა და რომელზეც საჭიროების შემთხვევაში შევძლებთ სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენას".**

„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების" ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი ყოველივეს წინასწარ გამიზნულ პროვოკაციად მიიჩნევს. მან წარმოადგინა ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც აბათილებს „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" ბრალდებას.

**პირველ ბრალდებას:** არსებობს ხელშეკრულება „ქართულ-აფხაზური შერეულ ოჯახებსა" და აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ასოციაციას" შორის, რომლის ხელმძღვანელიცაა თინა ქეცბაია. ასევე არსებობს თინა ქეცბაიას მიერ დაწერილი განცხადება, სადაც ის ითხოვს 1000 ლარის მიღებას და ეს თანხა რეზო ბენდელიანმა მას გადასცა. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების გაფორმება და თანხის გაცემა მოხდა ერთსა და იმავე დღეს 01.07.2009. ჩემთან სატელეფონო საუბარში თინა ქეცბაიამ არ უარყო ფულის მიღება, მაგრამ, მისი განცხადებით, ეს ფული მას „ევრაზიის ფონდიდან" არ მიუღია. არადა, ამ პერიოდში „ქართულ-აფხაზური შერეულ ოჯახებს" მხოლოდ და მხოლოდ „ევრაზიის ფონდი" აფინანსებდა.

**მეორე ბრალდებას**: ამ შეხვედრების ტრენერ-ინსტრუქტორი გახლავთ ქალბატონი ქრისტინა კილანავა, რომელიც „ევრაზიის განვითარების ფონდის" დირექტორის სახელზე დაწერილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ მან ჩაატარა პროექტით გათვალისწინებული ყველა სემინარ-ტრენინგი. ყოველთვიურად ორგანიზაციის თავმჯდომარისაგან ღებულობდა პროექტით დამტკიცებულ თანხას.

საგულისხმოა, გალის რაიონის სოფ. ოტობაიას მკვიდრის, რეზო ჩიკვატიას მიერ „ევრაზიის ფონდის" დირექტორის სახელზე დაწერილი განცხადების შინაარსიც: **„2009 წლის ივნისიდან 2010 წლის მარტამდე აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ასოციაციის" ხელმძღვანელის, თინა ქეცბაიას დავალებით, ვმონაწილეობდი პროექტის განხორციელებაში. ჩემს მოვალეობაში შედიოდა ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში ნათესავების ჩაყვანა, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ ტრენინგ-სემინარებში".**

**აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე არა თუ ორ, არამედ ათამდე ტრენინგ-სემინარს დავსწრებივარ, რომლებიც შემდგომ ქართულ პრესაში პოულობდა ასახვას.**

**მესამე ბრალდებას: „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების" ოფისი მდებარეობს ქ. ზუგდიდში, ბესიკის ქუჩა 19-ში, რასაც ადასტურებს ამ სახლის მეპატრონე ქალბატონი ურიტა ასვანუა. მის მიერ „ევრაზიის ფონდის" დირექტორის სახელზე გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ 2009 წლის 25 მაისს შენობანაგებობების იჯარით ქირაობის ხელშეკრულების საფუძველზე გაქირავებული ჰქონდა მისი კუთვნილი სახლი რეზო ბენდელიანზე, რისთვისაც ყოველთვიურად, ხელშეკრულების თანახმად, იღებდა 250 დოლარს (ოფისის არსებობას ამტკიცებს ასვანუას 5 მეზობელიც). „ევრაზიის ფონდის" კოორდინატორმა კომენტარისგან თავი შეიკავა იმ მოტივით, რომ ის არ არის უფლებამოსილი, კომენტარი გააკეთოს პრესისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით.**

კავშირის „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების" ხელმძღვანელის, რეზო ბენდელიანის განმარტებით, მავანნი და მავანნი ძალიან ცდილობენ, მას სახელი გაუტეხონ და შეაწყვეტინონ საქმიანობა.

**„ჩემი ორგანიზაციის დაპირისპირება „ევრაზიის ფონდთან" დაიწყო მას შემდეგ, რაც ამ ფონდის ბუღალტერმა აფხაზეთიდან ნათესავებთან შესახვედრად და ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობის მისაღებად გადმოსულ ადამიანებს მივლინების ფურცლები მოსთხოვა. რომელ მივლინების ფურცლებზეა ლაპარაკი, როდესაც ეს ადამიანები პარტიზანულად გადმოდიან ენგურს გაღმა, უხდებათ ათასგვარი დაბრკოლების გადალახვა; ან ვინ მისცემდა მათ მივლინების ფურცლებს, რომელი სახელმწიფო მოხელეები ისინი იყვნენ?! ამის ახსნას რომ შევეცადე, ის განაწყენდა და ჩვენი შემდგომი ურთიერთობები უარესობისკენ შეიცვალა — პროექტი ვადაზე ადრე შემიწყვიტეს და აბსურდული ბრალდებებიც წამოაყენეს. ეს არის მიზამიმართული პროვოკაცია. თინა ქეცბაიამაც „ევრაზიის ფონდისგან" მიიღო დავალება. ეს ქალბატონი ათასგვარ ჭორს ავრცელებს ჩემზე, რათა მე ვერ შევძლო ურთიერთობა აფხაზებთან. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩემმა ორგანიზაციამ ვერ მიიღოს დაფინანსება," —აღნიშნა რეზო ბენდელიანმა.**

ორივე მხარე გამოთქვამს სურვილს, რომ საკითხი სასამართლოს გზით მოგვარდეს, მაგრამ რომელი მათგანი მიმართავს პირველი სასამართლოს, მალე გაირკვევა.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაფრაზებულნი



**ნონა გაფრინდაშვილი,**
**მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი ჭადრაკში, საჭადრაკო ოლიმპიადის 12-გზის გამარჯვებული, დიდოსტატი (ვაჟთა და ქალთა შორის), წარმომადგენლობითი სახალხო კრების ერთ-ერთი ორგანიზატორი:**

შეუძლებელია ქართული საჭადრაკო ცხოვრებიდან ჩემი სახელის ამოშლა და ვერც შეძლებენ... მერე ითქვა, თითქოს ბათუმში იმ კლუბის გაყიდვას აპირებენ და იმიტომ გადაარქვეს, მაგრამ გაეყიდათ და მერე გადაერქმიათ. ის მიკვირს, რომ თბილისის ჭადრაკის სასახლე ჯერ კიდევ ჩემი სახელობისაა.

*„ყველა სიახლე“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

პრეზიდენტებისგან განსხვავებით, პრემიერებზე ვადების შეზღუდვა არ მოქმედებს. ესე იგი, ჩვენ სახეზე გვექნება, თუ იქნა მიღებული, სააკაშვილის მინიმუმ 40-წლიანი დიქტატურა, რის შედეგადაც, ალბათ, საქართველოს ნასახი არ დარჩება არც რეალობაში, არც რუკაზე და არც გეოგრაფიაში.

*„ალია“*



**ეკა ბესელია,**
**ადვოკატი:**

ვიდრე ქვეყანაში დიქტატურაა „ნაციონალური მოძრაობისა“ სასამართლო ხელისუფლებაზე, ვიდრე რეჟიმია თავისთავად არადემოკრატიული, ასეთ პირობებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი კი არა, ზეციდან რომ ჩამოიყვანო ანგელოზები, ისინი ვერ შეცვლიან ვითარებას.

*„ალია“*



**ვახტანგ ტატიშვილი,**
**ანსამბლ „ივერიის“ წევრი:**

სიამოვნებით დავისვამდი სააკაშვილს და ვეტყოდი: შვილო, მიშიკო, რაც აქამდე შეგეშალა, გაპატიებ, მაგრამ აწი ჭკუით მოიქეცი. შენ ხომ უკვე დიდი ბიჭი ხარ, სერიზულობა გმართებს, დაუჯერე უფროსებს-მეთქი.

*„ყველა სიახლე“*



**სოსო ცინცაძე,**
**პოლიტოლოგი:**

ოპოზიციამ ვერ დააჯერა ხალხი, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემდეგ უკეთ იცხოვრებდნენ და ეგ არის მარცხის მიზეზი...

მსოფლიოში კრიზისია, წინ უმძიმესი ზამთარი გველის და დღეს მთავრობას ისტორიული მოვალეობა აკისრია, როგორმე უმტკივნეულოდ გადაგვატანინოს ეს რთული პერიოდი.

*„კვირის პალიტრა“*



**ირაკლი ბათიაშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის ყოფილი წევრი:**

პოლიტიკა პოეზია არ არის, რომ მოქმედების ახალი ფორმები მოინახოს...

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ხალხი ფეხზე დადგეს არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებშიც. შემდეგ კი დიდი სახალხო ზეწოლის გზით მშვიდობიანად, პოლიტიკურად წელში გადავტეხოთ ეს ხელისუფლება.

*„კვირის პალიტრა“*



**დიმიტრი ლორთქიფანიძე,**
**პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:**

თუკი პოლიციელი ჯეროვნად არ შეასრულებს დავალებას, ანუ პოლიციელის გონივრული ეჭვი მყარ საგანზე არ აღმოჩნდება გონივრული და მოქალაქის ჯიბიდან კანონსაწინააღმდეგო მყარ საგანს არ ამოიღებს, ვაი მას! — თვითონ აღმოჩნდება თავისივე გონივრული ეჭვის მსხვერპლი, როგორც უკანონო შემჩერებელი და თავისუფლების უკანონოდ აღმკვეთი.

*„კვირის პალიტრა“*

# ეს წერილი ყველა პენსიონერმა და უმუშევარმა უნდა წაიკითხოს



# მშიერი ქვეყნის მაძღარი ხელისუფლება

**მიხეილ სააკაშვილმა რუსულ ჟურნალ „GQ“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ხელფასი 8000 ლარია. არადა, აქამდე საქართველოს მოსახლეობისთვის ცნობილი იყო, რომ ნინო ბურჯანაძის ხელმოწერილი კანონით, 2005 წლის 25 მარტს სააკაშვილმა ხელფასი 4 720 ლარი დაინიშნა. აღნიშნულ კანონში ნინო ბურჯანაძის მოკლევადიანი პრეზიდენტობის დროს, 2008 წლის 1 იანვრიდან, ცვლილება შევიდა, მაგრამ თანხა იგივე დარჩა. პრეზიდენტი დეკლარაციაშიც, წლის მანძილზე ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალშიც დაახლოებით ერთსა და იმავე თანხას — 59 000 ლარს უთითებს. საინტერესოა, ვის ატყუებს პრეზიდენტი, რუს ჟურნალისტებს თუ საქართველოს მოსახლეობას?**

გადავხედოთ, კანონით, ყოველთვიურად რამდენი ლარი აქვთ ხელფასის სახით დანიშნული ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს. როგორც აღვნიშნეთ, **ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა 2005 წლის 25 მარტს ხელფასი 4.720 ლარი დაინიშნა.**

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების საფუძველზე, თავდაცვის სამინისტროში** (დანამატების გარეშე) **ხელფასები ასე განაწილდა:** სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსს დაენიშნა **2.540 ლარი**, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს, გენერალური ინსპექციისა და დეპარტამენტების უფროსებს — **1.760 ლარი**. გენერალური ინსპექციის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილეების ხელფასი **1.640** ლარს შეადგენს, სამმართველოს უფროსების — **1.460**-ს, სამმართველოს უფროსის მოადგილეების, მინისტრის მრჩეველებისა და სამინისტროს მთავარი ბუღალტრის ხელფასი **1.340** ლარია, განყოფილების უფროსებისა და მინისტრის თანაშემწისა — **1.220**, მათი მოადგილეებისა და მინისტრის მოადგილეების მრჩეველის — **1.100**, ხოლო რიგითი თანამშრომლებისა 555 ლარიდან 800 ლარამდე მერყეობს.

ალბათ, თვალსაჩინოა თუ რამდენად განსხვავდება რიგითი თანამდებობის პირის ხელფასი დეპარტამენტის უფროსის ხელფასისგან. როგორ წესი, მათი ხელფასი ორჯერ ან სამჯერ მეტია სპეციალისტისაზე. **გადავხედოთ თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო და სხვა სახის ოპერაციებში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირთა გრძელვადიანი მივლინების ყოველთვიურ ანაზღაურებას: პოლკოვნიკისთვის ერაყსა და ავღანეთში 1.700 დოლარია განსაზღვრული; კოსოვოში, გერმანიის კონტიგენტთან — 1.700**, ხოლო თურქეთის კონტიგენტთან — **1.460 დოლარი**. ვიცე პოლკოვნიკი ერაყსა და ავღანეთში ყოფნისას **1 500 დოლარს** იღებს, კოსოვოში, გერმანიის კონტიგენტ- ▶

## მოკლედ



### მესტიაში აეროპორტი შენდება

**თუ მესტიაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საქმე ასე გაგრძელდა, მესტია-ანაკლიის პროექტთან დაკავშირებული პრეზიდენტის ოცნებაც სულ მალე ახდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინირებით მესტიაში ახალი აეროპორტისა და თვითმფრინავის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობა მიმდინარეობს.**

ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის სიგრძე 1,1 კილომეტრია. პროექტი, რა თქმა უნდა, საერთაშორისო პარამეტრების გათვალისწინებით შემუშავდა. გარდა ამისა, სათხილამურო სეზონის დაწყებამდე სვანეთში სათხილამურო კომპლექსისკენ მიმავალი გზის 8 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობაც დასრულდება. გზა მთლიანად ცემენტ-ბეტონით იქნება დაფარული და ექსპლუატაციის ვადა 32 წელს შეადგენს.



### ვენახი თუ ტაშფანდურა?

**სააკაშვილის ხელისუფლებას ერთი ბრალდება შეემატა — ლეიბორისტული პარტია მას მევენახეობის დასამარებასა და განადგურებაში ადანაშაულებს.** „სააკაშვილის უგუნური და უპასუხისმგებლო პოლიტიკის დამსახურებით, რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის გამო და კიდევ იმის გამო, რომ არ არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, ყოველწლიურად უფრო და უფრო მცირდება ყურძნის მოსავალი. 2007 წელს 227 ათასი ტონა ყურძნის მოსავალი მოვიდა, 2008 წელს ეს ციფრი 130 ათასამდე შემცირდა, წელს კი 100 ათას ტონაზე ნაკლებ მოსავალს ვარაუდობენ“ — განაცხადა პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა და ხელისუფლებას, „ტაშფანდურებში და კონცერტებში მილიონების ხარჯვას“, საკუთარი სარეზერვო ფონდიდან სასწრაფოდ თანხების გამოყოფა და ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგის მიხედვა ურჩია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

თან — **1.450**-ს, თურქეთის კონტიგენტთან — **1.200** დოლარს. მაიორისთვის ერაყსა და ავღანეთში **1.300** დოლარია განსაზღვრული, კოსოვოში, გერმანიის კონტიგენტთან — **1.200**, ხოლო თურქეთის კონტიგენტთან — **1.000** დოლარი. შედარებით დაბალი რანგის მოხელეების ანაზღაურება კი — კაპრალიდან ლეიტენანტამდე, ერაყსა და ავღანეთში **600**-დან **980** დოლარამდე, ხოლო კოსოვოში **300**-დან **780** დოლარამდე მერყეობს. ეს მაშინ, როცა **თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების, სამხედრო ატაშეებისა და სხვა თანამდებობის პირთა გრძელვადიანი მივლინებების ანაზღაურების ყოველთვიური ნორმები ასე გამოიყურება:** შეიარაღებული ძალების სამხედრო წარმომადგენლის შესანახად ნატოში სულ **5.200 ევროა** გაწერილი. ანაზღაურების ნორმა — **1 300 ევრო**, სამედიცინო დაზღვევა **700**, ოფისის დაქირავება **700**, შენახვის ხარჯების ნორმები **2.500**; მოადგილისთვის — **3.700 ევრო**; სამხედრო წარმომადგენლის მოადგილე ნატოში ლოჯისტიკის დარგში იღებს **3.600 ევროს**, თანაშემწე — **3.550**-ს; თავდაცვის ატაშე აშშ-ში, კანადასა და მექსიკის გაერთიანებულ შტატებში — **7.250** დოლარს, მოადგილე — **3.900**-ს, თავდაცვის ატაშე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ავსტრიასა და შვეიცარიის კონფედერაციაში — **3.850 ევროს**, მოადგილე — **3.450 ევროს**. თავდაცვის ატაშე საფრანგეთის რესპუბლიკაში, ნიდერლანდების სამეფოში, ბელგიის სამეფოსა და ლუქსენბურგის დიდ საჰერცოგოში — **3.850 ევროს**, მოადგილე — **3.450 ევროს**; თავდაცვის ატაშე თურქეთის რესპუბლიკასა და ბულგარეთის რესპუბლიკაში — **5.800** დოლარს, მოადგილე — **3.750**-ს; თავდაცვის ატაშე დიდი ბრიტანეთის და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში — **4.500** ინგლისურ გირვანქა სტერლინგს, მოადგილე — **2.900** გირვანქა სტერლინგს; თავდაცვის ატაშე აზერბაიჯანის, ყაზახეთის რესპუბლიკებში, თურქმენეთსა და უზბეკეთში — **4.200** დოლარს, მოადგილე — **3.550** დოლარს; თავდაცვის ატაშე ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და პოლონეთის რესპუბლიკებში — **4.650** ევროს, მოადგილე — **3.350** დოლარს; სხვა ასეთივე რანგისა თუ სტატუსის კიდევ 29 თანამშრომლის მომსახურება და ხელფასი **35.150 დოლარი** და **16.900 ევრო** უჯდება სახელმწიფოს.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 22 იანვრის №25 ბრძანებით, ხელფასები ფინანსთა სამინისტროში ასე ნაწილდება:** დეპარტამენტის სამსახურისა და მინისტრის აპარატის უფროსებს **2.130** ლარი აქვთ, მათ მოადგილეებს — **1.890**, მთავარ მრჩეველს — **2.130**, სამმართველოს უფროსებს — **1.660**, მთავარ ბუღალტერს — **1.420**, კონსულტანტებს — **830**-დან **1.070**-მდე, მთავარ სპეციალისტებს — **950**-დან **1.180**-მდე, ხოლო სხვა თანამშრომლების, სპეციალისტების, თანაშემწეებისა და დამხმარე თანამშრომლების ხელფასი **590**-დან **830 ლარამდე** მერყეობს. განსხვავება აქაც თვალსაჩინოა. სახაზინო სამსახურის უფროსის ხელფასი **2.720** ლარია, მოადგილის — **2.130**, დეპარტამენტის უფროსის — **1.890**, მოადგილის — **1.660**, სამმართველოს უფროსის — **1.500**, მთავარი ბუღალტრის — **1.400**, დანარჩენი თანამშრომლების ხელფასები კი თითქმის იდენტურია.

**მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი 2005 წელს ასე განისაზღვრა:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ხელფასი **5.450 ლარი** დაენიშნა, მის პირველ მოადგილეს — **4.900**, მოადგილეს — **4.600**, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს კი — **4.200 ლარი**; სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს — **4.000**, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს — **3.100**, სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს — **2.700**, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს — **2.300**, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს — **2.300**, კოლეგიის თავმჯდომარეს — **2.200**, მოსამართლეს — **2.100 ლარი.**

**საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 11 ოქტომბრის №595 ბრძანებულებით, თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი ასე დადგინდა: თბილისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე** — **2.800** ლარი, საკრებულოს მდივანი და ვიცე-მერი — **2.300**, მერის მოადგილე — **2.200**, მერიის ადმინისტრაციის უფროსი — **2.000**, საქალაქო სამსახურის უფროსი, აპარატის უფროსი — **1.900**, ფრაქციის თავმჯდომარე — **1.600**, საქალაქო სამსახურების უფროსები — **1.000**, სხვა წამყვანი საჯარო თანამდებობის პირები — **900**, უფროსი საჯარო თანამდებობის პირები — **700**, უმცროსი საჯარო თანამდებობის პირები — **450 ლარი**. როგორც ვხედავთ, რიგითი საჯარო მოსამსახურის ხელფასს ხელმძღვანელი პირების ხელფასი აქაც ორჯერ-სამჯერ აღემატება.

**ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ივნისის №8 დადგენილებით, აპარატის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოებია:** საკრებულოს აპარატის უფროსის — **1.650 ლარი**, განყოფილების უფროსის, წამყვანი საჯარო თანამდებობის პირის — **1.150**, საკრებულოს მრჩევლის, თანაშემწის — **900 ლარი**, მთავარი სპეციალისტის კი — **700-900**, ხოლო სხვა უმცროსი საჯარო პირების ხელფასი **450** ლარიდან **600** ლარამდე მერყეობს.

**გორში, 2009 წლის 22 იანვრის, საკრებულოს დადგენილებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოები ასე ნაწილდება:** საკრებულოს თავმჯდომარე — **2.360**, მოადგილე — **1.100**, კომისიის, ფრაქციის თავმჯდომარე — **650**, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი — **700**, თანაშემწე — **450**, მთავარი სპეციალისტი — **420 ლარი**. საინტერესოა, რა თანაფარდობით არის გამოყვანილი სხვადასხვა ქალაქის საკრებულოს თანამშრომლების ხელფასები.

**გურგენიძის პრემიერ-მინისტრობის დროს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილისთვის 2.950 ლარი დაუნიშნავთ.** მინისტრებს საქართველოში **3.000 ლარი** აქვთ, თუმცა თუ მათ მიერ წლის განმავლობაში აღებულ, დეკლარირებულ ჩანაწერს გადავხედავთ, საშუალო ხელფასი (ალბათ, პრემიების გათვალისწინებით) ზოგიერთ მათგანს თვეში შვიდიათასი ლარი გამოსდის. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრს, 2010 წლის დეკლარაციაში წელიწადში, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში უწერია, რომ მიიღო **86.430 ლარი**, რაც, 12 თვეზე თუ გადავანაწილებთ, **7.200 ლარი** გამოდის; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ გოგა ხაჩიძეს **78.420 ლარი** აუღია, შესაბამისად, თვეში — 6.535 ლარი; ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურს — **85.153**, 12 თვეზე გადანაწილებით აღნიშნული თანხა თვეში **7.096 ლარს** შეადგენს; იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს — **42.480,** ანუ თვეში **3.540 ლარი**; სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელს — **76.000,** ანუ ყოველთვიურად **6.333 ლარი**; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის აწ უკვე ყოფილ მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილს — **91.195 ლარი**, ანუ თვეში — **7.599 ლარი**; შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს — **46.708**, ანუ **3.892 ლარი**; ქალაქის მერს, გიორგი უგულავას — **93.456 ლარი**, თვეში — **7.788**; საქართველოს პრეზიდენტს — **59.000,** ანუ თვეში **4.916 ლარი.** შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ თანამდებობრივ სარგოებს, რომლებიც ზემოთ შემოგთავაზეთ, სულ მცირე ერთი იმდენი მაინც ემატება პრემიების სახით. ასეც რომ არ იყოს, მაშინ, როცა საქართველოში მასწავლებლებს **200 ლარი,** პენსიონრებს კი **70-90 ლარი** აქვთ, ქართველი ჩინოვნიკები **7.000 ლარამდე** შემოსავალს იღებენ და ეს სულ არ უშლით ხელს, ქვეყანაში არსებულ სოციალურ მდგომარეობაზე შეშფოთებული სახით ისაუბრონ და მის გამოსწორებას დაგვპირდნენ შორეულ მომავალში. ქვეყნის მაძღარი ხელისუფლებისთვის ძნელი გასაგებია, რომ 70 ლარით ცხოვრება შეუძლებელია და იმის გამო, რომ დიდი მოთხოვნები ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე თავად დაიკმაყოფილონ, ქვეყნის მოსახლეობისთვის საარსებო მინიმუმი — საკმარისი ხელფასი თუ პენსიაც აღარ რჩება.

**იმ ფონზე, როცა თანამდებობის პირები, კანონით დადგენილ ხელფასზე ორჯერ და სამჯერ მეტ თანხას იღებენ, იქნებ სააკაშვილსაც სულაც გადაავიწყდა მისი ხელმოწერილი დოკუმენტი და ჟურნალისტებთან ის თანხა წამოსცდა, რომელიც რეალურად მისი ბიუჯეტიდან ოჯახში შესდის 90-ლარიანი პენსიონრებისა თუ 200-ლარიან ხელფასზე მყოფი პედაგოგების მიერ გადახდილი გადასახადებისგან.**

**სოფო ბელაშვილი**



საავტორო სვეტი

# La Dolce Vita

**„ჩემი პრეზიდენტობის შემდეგ ვაპირებ, დავტკბე ცხოვრებით, ხელოვნებით ახალი არქიტექტურით“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ნიუ იორკის უნივერსიტეტში სტუმრობისას. საქართველოში ბევრი ადამიანი თვლის, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ სააკაშვილს ცხოვრებით ტკბობის შანსი შეიძლება მხოლოდ ორ განსაზღვრულ, მეტიც, შემოღობილ ადგილას ექნეს.**

არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი ორივეგან ფრიად მონიმალისტურია, გისოსები შენობების ფანჯრებზე კომპოზიციისა და არქიტექტურული ანსამბლის აღქმას ხელს უშლის, თუმცა, თუ ცხოვრებით ტკბობა მტკიცედ გადაწყვეტილი გაქვს, ეს განსაკუთრებულ პრობლემებს არ შექმნის. **ეს ორი ადგილი ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ ერთ-ერთ მათგანში ცოცხალ ნაპოლეონსა და ოტო ფონ ბისმარკს ვერ შეხვდები (მეორეში ისინი ძალიან ფართოდ არიან წარმოდგენილნი), თუმცა არა, ვცდები, ამბობენ, რომ ძველად იქაც იყო ბინადარი მეტსახელად „ნაპოლეონი“, ბისმარკი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა იყო „კაპაბლანკა“, ცხონებულს ჭადრაკი უყვარდა. არც კი ვიცი, რა ვურჩიო იმ შემთხვევაში, თუ საქმე არჩევანზე მიდგება. ერთის მხრივ, იქ, სადაც დიდი გროსმეისტერის მოკრძალებული თაყვანისმცემელი ბინადრობდა, „ცხოვრებით ტკბობა“, ცოტა არ იყოს, გართულებულია; თუმცა, მეორეს მხრივ, იქ, კედელს მიღმა, ნაპოლეონები არ ხმაურობენ, რაც ეგზისტენციური გამოცდილების გააზრებას ხელს უწყობს.**

**ისე, რას ვერჩით, ადამიანს ტკბილი ცხოვრება უნდა, რძიანი შოკოლადის „დოლჩე ვიტა“-ს ფილასავით გემრიელი. იმ ქვეყანაში, სადაც ასიათასობით ადამიანი მშიერი იძინებს და იღვიძებს, სადაც უამრავი ბავშვი ნელა კვდება, იმის გამო, რომ მათთვის აუცილებელი ოპერაციის ფული ვერა და ვერ გროვდება, სადაც ტერიტორიები დაიკარგა, სინდისი გაიყიდა, ხოლო ნამუსი გირაოში ჩაიდო. თუ „ხელოვნებით ტკბობას“ სადმე სხვაგან გეგმავს? თუმცა არა, ნიუ იორკში სააკაშვილმა თქვა, რომ აპირებს, წარმატებული ქვეყანა შექმნას და გადადგომის შემდეგ სწორედ ამ ქვეყნით დატკბეს. გამორიცხული არაა, ახლაც ჰგონია, რომ წარმატებულ ქვეყანას ხელმძღვანელობს. ხდება ხოლმე, სპეციალურ ლიტერატურას თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ ადამიანი, პრინციპში, შეიძლება არა მხოლოდ პარალელურ, არამედ პერპენდიკულარულ რეალობაშიც გადასახლდეს.**

იყო ასეთი ბრიტანელი მინისტრი, ჯონ პროფიუმო; ბინძური ჯაშუშური სკანდალის გამო, იგი იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა. ამის შემდეგ ეს (ფინანსურად სავსებით უზრუნველყოფილი) ადამიანი ორმოცი წლის განმავლობაში რეცხავდა ჭურჭელს უმწეოთა თავშესაფარში და ყოფილ კოლეგებს კუდში დასდევდა, რათა გაჭირვებულებისთვის დახმარება მოეპოვებინა. პროფიუმო სიცოცხლის ბოლომდე რეცხავდა ჭუჭყიან თეფშებს და ამით ემსახურებოდა საზოგადოებას, რომლის იმედები თავის დროზე ვერ გაამართლა. **ჭურჭლის ამ მრეცხავს დედოფალმა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორის წოდება მიანიჭა. დედოფალი არ შემცდარა, იმპერიას, მთელი მისი ხიფათიანი ისტორიის განმავლობაში, თითზე ჩამოსათვლელი ჰყავდა ისეთი რაინდები და კომანდორები, როგორიც სერ ჯონი გახლდათ. თუმცა ვშიშობ, რომ ჩვენი ფიგურანტი არა მხოლოდ არ მიბაძავს ბრიტანელ პოლიტიკოსს, არამედ მის მოტივაციასაც ვერ გაიგებს. მას, როგორც ჩანს, სულ სხვანაირი, ტკბილი ცხოვრება უნდა, მასაჟისტი გოგონას „დოქტორ დოტის“ სილუეტივით თვალწარმტაცი (გემოვნებას გააჩნია) და უდარდელი „დოლჩე ვიტა“.**

ნიუიორკელი მსმენელების კითხვაზე (ამათაც მოცლიათ, რა...), თუ როგორ სურს, მისი მოღვაწეობა დაამახსოვრდეთ, სააკაშვილმა უპასუხა, რომ სრულებით არ ეწყინება, თუ არავის გაახსენდება. **ვინმემ შეიძლება ამ ფრაზის მიღმა საინტერესო ევოლუცია აღმოაჩინოს, ახალი აღმაშენებლის ამბიციებიდან, მოკრძალებული ჩრდილის დაჟინებულ სურვილამდე, თვალთახედვის არედან გაქრეს და საქართველოს ისტორიის რომელიმე ჩაბნელებულ მოსახვევში გაასწროს. ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, დაედევნოს და ჰასლტუხის მოხერხებული მოშველიებით იქიდან იმავე ისტორიის სამსჯავროზე გამოათრიოს. თუმცა რა საჭიროა ეს ექსცესები, მიეცით მას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ის, რაც სურს. ეს, ალბათ, ყველაზე გონივრული გამოსავალი იქნება. „დოლჩე ვიტა“ კენწეროში ყოველთვის გამწარდების და ადამიანს განვლილი (გაფლანგული) ცხოვრების გააზრებისკენ უბიძგებს, თანაც ამაზე მეტი, ქვეყნის ისტორიაში შესული, სხვა ხელისუფალთაგან განსხვავებით, მან, სავარაუდოდ, არ დაიმსახურა.**

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ





## ევროპას ისევ გავუსწარით

**ჰერითაჯის ინსტიტუტის მონაცემებით, საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლით მსოფლიოში 26-ე პოზიციას იკავებს და, როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა განმარტა, გასულ წელთან შედარებით საქართველო 6 ადგილით დაწინაურდა.** მისივე თქმით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მსოფლიოში ბიზნესის განვითარების თავისუფლების ხარისხის მაჩვენებლია და ამ მხრივ საქრთველომ არა მხოლოდ მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს, არამედ საფრანგეთს, ესპანეთს, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებსაც გაუსწრო. დავწინაურდით ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა ქვეყანაში სახელმწიფო დანახარჯების წილის, სავაჭრო ბარიერების, ბიუროკრატიული დანახარჯებისა და პროცედურების შემცირება, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა, ბიზნესის დაწყების გამარტივება.

## აჰმადინეჯადს არ მოუსმინეს

**აშშ-ში გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სესიისას ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ ახმადინეჯადის გამოსვლის დროს აშშ-ის დელეგაციამ დარბაზი დატოვა. ეს იყო პროტესტი ირანის პრეზიდენტის მიერ აშშ-ის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებთან ამერიკის ხელისუფლების კავშირზე მინიშნების გამო.** გამოსვლისას ირანის ლიდერმა აღნიშნა, რომ როგორც ზოგიერთები მიიჩნევენ, აღნიშნული ტერაქტები თავად აშშ-ის ხელისუფლებამ განახორციელა „რათა ახლო აღმოსავლეთში სიონისტური რეჟიმი შეენარჩუნებინა და მსოფლიო ეკონომიკა ვარდნისაგან ეხსნა“. დარბაზი დატოვეს საფრანგეთისა და ბრიტანეთის წარმომადგენლობებმაც. ირანის პრეზიდენტმა კი ამასობაში ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაციების გაკრიტიკებაც მოასწრო და ყურანის დაწვის ფაქტს ბოროტების გამოვლინებაც უწოდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სოროსის ფონდის საგანგაშო ანგარიში, ანუ რატომ შეუტია ბიძია ჯორჯმა ნაციონალებს

**ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის საფუძველზე საგანგაშო განცხადებას აკეთებს. მონიტორინგის ანალიზში, გარდა იმისა, რომ საქართველოს ბიუჯეტი არაპროგნოზირებადია და იგი წლის განმავლობაში არაერთხელ იცვლის სახეს, ნათქვამია, რომ, საგარეო ვალების გასტუმრების თვალსაზრისით, საქართველოში ყველაზე რთული 2013 წელი იქნება და რომ ფინანსური კრიზისი საქართველოში არათუ გადალახულია, არამედ საქართველოს მოსახლეობას ის ჯერ კიდევ წინ აქვს. ამის თქმის საფუძველს კი საგარეო ვალების მიმართ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა იძლევა.**

## ქვეყანას ეკონომიკური კრიზისი წინ აქვს



**ანგარიშში აღნიშნულია, რომ «მომავალი თაობების ხარჯზე ცხოვრება» უკანასკნელი წლების ქართული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი გახდა. ხელისუფლება არ ერიდება საგარეო ვალის ზრდას, მის მიერ აღებულ, ხშირ შემთხვევაში, არაეფექტიანი და პოპულისტური ვალდებულებების შესასრულებლად.**

ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელებულ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგში ხაზგასმულია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ბიუჯეტი, რომელსაც წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განეცადოს. 2003 წლამდე ეს ცვლილება ბიუჯეტის შემცირებისკენ იყო მიმართული, რევოლუციის შემდეგ კი იგი შემოსავლებისა და ხარჯების ზრდას ემსახურება, რომ პარამეტრების ცვლილების შედეგად ინგრევა ბიზნესის განვითარების ორიენტირები, რადგან ნებისმიერი კომპანიის განვითარება მაკროეკონომიკურ პროგნოზებს ეყრდნობა, რაც, თავის მხრივ, ბიუჯეტის პარამეტრების საფუძველიცაა. ამდენად, ბიუჯეტი არის არა მხოლოდ ქვეყნის უმთავრესი ფინანსური დოკუმენტი, არამედ ბიზნესის ტენდენციების მაჩვენებელი და მისი წლის განმავლობაში ცვლილება აღნიშნული ორიენტირების ეფექტიანობას ამცირებს, ეს კი ქვეყანაში ბიზნეს გარემოს სერიოზულ გაუარესებას იწვევს. **კვლევაში, ასევე, ნათქვამია, რომ 2008 წლის ბოლოს უკვე ნათელი იყო, რომ გლობალურ-ეკონომიკური კრიზის ფონზე, 2009 წლის ბიუჯეტის შემოსავლების, განსაკუთრებით კი, საგადასახადო შემოსავლების პროგნოზის შესრულება გართულდებოდა, თუმცა საქართველოს მთავრობამ არ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრებები და პარლამენტს ზედმეტად ოპტიმისტური და არარეალისტური ბიუჯეტი წარუდგინა. ხელისუფლებამ ეს გვიან იგრძნო და „ქამრების შემოჭერაზე“ ალაპარაკდა.** მაშინ, როცა „კომერციული ბანკები ეროვნულ ვალუტაში მოკლევადიან სესხებს 25 პროცენტად, ხოლო გრძელვადიან სესხებს 22,8 %-ად იძლეოდნენ, **ამ ფონზე გაკვირვებას იწვევს ბანკების სურვილი, მთავრობას საშუალოდ 23.6%-იანი ფული, მაქსიმუმ, 8,5%-ად ასესხონ. როგორც ჩანს, საქართველოს ეკონომიკაში ადამ სმიტისეული „უხილავი ხელის“ პრინციპზე მეტად ჯერ კიდევ აქტიურად მოქმედებს „უხილავი ზარის“ პრინციპი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია ის მდგომარეობა, რომელშიც წლის ბოლოს კომერციული ბანკები აღმოჩნდნენ“...** არადა, 2010 წლის 26 თებერვალს საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ ეკონომიკური ზრდა, მინიმუმ, 3% იქნებოდა. დღევანდელი გადასახედიდან ამ ოპტიმისტური ილუზიის შეფასება ძალიან ადვილია.

**ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მომავალი თაობების ხარჯზე ცხოვრება“ უკანასკნელი წლების ქართული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი გახდა. ხელისუფლება არ ერიდება საგარეო ვალის ზრდას, მის მიერ აღებულ, ხშირ შემთხვევაში, არაეფექტიანი და პოპულისტური ვალდებულებების შესასრულებლად.** 2009-2010 წლების საქართველოს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი 200-ზე მეტი საწარმოს შექმნა, რითაც 10 000-მდე ადამიანი დასაქმდება, აღნიშნულ პროცესებში 100 000-მდე პირი ჩაერთვება. თუმცა მოცემული გეგმით სახელმწიფოს როლი დაგეგმილ პროცესებში არ ჩანს. 2010-2013 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში დასახული გეგმები კონკრეტული ციფრების გარეშე მხოლოდ ზოგადად არის დეკლარირებული და არ ჩანს ამ მიმართულებით წინა წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში. შესაბამისად, გამოდის, რომ ეს ის ზღაპრებია, რომლებიც მხოლოდ ძალიან ოპტიმისტ ადამიანს თუ მისცემს მომავალში დასაქმებისა და მისი ოჯახური ბიუჯეტის გამოსწორების იმედს.

**2009-2012 წლების საქართველოს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მზარდი ეკონომიკური აქტივობის შედეგად მოხდება დასაქმების ზრდა. 10 მილიარდამდე მოცულობის უცხოური ინვესტიციის ხელშეწყობით, 200 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. 2010-2013 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში კი აღნიშნული მაჩვენებლები საერთოდ არ არის მოყვანილი და არც ჩანს, გასულ წელს ამ მიმართულებით რაიმე ღონისძიება განხორციელდა თუ არა.** სამომავლოდ კი მხოლოდ სურვილების დონეზე დეკლარირებული ღონისძიებებია მოცემული. თუმცა ხელისუფლებას რომ რეალურად სურვილიც არ აქვს სამუშაო ადგილების შექმნისა, იმაშიც ვლინდება, რომ ყველა სახელმწიფო უწყებაში მიმდინარე წელს სერიოზული შემცირებები განხორციელდა, რამაც უმუშევართა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. სახელმწიფო მანქანას ეკონომიკური კრიზის დაძლევა რიგითი თანამშრომლების შემცირების ხარჯზე სურს. საქართველოს პრეზიდენტმა სახელწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელებს „ქამრების შემოჭერისკენ“ უკვე მეორედ მოუწოდა, პირველად მან აღნიშნული განცხადება 2009 წელს გააკეთა, მეორედ კი — სულ რაღაც ერთი თვის წინ. ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ „ქამრების შემოჭერაშიც“ კი მთავრობის მისამართით უამრავი კითხვა გაჩნდა. პირველი და უმთავრესი ქამრების დაგვიანებით შემოჭერაა. „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკისთვის უმთავრესი ინსტრუმენტი სახელმწიფო ბიუჯეტია, რომელშიც ჩანს საბიუჯეტო მხარჯავი დაწესებულებების ხარჯები სხვადასხვა ჭრილში.



2009 წლის ბიუჯეტის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ქამრების შემოჭერა სხვადასხვა საბიუჯეტო დაწესებულებებმა სხვადასხვანაირად განახორციელეს, — ნათქვამია ანალიზში. კვლევა განხორციელდა 2009 წლის ბიუჯეტში ძირითადი მხარჯავი დაწესებულებების მიერ მოცემულ დასაქმებულთა რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების მოცულობის მიხედვით. შემცირების ნაცვლად, როგორც აღმოჩნდა, შრომის ანაზღაურება გაუზრდიათ საქართველოს მთავრობას, ფინანსთა, გარემოს დაცვის, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების, ლტოლვილთა და განსახლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის სამინისტროებს; უზენაეს და საერთო სასამართლოებს; იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და უშიშროების საბჭოს. ამავე ცვლილებით შრომის ანაზღაურება შეამცირეს საქართველოს თავდაცვის, იუსტიციის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. იმავე მოცულობით დატოვეს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, პარლამენტმა და კონტროლის პალატამ, ე.ი ხარჯები არათუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა კიდეც და მეტიც, ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო უწყებებს პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის უფლებაც მისცა, ეს მაშინ, როცა გამოთავისუფლებული თანხები თითქოს სახელმწიფო პროგრამა „იაფ კრედიტს“ უნდა მოხმარებოდა. ამ პროექტის ბიუჯეტის გაზრდა, ცხადია, არ მომხდარა, რადგან მისთვის თანხები, ალბათ, ვერ გამოთავისუფლდა. პირიქით, ამ პროექტიდან თანხები, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „რთველი 2009-ის“ პროგრამაში გადამისამართდა. **„ქამრებჭემოჭერილმა“ მთავრობამ დააფინანსა საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამები 22.695.8 ლარით, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხარჯებში. პროგრამა „მუნიციპალიტეტების დასახლებაში მცხოვრები ოჯახების მინერალური სასუქით (ამონიუმის გვარჯილა) უზრუნველყოფის ღონისძიებები“ — 23.808.5 ლარით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარჯებში;** სხვადასხვა სამინისტროს მიერ გაწეული ტელე და სხვა სარეკლამო ხარჯები, რომელთა ნაწილი არ ითვლება სოციალური ხასიათის რეკლამად. მაგალითად, მთელი შემოდგომა ვისმენდით: სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლოგოს ქვეშ 2009 წლის შემოდგომაზე სატელევიზიო რეკლამას შინაარსით: ყურძნის დაკრეფა, დაწურვა, ღვინის მადლი და ა.შ. რომლის დატვირთვაც რაიმე სასურველი შედეგის მომტანი, ალბათ, ნაკლებად იყო. ამ სახის რეკლამაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 50 000 ლარი.

**ბიუჯეტის ფორმატისა და ფინანსთა სამინისტროდან ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო ვერ მოხერხდა „ქამრების მოჭერის“ შედეგად 350 მლნ. ლარის დაზოგვის დეტალური ანალიზი, რაზეც საქართველოს ფინანსთა მინისტრი და მისი მოადგილე საუბრობდნენ. როგორც ჩანს, ეს ციფრები ხელოვნურად არის შექმნილი და რეალურად „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკა არ განხორციელებულა, ნათქვამია ანგარიშში.**

ყველაზე შემაშფოთებელი კი მომავალი წლების პროგნოზია. ანგარიშში ნათქვამია, რომ საგარეო ვალის მომსახურების საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვისას, ყველაზე საგანგაშო და მძიმე იქნება 2013 წელი, როდესაც მხოლოდ ვალის ძირის დასაბრუნებლად საჭირო იქნება 771.76 მილიონი დოლარი. 2010-2013 წლებში საგარეო ვალის მომსახურებისთვის გადასახდელი პროცენტების მოცულობაც მაღალია, რაც, ძირითადად, ევროობლიგაციების მომსახურებით არის გამოწვეული. ყოველწლიურად სახელმწიფოს უწევს 7.5 პროცენტის გადახდა, რაც ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპის პირობებში საკმაოდ მაღალი განაკვეთია. მომდევნო წლებში საგარეო ვალის მომსახურებისთვის გადასახდელი პროცენტები შეადგენს: 2010 წელს — 71,34 მლნ, 2011 წელს- 70,06 მლნ, 2012 წელს — 68,16 მლნ, 2013 წელს — 45,72 მლნ დოლარს. 2004 წლის 31 იანვრიდან, ანუ როცა ქვეყანაში რევოლუცია მოხდა, 2010 წლის 31 იანვრამდე, საქართველოს საგარეო ვალი (სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები) 3.90 მილიარდი ლარიდან 5.97 მილიარდ ლარამდე, ანუ 53%-ით გაზრდილა.

**ამ მონაცემებისა და ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური კურსის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყანას უარესი კრიზისი, ვიდრე გადავიტანეთ, წინ ელის.**

**სოფო გელაშვილი**

# ქართველი ემიგრანტები 14 ოქტომბერს პრეზიდენტის რეზიდენციის აღებით იმუქრებიან



**...არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ წარმომადგენლები სააკაშვილის უპირობო გადადგომის მოთხოვნით 14 ოქტომბრისთვის გრანდიოზულ მიტინგს გეგმავენ და მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რადიკალური ზომების მიღებით იმუქრებიან. კონკრეტულად რა გეგმები აქვთ მათ და როგორ აპირებენ ხელისუფლების შეცვლას — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ დეტალურად ზემოაღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ზვიად ყუშიტაშვილი ესაუბრება.**

**— ბატონო ზვიად, როგორც გავიგე, ოქტომბერში ფართომასშტაბიანი აქციის გამართვას აპირებთ და მიზანიც ერთობ სერიოზული გაქვთ — ხელისუფლების შეცვლა. რეალურად რა რესურსებს ფლობთ და როგორ წარმოგიდგენიათ სააკაშვილის გადაყენება?**

— ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური პროცესები ისე განვითარდა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ამ პროცესებს სრულიად მოსწყდა და შეიქმნა ილუზია, რომ ხელისუფლების შეცვლა ხალხის ძალისხმევით შეუძლებელია. ბევრისგან მომისმენია განცხადება, რომ სააკაშვილი ამერიკის დასმულია და, სანამ ისევ ამერიკა არ მოისურვებს, მისი გამშვები ქვეყანაში არავინაა. მე და ჩემი თანამებრძოლები ამ მოსაზრებას სრულიად არ ვეთანხმებით, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ, თუ ერი გაერთიანდება, შეიკვრება და ერთი მიზნისთვის იბრძოლებს, ხელისუფლება არც ისე ძლიერია საიმისოდ, რომ ხალხის ნებას წინ აღუდგეს. ჩვენ ამის გვჯერა და ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, მიმართულია სწორედ იქითკენ, რომ საზოგადოება ამაში დავარწმუნოთ.

რაც შეეხება გეგმებს, 14 ოქტომბერს, მცხეთობას, ჩვენს მხარდამჭერებთან ერთად ვაპირებთ ფართომასშტაბიანი დემონსტრაციის მოწყობას. ეს იქნება ერის გამთლიანება-გაერთიანების აქცია, რომელსაც შეუერთდება უამრავი ადამიანი... კონკრეტულად გეგმა ასეთია: დავიწყებთ მსვლელობას მცხეთიდან და გავჩერდებით სააკაშვილის რეზიდენციასთან, სადაც გავაკეთებთ პოლიტიკურ განცხადებებს და გავაცნობთ ჩვენს მოთხოვნებს როგორც ხელისუფლებას, ისე ფართო საზოგადოებას...

**— კონკრეტულად რა მოთხოვნები გაქვთ?**

— ჩვენ მოვითხოვთ თითოეული ჩვენგანის — ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვას, ელემენტარულ ყურადღებას, თუმცა ეს არ არის მთავარი მოთხოვნა, ჩვენი უპირველესი მიზანი ხელისუფლების შეცვლაა და თოთხმეტში სწორედ იმისთვის ვიკრიბებით რეზიდენციასთან, რომ სააკაშვილს წავუყენოთ ულტიმატუმი — გადადგეს და, საერთოდ, დატოვოს ეს ქვეყანა.

**— როგორც ჩანს, საკმაოდ ამბიციური გეგმები გაქვთ, მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხელისუფლება იოლად არ წავა დათმობაზე. მითუმეტეს, მის განკარგულებაში ათასობით პოლიციელი და ბუღა ხარივით სპეცნაზელია.**

— არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, ხელისუფლებამ შეიძლება ძალა გამოიყენოს, დაგვარბიოს და სისხლიც დაღვაროს, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, არ გვეშინია და უკან არ დავიხევთ. ჩვენ საკმარისი რესურსი გვაქვს იმისთვის, რომ ვიბრძოლოთ ბოლომდე, გვყავს ჩვენი რწმუნებულები თითქმის ყველა რეგიონში, სოფელში და თითოეული მათგანი დაუღალავად მუშაობს ხალხის დასარაზმად.

...დღესდღეობით ბევრმა არ იცის, რა მდგომარეობაა ქვეყანაში დემოგრაფიული თვალსაზრისით. მარტო ბოლო ოთხი თვის მანძილზე შვიდასსამოცზე მეტი ჩვენი თანამემამულე, უმეტესად მობრუნებული ემიგრანტი წავიდა საზღვარგარეთ იმის გამო, რომ აქ ელემენტარული საარსებო პირობები არ გააჩნდა. ამ კვირაში კიდევ ასი კაცი აპირებს გამგზავრებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და არავინ იცის, მომავალშიც რამდენი წავა. ერთი სიტყვით, ეს არის პროცესი, რომელიც დაღუპავს უქადის ქვეყანას და, თუ საზოგადოებამ ამაზე ხმა არ აიმაღლა, თუ ხალხი წინ არ აღუდგა ხელისუფლების სამარცხვინო, უგუნურ და ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას, მალე საქართველო დარჩება ქართველების გარეშე...

**— კი მაგრამ, რა უნდა ქნას საზოგადოებამ? 2007 წლის ნოემბერში ასეულ ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, ასე იყო 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების შემდეგაც, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. ამჯერად რის იმედი უნდა გვქონდეს?**

— 2007-სა და 2008-ში ხელისუფლების შეცვლა ვერ მოხერხდა არა იმიტომ, რომ საზოგადოებას ძალა არ ეყო, არამედ იმიტომ, რომ მაშინ ოპოზიცია მიეყიდა სააკაშვილს. ეს არ არის ახალი ამბავი, ამაზე ბევრი საუბრობს და ეს ხალხმაც კარგად იცის. პირადად მე ამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ვფლობ და 14 ოქტომბერს აქციაზე იმასაც ვიტყვი, თუ რა დაუჯდა ხელისუფლებას ოპოზიციის ლიდერების, კერძოდ გაჩეჩილაძისა და ხაინდრავას მოსყიდვა.

**14-ში, როცა მას ულტიმატუმს წავუყენებთ, ერთი საათის განმავლობაში გადადგომის შესახებ განცხადებას თუ არ დაწერს (რაშიც ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით დარწმუნებული ვარ), ავიღებთ რეზიდენციას, საკრებულოს, პარლამენტს და ყველა მსგავსი მნიშვნელობის ობიექტს...**



**— მაინც რა დაუჯდა?**

— მოვა დრო და ამაზე საჯაროდ ვისაუბრებ. ეს იქნება უახლოეს მომავალში. ამ ეტაპზე კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, მოსყიდულია „ნაცმოძრაობის“ მიერ და ისინი ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებენ. ეს ეხება იგივე „ეროვნულ ფორუმსაც“, რომელიც ახლა რაღაც ხელმოწერებს აგროვებს და საზოგადოებას ვითომ ერთიანობისკენ მოუწოდებს.

**— არ ვიცი, თქვენ ამას რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებთ, მაგრამ ფაქტია, რომ „ფორუმს“, სხვა პარტიებთან შედარებით, მოსახლეობის საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს.**

— შარშან და შარშანწინ შეიძლება ასეც იყო, მაგრამ დღეს უკვე თქმა იმისა, რომ „ფორუმი“ საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მგონია. ეგენი „ნაცმოძრაობასთან“ ჯერ იყო და არანაირ დიალოგზე არ მიდიოდნენ, მერე კი უცებ კონსტრუქციულები გახდნენ და ახლა ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ გზასა და გამოსავალს არჩევნებში ხედავენ. ჩვენთვის ეს მიდგომა ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ სააკაშვილის მოშორება არჩევნებით ვერ მოხერხდება. ამის ერთადერთი საშუალება, რაც უნდა სამწუხარო იყოს, გადატრიალებაა და, თუ გვინდა, რომ ეს სისხლისმწოველები საბოლოოდ გავისტუმროთ, ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

**— როგორც გატყობთ, თქვენ საკმაოდ ოპტიმისტურად ხართ ბრძოლისთვის განწყობილი, მაგრამ საინტერესოა, საზღვარგარეთ მყოფი ემიგრანტები რას ფიქრობენ დღესდღეობით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე?**

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შორს არიან, მათ კარგად იციან, აქ რა ხდება და რა პირობებში უწევთ ადამიანებს ცხოვრება. ისინი მთელი სულითა და გულით მხარს გვიჭერენ, ხშირად გვირეკავენ, გვიკავშირდებიან და დარწმუნებული ვარ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ბევრი მათგანი ჩამოვა კიდეც ჩვენთან ერთად საბრძოლველად...

**— რა ვიცი, სახელისუფლო არხები კი სულ იმას გვაჩვენებენ, თუ როგორ მართავენ იგივე ემიგრანტები სააკაშვილის მხარდამჭერ აქციებს ამერიკასა თუ ევროპის ქვეყნებში.**

— ეს იმ ბინძური, ყოველგვარ ზღვარს გადასული პროპაგანდის ნაწილია, რომელიც ნიაღვარივით მოედინება სახელისუფლო არხებიდან და რომლითაც, უკვე წლებია, „ნაცმოძრაობა“ საზრდოობს... როგორ შეიძლება, საღად მოაზროვნე ადამიანი მხარს უჭერდეს ხელისუფლებას, რომლის წყალობითაც იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწილიყო?! ისე კი გეთანხმებით, ერთი-ორჯერ მართლა ჩატარდა სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ესპანეთშიც, სადაც მე ვიმყოფებოდი, მაგრამ რეალურად ამ აქციებს ემიგრანტები კი არა, ხელისუფლების მიერ ნაყიდი იაფფასიანი ლაქიები მართავდნენ. ამაში კოლოსალური თანხები დახარჯეს და ახლაც ხარჯავენ. მეტიც, დღეს მერაბიშვილის აგენტურა აქტიურად მუშაობს მთელს ევროპაში ჩვენს ემიგრანტებზე. ამას, ძირითადად, ახალგაზრდა გოგონების მეშვეობით ახერხებენ, რომლებსაც ჯერ გაიცნობენ, დაუახლოვდებიან და შემდეგ სხვადასხვა ინფორმაციების შესაგროვებლად იყენებენ. მე, მაგალითად, ვიცნობ ორ ასეთ ემიგრანტ გოგონას, რომელთაგან ერთ-ერთი სპეცსამსახურის თანამშრომლებს ისე ჰყავთ დაშინებული, რომ აკეთებინებენ აბსოლუტურად ყველაფერს, რაც დასჭირდებათ და მოესურვებათ...

რადგან აგენტები ვახსენე, აქვე მოკლედ ამერიკიდან ათიათასი ე. წ. პედაგოგის ჩამოყვანის თემასაც შევეხები. მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ ეს ადამიანები „თეთრი სახლის“ ჯაშუშები არიან, რომლებმაც საქართველოდან უნდა იმუშაონ კავკასიის და, პირველ რიგში, რუსეთის წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები და მტკიცებულებები მაქვს და ყველაფერს 14 ოქტომბერს აქციაზე საჯაროდ გამოვიტან...

**— მაშ, მოუთმენლად დაველოდებით 14 ოქტომბერს, თუ მანამდე „ნაცმოძრაობამ“ რამე ისეთი ზომები არ მიიღო, არც აქციის გამართვაში ხელს შეგიშლით.**

— ეს ნამდვილად მოსალოდნელია და მინდა მივმართო ხელისუფლებას: არ გაბედოთ აქციის ჩაშლა, თორემ ეს იქნება თქვენი აღსასრული! ასევე მინდა, ვურჩიო სააკაშვილს, რომ, თუ თავი ძალიან არ მოსძულებია, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნა და დაუყოვნებლივ გადადგეს. ეს არის ჩვენი ულტიმატუმი, რომელსაც არ შევცვლით...

**— თუ არ გადადგება, რას იზამთ?**

— 14-ში, როცა მას ულტიმატუმს წავუყენებთ, ერთი საათის განმავლობაში გადადგომის შესახებ განცხადებას თუ არ დაწერს (რაშიც ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით დარწმუნებული ვარ), ავიღებთ რეზიდენციას, საკრებულოს, პარლამენტს და ყველა მსგავსი მნიშვნელობის ობიექტს... გასაგებია, რომ ამას შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა გზა არ არსებობს. ამიტომ ყველაფრისთვის მზად ვართ.

**— რასაც თქვენ ამბობთ, ამას ხელისუფლების დამხობა ჰქვია... რას ეტყვით ხალხს, რომელიც 14 ოქტომბერს უნდა გამოგყვეთ?**

— ერთადერთ რამეს: სანამ ეს ქვეყანა საბოლოოდ დაგვიკარგავს, სანამ დავღუპულვართ და გადავშენებულვართ, გავერთიანდეთ და მოვიშოროთ ეს მოღალატე ხელისუფლება. ჩვენ, ხალხს, ნამდვილად გვაქვს ამის ძალა, თუ ერთ მუშტად შევიკვრებით, თუ არა და, როგორც გითხარით, მალე აღარაფერი დარჩება საქართველოსგან, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ მიწა, ტერიტორია ქართველების გარეშე, სადაც მუდმივად სააკაშვილები, მერაბიშვილები, თარგამაძეები და ადეიშვილები ითარეშებენ...

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# იყიდება საქართველოს ფოსტა

**ეკონომიკის სამინისტროს მომდევნო „მსხვერპლი“ რუსთაველის გამზირზე მდებარე საქართველოს ფოსტის შენობა აღმოჩნდა. გავრცელებული ინფორმაცით, ქობალიას უწყება ფოსტის შენობის გაყიდვას უახლოეს მომავალში გეგმავს. ცენტრალურ ოფისთან ერთად საპრივატიზაციოდ გამზადებულია საქართველოს მასშტაბით ფოსტის 900-ვე წარმომადგენლობა. ესეც ასე, ეკონომიკის სამინისტრო ყიდის ყველაფერს, რაც ხელში მოხვდება... ცოტა ხანში, შენობა-ნაგებობები რომ შემოელევათ, სულაც არ გამიკვირდება, ქუჩების გაყიდვა რომ დაიწყონ.**

## «ვერა ქობალიას სახელმწიფო ქონების გაყიდვა «შოპინგი» ჰგონია»



ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ ეკონომიკის მინისტრ, ქალბატონ ქობალიას განცხადება: „საქართველოში კიდევ ასობით სახელმწიფო შენობაა, რომლებსაც კარგი მდებარეობა აქვთ და გაიყიდება. ინვესტორებისთვის საპრივატიზაციოდ ყველაზე მიმზიდველი თბილისის ცენტრში მდებარე შენობებია“.

საქართველოში ყველაფერი შეგიძლია იყიდო: გზა, ხე, ტყე, მთა, მდინარე და ფოსტაც კი! მსხვილი პრივატიზება ამ ქვეყანაში უკვე აღარ ამართლებს, ახლა საბიუჯეტო ქვევრში ფული წვრილ-წვრილად, ვაჭრობით უნდათ ჩაყარონ.

ჯერ გეოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი შენობა შეეწირა ეკონომიკის სამინისტროს აზარტში შესულ ვაჭრობას, მერე ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, მერე ყოფილი არამიანცის სავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები. არ გეგონოთ, რომ სამედიცინო დაწესებულებების გაყიდვა ამით ამოიწურა, უბრალოდ, ეკონომიკის სამინისტრომ გადახვევა გააკეთა და ცოტახნით კომუნიკაციის შენობებზე გადავიდა, თორემ წლეულს კიდევ 12 სამედიცინო დაწესებულების გაყიდვაა გეგმაში.

თურმე წელს ეკონომიკის სამინისტრომ სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციით ბიუჯეტში 170 მლნ ლარის მობილიზება უნდა შეძლოს. გეგმის შესასრულებლად მინისტრ ვერა ქობალიას კიდევ სამი თვე აქვს. ბიუჯეტში ამ დროისთვის ჯერ მხოლოდ 64.9 მლნ ლარია. კაცმა არ იცის, რისი გაყიდვა მოუვათ თავში. შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს საკუთარ სახლშიც მოგვაკითხოს და სახლთან ერთად გაგვყიდოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.

სულ არ აინტერესებს მინისტრ ქობალიას, რა ბედი ეწევა იმ შენობაში განთავსებულ დაწესებულებებს, რომლებსაც სულ პანტა-პუნტით ყიდის. მართალია, ჟორდანიას კლინიკას დაჰპირდნენ, რომ შესაფერისი ფართით დააკმაყოფილებდნენ, მაგრამ დღემდე მათთვის ალტერნატიული ფართი არავის შეუთავაზებია. ინსტიტუტის ხელმძღვანელ არჩილ ხომასურიძის განცხადებით, მათ მხოლოდ დიღმისა და რკინიგზის საავადმყოფოს შენობებში ფართის ყიდვა შესთავაზეს, რომლის ფასიც კვადრატულ მეტრზე 300 დოლარია და კლინიკას მისი შეძენის საშუალება არ აქვს. ამ თანხების მოძიების შემთხვევაში კი რეპროდუქციული სამედიცინო მომსახურება საქართველოში გაძვირდება.

მთავარია, შენობიდან გამოსვლაზე დაიყოლიონ, თორემ დაპირებებს ეს ხელისუფლება რომ არ ასრულებს, ამის მაგალითები იმდენი გვაქვს, ჩამოთვლა ნამდვილად გაგვიჭირდება.

**კახა ძაგანია, ლეიბორისტული პარტია:**

— ჩვენ ვაპირებთ სპეციალურად ამ საკითხზე პრესკონფერენციის ჩატარებას და პროტესტის გამოხატვას. სახელმწიფო ქონების ასე უდიერად განიავება არ შეიძლება. თანაც ამ ქონებას ყიდულობენ ისევ კორუმპირებული ჩინოვნიკები. მე მაინც ვურჩევ მყიდველს, ტყუილად ნუ დახარჯავს ფულს, იმიტომ, რომ ეს ქონება გადაიხედება სასამართლოს გზით და კანონიერ ფორმას დაუბრუნდება.

ეს ყველაფერი სააკაშვილის ნებართვით ხდება. ჩვენთან ხომ ყველაფერი ერთი ადამიანის მიერ იმართება! ფული შემოაკლდათ და ასეთი ჩქარი ტემპით იმიტომ ყიდიან ყველაფერს. ცდილობენ, რაც შეიძლება მალე მიიღონ ფული, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ნუ იჩქარებს მყიდველი გასაყიდად გამოტანილი ობიექტის შეძენას, რადგან გადაყრილი გამოუვა საბოლოო ჯამში ეს ფული!

**მანანა ნაჭყებია, „ახალი მემარჯვენეები“:**

— სამინისტროს შეიძლება ჰქონდეს შენობა-ნაგებობების გაყიდვის უფლება, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად მიზანშეწონილად ყიდის ამ ობიექტებს. ძალიან სერიოზული პრობლემებია ჯანდაცვის ობიექტების გაყიდვასთან, კონკრეტულად ჟორდანიას კლინიკასთან, დაკავშირებით. ის, რაც გაუკეთეს ჟორდანიას კლინიკას, არის უპასუხისმგებლობა და ღალატი ქვეყნის მომავლის წინაშე. რაც შეეხება ფოსტის შენობას, სახელმწიფომ უნდა აწონ-დაწონოს მისი გაყიდვის აუცილებლობა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელისუფლებას ფული სჭირდება, თანაც საკმაოდ დიდი თანხა, არა მგონია, სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს. საკმაოდ სერიოზული თანხა დახარჯეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს და მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც არაა შორს. როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის 2012 წლის არჩევნები სერიოზულ მომზადებას მოითხოვს და, ალბათ, ამისთვის აგროვებს ფულს. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებისთვის ბიუჯეტის შევსების პირველ წყაროდ ჯერ კიდევ რჩება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების გაყიდვა, უკვე გაყიდულის ჩამორთმევა, მესაკუთრეების უფლებების დარღვევა. ხელისუფლება ყველანაირი ხერხით ცდილობს, შეავსოს ბიუჯეტი. ადრე თუ გვიან, ეკონომიკის სამინისტროს აუცილებლად მოუწევს პასუხისმგებლობის აღება დაუფიქრებლად და უპასუხისმგებლოდ გაყიდული შენობების გამო.

**კახა კუკავა, კონსერვატიული პარტია:**

— **ჩვენ** ეკონომიკის ისეთი მინისტრი გვყავს, რომელიც დანიშნულია მინისტრად რაღაც შარმისა და მომხიბვლელობის გამო. გოგონა, რომელსაც არ გააჩნია არა თუ ეკონომიკური განათლება, არამედ საშუალო განათლებაც კი. შეამჩნევდით, რომ ქართულად გამართული მეტყველებაც კი უჭირს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკონომიკა დენთის კასრზე დევს. არც მანამდე იყო სახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ ეს ადამიანი, „შოპინგებზე“ რომ დადიან გოგონები, ისე იქცევა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ყიდის სახელმწიფო ქონებას, რაც ჩვენს ეკონომიკასა და დასაქმების სფეროს ძალიან მძიმე დარტყმას მიაყენებს.

**ამ ყველაფერს ვერიჩკა ქობალია, რა თქმა უნდა, თავისი ინიციატივით ვერ გადაწყვეტს. მის უკან დგანან მერაბიშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი, ბენდუქიძე, ვინც დღეს ქართულ ეკონომიკას განაგებს. რეალურად ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილის გადადგომასთან ერთად ყველა მათ მიერ მიტაცებული და გასხვისებული ქონების დაბრუნება მოხდება. მე მინდა ვურჩიო მათ, რომ ტყუილად ნუ შეიწუხებენ თავს, რადგან, რასაც წაიღებენ, ორმაგად მოუწევთ უკან დაბრუნება. არ აქვს მნიშვნელობა, თავიანთ სახელზე გააფორმებენ, თუ სიდედრებზე ან ე. წ. კანადელ ინვესტორებზე.**

**ლაშა იშხნელი, საქართველოს ფოსტის გენერალური დირქტორი:**

— ჩვენ დღესდღეობით ვიცით ერთი, რომ საქართველოს ფოსტა გამზადებულია საპრივატიზაციოდ. თუმცა, არა მგონია, რომ ეკონომიკის სამინისტრო აპირებდეს 900-ვე ობიექტის გაყიდვას. საქართვლოს ფოსტა საქართველოს მაშტაბით 900 ფილიალს ფლობს, მაგრამ, არ მგონია, რომ ინვესტორისთვის ყველა ფილიალი საინტერესო იყოს. ჯერჯერობით ზუსტი ინფორმაცია არ გვაქვს, თუ რომლებს გაყიდის ეკონომიკის სამინისტრო.

**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ




### ვირჯინიაში ქალი სიკვდილით დასაჯეს

**ამერიკაში, ვირჯინიის შტატში, ორმაგი მკვლელობისათვის ბრალდებული ქალი სიკვდილით დასაჯეს. ამის შესახებ ქალაქ ჯარატში მდებარე გრინსვილის ციხის წარმომადგენელმა ლარი ტრეილორმა განაცხადა.**

41 წლის ტერეზა ლიუისის სიკვდილით დასჯის განაჩენი 23 სექტემბერს გვიან საღამოს მოიყვანეს სისრულეში. ქალს სასიკვდილო ინექცია გადაუსხეს. ამ მომენტისათვის ციხის მახლობლად შეკრებილი 30-მდე ადამიანი სიკვდილით დასჯის გაუქმებას მოითხოვდა. 2002 წელს ტერეზა ლიუისმა ქილერი დაიქირავა და მას ქმრისა და გერის მკვლელობა შეუკვეთა. სასამართლოს დადგენილებით, ამ ქმედების შედეგად ქალი დაზღვევის მიღებას გეგმავდა. ეს ვირჯინიის შტატში 1912 წლიდან პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ქალი სიკვდილით დასაჯეს.



### ნიუ იორკში დიპლომატს ყელი გამოსჭრეს

**რამდენიმე დღის წინ ნიუ იორკში მდებარე საკუთარ ბინაში, ნიკარაგუელი დიპლომატი ყელგამოჭრილი იპოვეს. 34 წლის სეზარ მერკადოს დილით მძღოლმა მიაკითხა, რათა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე წაეყვანა, მაგრამ ბინაში თავისი კლიენტი მოკლული დახვდა.**

პოლიციამ უკვე იპოვა დანა, რომლითაც, წინასწარი მონაცემებით, დიპლომატი მოკლეს. დანა შემთხვევის ადგილზე, მერკადოს გვამის მახლობლად, ეგდო. დანაშაულის მოტივები ჯერჯერობით ცნობილი არაა, პოლიციას არც ეჭვმიტანილები ჰყავს.

მერკადო ნიუ იორკში ნიკარაგუის საკონსულოში რვა წლის განმავლობაში მუშაობდა. ნიკარაგუის საელჩო ამერიკაში მომხდართან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თუ ასე გააგრძელა, საკუთარ ჰალსტუხს ბოლომდე შეაჭმევენ

**სიტყვა თავმოყვარეობა — საკუთარი თავის პატივისცემას, ღირსების შეგრძნებას და სიყვარულს ნიშნავს. ხოლო თუ ამ სიტყვას წინ უ-ს დავუმატებთ, მივიღებთ იმას, რაც სააკაშვილმა ამერიკაში ვიზიტის დროს ჩაიდინა. მხედველობაში მაქვს სააკაშვილისა და მილიარდერი ბიზნესმენის, დონალდ ტრამპის შეხვედრა. ეს გახლდათ დიდ ბიძია ტრამპთან პატარა მიშიკოს გაბაასება, რომელიც ღრეჯვას უფრო წააგავდა. სიტყვა ღრეჯვა ვედრება-მუდარის სინონიმია და ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის თავის შებრალების უმსგავსო ფორმას წარმოადგენს.**



**სააკაშვილი არ მალავს, რომ ხელისუფლებაში დასარჩენად ყველაფერზე წამსვლელია, მეტიც, მას სურს, რომ საქართველო „ნაცმოძრაობის" იდეოლოგებმა მრავალი წლის განმავლობაში თავიანთი შეხედულებისამებრ მართონ.**

დავიწყოთ იმით, რომ დონალდმა ჩვენი პრეზიდენტი ვერონიკა ქობალიასთან ერთად სამუშაო კაბინეტში ისე მიიღო, თითქოს „ტრამპის იმპერიის" რიგითი თანამშრომლები ყოფილიყვნენ და არა ოფიციალური დელეგაციის წევრები. განსაკუთრებული მიღება-დახვედრით თავი არც შეუწუხებია. ბიზნესმენმა სააკაშვილი და ქობალია პატარა ბავშვებივით წინ დაისხა და „კანფეტის" (მილიონების) გადაგდების მოლოდინში ნერწყვები აყლაპვინა.

**როცა ტრამპი დარწმუნდა, რომ უ-თავმოყვარეო ხალხთან ჰქონდა საქმე, სააკაშვილს „კაიფი" დაუწყო და არც მეტი, არც ნაკლები, პრეზიდენტი „კაცად" მოიხსენია, ხოლო ჩვენი ტანჯულგვემული ქვეყანა მიშას შემდეგ დააყენა, თითქოს მრავალსაუკუნოვან ქართულ ისტორიას მხოლოდ სააკაშვილები წერდნენ და ქმნიდნენ.**

„თქვენ ახლა დიდ საქმეს აკეთებთ და ამას პრესის გასაგონად ვლაპარაკობ. ყველა ამ კაცზე, მიხეილ სააკაშვილზე, ლაპარაკობს და შემდეგ საქართველოზე," — ესეც თქვენი დონალდ ტრამპი! თურმე, მიშა პრეზიდენტი კი არა, „კაცი" ყოფილა, საქართველო კი ამ „კაცის" შემდეგ მოსახსენიებელი სახელმწიფო.

**ისე, ბატონი დონალდისგან ნორმალურ ადამიანს არაფერი უნდა ეწყინოს. ქართული ანდაზაც ამას გვასწავლის, როცა საქმე კეთილშობილ ცხოველსა და წიხლების ქნევას ეხება. მით უფრო, რომ ვიღაცას მსგავსი უაზრობების თქმის საფუძველს შენი ქვეყნის პრეზიდენტი თვითონ აძლევს. ცუდი ბიჭებისგან დაჩაგრული, „მიბუზულ-მობუზული" სააკაშვილი, სულ რაღაც რამდენიმე ამერიკული „ლიმონის" გამო, მილიარდერის წინაშე შერცხვენილი და თავლაფდასხმული წარსდგა.**

აბა, გეკითხებით, რა პრეზიდენტის საქმეა საქართველოს კუთხე-კუნჭულების პიარი? რას აკეთებდა ამ დროს იქ მყოფი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია? არაფერს, უბრალოდ, ძია დონალდს თვალებში შესციცინებდა. თუმცა შეხვედრის შემდეგ მდგრადად განვითარებულმა ქალბატონმა ისე იტრაბახა, მაგარი საქმე გავჩარხეთო, გეგონება გერმანიის კაპიტულაცია მარტომ განახორციელა და მეორე მსოფლიო ომი მოიგო. ასეა თუ ისეა, ყველაფერი რიგზეა! ტრამპი ნანატრ ცათამბჯენს საქანელას ქუჩაზე აგვიშენებს, ხოლო, თუ ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა, დონალდის დიად იმპერიას ბათუმსა და ბობოყვათშიც ვიხილავთ.

მოკლედ, მილიარდერთან შევრცხვით და თავი მოგვეჭრა! ვიფიქრე, ვიდრე სააკაშვილი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოვა, ვინმე დაარიგებს, სისულელე არ წამოგცდესო, მაგრამ მწარედ შევცდი. მიშამ დაიწყო და რა დაიწყო, გაეროს ტრიბუნას სულ ბდღვირი ადინა:

**„ბატონებო და ქალბატონებო, ისეთ გაურკვეველ დროში, როგორშიც ვცხოვრობთ, თანამშრომლობა გვჭირდება ისე, როგორც არასდროს. ჩვენ ახლა გლობალური გამოწვევების პირისპირ ვიმყოფებით და, თუ ერთად არ დავდგებით და გამოსავალს არ მოვძებნით, თვითდამღუპველი ინტერესები გაგვხლეჩს".**

საინტერესოა, ვის გულისხმობდა სააკაშვილი, როცა „გაურკვეველ დროში ცხოვრებაზე" საუბრობდა? თუ საკუთარ თავს, მაშინ ყველაფერი ცხადია. ამას მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელი მსოფლიო ამჩნევს. ბატონო მიხეილ, შეგახსენებთ, რომ ახლა ოცდამეერთე საუკუნეა და, თქვენგან განსხვავებით, აშშ-ისა და წამყვანი ევროპული ქვეყნების ლიდერებს მომავალი დიდი ხნის გარკვეული აქვთ.

არ ვიცი, რატომ ამოიჩემა ამ „კაცმა" კაი და ცუდი ბიჭების ამბავი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დასახასიათებლად და რატომ ცდილობს საუკეთესო მოსწავლის განსახიერებას. ჩვენ სააკაშვილის მეტ-ნაკლებად მაინც გვესმის, მაგრამ მერწმუნეთ, გაეროს ტრიბუნიდან მსგავს „ბჟუტურს" ვერავის გააგებინებს:

**„რეფორმების ფარულად გადაღებისა და შურის ნაცვლად, ჩვენთან უნდა ითანამშრომლონ, რათა სტაბილური და თავისუფალი ზონა ავაშენოთ... თუკი საუკეთესო მოსწავლე ზურგს უკნიდან დაიწყებს საკონტროლოს გადაწერას, ვერ შეძლებს მოდერნიზაციის სრული სურათის დანახვას".**

არ მითხრათ, ბატონო მიხეილ, რომ „თავისუფალი ზონის" აღმშენებელი და სტაბილურობის გარანტი თქვენ ხართ, თორემ გადავირევი! იქნებ არც იცით, რომ სწორედ თქვენი წყალობით მძვინვარებენ ერთად საქართველოში დიქტატურა და ვანო მერაბიშვილი. ახლა კი გეკითხებით: თუ მოსწავლე საუკეთესოა, მას ზურგს უკნიდან საკონტროლოს გადაწერა რაში სჭირდება? ცხადია, ამ კითხვაზე პასუხი არ გაქვთ, რადგან თვითონაც ვერ გაგირკვევიათ, რისი თქმა გსურთ.

დარწმუნებული ვარ, გაეროს ასამბლეაზე მყოფი დელეგატები ბევრს იცინებდნენ, როცა სააკაშვილის მორიგ „სიბრძნეს" მოისმენდნენ: **„დროა კალაშნიკოვი კომპიუტერით, ჭურვები კი წიგნებით, რადიოებითა და ტელევიზორებით ჩანაცვლდეს".**

**საინტერესოა, როგორ უნდა ჩაანაცვლოს სააკაშვილმა კალაშნიკოვი კომპიუტერით? ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მივხვდი, მიშა რასაც გულისხმობდა: დავუშვათ, ჩვენს ბედოვლათ პრეზიდენტს მოწინააღმდეგე კალაშნიკოვიდან ცეცხლს უხსნის, ის ამ დროს იღებს კომპიუტერს, თავისი პროცესორიან-კლავიატურიან-„მაუსიანად" და მტერს მთელი ძალით ესვრის. როცა სააკაშვილის ტვინის ლაბირინთებში ღრმად შევაღწიე, „ჭურვების გამოცანაც" ამოვხსენი: ვთქვათ, მტერმა ჭურვები დაგვიშინა, ჩვენ მათ წიგნებით, რადიოებითა და ტელევიზორებით მოვიგერიებთ?!**

თქვენ კი გეგონათ, პრეზიდენტი ბოდავსო. როგორ გეკადრებათ, მიშამ ყველაზე უკეთ უწყის, რასაც ამბობს. მაგალითად, სააკაშვილმა განაცხადა, მთელი კავკასია უნდა გავაერთიანოთო. მართალია, ამის გამგონე ასამბლეის დელეგატები შოკში ჩავარდნენ, მაგრამ იდეა ხომ მაგარია!.. წარმოიდგინეთ, არაფერს ვეკითხებით მეზობელ აზერბაიჯანს, სომხეთს, რუსეთს, ვაერთიანებთ სრულიად კავკასიურ ტომებს და წინ თეთრ რაშზე ამხედრებული სააკაშვილი მიგვიძღვის!.. რა ქნას „კაცმა", უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, საპრეზიდენტო ვადა ეწურება და მიზნად დიადი გეგმების განხორციელება დაისახა.

**ექსპერტები ირწმუნებიან, რომ, თუ მიშამ ასე გააგრძელა, მალე საკუთარ ჰალსტუხს ბოლომდე შეაჭმევენ. ცნობილი ფაქტია, რომ პრეზიდენტს ამ ისტორიის გახსენება არ სიამოვნებს, მეტიც, „ჰ" ასოს ხსენებაზე ტანში სცრის და აჟრიალებს. სააკაშვილმა ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტს ლამის აგინა, როცა ჰალსტუხის ამბავი მოაგონეს:**

„როგორ მომბეზრდა ჰალსტუხის ისტორია. ყველაფერი ასე იყო: ომის დროს, ყველაზე მძიმე დღეებში, ჩემს კაბინეტში ვიმყოფებოდი, სადაც დამონტაჟებული იყო კამერა. დღეში რამდენჯერმე პირდაპირ ეთერში განცხადებებს ვაკეთებდი. კამერა ჩართული აღმოჩნდა იმ დროს, როცა პირდაპირი ეთერი არ უნდა ყოფილიყო".

**უნდოდა ეთქვა, „კამერა ჩართული აღმოჩნდა იმ დროს, როცა ჰალსტუხს ვჭამდიო", მაგრამ მოერიდა, ხომ იცით, როგორი მორცხვია. თუმცა, ჟურნალიტს იქვე განუმარტა, რომ ნამდვილი პოლიტიკოსის გაწონასწორებულობა და ტემპერამენტი არასოდეს განისაზღვრება იმით, თუ როგორ ექცევა იგი საკუთარ ჰალსტუხებსო.**

მიშას შორსმიმავალ გეგმებზე საუბრისას კინაღამ გამომრჩა მნიშვნელოვანი მომენტი. სააკაშვილი არ მალავს, რომ ხელისუფლებაში დასარჩენად ყველაფერზე წამსვლელია, მეტიც, მას სურს, რომ საქართველო „ნაცმოძრაობის" იდეოლოგებმა მრავალი წლის განმავლობაში თავიანთი შეხედულებისამებრ მართონ:

**„მოხარული ვიქნები და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩვენი – რეფორმატორთა ჯგუფი, ის იდეოლოგია და პროგრამა, რომელმაც საქართველოს წინსვლა უნდა უზრუნველყოს, დარჩეს".**

ფუი, ეშმაკს! ეს რა გავიგონე! თქვენ კი იქნებით მოხარული, მაგრამ აბა, ჩვენც გვკითხეთ, გაგვიხარდება თუ არა, რომ მომავალი თაობები ბოკერიების, ლომაიებისა და რამიშვილების იდეოლოგიაზე აღიზარდონ?! **პრეზიდენტი „კაცი" ბრძანდებით და უნდა იცოდეთ, გესმოდეთ, გრძნობდეთ, რომ „ნაცისტების" სიხარული ქართველი ერის სიხარულს არ ნიშნავს. ბატონო მიხეილ, ხომ გაგიგონიათ: „წასვლა სჯობს წარმავალისა, არდაყოვნება ხანისა"!..**

**გიორგი გორგაძე**

## მოკლედ



### ბრიტანელი ლეიბორისტების ახალი ლიდერი

**მანჩესტერში გამართულ ყოველწლიურ პარტიულ კონფერენციაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, დიდ ბრიტანეთში ლეიბორისტული პარტიის ახალი ლიდერი ედ მილიბენდი გახდა.** პარტიის ლიდერის პოსტის დასაკავებლად კენჭს იყრიდნენ საგარო საქმეთა ექს-მინისტრი დევიდ მილიბენდი, მისი ძმა ექს-მინისტრი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილებების საკითხებში ედ მილიბენდი, ბავშვების, სკოლებისა და ოჯახების საკითხთა ექს-მინისტრი ედ ბოლსი, დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ექს-მინისტრი ენდი ბერმენი და ერთადერთი ქალი, შავკანიანი დეპუტატი დიანა ებოტი. საბოლოო შედეგზე გადამწყვეტი გავლენა პროფკავშირების წარმომადგენელთა გადაწყვეტილებამ მოახდინა. 40 წლის ედ მილიბენდს ანალიტიკური აზროვნების მქონე კარგ ორატორად მიიჩნევენ.



### მედვედევმა მოსკოვის მერი მოხსნა

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ყველაზე ხმაურიანი საკადრო გადაწყვეტილება მიიღო — თანამდებობიდან გაათავისუფლა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რუსი პოლიტიკოსი, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე თითქმის 20 წლის განმავლობაში მუშაობდა.** მედვედევმა თავისი პრეზიდენტობის მანძილზე მნიშვნელოვნად განაახლა გუბერნატორთა კორპუსი და რეგიონალურ მძიმეწონიან პოლიტიკოსებსაც არ მოერიდა, მაგრამ თითქმის ყველა ამდაგვარი დათხოვნა თანამდებობიდან გათავისუფლებულებთან პრეზიდენტის პირადი შეხვედრითა და საპატიო ჯილდოების გადაცემით სრულდებოდა. ლუჟკოვის შემთხვევაში კი ყველაფერი სხვაგვარად მოხდა — ის შვებულებიდან დაბრუნების მეორე დღეს და საქალაქო მმართველობის სხდომის დაწყებამდე ორი საათით ადრე „ნდობის დაკარგვის" გამო გაათავისუფლეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ნატო — უსაფრთხოების გარანტი თუ ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე?

**ამ დღეებში ვაშინგტონში გაიმართა ნატოს საბჭოს სხდომა. ისინი ემზადებიან ნატოს სამიტისთვის, რომელიც ლისაბონში 19 ნოემბერში გაიმართება და რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ამ ალიანსის სტრატეგია მომდევნო ათი წლის განმავლობაში. განსაკუთრებით კი ის, ღირს თუ არა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, ანუ არავითარი ცალკე სახელმწიფოების გაწევრების ნება-სურვილზე აქ ლაპარაკი არ იქნება, და მიუხედავად რასმუსენის განცხადებისა, ყველაფერს ნატოს სამიტი წყვეტს!**



**ყოველი სახელმწიფოს ყველა გეოგრაფიულ რუკაზე ევროპა-აზიის საზღვარი კავკასიონზე გადის და საქართველოს ყოველთვის ახლო აღმოსავლეთს მიაკუთვნებდნენ და ასეა ახლაც, მიუხედავად ევროსაბჭოს დარბაზში ზოგიერთის ხმამაღალი განცხადებისა. და ეს კარგად იციან ნატოს შტაბ-ბინაშიც.**

შარშან ნატომ დაარსებიდან 60 წლისთავი აღნიშნა. ის შეიქმნა ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირისგან ევროპის დასაცავად და ამიტომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მან თავისი ფუნქცია დაკარგა. **ახალი ორი ფუნქცია კი მხოლოდ 2000-იან წლებში, პრეზიდენტ ბუშისაგან მიეცა — ბრიტანული „ინდეპენდენტ"-ის სარკასტული თქმით, ის იქცა დემოკრატიაზე „ბუშისეული სახარების" მქადაგებლად და მსოფლიო ჟანდარმობაზე პრეტენზია გამოაცხადა.** გაზეთის თქმით, ბუშის წასვლის შემდეგ ეს ორივე ფუნქცია კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა – ის, როგორც ამერიკის ავტო-მრეწველობა, ან ლიკვიდირებული უნდა იქნას, ან ახალი ფუნქცია და სუნთქვა უნდა იპოვოს. ხოლო ვინაიდან ყოველივე ახალი არის კარგად დავიწყებული ძველი, ამიტომ ჰეგელისეული დიალექტიკით ნატოსთვის მთავარი, ალბათ, იქნება უფრო მაღალ დონეზე **მთელი** ევროპის უსაფრთხოების დაცვა (ამაზე ქვემოთ).

**გასაგებია, რომ აქვე დაისმება კითხვა — არის თუ არა საქართველო ევროპის ნაწილი? ამაზე დადებითი ცალსახა პასუხი მხოლოდ სააკაშვილს და მის გუნდს აქვს; ხოლო ყოველი სახელმწიფოს ყველა გეოგრაფიულ რუკაზე ევროპა-აზიის საზღვარი კავკასიონზე გადის და საქართველოს ყოველთვის ახლო აღმოსავლეთს მიაკუთვნებდნენ და ასეა ახლაც, მიუხედავად ევროსაბჭოს დარბაზში ზოგიერთის ხმამაღალი განცხადებისა. და ეს კარგად იციან ნატოს შტაბ-ბინაშიც.**

ნატოში გაწევრებაზე ლაპარაკი საქართველოში ათი წლის წინათ დაიწყო. იმ დროს ამას საკმაო ენთუზიაზმით ვუჭერდი მხარს, ვინაიდან, როგორც მაშინ, ჰაერში დღესაც კიდია გარდაუვალი საფრთხე, რასაც პროფესიონალი პოლიტოლოგები „ჩრდილოეთ-სამხრეთის", ანუ აგრესიული ისლამისა და ქრისტიანული სამყაროს მომავალ ომს უწოდებენ. სამწუხაროდ, ჩვენთან ამ სფეროშიც პროფესიონალების მკვეთრი დეფიციტია და ამიტომ საქართველოსთვის, რომელიც ამ ორი სამყაროს ზღვარზეა, ამ საშიშროებაზე პრაქტიკულად არავინ არ ლაპარაკობს. არადა, აქედან გამომდინარე, ნატოში გაწევრება თეორიულად შეიძლება რაღაც გარანტია მაინც ყოფილიყო ჩვენი უსაფრთხოებისათვის.

**ნატოში გაწევრების იდეა ბევრს სააკაშვილის საშინაო დავალებად მიაჩნია, მაშინ, როდესაც 2001 წელს საჯაროდ ეს პირველად ახალი მემარჯვენეების ლიდერმა დათო გამყრელიძემ გაახმიანა. ამის შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ის ნატოს კარზე „მიაკაკუნებს", რის შედეგადაც 2002 წლის 13 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო მემორანდუმი ამ ალიანსში საქართველოს გაწევრების სურვილის შესახებ.**

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ანუ 2003 წლის ზაფხულში, ჯერ კიდევ ე. წ. რევოლუციამდე, ნატოს პრაღის სამიტიდან დაბრუნებულმა შევარდნაძემ აეროპორტში „მწუხარედ" განაცხადა, რომ ნატოში ჩვენი მიღება, თუ ეს საერთოდ მოხდა, მხოლოდ შორეული მომავლის საქმეა. მაგრამ მასმედიამ ეს არ აიტაცა და წაუყრუა. ხოლო ნოემბრის გაყალბებულ არჩევნებში ბიულეტენებში შეტანილი იყო კითხვა, „გსურთ თუ არა თქვენ, რომ საქართველო ნატოში გაწევრდეს?".

**ჯერ ერთი, ეს სარეფერენდუმო საკითხია და მისი ადგილი საარჩევნო ბიულეტენში ნამდვილად არ იყო, ხოლო თუ ის არჩევნები გაყალბდა მმართველი პარტიის სასარგებლოდ, რასაც სააკაშვილი გვიმტკიცებდა, რა უშლიდა ხელს იმავე გამყალბებელ საარჩევნო კომისიების წევრებს ამ საკითხის ისევე გაყალბებაში, რაც მათ მოქალაქეთა კავშირის შტაბიდან ჰქონდათ დავალებული?**

2004 წლის შემდეგ ახალი ხელისუფლება, რაც არ უნდა ალოგიკური იყოს, სწორედ ბუშის ადმინისტრაციის წაქეზებით დაუპირისპირდა არა აგრესიულ ისლამს, არამედ მართლმადიდებლობას. ამავე დროს ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალურ ისლამურ ძალებთან ფარული თამაში დაიწყო, თუნდაც „პირველი კავკასიური" ტელეარხი გაიხსენეთ, რომელსაც ტერორისტული ძალების მხარდაჭერა დაბრალდა და ფრანგული სატელიტიდან მოიხსნა. ხოლო 23 სექტემბერს სააკაშვილმა გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან გაავრცელა თავისი პროვოკაციული ამბიცია ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიების გაერთიანების შესახებ. არადა, სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაში „კავკასიის ემირატის" ბოევიკები ყოველდღე ახდენენ ტერაქტებს. და როგორც ჩანს სწორედ ამათთან ერთად გეგმავს სააკაშვილი ევრო-ატლანტიკურ სივრცეში გაერთიანებას, თითქოს ნატოსა და ევროკავშირს ამის გარეშეც საკმაო თავის ტკივილი არ ჰქონდეთ!

**ამ სიტუაციაში ჩვენთვის ნატოში გაწევრებას უსაფრთხოება კი არ მოაქვს, არამედ რუსეთიდან ახალი დარტყმის საშიშროებისა და შემდგომი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხის წინაშე გვაყენებს.** ნატო რომ ჩვენი უსაფრთხოების არავითარი გარანტი არ არის, ამაში 2008 წლის სამდღიანი ომის დროს დარწმუნდა ყველა, ვისაც აზროვნების უნარი აქვს! რუსეთმა გარკვევით თქვა, რომ თავის საზღვრებთან ნატოს ბაზებს არ დაუშვებს და ეს სწორედ აგვისტოს დღეებში იმ სადამსჯელო ოპერაციის დროს საქმით დაამტკიცა. შემდეგ მათი თბილისისაკენ მომავალი ტანკები მოულოდნელად იგოეთთან გაჩერდა, ხოლო სააკაშვილმა თავის გუნდს უთხრა, რომ ყველაფერი 6 საათში გადაწყდებაო. ალბათ, უნდოდა, რომ მათი თავპირის მტვრევით გაქცევა ცოტა ხნით მაინც დაეყოვნებინა.

მართლაც, როგორც შემდეგ გავიგეთ, მედვედევ-პუტინთან თბილისის აღება-არ აღების შესახებ ინტენსიური მოლაპარაკება ჰქონდა არა მარტო ნიკოლა სარკოზის, არამედ ანგელა მერკელსა და სილვიო ბერლუსკონისაც. ბოლოს ისინი შეთანხმდნენ და ტანკებს უკან გაბრუნების ბრძანება მიეცათ. თბილისი გადარჩა, მაგრამ რა ფასად? აფხაზეთი კოდორის ხეობის ჩათვლით და სამხრეთ ოსეთი ახალგორთან ერთად რუსეთის საკუთრებაში გადადიოდა, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ნატო აღარ შემოვიდოდა.

**რასაკვირველია, შეთანხმების ამ უკანასკნელი პუნქტის შესახებ ნატოს მესვეურები მორცხვობენ და ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. ისინი რიხით ამბობენ – თითოეულმა ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ ბლოკში გაწევრდეს! მაგრამ ეს მხოლოდ ფუჭი სიტყვებია, ვინაიდან ისინი ძალაში ტოვებენ პრინციპს — ჩვენი კარი თქვენთვის ღიაა, მაგრამ შემოსვლა არ გაბედოთო! ხოლო სააკაშვილმა შარშან ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის თბილისში ჩამოსვლის წინ ამერიკელი ოლიგარქების ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუში სიტყვა-სიტყვით განაცხადა „ნატოში გაწევრების იდეა, ისევე, როგორც აფხაზეთის დაბრუნებისა, პრაქტიკულად მკვდარია". შემდეგ მან პარლამენტში უარყო თავისი სიტყვები, მაგრამ იმავე გაზეთმა მეორე დღესვე ინტერვიუს სრული ჩანაწერი გამოაქვეყნა და საქართველოს პრეზიდენტი (მორიგ) ტყუილში ამხილა!**

კუშნერმა ღიად აღიარა, რომ ის ყბადაღებული ექვსპუნქტიანი ხელშეკრულება, რომელზეც საქართველო სისტემატურად აპელირებს, მხოლოდ და მხოლოდ ომის შეჩერებასა და თბილისის ოკუპირების არ დაშვებას, ანუ საერთაშორისო არენაზე დასავლეთის დიდი სირცხვილისაგან გადარჩენასა და „სახის მოწმენდას" ემსახურებოდა. მაშინდელი პრეზიდენტი ბუში კი იმ დღეებში მხოლოდ რაღაცას გაუგებრად ლუღლუღებდა რუსეთის მიერ „გადამეტებული ძალის" გამოყენების შესახებ.

ნატოს საბჭოს სხდომაზე სერიოზული დაპირისპირება მოხდა ამერიკასა და „ძველი ევროპის" (ანუ დასავლეთ ევროპის) ქვეყნებს შორის, ხოლო „ახალი ევროპა" (ანუ ყოფილი კომუნისტური ქვეყნები), რომლებიც პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის, კაჩინსკის თამადობით ყოველთვის ავტომატურად ამერიკას უჭერდნენ მხარს, ამჟამად უკვე გაჩუმებული არიან და მოვლენების განვითარებას ელოდებიან. ამერიკა, რომელიც ამ ბლოკში დომინირებს, ბუშისდროინდელი ინერციით შემდგომი გაფართოების მომხრეა, რაც ნატოს გენერალურმა მდივანმაც გაახმიანა, ხოლო დასავლეთ ევროპას თავისი პოზიცია არ შეუცვლია და ისევ იქ დგას, სადაც ის ჯერ კიდევ ბუქარესტის სამიტის დროს, ანუ აგვისტოს სამხედრო კონფლიქტამდე იყო: არავითარი გაფართოება „მუქთამჭამელების ხარჯზე", როგორც ისინი უწოდებენ აღმოსავლეთ ევროპას და მოჰყავთ მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც ალიანსში მხოლოდ ის ქვეყნები მიიღებიან, რომლებიც მის უსაფრთხოებას გააძლიერებენ! მათი აზრით კი,

▶

## მოკლედ



### სააკაშვილის ხელფასი 8 000 ლარია

**როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსული ჟურნალის „GQ"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მისი ყოველთვიური ხელფასი 8 000 ლარია.** პრეზიდენტის შემოსავლით და სხვა ყოველდღიური დეტალებით ჟურნალისტები ქსენია სოკოლოვა და ქსენია სობჩაკი დაინტერესდნენ. სააკაშვილმაც სიამოვნებით უამბო, რომ ატარებს „Burberry Sport"-ის საათს და საკუთარი გარდერობისთვის სამოსს თავად ირჩევს. ჟურნალიტებს, ცხადია, ჰალსტუხის თემა ხელიდან არ გაუშვიათ, აღნიშნეს, რომ პრეზიდენტი მათთან შესახვედრად „Armani"-ს ჰალსტუხით მივიდა და შესაბამისი ცნობილი კადრებიც კიდევ ერთხელ გამოფინეს. ამავე ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა, რომ ახლა მას მაღალი რეიტინგი აქვს.



### კარტოფილის სანატრელი გაგვიხდება

**„კარტოფილის მწარმოებელთა კავშირი" სასიხარულოს ვერაფერს გვპირდება. მისი განცხადებით, წელს კარტოფილის მოსავალი ქვეყნის მოხმარების მხოლოდ 40%-ს დააკმაყოფილებს, რადგან ქვეყანაში მოსავლის 25% გაფუჭდა, დარჩენილი მოსავლის უმეტესობის ხარისხი კი ძალზე დაბალია.** ვისაც რაიმე უფრო სასიამოვნოს მოსმენა სურს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზებს უნდა დაჯერდეს. ეს უწყება კარტოფილის მოსავლის კატასტროფულად შემცირებას კატეგორიულად უარყოფს და მოწეულის დაბალხარისხიანობასაც აპროტესტებს. სამინისტროს ინფორმაციით, ახალციხესა და ახალქალაქში საქე მთლად კარგად არ გვაქვს, მაგრამ, ბოლნისში საუკეთესო მოსავალი მოვიდა და ქვეყნის მასშტაბით ყველაფერი დაბალანსებულია.



### ტრამპი საქართველოში ბიზნესს იწყებს

**ამერიკელი მილიარდელი დონალდ ტრამპი თბილისში საქანელას ქუჩისა და ვარდების მოედნის რეკონსტრუქციას განახორციელებს, ბათუმში კი სასტუმროს ააშენებს. მემორანდუმი ქართველ პარტნიორ კომპანია „სილქ როუდ ჯგუფთან" ნიუ იორკში გაფორმდა.** ამით საქართველო გახდა აღმოსავლეთ ევროპის პირველი ქვეყანა, სადაც დონალდ ტრამპის ბიზნესპროექტები განხორციელდება. როგორც დონალდ ტრამპმა ნიუ იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მყოფ საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა, საქართველოში მნიშვნელოვანი საქმეები კეთდება, აღნიშნული პროექტების განხორციელებისას კი მას ქვეყნის პირველი პირისგან მხარდაჭერა გარანტირებული ექნება.



### სასტუმროების ქვეყანა

**მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა, მიწებს უფასოდ გირიგებთ და 15 წლის მანძილზე მოგებისა და ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებთო, ქობულეთში სასტუმროს აშენების მსურველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება.** როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო იუწყება, თავისუფალ ტურისტულ ზონაში უკვე 16 განაცხადია შესული. თითოეული პროექტის ღირებულება დაახლოებით მილიონნახევარი ლარია. მსურველები, ძირითადად, კერძო პირები არიან, კომპანიებიდან კი ქობულეთში სასტუმროს მშენებლობის სურვილი „ფასტ პლიუსმა", „ანაბაზისმა" და „ძველმა დედაქალაქმა" გამოთქვეს. ვინაიდან განაცხადების მიღების ვადა თვის ბოლოს იწურება, საბოლოო სია შესაძლოა გაცილებით მრავალპუნქტიანიც აღმოჩნდეს.

## საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიღებით ნატო შესუსტდა და არავითარ მის გაფართოებაზე უკრაინისა და საქართველოს ხარჯზე ლაპარაკი არ უნდა იყოს. სხვათაშორის, შარშან ეს ფრაზა ეროვნული ასამბლეის სხდომაზე ღიად, ყოველგვარი დიპლომატობის თამაშის გარეშე გააჟღერა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა.

გერმანიაშიც იგივე აზრის არიან. გავლენიანი გერმანული „Sueddeutsche Zeitung" უკრაინაზე, ცხადია, უკვე აღარ ლაპარაკობს, ეს აქტუალური აღარ არის. მაგრამ ვინაიდან ამერიკაში დაპროგრამებული სააკაშვილი საჯაროდ მაინც თავისას გაიძახის, გაზეთი წერს: „საქართველოს ნატოში გაწევრება რუსეთის უსაფრთხოებას ეჭვქვეშ დააყენებდა, ვინაიდან ალიანსი რუსეთის საზღვრებთან განლაგდებოდა. და ეს პოლიტიკური ფაქტორი ნატომ უნდა გაითვალისწინოს".

**ყველაზე ცინიკური, მაგრამ გულწრფელი იყო ნატოს მაშინდელი გენერალური მდივნის სჰეფერის განცხადებები ჯერ ბრიუსელში, ხოლო შემდეგ თბილისში — ნატოში მიგიღებთ, ოღონდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშეო!!! როგორც ჩანს, სააკაშვილმა ეს დაიჯერა და ჩვენი ტერიტორიები გაასხვისა ნატოში გაწევრების იმედით. მაგრამ აქ ალღომ უმტყუნა.**

ვაშინგტონის წინა კვირის შეხვედრის დროს თანდათან გამოიკვეთა, რომ საქმე კომპრომისამდე მიდის, რომ შემდეგი ათი წლის განმავლობაში ალიანსში მხოლოდ ბალკანეთის სამ ქვეყანას მიიღებენ – მაკედონიას, მონტენეგროსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას, რომელთაც, კარგახანია, მიღებული აქვთ „მაპი", ანუ გაწევრების სამოქმედო გეგმა.

ამავე დროს უკანასკნელი პერიოდის მთავარი სენსაცია არის პრეზიდენტ მედვედევის საკმაოდ ღია მინიშნება, რომ ამ ალიანსს რაღაც მომენტში შეიძლება რუსეთი მიუერთდეს. ევროპა ამის მომხრეა და ეს იდეა საერთოდ გერმანიიდან მოდის, ამერიკა კი წინააღმდეგია. ამ იდეის განხორციელებით ევროპა თავის პოლიტიკურ ვექტორს 180 გრადუსით შეცვლიდა. მათ, კარგა ხანია, მობეზრებული აქვთ ამ ალიანსში ამერიკის წამყვანი როლი და მბრძანებლური ტონი. ხოლო რუსეთის მიღებით ისინი, მათი აზრით, ევროპისათვის რუსეთის საფრთხის სრულ ნეიტრალიზებას მიაღწევდნენ, ფუნდამენტალისტური ისლამური საფრთხის წინააღმდეგ კი მას პარტნიორად მიიღებდნენ (ევროპაში ამერიკისაგან განსხვავებით ამ საფრთხეზე ღიად ლაპარაკობენ).

**მაგალითად, იტალიური გაზეთი "24 Ore" 18 ივლისის ნომერში სტატიაში „ანგარებიანი ქორწინება" უფრო შორს მიდის და უკვე 5 მიზეზს ასახელებს, რის გამოც რუსეთის ნატოში გაწევრება არამც თუ სასურველად, არამედ აუცილებლად მიაჩნიათ. მათ ესმით, რომ ამერიკა და ზოგიერთი ყოფილი კომუნისტური ქვეყანა ამის წინააღმდეგ წავა, მაგრამ, მათი აზრით, ვირტუალური კედელი, რომელმაც ევროპაში „რკინის ფარდა" (ირონ ცურტაინ) შეცვალა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა წაიშალოს. თუმცა არ ითვალისწინებენ რუსეთში ნატოს მიმართ ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ნეგატიურ საზოგადოებრივ განწყობას.**

იხსენებენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ვარშავის ხელშეკრულების დენონსაციისას ნატომ და რუსეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ნატო არ შევიდოდა აღმოსავლეთ ევროპაში; მაგრამ ნატომ ეს შეთანხმება დაარღვია. შემდეგი შეთანხმება იყო, რომ ნატო არ შევიდოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში; მაგრამ ელცინის რუსეთი ისე იყო დასუსტებული, რომ ნატომ ესეც დაარღვია და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შევიდა. მაგრამ დღევანდელი რუსეთი სულ სხვა ხასიათზეა – მან სააკაშვილის უშუალო დახმარებით თავისი ე. წ. ჟანგიანი ტანკებისა და აგრესიულობის დემონსტრირება მოაწყო და „ნილაბჩამოგლეჯილმა" წითელი ხაზი გაავლო, რის იქითაც ის ნატოს არ გაუშვებს, და ეს, პირველ ყოვლისა, საქართველოს ეხება. ხოლო ავსტრალიური გაზეთი „Australia.TO News" იხსენებს, რომ ნაპოლეონისა და ჰიტლერის იმპერიები იმიტომ დაეცნენ, რომ მათ იმაზე მეტის ჩაყლაპვა გადაწყვიტეს, ვიდრე მათ შეეძლოთ!

შარშან ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯონ ჰატონმა პირდაპირ განაცხადა, რომ ევროკავშირმა თავისი საკუთარი თავდაცვითი ორგანიზაცია უნდა შექმნას. თუმცა მან არ დააზუსტა ისედაც გასაგები რამ, რომ ეს იქნებოდა იგივე ნატო, ოღონდ ამერიკისა და კანადის გარეშე. ეს იდეა, უკვე კარგახანია, დასავლეთ ევროპის დედაქალაქებში განიხილება. გარდა ამისა, ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ დენისი გაზეთ "Guardian"-ში წერს, რომ ნატოს ამოცანა ყოველთვის იყო ევროპის უსაფრთხოება, მაგრამ ამერიკის ზეწოლით ავღანეთის ოპერაციაში ჩართვა და აღმოსავლეთით გაფართოებაზე ლაპარაკი ნატოს ფუნქციას უკარგავს და ამიტომ საჭიროა, ის თავის პირველად ამოცანას – ევროპის უსაფრთხოებას დაუბრუნდეს.

ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაიტის ხელმძღვანელობით 12 ექსპერტისაგან სპეციალურად შექმნილმა კომისიამ მაისში ვაშინგტონში, ბრიუსელსა და მოსკოვში წარადგინა ნატოს ახალი სტრატეგიის თეზისები და საკმაოდ მოულოდნელი წინადადებები, რაც ზოგისთვის, ალბათ, ფანტაზიის სფეროდან უფროა – ნატო უნდა აქტიურად ერეოდეს ენერგომატარებლების ფასების რეგულირებაში, გაზსადენების ახალი მარშრუტების პროექტირებასა და კიბერსივრცის გაკონტროლებაში!!! ამ შემთხვევაში ალიანსი, ალბათ, გვეტყოდა: „მე ის ნატო აღარა ვარ"...

ამერიკაში, საბედნიეროდ, ყველა ბრმა არ არის. მაგალითად, 2009 წლის 6 თებერვლის "The International Herald Tribune"-ში ჰარვარდის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი და ამ უნივერსიტეტის ტრანსატლანიკური პროგრამების დირექტორი კარლ კაიზერი წერს, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღებით ეს ალიანსი „ქაღალდის ვეფხვს" (ჩინური გამოთქმაა. — რ.კ.) დაემსგავსებოდა, ვინაიდან ის ამ ქვეყნების დაცვას ვერ შეძლებდა და ამიტომ ავტორიტეტს დაკარგავდა.

**ამავე დროს ნეოკონები თავისას არ იშლიან: ცნობილი სენატორის, ლუგერის ოფისმა დეკემბერში გამოაქვეყნა მოხსენება. იგი ამერიკის ხელისუფლებისგან მოითხოვს საქართველოსთვის იარაღის მიწოდების განახლებას, ვინაიდან „ჩვენ საქართველო ნატოში გვჭირდებაო" (?). იანვარში ოსმა სეპარატისტებმა საპასუხო წერილი გაუგზავნეს სენატორს, სადაც საქართველო „დაასმინეს" რევანშისათვის მზადებაში. 4 თებერვლის "The New York Times" ციტირებას აკეთებს სენატორ ლუგერის მოხსენებიდან: „ომის შემდეგ ამერიკამ საქართველოს რამდენიმე მილიარდი დოლარი ეკონომიკური დახმარება მიაწოდა, მაგრამ მთლიანად შეწყვიტა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება, შეწყვიტა იარაღის მიწოდება და ქართული სპეცდანიშნულების ძალების ტრეინინგი, არ უპასუხა საქართველოს თხოვნას ანტისატანკო და ანტისაჰაერო თავდაცვითი სისტემების შესახებ. გარდა ამისა, სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებები იზრდებოდა 2006 წლის §10,5 მილიონიდან, 2007 წლის §25 მილიონამდე და 2008 წლის §72,3 მილიონამდე, მაგრამ 2009 წელს ნულამდე დავიდა."**

ნატოსა და ევროკავშირში გაწევრება სააკაშვილმა თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად აქცია (სხვა პრიორიტეტები ჩვენ ვერ დავინახეთ). ევროკავშირში გაწევრება ლამაზი მითია, ნატოს წევრი ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული თურქეთი, უკვე 25 წელია, იბრძვის ამისათვის, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრულა და, ალბათ, ვერც დაიძვრება. რაც შეეხება ნატოს, ბუშის პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს ამის რაღაც თეორიული შანსი არსებობდა, ნატოს აზრით, მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთისათვის გადაცემის ხარჯზე. მაგრამ სააკაშვილის ავანტიურიზმმა და ავტორიტარულმა მმართველობამ, 7 ნოემბერს მშვიდობიანი მანიფესტაციისა და ამერიკელების მიერ მართული ტელევიზიის სასტიკად დარბევამ, გაყალბებულმა არჩევნებმა და ადამიანის პრაქტიკულად ყველა უფლებების დარღვევამ „დემოკრატიისათვის მებრძოლი" ნატო დაარწმუნა, რომ საქართველოსაგან შორს უნდა იდგეს.

**ის, რომ ნატო სააკაშვილს ბევრ რამეზე უყრუებდა და გულუბრყვილო სახით ხანდახან ქათინაურებსაც ეუბნებოდა, სულაც არ ნიშნავს, რომ მათ რეალობა არ იცოდნენ. აქ მუშაობს იგივე პრინციპი, რაც ამერიკელებს თავის დროზე ლათინურ ამერიკაში ჰქონდათ ადგილობრივ დიქტატორებთან და ოპერეტულ პრეზიდენტებთან დაკავშირებით: „ვიცით რომ ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალაა!"...**

**რამაზ კლიმიაშვილი**

## გაფრაზებული



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

როგორ მომბეზრდა ჰალსტუხის ისტორია. ყველაფერი ასე იყო: ომის დროს, ყველაზე მძიმე დღეებში ჩემს კაბინეტში ვიმყოფებოდი, სადაც დამონტაჟებული იყო კამერა. დღეში რამდენჯერმე პირდაპირ ეთერში განცხადებებს ვაკეთებდი. კამერა ჩართული აღმოჩნდა იმ დროს, როცა პირდაპირი ეთერი არ უნდა ყოფილიყო. კადრი აღმოჩნდა YouTube-ზე... რეიტინგი იგივეა, რაც ფული, ვალუტა. აგროვებ ვალუტას და ხარჯავ მას რეფორმებზე, რეიტინგიც შესაბამისად იკლებს. მთავარია, მოასწრო მომდევნო არჩევნებისთვის მისი დაგროვება, რომ ხალხი ისევ წამოგყვეს.

*„GQ"*



**ილჰამ ალიევი,**
**აზერბაიჯანის პრეზიდენტი:**

ჩვენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში მთიანი ყარაბაღის სტატუსის საბოლოო განსაზღვრის საკითხზე მოლაპარაკებებისთვის მზად ვართ. ეუთოს მინსკის ჯგუფის მიერ 2009 წლის დეკემბერში შემოთავაზებული ვარიანტი აზერბაიჯანისთვის სავსებით მისაღებია. სამწუხაროდ, სომხეთი შუამავალთა წინადადებაზე კონკრეტული პასუხის გაცემას აქამდე აჭიანურებს.

*საქინფორმი*



**ვიაჩესლავ კოვალენკო,**
**რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ყოფილი ელჩი საქართველოში, რუსეთის ელჩი სომხეთში:**

სააკაშვილი ეს არის ადამიანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა. მან დაიწყო ომი სამხრეთ ოსეთში, რომლის დროსაც დაიღუპა 15 რუსი სამშვიდობო. ხოლო ელაპარაკო ადამიანს, რომელმაც რუსეთის მოქალაქეების წინაშე დანაშაული ჩაიდინა, მიმაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ აწყობს. რუსეთს სურს საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზება, მაგრამ ისეთთან არა, რომლის სათავეში დამნაშავე დგას.

*osinform.ru*



**ანდრეი კელინი,**
**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს საქმეთა მეოთხე დეპარტამენტის ხელმძღვანელი:**

ჩვენ საქართველოსთან დიალოგის მომხრენი ვართ, მაგრამ დიალოგისთვის და განხილვისთვის საგანი უნდა არსებობდეს. და თუკი ასეთი განხილვის საგნად (და ეს ყველა ტრიბუნიდან ისმის) ჩვენ გვთავაზობენ მცირე ზომის სამხედრო ბაზების გაყვანას აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, მაშინ ეს სალაპარაკო საგანი არ არის. ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია, იმიტომ, რომ შედეგად იმავე სიტუაციას მივიღებთ, რაც 2008 წლის აგვისტომდე გვქონდა.

*cominf.org*

## მოკლედ



### მთავარი პარტნიორი

**იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა კვლავ თურქეთია.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, იანვარ-აგვისტოში თურქეთთან სავაჭრო ბრუნვამ დაახლოებით 678 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი 150 მილიონია, ხოლო იმპორტი — 527 მილიონი. საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით პირველი ადგილი შავი ლითონების ჯართს უკავია. თურქეთში იანვარ-აგვისტოში 58 მილიონი დოლარის ღირებულების, 193 მილიონი ტონა ჯართის ექსპორტი განხორციელდა. მეორე ადგილზეა ფეროშენადნობები, ხოლო მესამეზე — აზოტოვანი სასუქები. რაც შეეხება იმპორტს, პირველ ადგილზე სამკურნალო საშუალებები აღმოჩნდა.




### იმერეთი გაპოლიციურდა

**იმერეთის რეგიონში დიდი წესრიგი მყარდება. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და იმერეთის გუბერნატორმა ლაშა მაქაცარიამ პოლიციის რვა შენობა გახსნეს.** სოფლებში: ბორითში, სვირში, გეგუთში, ოფურჩხეთში, გელავერში, ფარცხანაყანებში, დიდ ჯიხაიშსა და გელათში ამიერიდან პოლიციის საკუთარი განყოფილებები ექნებათ. სტილი დაცულია — ახალი განყოფილებების შენობები, ისევე, როგორც სხვა ყველა მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამჭვირვალეა. ყველა მათგანი აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკითა და საოფისე საშუალებებით. აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების ნაწილია. მალე ახალი განყოფილებები გურიაში, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთშიც გაიხსნება.



### უნდობლობა პრეზიდენტს

**პრეზიდენტისადმი უნდობლობის საზოგადოებას, რომელიც სასტუმრო „BESTY'S"-ში შეიქმნა, იურისტი და სამართლის დოქტორი მინდია უგრეხელიძე უხელმძღვანელებს.** მისი განცხადებით, „უნდობლობის იდეა ძალიან ბევრ პოლიტიკურ პარტიას გააჩნდა, რომელთა შორის იყვნენ ლეიბორისტები. მაგრამ იდეა, მხოლოდ იდეის დონეზე არ უნდა დარჩეს და საზოგადოება უნდა გააქტიურდეს. შეიძლება არსებობდნენ ისეთი ადამიანები, ვინც ამ წამოწყებას ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ ახლა ამის დრო ნამდვილად არაა". შეკრებას ექსპერტები, პოლიტიკური პარტიის ლიდერები და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ. საზოგადოების მიერ მომზადებული დოკუმენტი გაზეთებში „ასავალ-დასავალსა" და „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა.



### ახალ წელს ახალი კონსტიტუციით ვიწყებთ

**იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა დაადასტურა, რომ კონსტიტუციის ახალი მოდელი ძალაში შევა ისე, როგორც ეს ამ დროისათვის არის მითითებული საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტში.**

როგორც მინისტრმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, თუ ვინმესთვის ჯერ კიდევ გაუგებარია კონსტიტუციის ამოქმედების ვადები, პროექტში ამის დასაკონკრეტებლად დამატებითი ჩანაწერი გაკეთდება. პროექტის თანახმად, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ნაწილი 2011 წლის 1 იანვარს შედის ძალაში, ის ნაწილი კი, რომელიც სახელისუფლო შტოებს შორის ბალანსის ახალ მოდელს ითვალისწინებს 2013 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

# ტრამპი და ტრამპა-ცუმპა

**ერთი კვირაა, ვინც არ დაიზარა, ყველა ბრუნვაში ატრიალა მიხეილ სააკაშვილიც და ნიუ იორკში მისი ვიზიტის შედეგები. ამ თემისგან გამოხრული ძვალიღა დარჩა, რომელსაც თავმოყვარე ძაღლი პირს არ დააკარებს.**

თუმცა ჩვენს გაძაღლებულ ყოფაში არც ეგ იქნება გასაკვირი, მით უფრო, რომ ქართულმა სახტელესტანდარტმა ისე წარმოგვიდგინა ეს ვიზიტი, როგორც გულივერის მოგზაურობა ლილიპუტიაში, რითაც ფრიად გაგვიფართოვა საკომენტარო ასპარეზი.

ახალი გულივერის ახალი ჯონათან სვიფტი ძია სემია, რომელმაც აქაური პრეზიდენტი იქაური ჩანაფიქრის განსახორციელებლად დიპლომატიურ ომში ისე შეაგდო, როგორც ყურმოჭრილი მონა კოლიზეუმის ასპარეზზე ლომების ლუკმად...

**ორიოდ დღის წინათ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ამერიკელების გასაგონად განაცხადა, თუ სააკაშვილს იარაღს მიჰყიდით, ჩვენ უმოკლეს ვადაში დავიპყრობთ ამ ქვეყანას.**

ამერიკელებმა ეზოპეს ენით უპასუხეს — დიპლომატიური ილეთით: **შეახვედრეს სააკაშვილი მილიარდერ დონალდ ტრამპს, რომლის ფულითაც აიგება სასტუმროები თბილისსა და ბაუმში, ანუ ბათუმში და, შეიძლება, თბილისშიც. ასეთი დაპირება ჩაიწერა „სილკ როუდ გრუპთან“ გაფორმებულ მემორანდუმში, რომელიც მხოლოდ კეთილგანზრახულობათა დაფიქსირებაა. მაგრამ სწორედ ამ კეთილგანზრახულობათა ხმაურიან გაპიარებაშია ჩადებული ერთი დაშიფრული გზავნილი: აიღებთ უმოკლეს ვადაში საქართველოს? იქ დაგხვდებათ დონალდ ტრამპი, ამერიკული კეთილდღეობის პერსონიფიცირებული სიმბოლო, ესე იგი, დაუპირისპირდებით უშუალოდ აშშ-ს, რადგან საქართველო ჩვენი გავლენის სფეროა, აქ ვდგავართ ჩვენო.**

ჩვენ კი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შესახებ ვლაპარაკობთ და გვიხარია.

**ექსპერტების ერთი ჯგუფის ასეთი ვერსია დონალდ ტრამპის ირიბ აღიარებასაც ეფუძნება. კერძოდ, მილიარდერმა ბიზნესმენმა წარმოთქვა ერთი ისეთი ფრაზა, რომელიც მიშას ფანებს ქებათა-ქების მწვერვალი ჰგონიათ: „ჯერ ლაპარაკობენ მიხეილ სააკაშვილზე, შემდეგ საქართველოზე“.**

იტყოდნენ ჯერ სააკაშვილზე, აბა, რა, რადგან სააკაშვილი იარაღია, საშუალებაა იმათ „კეთილგანზრახულობათა“ განსახორციელებლად. საქართველო მეორადია, მოწინააღმდეგესთან დაპირისპირების ტაქტიკურად მომგებიანი პლაცდარმია, ტერიტორიაა, სადაც სხვას, ამერიკის გარდა, ფეხს არავის ჩაადგმევინებს.



**სააკაშვილი იარაღია, საშუალებაა იმათ «კეთილგანზრახულობათა» განსახორციელებლად. საქართველო მეორადია, მოწინააღმდეგესთან დაპირისპირების ტაქტიკურად მომგებიანი პლაცდარმია.**

ასეთი მისია დააკისრეს მისტერ ტრამპს და მანაც შეასრულა იგი სააკაშვილის მონაწილეობითა და ისეთი ტრამპა-ცუმპის თანხლებით, ისეთი ტანცი-მანცის ილეთებით, რომ თვით ტანცგეურქა გაჰკვირდებოდა: ლავ პაღუმა!

**იჯდა მიხეილ სააკაშვილი ტრამპის სამუშაო მაგიდის კუთხეში, როგორც დეველოპერული კომპანიის კლერკი და ისმენდა მისტერ დოლარის უბოდიშო წრეგადასულობას და იყო მხიარული.**

საქართველოში კი, დარწმუნებით ვიტყვი, პრეზიდენტად თქმული კაცის ამგვარი დაკნინების გამო პროტესტის გრძნობა გაუჩნდებოდა ნებისმიერ მოქალაქეს, რომლისთვისაც ნაცბოლების კატარაქტას ჯერ კიდევ არ გაუბუნდოვნებია თვალის ჩინი.

**ბოლოს და ბოლოს მილიარდერია, ბიძინა ივანიშვილზე ცოტა მეტი ფული აქვს, ამიტომ უნდა ვემთხვიოთ მის ნაკვალევს და ნაცრის ნაცვლად მისი ფერხთა მტვერი დავიყაროთ თავზე ყოველი აუდიენციის წინ?**

**„თქვენ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებთ. მე მომწონს“,** — განაცხადა ტრამპმა და დაგვდო პატივი. მაგრამ, ჯერ ერთი, რა ტრამპის შესაფასებელია ის, რაც საქართველოში ხდება? მოსწონს? ავშენდით? რა სატრამპახოა?!

დონალდი, რომელიც ტრულაილასგან იმით განსხვავდება, რომ არა მხოლოდ ფულია, არამედ — მყარი ვალუტა, გიკვირთ, ატაშტუშებულიყო? **„საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის გარეგნობამ აღაფრთოვანა ამერიკელი ბიზნესმენი დოლანლდ ტრამპი“,** — იტყობინება საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. და სულ გადაირია პატივცემული დონალდი, როცა მისი მაღალი სტუმრისგან შეიტყო, რომ „მის სამყაროს“ კონკურსის მონაწილე ლამაზი ქართველი ქალიშვილის დედა ყოფილა სააკაშვილის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნათია ბანძელაძე, რომელიც (ჰოი, საკვირველება!) აგერ, მის კაბინეტში, იმყოფება: **„თქვენ ძალიან ლამაზი ქალიშვილი გყავთ და თქვენც ძალიან ლამაზად გამოიყურებით,** — მოწყალებასავით გაუცია დონალდ ტრამპს მორიგი კომპლიმენტი, — **რატომ არ მონაწილეობდით კონკურსში?!“** — გაუმიამიტებია თავი და — გიხაროდენ! — სურათიც გადაუღია მასთან ერთად.

ეს ღირსსახსოვარი სიტყვები ვერონიკა ქობალიასთვის რომ ეთქვა, კიდევ გასაგები იქნებოდა, რადგან მინისტრია და ეკონომიკური აღმავლობის საქმეშია გასული, თანაც ისეთი ქალია, რომ უეჭველად მოეწონებოდა.

ციხეების ზედამხედველობის მინისტრი ქალია, პრეზიდენტის პრესსპიკერი ქალია, პრეზიდენტის მრჩეველი მასმედიის საკითხებში ქალია, პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელიც ქალია.

„აჩვენეთ ეს ქალები...“ და ასე შემდეგ. არის, რისგანაც თავბრუ შეიძლება დაგეხვეს.

ნათია ბანძელაძის ხათრით ხომ არ მოაწერა ხელი დონალდ ტრამპმა, ამერიკელმა მილიარდერმა, საქართველოში სასტუმროების აშენების შესახებ გაფორმებულ მემორანდუმს?

**ასასხლეტი მექანიზმი ხომ არ მოუშალა პატივცემული მიხეილის ავტორიტეტის ასამაღლებელ ტრამპლინს?**

ასეთი ინტრიგანული პეწით დამთავრებულა ეს ფრივოლური შეხვედრა ოქროსთმიან მისტერ ტრამპთან.

# თბილისი ფიქრობს, რომ MTV ტურისტებს მოიზიდავს

**ჩვენი პრეზიდენტის გადამკიდე ყველას დასაცინი რომ გავხდით, დიდი ხანია, ვიცით. მაგრამ უცხოურ პრესაში ბრაზილიური სერიალებივით დაუსრულებელ პუბლიკაციებთან შეგუება ჭირს. გასულ კვირაშიც გაგრძელდა უცხოელთა ქირქილი. მოლი კორსოს EURASIANT.org-ში გამოქვეყნებული წერილის პირველივე აბზაცი თავის მოჭრაა პრესის გილიოტინაზე აყვანილი სააკაშვილისთვის: „პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მართვის სტილში ყოველთვის იყო შოუს ელემენტები. ახლა საქართველოს პრეზიდენტი გართობისა და პოლიტიკის სრულ შერწყმას უწევს ლობირებას, რადგან საქართველოში ტურიზმის რეკლამირება სურს“.**

ცირკია, ერთობა კაცი, რადგან ამ მექანიკურ გაერთიანებაში მთავარი შოუა, ხოლო პოლიტიკა, ანუ მისი მსგავსი რაღაც „ხელი გაიქნია, ფეხი“ მიტმასნილი ზედმეტობაა, რადგან ჯერჯერობით არავის უნახავს სიმღერითა და ტაშფანდურით აშენებული ქვეყანა. თუ, რა თქმა უნდა, „სოფლის მშენებლების“ გამოცდილებას მხედველობაში არ მივიღებთ.

ეღიმებათ ულვაშებში უცხოელ მიმომხილველებს: „როკმუსიკა ზუსტად მოერგება თბილისის მიდრეკილებას, გამოიყენოს მუსიკა სახელმწიფო პოლიტიკის რეკლამირებისთვის“. ეს ცინიკური ფრაზა ჩვენი ხელისუფლების მორიგი, „ღრმად გააზრებული სტრატეგიული ნაბიჯის“ დასახასიათებლად მოიქნია მოლი კორსომ.

ნაბიჯი კი ელემენტარული პლაგიატია, მიბაძვაა, სხვისი წარმატებული გამოცდილების გადმოღების მცდელობაა, თუმცა არავინ უწყის, რამდენად გამოსადეგი იქნება იგი საქართველოსთვის.

**გავშიფროთ: ჩვენი ხელისუფლება მთელს თავის ძალისხმევას მიმართავს აშშ „საკაბელო ტელევიზიის პოპულარულ არხთან, MTV-თან“ მოსალაპარაკებლად ბათუმში ყოველწლიური როკფესტივალის გამართვის თაობაზე.**

რისთვის დასჭირდათ ეს ახალი სატაშფანდურო? იმისთვის და იმ იმედით, რომ, ღმერთი მაღალია, გამეორდება MTV-ის მიერ მალტაში გამართული ფესტივალის წარმატება, რაც ათი ათასობით ტურისტის მოზიდვაში გამოიხატა: „მალტის ტურისტული ხელმძღვანელობის განცხადებით, 30 ივნისს გამართულ უფასო შოუს, რომელშიც Kid Rock, Kelis და სხვა საერთაშორისო მასშტაბის მუსიკოსები მონაწილეობდნენ, 50 000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო“.



**ეღიმებათ ულვაშებში უცხოელ მიმომხილველებს: «როკმუსიკა ზუსტად მოერგება თბილისის მიდრეკილებას, გამოიყენოს მუსიკა სახელმწიფო პოლიტიკის რეკლამირებისთვის».**

„მიზანი ნათელია“, მაგრამ, **ჯერ ერთი**, შეძლებს კი ბათუმის ჯერ არდაბადებული ფესტივალი კონკურენცია გაუწიოს მალტისას? **მეორე**. ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ მსოფლიო მუსიკოსები, რომლებიც მალტის ფესტივალის წარმატების მთავარი მიზეზი იყო, ზურგს შეაქცევენ მალტას და ბათუმში გადმობარგდებიან; ან — იქაც და აქაც დათანხმდებიან კონცერტების გამართვას? **მესამე.** ნანატრ 50 000 ტურისტს სად განათავსებენ? ან ჩამოვა კი იმდენი, რომ სასტუმროებში დატოვონ კონცერტისთვის დახარჯული თანხის ადეკვატური ოდენობა? **მეოთხე**. სად აქვს საქართველოს მთავრობას „ხელოვნების ამ ზეიმის“ მოსაწყობი თანხა? და ა.შ.

ვინმე სერიოზულად ხომ არ ფიქრობს, რომ მბჟუტავი „ვარსკვლავების“ ბათუმის პერმანენტულ კონცერტებზე დიდი ფულით შემოტყუების პროვინციული პრაქტიკა ჭეშმარიტ ხელოვანთა მოზიდვის რეალური საშუალებაა?

**ნახეთ, რას წერენ ბათუმური შოუს თაობაზე უცხოურ პრესაში: „ამ კონცერტებზე სხვადასხვა კატეგორიის მუსიკოსები უკრავდნენ, სრულიად უცნობები და ოდესღაც პოპულარულები: ბალადების შემსრულებელი, ანგლოირლანდიელი კრის დე ბურგი, ერთი ჰიტის ავტორი, რომლის სიმღერა Lady in Red 1986 წელს დიდი ბრიტანეთის ჩარტებში პირველ ადგილზე გავიდა, ალბათ, ყველაზე ცნობილი იყო მათ შორის, ვინც ბათუმში დაუკრა“.**

მოკლედ, როგორც თბილისელი მსახიობები ზაფხულობით, როცა თეატრებში სეზონი დახურული იყო, რაიონებში „სახალტუროდ“ გადიოდნენ, ზუსტად ასევე იწვევენ ჩვენი კულტურის მესვეურები ტირაჟიდან გასულ უცხოელ შემსრულებლებს.

მეოთხედი საუკუნის წინათ პოპულარული (ერთი სიმღერის გამო) მომღერალი საქართველოში ჩამოდის და გვიხარია!

გვიხარია, რომ ასეთი ღრმად პროვინციული მეთოდი ქვეყნის პოლიტიკის (თუნდაც ტურიზმის სფეროში) წარმატებით განსახორციელებლად აირჩიეს ქვეყნის „გამოსულმა“ ხელმძღვანელებმა.

**მივალთ უფასო კონცერტზე, ვიკივლებთ, ვიყვირებთ, ავროკდებით, დაიძრება ნახევარი მსოფლიო ბათუმისკენ, მოაწყდება 10 მილიონი ტურისტი საქართველოს და ავშენდებით!**

**„პრასი არ გვინდა, პრასი გვაქ-თქვა!“**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სად გულაგი და სად... გილიოტინა, ანუ რატომ უკბინა მიშამ სარკოზის?

**ფიქრობენ, რომ ამქვეყნად გასაოცარი არაფერი ხდება, რადგან მზისქვეშეთში ყველაფერი საოცარია. საოცარია, მაგალითად, როცა პატარა ქვეყნის პრეზიდენტს ისეთი იდეები აწუხებს, რომლებიც არა მარტო განუხორციელებელია, არამედ, ჯერ ერთი, არავის სჭირდება და ყურით მოთრეულია; მეორეც, — უაზრობაა, რადგან განვითარების ამ ეტაპის კანონზომიერების კონტექსტიდან სრულადაა ამოვარდნილი და ერთადერთი, რისი პრეტენზიაც შეიძლება ჰქონდეს, დეკორატიული გამობრწყინებაა, თავის გამოჩენაა, დაახლოებით ისეთივე, როგორიც ფუნიკულიორის მოციმციმე ანძა და ილუმინირებული „ეშმაკის ბორბალია“ იქვე.**



ამ რიგისაა მიხეილ სააკაშვილის **აკვიატებული იდეა კავკასიის გაერთიანების შესახებ საზღვრების შენარჩუნების პირობით**.

ჩვენზე ივარჯიშა თურმე, მოსინჯა, რა ეფექტს მოახდენდა ეს „რევოლუციური პერსპექტივა“ საზოგადოებრივ აზრსა და მეზობელი სახელმწიფოების ლიდერებზე. პირველად ილხამ ალიევის ბათუმში ვიზიტისას ისროლა ლოზუნგი კონფედერაციული გაერთიანების შესახებ. არავითარი რეაქცია მაღალი სტუმრის მხრიდან! ხოლო ქართული საზოგადოებრივი აზრის უარყოფითმა შეფასებამ უფრო განუმტკიცა საკუთარი პოზიცია — ყველაფერი ხალხის საწინააღმდეგოდ! ცნობილი პრინციპია, რომლის შედეგები მრავალჯერ ვიწვნიეთ...

**ამანაც გააჭენა გაუხედნავი ულაყი და გადაევლო კავკასიონს — „დიდმა მთებმა იწყებს დრეკა“. ჩვენ, სომხეთი და აზერბაიჯანი ხომ გაგვაერთიანა, ახლა რუსეთის საზღვრებში შეიჭრა და მიიერთა ჩრდილოეთ კავკასია.**

**ვის დაჰკარგვიხარ, ვინ გეძებს?!**

**საოცრებაა!**

ალბათ, ნიუ იორკის მიკროკლიმატის, იქაური მიდექ-მოდექობის ბრალია, იმისაც, რომ იმ სიშორიდან და კაპიტოლიუმის ბორცვის სიმაღლიდან, ეტყობა, აქაური პრობლემები პატარა და უმნიშვნელო ჩანს, დურბინდის შებრუნებული მხრიდან დანახული, ბუზისტოლად დაკნინებული ნიანგის პინცეტით დაჭერასავითაა.

უფრო მეტად გასაოცარი კი ისაა, რომ სააკაშვილმა მოინდომა და უაღრესად თავმდაბალ ადამიანად წარუდგინა თავი ნიუ იორკის უნივერსიტეტში შეკრებილ აუდიტორიას: შეკითხვას, თუ რა არის პრეზიდენტის პირადი მიღწევა, უპასუხა: **„ერთადერთი, რაც ჩემს პირად მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, ის არის, რომ ცოტა წონაში დავიკელი“.**

აღსარებასავითაა: ასეთი სიმართლე არასოდეს უთქვამს. მაგრამ ისეთი კონტექსტით მიაწოდა მსმენელებს, რომ მათ სწორედ საწინააღმდეგო დასკვნა უნდა გაეკეთებინათ. ყველა წარმატება და მიღწევაო, — ბრძანა მან, — რაც საქართველოს ჰქონდა, ქართველი ხალხისა და რეფორმატორთა ჯგუფის დამსახურებააო.

ხომ გგონიათ, რომ კეთილშობილების ნიმუშია ასეთი თავმდაბლობა? გგონიათ.

ვისარგებლებ განსაკუთრებული აზრის ქონების უფლებით და ვიტყვი, რომ ცდებით!

**კარგად იცის ქართველმა ხალხმა ამ „წარმატებათა“ და „მიღწევათა“ ფასი. იცის სააკაშვილმაც. და შაქარყინულივით ტკბილად დასმული შეკითხვის („თქვენ, როგორც დავითი, მარტოდმარტო ებრძოდით გოლიათს...“) პასუხში სამომავლო ალიბი ჩადო, იმ დროისთვის გამოსადეგი, როცა სამსჯავროს წინაშე მოუწევს წარდგომა ამ „წარმატება-მიღწევათა“ გამო: ჩემი გუნდის დამსახურებააო, თორემ მე გახდომით, წონაში დაკლებით ვიყავი დაკავებულიო.**

საეჭვოა, გამოადგება თუ არა ასეთი ალიბი, მაგრამ აქედანვე გვაჩვევს. ისევე, სხვათაშორის, როგორც კავკასიის კონფედერაციის აკვიატებულ უაზრობას — თანდათან, ნელ-ნელა, როგორც დღეს უყვართ თქმა, — „ლაითად“.

საოცარი წინდახედულებაა.

საოცარი უმადურობის საოცარი მაგალითიც ნიუ იორკში მყოფმა მიხეილმა წარმოგვიდგინა. ან ვიღაცამ დაარწმუნა, ან თვითონ გალაღდა ისე, რომ ყველაფრის თქმის უფლებას აძლევს საკუთარ თავს, თუნდაც იმათ გაქილიკებას და ლაჯებში ამოდებას, ვისაც თავის დღევანდელ მდგომარეობას უნდა უმადლოდეს.

ერთი შინაური ცხოველი გასუქდა და — მგელს დამაჭიდეთო...

ვინ გადაარჩინა აგვისტოს ომში სააკაშვილი და პრეზიდენტის სკამი შეუნარჩუნა?

— სარკოზიმ — საფრანგეთის პრეზიდენტმა. იგი პირადად ჩადგა დაპირისპირებულ მხარეთა შორის, დიდი რისკის ფასად, სხვათაშორის.

რით უპასუხა სააკაშვილმა? ისე, სასხვათაშორისოდ გადაუარა საფრანგეთს, „წაკრა თვითო ქიშტი“ — გულაგების იმპერიასთან გაათანაბრა:

**„გულაგებისა და გილიოტინების საშუალებით საზოგადოება ვერ გარდაიქმნება“.**

ჯერ ერთი, გარდაიქმნება!

**21 სექტემბერს ნიუ იორკში, ნაზდაკის ბირჟაზე, ამ კანტორის ხელმძღვანელმა ისეთი აპლომბითა და ისეთი სიტყვებით შეამკო მიხეილ სააკაშვილი, ნაცნობი და მშობლიური რომაა საქართველოს მოქალაქეთა ფართო მასებისთვის**

სხვა საკითხია, კარგისკენ თუ უარესისკენ...

მეორე, დღევანდელ მსოფლიოში, როცა არც გილიოტინის, არც გულაგის სახსენებელი არაა, რაღა მაინც და მაინც საფრანგეთისთვის მოინდომა წიხლის ჩაზელვა?

დაბოლოს. გილიოტინით თავის მოკვეთა საფრანგეთის რევოლუციის დროს შემოიღეს. მაგრამ მის მსხვერპლთა შორის სულ მალე თავად რევოლუციის ბელადები აღმოჩნდნენ.

**ამიტომ უფრთხილდით გილიოტინას, რევოლუციონერებო ყველა ქვეყნისა!**

**21 სექტემბერს ნიუ იორკში, ნაზდაკის ბირჟაზე, ამ კანტორის ხელმძღვანელმა ისეთი აპლომბითა და ისეთი სიტყვებით შეამკო მიხეილ სააკაშვილი, ნაცნობი და მშობლიური რომაა საქართველოს მოქალაქეთა ფართო მასებისთვის: რეფორმატორთა-რეფორმატორის ბიოგრაფია სულ წვრილად გადმოგვილაგა და მის მიღწევებზე ზუსტად ისეთი თავმოწონეობით ილაპარაკა, როგორც მიშამ იცის ტელეაუდიტორიის წინაშე გამოსვლის დროს.**

ცოტა თავისი შეფასებაც გაერია ამ მამაცხონებულს!

საოცარია: „ფანერაზე“ ლაპარაკის ინფექცია შტატებშიც ყოფილა გავრცელებული, სხვის მიერ წინასწარ მომზადებული ტექსტისთვის ხმის აყოლება.

— მე ვიღებ! — საქვეყნოდ აცხადებდა სახალხო მოსამართლე აზდაკი, ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრის“ მთავარი გმირი, — მე ვიღებ!

მაგრამ არ ამბობდა, რას იღებდა, რადგან ყველასთვის ისედაც ცხადი იყო ეს სარკასტული მინიშნება, რომელიც მრუდე სამართლის მწარმოებელთა მისამართით და მათ სამხილებლად იყო მიმართული.

ნაზდაკები, აზდაკისგან განსხვავებით, ჩუმად არიან.

რაღა მე ვთქვა და ავიკიდო ჩემდა ჭირად და თავის ტკივილად?

თანამედროვე შოუბიზნესში „ფანერაზე“ მომღერლები დიდ ფულს აკეთებენ. ეს ისე, ჩემთვის ვთქვი ორიოდ სიტყვა, საქვეყნოდ კი ვაცხადებ:

ამ პატარ-პატარა დეტალებიდან ხვალ დიდი ლეგენდა თუ წარმოგვიდგინეს ნიუ იორკში სააკაშვილის წარმატებული ვიზიტის შესახებ, ხომ დაეთანხმებით იმათ, ვინც დარწმუნებულია, რომ ამქვეყნად გასაოცარი არაფერი ხდება, რადგან მზისქვეშეთში ყველაფერი საოცარია?

# ნატოს პოზიცია საქართველოსთან და რუსეთთან დაკავშირებით



**ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუნსენი, ეტყობა, ის იმედია ჩვენთვის, რომელიც ბოლოს კვდება. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრმა ქვეყნებმა, კარგა ხანია, ხელი ჩაიქნიეს საქართველოზე. ჩვენი არმიღება გადაწყვეტილი საკითხია. ეს პატიოსანი კაცი კი დროდადრო ისეთ წინადადებებს წარმოთქვამს, რომ ჩაფერფლილ ოცნებებს ნაცარს გადააყრის და ოდნავ გააღვივებს იმედის ნაპერწკალს. თუმცა ესეც ძალიან პირობითია, რადგან უფრო რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზეა აქცენტირებული და საქართველოს საკითხს ეხება „იმდენად, რამდენადაც“...**




რასმუნსენს მიაჩნია, რომ ნატო-რუსეთის გაუმჯობესებული ურთიერთობა არის ევროპაზე გადებული ის ხიდი, რომელიც „ევროპას უფრო სტაბილურსა და დაცულს ხდის. დიახ, ხანდახან გვაქვს უთანხმოება და ფუნდამენტურად არ ვეთანხმებით ერთმანეთს ზოგიერთ საკითხში, ისეთში, როგორიცაა საქართველო, მაგრამ ჩვენ ვისწავლეთ ის, რომ ამან არ დაჩრდილოს ამ ურთიერთობის მნიშვნელობა და პოტენციალი, რათა ყველა ჩვენგანი უფრო დაცული იყოს“.

**მიაქციეთ ყურადღება: ნატოსთვის საკითხთა საკითხია ევროპის უსაფრთხოება, რისი გარანტიაც რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაა. მართალია, მათ შორის არის უთანხმოებანი, მაგრამ ხანდახან არ ეთანხმებიან ერთმანეთს, ანუ — ზოგჯერ. ამასთან, ქვეყნებს შორის სრული იდილია, სრული თანხმობა და სრული ერთიანობა ყველა საკითხში ნატოს წევრ სახელმწიფოთა შორისაც არ არსებობს.**

რასმუნსენი პრაგმატიკოსია, არ ცდილობს, სასურველი რეალობად წარმოაჩინოს, ლაპარაკობს, რუსეთთან ვერ შევთანხმდებითო, მაგალითად, რუსეთის ჯარის მასობრივ კონცენტრაციაზე საქართველოში მისი მთავრობის ნების საწინააღმდეგოდ, რუსეთის გადაწყვეტილებაზე სარაკეტო დანადგარების საქართველოში დაყენების შესახებ და სხვა, მაგრამ კატეგორიულად ასკვნის: **„ამას ყველაფერს პარალიზების ნებას ვერ მივცემთ“.**

რატომ?

**ნატოსთვის საკითხთა საკითხია ევროპის უსაფრთხოება, რისი გარანტიაც რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაა. მართალია, მათ შორის არის უთანხმოებანი, მაგრამ ხანდახან არ ეთანხმებიან ერთმანეთს, ანუ — ზოგჯერ.**

იმიტომ, რომ „ეს ყველასთვის კონტრპროდუქტიულია“.

რას ნიშნავს ეს? ელემენტარულ რამეს — მიზანშეწონილობის პრიორიტეტს — „ჯერ თავო და თავოო...“

**ხოლო საქართველო თავისი გადაუჭრელი პრობლემებით არის ტერიტორია, რომელმაც, „მასპინძელი ქვეყნის თანხმობის პრინციპიდან“ გამომდინარე, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, განალაგებს თუ არა სარაკეტო სისტემებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ამერიკული უნდა იყოს.**

რასმუნსენის პოზიცია სრულად შეესაბამება გასულ კვირაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, **ჰილარი კლინტონის** განცხადებას იმის თაობაზე, რომ არავითარი დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიებზე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების გასამართად.

**ამისთვის ვჭირდებით და ამ ფონზე რასმუნსენის იმედიანობის წარმოსახვითი არსებობაც საბოლოოდ გაქრა.**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «სოციალისტური «ობშჩაგიდან» — კაპიტალისტურისკენ,

## ანუ ცხრაკლიტულს იქითა კორუფციის შესახებ

**სოციალისტური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ჩვენთან რევოლუციურად განხორციელდა, საბაზისო ურთიერთობათა ცვლილების დონეზე. მაგრამ სტატისტიკური რეალობის მიღმა ვირტუალურად არსებობს ზედნაშენური მოვლენები, რომლებიც ფორმირებად გარემოს „არასაწესდებო ურთიერთობებით" ჰყოფს. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა კი იმაზე, რაც ყველაზე უფრო აწუხებს მოქალაქეებს.**



**საქართველოში ხელისუფლებამ ბიზნესს არაოფიციალური გადასახადი დაუწესა. ლაპარაკი იყო 500 მილიონ ლარზე. შემდეგ და შემდეგ ფულის გამოძალვის ახალი ფორმები და მეთოდები გამოიყენეს, ისეთი, როგორიც, მაგალითად, პროცესუალური შეთანხმებებია, ასევე, დაკავებულების გირაოთი გათავისუფლება და ა.შ.**

### ბაზარი ჩვენი განგაშისა

გაზეთის ფურცლებზე გადმოტანილი საბაზრო თემა ასე წარმოჩნდება: **ფასების ზრდის ტენდენცია პრაქტიკულად ყველა პროდუქტზე 100-150 პროცენტს აღწევს. თუ შარშან ერთი კილოგრამი ლობიო 2-2,5 ლარი ღირდა, დღეს 4-5 ლარია, ჭარხალსა და სტაფილოს 1,5 ლარად ყიდიან, ნიორს — 9-10 ლარად, ბულგარულ წიწაკას — 3 ლარად, კომბოსტოს — 60 თეთრად, ნიგოზს — 18-20 ლარად, მწნილს — 3,5 ლარად, სოკოს 4-6 ლარად. გაძვირდა ზეთი, ხორცი, რძის ნაწარმი, წიწიბურა ხომ გაძვირების რეკორდსმენია. 20-30 პროცენტით იმატა ფასმა ჰიგიენის საშუალებებზე. ამის მიზეზად მოვაჭრენი განბაჟების საფასურის გასამმაგებას ასახელებენ. გამყიდველები აღნიშნავენ, რომ პროდუქტების გაძვირებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მყიდველთა რაოდენობა.**

**შედეგი ასეთია: 100-ლარიან პენსიას, რომელიც ისედაც 50-60 პროცენტით თუ აღწევდა საარსებო მინიმუმის დონეს, გაძვირების შედეგად საშუალოდ კიდევ 30 პროცენტი დააკლდა. სოციალური უზრუნველყოფის ეს სახე დღეს რეალურად გაუთანაბრდა კრიზისამდელი პენსიის 45 ლარს.**

რა რეაქცია ჰქონდა ამ ყველაფერზე ხელისუფლებას? მასმედია წერდა: **ფასების ზრდის გამო აჟიოტაჟი იმდენად დიდი იყო, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საჭიროდ მიიჩნია, პირადად გამოხმაურებოდა საზოგადოებრივ შეშფოთებას. სახელმწიფოს მეთაურმა მთავრობის წევრებს უბრძანა, „მიიღონ სასწრაფო ზომები" ვითარების გამოსასწორებლად. ეს ღონისძიებები განიხილა მთავრობამ. ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ „კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი ხანგრძლივად მოქმედი საშუალება მოწოდებათა წყაროების დივერსიფიცირებაა". პრემიერმა თქვა, რომ „მთავრობა უკვე დაუკავშირდა ყაზახეთს, უკრაინასა და აშშ-ს, საიდანაც მოგვაწვდიან ხორბალს".**

წყაროები ალმოჩენილია, აქტივობის სპექტაკლი დასრულებულია, სხვა საქმიანი წინადადებები ჯერ არ ჩანს.

დედაქალაქის მერია, რომელიც ვალდებულია, დაეხმაროს თუნდაც სოციალურად დაუცველ ადამიანებს, იზრუნოს პროდუქტების ცენტრალიზებული შემოზიდვის ორგანიზებისთვის ფასდაკლებით ან რაღაც ამგვარით, კრინტს არ ძრავს. ეგებ, გაძლიერებულად ზესაიდუმლო ვითარებაში, ინიციატივიან უგულავას ხელმძღვანელობით შეიმუშავებენ სუპერსანდო ანტიკრიზისულ პროგრამას! მით უფრო, რომ თვით ბატონი მერი საკმაოდ საზოგადო ფიგურაა, რომელიც, ტელესიუჟეტებს თუ დავუჯერებთ, მუშაობს მეპურედაც, ნალბანდადაც და მჭედლადაც და გატაცებულია წითელი ლენტების გაჭრით ადგილობრივი მნიშვნელობის საბავშვო მოედნებისა და სკვერების საზეიმოდ გახსნისას.

### აბა, რა გეგონათ!

ამ დროს კი რუსეთის პრეზიდენტმა შუბლშეჭმუხვნით განაცხადა: „რეგიონების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, ყოველდღიურად თვალყური ადევნონ იმას, რომ მალაზიებში პროდუქტები ნებისმიერი შეძლების მქონე ადამიანისთვის ხელმისაწვდომ ფასად იყოს. ეს განაცხადა გასულ სამშაბათს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და მოითხოვა, გაერკვნენ პურსა და ბურღულეულზე ფასების დაუსაბუთებელი გაზრდის მიზეზებში".

**ძნელი სათქმელია, რა გაგრძელებას ჰპოვებს ეს მეფური ჟესტი იქ, საზღვარს მიღმა. მაგრამ იგი ხაზს უსვამს თუნდაც კრიზისის სიტუაციის ადმინისტრაციულ აღქმას, რაც ასე გვაკლია ჩვენ სხვადასხვა ისტორიული მიზეზით და, აგრეთვე, ჩვენი ბიზნესის საპარლამენტო ალვირამოდებისა გამო.**

ნებისმიერ სხვა ღარიბ ქვეყანაში ძალიანაც უხერხული იქნებოდა ხმამაღლა და საქვეყნოდ ლაპარაკი იმაზე, რომ „წარმატებულ ქვეყანაში" საშემოსავლო გადასახადების შემცირების გრაფიკი, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადავადებულია. გადასახადის ეტაპობრივად შემცირება 20 პროცენტიდან 15 პროცენტამდე დაკონსერვებულია, მისი შემცირება მხოლოდ 18 პროცენტამდე განხორციელდება, ისიც 2013 წლის პირველი იანვრიდან 2014 წლის პირველ იანვრამდე. გამოდის, რომ საშემოსავლო გადასახადი 2013 წლამდე უწინდებურად 20 პროცენტიან რეჟიმში „იმუშავებს". ამას ახალი კანონის გარდამავალი დებულება ითვალისწინებს. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა, ძალაში შევა 2011 წლიდან.

დოკუმენტში სხვა ახალი მასშტაბური ინოვაციებიცაა, მაგრამ **უცვლელი რჩება ყველა საერთოეროვნული და ადგილობრივი გადასახადი.** კანონმდებლების ტიტანური შრომა, რომელიც მათ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად გასწიეს, დასრულებულია! მაგრამ საკითხავია, რამდენი წელიწადი დასჭირდება ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას — ნახევარი საუკუნე თუ საუკუნე?

მართალია, გზა სრულყოფისკენ უსასრულოა, მაგრამ ჩვენ რაღაც აშკარად არ გამოგვდის და სასურველ შედეგებს სახელმწიფოებრივი მიმართულებით ვერ ვაღწევთ, უთუოდ იმიტომ, რომ ნებისმიერ საკანონმდებლო საქმიანობას ვიწყებთ არა მარტო ბიზნესის ცალკეულ პერსონალიებზე სწორებით, არამედ მთელი დარგებისა და მოქმედი საწარმოების „დამკრიშებელთა" სურვილებისა და მითითებების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში უპრიანია სამედიცინო და სამკურნალწამლო ბიზნესის გახსენება! ამბობენ, ფარმაცევტული ფასების დონით ჩვენ ვუსწრებთ განათლებულ ევროპასაც, ინიციატივიან ჩრდილოეთ ამერიკასაც, მოგება კი ამ სფეროებში ასტრონომიულ სიდიდეებს აღწევს სეზონური დაავადებების, ვაქცინაციის პერიოდებში, რომლებიც კრიმინალური სიუჟეტებით არის გამორჩეული. **ასე იმიტომ ხდება, რომ დარგის მონოპოლიზაციას არასოდეს ამჩნევდა ხელისუფლება და ხელსაც არ ახლებდა.** პრეზიდენტი კი სამსახურებრივი მოვალეობის გამო კორუფციასთან ბრძოლის ჭრილში ხან გაითავისებდა აქაურ პრობლემებს, ხან თანდათან ივიწყებდა. ყველაფერი მის გუნება-განწყობილებაზე იყო დამოკიდებული და იმაზეც, თუ რა ქარები ქროდა ოკეანის გაღმიდან საქართველოს მიმართულებით.

სხვა ქარები მას არ აწუხებს.

### გამოცდილების გაზიარების გამოცდილება

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოცდილების გაზიარებას საკმაოდ დიდი ტრადიცია ჰქონდა, რასაც ბელადებიც მხარს უჭერდნენ. მიუხედავად უამრავი უბედურებისა და ნეგატიური მომენტისა, ყველა ერთმანეთს რაღაც გამოცდილებას უეჭველად უზიარებდა, ჭკუას არიგებდნენ ერთმანეთს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები.

ოღონდ არა — ე. წ. მარცხენა ფულის კეთების გამოცდილებას. ამ უზარმაზარი თანხის ლომის წილი რჩებოდა მთავარ სტრუქტურებში, როგორც ქურდული „ობშჩაგა" — კრიმინალური სამყაროს საერთო ფული, ერთგვარი „ბიუჯეტი". **ამ თანხებს აქტიურად იყენებდნენ ხან აუცილებელი შეღავათებისა და რესურსების მოსაპოვებლად, ხან გარკვეული კატეგორიის ჩინოვნიკების კარიერული ზრდისთვის და პირველი პირის თანამდებობაზე გზის გასაკვალად.**

ახალ პირობებში, თამაში ახალი წესების ამოქმედების დროს ძველი „ცუღლუტობა", წესით, დავიწყებას უნდა მისცემოდა.

მაგრამ მოხდა პირიქით.

**ცხონებულმა ქართველმა მილიარდერმა ბადრი პატარკაციშვილმა სწორედ ვარდოვან რევოლუციონერთა დროს სენსაციური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ საქართველოში ხელისუფლებამ ბიზნესს არაოფიციალური გადასახადი დაუწესა. ლაპარაკი იყო 500 მილიონ ლარზე. შემდეგ და შემდეგ ფულის გამოძალვის ახალი ფორმები და მეთოდები გამოიყენეს, ისეთი, როგორიც, მაგალითად, პროცესუალური შეთანხმებებია, ასევე, დაკავებულების გირაოთი გათავისუფლება და ა.შ.**

რაც შეეხება კორუფციასთან ბრძოლის ჩვენს პროვინციულ გამოცდილებას, იგი, თავისი ამორჩევითი ხასიათით, რა თქმა უნდა, მსოფლიო სტანდარტებს არ უპასუხებს. და ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც განვითარებად ქვეყნებში თავის კოლეგებს მოუწოდებს, გაიზიარონ მისეული გამოცდილება, აშკარად აჭარბებს. რადგან საშინაო კორუფციის არსი, ვიყოთ ცოტა გულუბრყვილონი, განსხვავებულად აქვთ წარმოდგენილი როგორც ამერიკელებსა და ევროპელებს, ასევე იაპონელებსა და ახალზელანდიელებს. მაგალითად, **პურს ჩვენი არსობისა რომ ვყიდულობთ, ჩვენ აბსოლუტურად არ ვინტერესდებით მისი წონით, ხარისხით და ა.შ. რადგან თანმდევი ფასების ნუსხა მხოლოდ არქაიკაა დასავლეთის ცივილიზაციის, ჩვენთვის კი არსებითი ფაქტორია, რომელიც საშუალებას აძლევს ტანდემს „ხორბლის წარმოება — პურით ვაჭრობა" მიიღოს ზემოგება პურის ბატონის წონის შემცირების ხარჯზე და ნაქურდალი ნედლეულით აღურიცხავი მასშტაბური წარმოების შექმნის გზით, რომელიც, რა თქმა უნდა, გადასახადებით დაბეგრილი არ არის.**

ეს სისტემა ერთნაირად ნაყოფიერად მუშაობდა გამსახურდიასა და შევარდნაძის დროს და ამჟამადაც ასე ფუნქციონირებს, თანაც აბსოლუტურად დაუფარავად.

გიფიქრიათ ოდესმე, რა შეგიძლიათ მიიღოთ, **თუ პურის საწარმოო წონას 150-200 გრამ ცომს ჩამოაჭრით? ეს არის რეზერვი, რომლითაც იქმნება ჩრდილოვანი მილიონები.** ეს თანხა იატაკქვეშა „კვლავწარმოებას" ხმარდება.

ბოდვაა?

არავითარ შემთხვევაში!

მაშ, რატომ არ ახლავს პურს ფასის მაჩვენებლები? იმიტომ, რომ, როცა გასაყიდად გამოტანილი პროდუქტის წონა არ ედრება თანმხლებ დოკუმენტაციას, მაშინ მჟღავნდება აშკარა კრიმინალი, რის გამოც „ადგილზევე" შეიძლება დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა. ხოლო ფასის მაჩვენებლის არარსებობის შემთხვევაში, ეს დანაშაული უნებურ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. უკვე რამდენი წელიწადია, ასე ვცხოვრობთ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ დარღვევისადმი ინტერესი არასოდეს გამოუჩენიათ მათ, ვისაც ჯერ არს.

გინდა-არგინდა, გაგახსენდება დაფასოებული პროდუქცია — შაქარი, ბურღულეული და სხვა, რომელიც, ადგილებზე „ტანსაცმელჩაცმული", მომხმარებლამდე 50-100 გრამით შემსუბუქებული აღწევს.

მაგრამ ამით ყველაფერი არ ამოიწურება.

**ქვეყანაში, რომელმაც კორუფცია დაამარცხა, ბაზარი მოსახლეობას გულუხვად აწვდის უმდაბლესი ხარისხის პროდუქციას, რომლის ადგილი წესითა და რიგით ამ სივრცეში არ უნდა იყოს.** მაგალითად, ასანთი, ბატარეები, წებო, საპარსები და ა.შ. და ა.შ. გასაგებია, რომ მყიდველი არ ცდილობს შემოჩეჩებული, კაპიკის ღირებულების საქონლის გამყიდველისთვის დაბრუნებას და არც პასუხის მოთხოვნით შეიწუხებს თავს. სამაგიეროდ ბაზრის ფსიქოლოგიის ფაქტორს შესანიშნავად იყენებენ ისინი, ვისთვისაც ეს ხელსაყრელია, რადგან ასეთი უკონტროლობა და ხელშეწყობა საკმაოდ დიდი მოგების მომტანია.

მთავარი შეკითხვა ასეთია: **შეიძლება თუ არა ქვეყანაში, რომელსაც თავი მოაქვს რეგიონში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლიდერობით, არსებობდეს გარკვეული ფენებისთვის მომგებიანი უკონტროლობა? რომელიც „სოციალისტური ტექნოლოგიით", მაგრამ ამჯერად კაპიტალისტური შესრულებით, შუბლის ძარღვის აუტოკებლად რომ ატყუებს მყიდველს წონაში, ფასში, მიასაღებს უხარისხო საქონელს და ასე შემდეგ...** ექსპერტთა შეფასებით, ასეთი უნამუსო დამოკიდებულების შედეგად გაჭირვებული ადამიანები ისედაც ღატაკური პენსიის, მსოფლიო კრიზისების შედეგად დარჩენილი კაპიკების 20 პროცენტს დამატებით კარგავენ.

### მაჟორული ტონალობით

აშკარად არაგულწრფელ საუბრებს ამ თემაზე საქართველოს ეკონომიკის რეალური მონაცემები წარმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ კორუფცია ჩვენთან კედელთანაა მიყენებული და სულს ღაფავს, ეკონომიკა, სპეციალისტების მტკიცებით, თავისი განმსაზღვრელი ნაწილით ჩრდილშია მოქცეული. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ზაფხულს გამოქვეყნებული **ჩრდილოვანი ეკონომიკის გა-** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**◀ მოკვლევის მონაცემებით, რომელიც მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა 1999-2007 წლების პერიოდში მსოფლიოს 162 ქვეყანაში ჩაატარეს და წარმოგვიდგინეს, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკა 6,3 პროცენტით გაიზარდა. ამ და ავსტრიულ კომპანია Eurobserver-ის მონაცემების გათვალისწინებით, ექსპერტები ასკვნიან, რომ ჩრდილოვანი სექტორი საქართველოს საერთო მოცულობის 68 პროცენტს შეადგენს.** რასაც ჩვენი ოფიციოზი, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება, იუხედავად ამ „სტატისტიკური საქონლის“ უცხოური წარმოშობისა.

საქსტატის ცნობით, საერთო ეროვნული პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2010 წელს შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6,6 პროცენტი შეადგინა და ნომინალურად 9,201 მილიარდ ლარს მიაღწია.

ლაპარაკობენ, რომ აქტიურდება საინვესტიციო ველი. ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი, რომელსაც განსაკუთრებულად უყვარს საქართველო, დიდ მშენებლობას იწყებს ბათუმსა და სხვა რეგიონეში. მისი ნიუიორკული შეხვედრების შესახებ საგაზეთო პუბლიკაციებით თუ ვიმსჯელებთ, ტრამპს სააკაშვილის მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს. რა ხდება? თუ იგი ფულის დასაბანდებლად ჩამოდის თუ ამოსაქაჩად?

უნებურად მახსენდება ასლან აბაშიძის დროინდელი „თხილის ლაშქრობა“, რომელიც წამოიწყეს აშშ-ის მაშინდელი პირველი ქალბატონის, ამჟამად კი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის ძმებმა როდჰემებმა. მაშინ ამ საქმისთვის ისეთი დონის პრივილეგიებს ამზადებდნენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტთან ცოლის მეშვეობით დაახლოების მცდელობას ჰგავდა. თუმცა აქედან ვერაფერი გამოდნა. მაშინ არ გამოვიდა. მაგრამ კიდევ ერთხელ რომ სცადონ, რით იქნება ცუდი? ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო მდივნის ნათესავები „ქუჩაში არ ჰყრია“.

ტრამპთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელი არ არის. როგორც ჩანს, ეს არ არის დიდი პოლიტიკა ან, ვთქვათ, მეთიუ ბრაიზას დონემდე მიახლოების საძრომი, რომელიც ვერა და ვერ გახდა ამერიკის ელჩი აზერბაიჯანში სომხეთის ლობისტის, ბარბარა ბოქსერის ხრიკების გამო. ამ ქალბატონმა დაბლოკა მეთიუ ბრაიზას ელჩად დანიშვნა (უახლესი ცნობაა). მაგრამ ქართველების სახალხო კეთილდღეობის გარდა ხომ უნდა ჰქონდეს სხვა აზრი „ტრამპის საქმეს“?

შევჩერდეთ ფინანსების კლანური ინტერესების დაახლოების ვერსიაზე. ვისი ინტერესებისა, ნუ დავაზუსტებთ, რადგან მსოფლიო მასშტაბებზე ნაკლებ, მეჩხერ წყალში არ ვცურავთ. მოგვართვით ტრამპები, მორგანები აბრამოვიჩებთან ერთად და საუზმეზე — როტშილდები.

ეს ყველაფერი კარგად ეწერება კორუფციის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში, გოგირდმჟავასავით რომ ამოჭამს პრეზიდენტის დიდ ტყუილს, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას საქართველოს ეკონომიკური და დემოკრატიული გარდაქმნების ვიტრინად წარუდგენს.

**იური ლევანიშვილი**
**(საქინფორმი)**

# ქართული ოპოზიცია — მკვდარზე «ვენოკი»

**ხელისუფლებას რომ ოპოზიცია „ფეხებზე ჰკიდია“, არახალი ამბავია. აქ საინტერესო მხოლოდ ის არის, რომ „დაკიდების“ შესახებ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები გულწრფელად და დიდი მწუხარებით იუწყებიან.**
**ასეთი რამ ქართველ პოლიტიკანებს არ დაუმსახურებიათო, ძეხორციელიც ვერ იტყვის, რადგან მათ ხალხი არაერთგზის მოატყუეს და მერაბიშვილის „კაციჭამიებსაც“ არაერთგზის დაამცირებინეს.**

სიმართლე გითხრათ, დღევანდელი ოპოზიცია მკვდარზე მიტანილ „ვენოკს“ მაგონებს, რომელსაც ჯერ სადღაც მიაგდებენ ხოლმე, შემდეგ კი საფლავზე მიუჩენენ „საპატიო“ ადგილს. რაც მთავარია, მიცვალებულმა „ვენოკის“ არსებობა-არარსებობისა არაფერი უწყის. ერთი სიტყვით, თვითგვემაში ჩავარდნილი ოპოზიციონერები გამოსავლის ძიებაში ხან ერთმანეთს წაეკიდებიან, ხან სააკაშვილს ლანძღავენ და... ამ ყველაფრიდან გამოსავალს მაინც ვერ პოულობენ.



**ირაკლი ბათიაშვილი, პოლიტიკოსი:**
**„ხელისუფლებამ აბუჩად აგვიგდო და ახლაც დაგვცინის. ხვალაც რომ დანიშნოს სააკაშვილმა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, ისე დამთავრდება, როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“ სურს“.**

ამ „ნაბრძოლ-ნაომარმა“ კაცმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ? ხალხს კიდევ გულის გახეთქვა უნდა? ცოტა იმედი მაინც მიეცით გასაცოდავებულ-გათითოკაცებულ ერს, მოიტყუეთ, ხვალ თუ არა ზეგ უსათუოდ გვეშველებაო. ტყუილი არ გეხერხებათ, თუ რა? არ გახსოვთ, რა გიქნათ სააკაშვილმა? მაგის პატიება როგორ შეიძლება.

**„მაშინ ჩემზე კბილები ჰქონდა ალესილი. ბევრმა საქმეში ჩახედულმა მითხრა, სჯობდა, რომ დაგიჭირეს, რადგან შეიძლებოდა, მოეკალიო“.**

ვიდრე ბათიაშვილს ციხიდან გამოუშვებდნენ, ერთი წელი სახლში იჯდებოდა და პოლიტიკურ ორიენტაციას საბოლოოდ გაარკვევდა, მთელი ამ დროის განმავლობაში თენგიზ სიგუა ცოფებს ყრიდა. სიგუა განსაკუთრებით მაშინ გაშმაგდა, როცა ახალი კონსტიტუციის პროექტი სააკაშვილის მიერ მონადქცეულმა პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.



**თენგიზ სიგუა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**
**„ფეხებზე ვკიდივართ, დღეს საქართველო მსოფლიოსთვის არავითარ პრიორიტეტს არ წარმოადგენს... ესენი ისეთი სწრაფი ტემპით მიდიან სისულელეებისკენ, რაღაც მოხდება... აი, თუნდაც ავიღოთ ახალი კონსტიტუცია, რომელიც პარლამენტმა მიიღო პირველი მოსმენით... როცა ეს წავიკითხე, გავცოფდი პირდაპირ, რაა!“**

ეტყობა ეს „რაა“ გაცილებით მრავლისმეტყველია, ვიდრე მე მგონია, თორემ ყოფილი პრემიერ-მინისტრი უაზროდ არ ჩააკვეხებდა. აბა, რა გასახსენებელია, მაგრამ მაინც, „ბუნდოვნად მახსოვს“, სიგუა და ძმანი მისნი როგორ აცოფებდნენ სამოქალაქო ომებითა და შიმშილობით გაწყვეტის პირას მისულ ქართველობას. ბატონო თენგიზ, ეს ფაქტი არ უარყოთ თორემ „გავცოფდები, რაა“, თანაც პირდაპირ, ირიბად, საყოველთაოდ და პროპორციულად!

ყოფილი პრემიერ-მინისტრისგან განსხვავებით, იმერეთის ყოფილი გუბერნატორი, თემურ შაშიაშვილი განათლების სფეროში არსებულმა პრობლემებმა „ნამეტნავად“ შეაწუხა.



**თემურ შაშიაშვილი, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**
**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სულ ერთი და იგივე გვესმის — წარმატებით განვახორციელეთ განათლების რეფორმაო. ერთი თვის წინათ გამოვიდა პრეზიდენტი და განათლების მინისტრებს სულ სულელები ეძახა — ეს რა გააკეთეს და რა ჩაიდინესო“.**

ეგ ისედაც ვიცით, რომ „სულელების“ ნაკლებობას ჩვენი „ღვაწლმოსილი“ ხელისუფლება არასოდეს განიცდიდა. სანტექნიკოსმა ლომაიამ, იურისტებმა — გვარამიამ და შაშკინმა განათლების სისტემა ისე „აღგავეს პირისაგან მიწისა“, რომ ახლა მისგან ოდენ მტვერ-ბდღვირიღა არის დარჩენილი.

ალბათ, ყველაფერს მაშინ ეშველება, როცა ხელისუფლება შეიცვლება და თითოეულ უწყებას პროფესიონალი კადრები უხელმძღვანელებენ. თუმცა მხოლოდ „ნაციონალების“ სახლში გაშვება საკმარისი არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ მიშას ადგილს ფრიად ამბიციური ნინო ბურჯანაძე ან მსგავსი პერსონა დაიკავებს.



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**
**„მოდი, ჯერ მიშა გავუშვათ, მერე ვილაპარაკოთ, ვინ გახდება პრეზიდენტი და ვინ ვის არ მისცემს პრეზიდენტად გახდომის შესაძლებლობას“.**

არ მესმის, რა უნდა ბურჯანაძეს. მილიონების პატრონი ვიყო, მამამ ქატოფქვილით ზღაპრული ცხოვრება მომიწყოს, პარლამენტში ჯერ დეპუტატობა მიყიდოს, შემდეგ — თავმჯდომარეობა, ორგზის დროებით ვიპრეზიდენტო, პოლიტიკური რეიტინგი არ მქონდეს და კიდევ ქვეყნის მართვაზე „ვიქაჩებოდე“?! წადი, დაჯექი სახლში და შეირგე ეგ „ლიმონები“, „რაა“!

ცხადია, ჩემს რჩევას ნინო არ გაითვალისწინებს, რადგან ახლა ყველაზე დიდი ოპოზიციონერის იმიჯის შექმნას ცდილობს და იქით, გაღმა სხვებს ედავება, ორმაგ თამაშს თამაშობთო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

**„თუ ასე ძალიან ენატრებოდათ მერაბიშვილთან, ბაქრაძესთან, გიგი უგულავასთან გვერდით ჯდომა, ჩახუტება, მათთან მოლაპარაკებები და კონსულტაციები, იქ არ იყვნენ? დარჩენილიყვნენ და ყველაფერი იქნებოდა გასაგები. როცა ხარ ხელისუფლებაში, გასაგებია, რომ მხარს უჭერ. როცა ხარ ოპოზიციაში და თავი მოგაქვს, რომ ოპოზიციის ლამის ლიდერი ხარ, ეს ყველაფერი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია“.**

დააკვირდით, როგორ ჰგავს ერთმანეთს, გაჭრილი ვაშლებივით, ბურჯანაძისა და გიგი წერეთლის განცხადებები. ორივე ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დააკნინოს ისედაც ქმედუუნარო ოპოზიცია და ამით მიშას ასიამოვნოს.



**გიგი წერეთელი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**
**„ვიღაცისთვის ბრძოლის გარკვეული ხერხია გალიაში ჯდომა, ვიღაცისთვის — შიმშილი, ზოგიერთისთვის — ბევრი სმა ჭამა და კარგი დასვენება. ოპოზიციურ პარტიებშიც და ლიდერებშიც ძალიან ბევრი გაუნათლებელი ადამიანია“.**

ბატონო გიგი, უვიცები ხელისუფლებაში მოიკითხეთ! ზოგიერთ მათგანს ჯერაც ვერ გაურკვევია, რომელ სამინისტროს და რატომ ხელმძღვანელობს. მეტიც, იმ „ზოგიერთ მათგანს“ ელექტრო ბოძის დანახვაზე დღესაც კი ტანში აჟრიალებს, ეტყობა, ცოტა ისეთ ბარებში რომ აქვთ სპეციალურად მოწყობილი ბოძები, იმას აგონებს და წარსული ენატრება.

ერთხელ მაინც გეყოთ იმის ვაჟკაცობა, რომ გამოხვიდეთ და სააკაშვილის დამღუპველი მმართველობა თუნდაც მცირედით გააკრიტიკოთ. რაც თავი მახსოვს, თქვენ ყველა ხელისუფლებას ერგებოდით მანამ, ვიდრე არ შეიცვლებოდა და ასე, მირგებ-მორგებაში პარლამენტარობა მუდმივ სამსახურად აქციეთ. რატომ იმის შესახებ არაფერს ამბობთ, რამდენი „ნაცმოელი“ კოლეგა გიზით მაგ ავადსახსენებელ „განსასვენებელში“ დაუმსახურებლად.

იქნებ არც ის იცით, ბატონო გიგი, რომ მიშას ყველგან დასცინიან, აბუჩად იგდებენ და მის ყოველ ნაბიჯს გონებაშეზღუდული ადამიანის მოქმედებად ნათლავენ? სააკაშვილის ქალთმოყვარეობის შესახებ ხომ ლეგენდები დადის! ჩემი თუ არ გჯერათ, წარსულში თქვენთვის სათაყვანებელ ექს-პრეზიდენტ, შევარდნაძეს მაინც დაუჯერეთ, რომელსაც ფეხქვეშ ეგებოდით და ვისზეც ლამის მზე და მთვარე ამოგდიოდათ.



**ედუარდ შევარდნაძე, ექს-პრეზიდენტი:**
**„სააკაშვილს კი არა, ქართველი ქალები მეც მომწონდა და ახლაც მომწონს, მაგრამ მე ქართველ ქალებთან იმას არ ვიკადრებ, რასაც მიშა კადრულობს“.**

ვერ გეტყვით, ეს გახდა მიზეზი თუ სხვა რამ, ზვიად ძიძიგურმა არც აცია და არც აცხელა, მიშას შესახებ „მოკლესიუჟეტიანი ლოცვა“ წაიკითხა, ოღონდ ბოლოში „ამინ“ არ უთქვამს.



**ზვიად ძიძიგური, კონსერვატიული პარტიის ლიდერი:**
**„სააკაშვილს ტყუილად ჰგონია, რომ ოპოზიციასთან დაამთავრა ბრძოლა და ხელისუფლებას შემორჩა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე“.**

მოკლედ, ვიდრე ძიძიგური და ყოფილი პრეზიდენტი მოქმედს ამასხარავებდნენ, ირაკლი წერეთელმა (ცოცხალი ყოფილა!) დრო იხელთა და ამაყად განაცხადა, ბურჯანაძეზე ნაკლები ვითომ რითი ვარ, ტანი მაკლია თუ ფეხი, პრეზიდენტობა მეც მინდაო.



**ირაკლი წერეთელი, დეოკუპაციის კომიტეტის თავმჯდომარე:**
**„ყველას მოვუწოდებ, დაუჯერონ ირაკლი ძიას, თორემ ცუდად წაუვათ საქმე. მე ვარ ლიდერი, მაგრამ ბოღმიანები და შურიანები ხართ და არ გინდათ, დამინახოთ. სანამ არ დამინახავს საქართველო ისე, როგორც საჭიროა, არაფერი გეშველებათ ქართველებს“.**

ჩემო ირაკლი, სრულიად საქართველოს მტერსა და ავადმახსენებელს მანამდე არ აუდგეს გვერდები, სანამ შენ პრეზიდენტი გახდები!..

**გიორგი გორგაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მანგლისური ინგლისური

**ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს რომ ვუყურებ, უფრო და უფრო ღრმად ვრწმუნდები, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბედს ადამიანის ცხოვრებაში.**
**მე, მაგალითად, თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ბედი ნაკლებად მწყალობს.**
**აბა, რას მივაწერო ის, რომ სკოლაში მაინცდამაინც გერმანულ ენას ვსწავლობდი?! ხომ სულ ერთია და, შე დალოცვილო (პირი ჩემსკენ გიქნია), ისწავლე თურმე ინგლისური. სულელები კი არ არიან, მთელი ინგლისი რომ ინგლისურად ლაპარაკობს!**

არა, მართლაც ბედის ამბავია, თორემ ჩვენს პრეზიდენტს ხომ შეეძლო ეთქვა — გერმანული ისწავლეთო?! მე ბევრი არა, მაგრამ ცოტა გერმანული ხომ ვიცი სკოლიდან, ცოტასაც მივუმატებდი და გახდებოდნენ ჩემი მეგობრები გენშერი და კოლი. ახლა რა ვქნა? ინგლისურად მარტო ორიოდე სიტყვა ვიცი: „აი ლავ იუ და გუდენ მორგენ"... (ბოდიში, ისევ გერმანული წამომცდა).

არადა, ახალი კანონების თანახმად, თუ ინგლისური არ იცი, უმანქანო კაცის არ იყოს, ადამიანად არავინ ჩაგთვლის...

**მე ხომ გვარიან ასაკში ვარ და იმან რაღა ქნას? ვინ? ვინ და გურიიდან მანგლისში რომ ბებია მყავს გათხოვილი. შვილი და შვილიშვილები თურქეთში ჰყავს გაგზავნილი საშოვარზე და ზის მარტო საწყალი მანგლისში. ხანდახან ავაკითხავ-ხოლმე და გავამხნევებ, აბა, მეტი რა შემიძლია ამ დროში! რა გეხუმრება, შე უპატრონოო, მეტყვის მკითხველი. მინდა, ვუპასუხო, რომ „ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, ცოტა სიმართლე მაინც თუ არ ურევია შიგ" — ეს ერთი და მეორეც, როგორც ყოველთვის, ტრადიციულად, ახლაც ვაფრთხილებ მკითხველს, რომ ნაწერის ბოლომდე ჩაკითხვაა საჭირო, ისე კითხვებს და შენიშვნებს არ ვიღებ.**

ხო და იმას ვამბობდი...

ავაკითხე ამ ერთი კვირის წინათ ამხანაგის მანქანით ჩემს გურულ გამანგლისელებულ თამარა ბებიას მანგლისში. რას ხედავს ჩემი თვალები! დამჯდარა ბებია შუაგულ ეზოში კოხტად და ლამაზად, ხელში აკორდეონი დაუჭერია, წინ ნოტები უდევს და „ჩალიჩობს": დო, რე, მი, ფააა...

**ოპტიმისტები არიან გურულები. თამარა „ზეოპტიმისტია", სიბერეში სწავლობს გარმონზე დაკვრას (სად ჯანდაბაში იშოვნა ის აკორდეონი, ძნელი გამოსაცნობია). ალბათ, ისე, თავის გასართობად და დროის მოსაკლავად, თორემ მაგან რომ ვინმეს ქორწილში „შაბაშზე" დაუკრას, ასაკი ნაკლებად გაუშვებს.**

ჩვენს დანახვაზე თამარამ აკორდეონი მხრებიდან მოიშვლიპა, უყურადღებოდ მიაგდო და შემოგვეფოფინა — თქვენ გენაცვალოთ ბებიე, რომ არ მივიწყებთ ბებერ ცისცასო.

ცოტა ხანში ჩემმა ამხანაგმა წამოაყრანტალა (კაი უზედური ჰყავს ისიც გამჩენს):

**— თამრო ბებო, ახალი ამბავი თუ იცი შენ?**

**— რა ბებო, სოხუმი ხვარ დევიბრუნეთ? — თვალები გაუბრწყინდა ქალს.**

**— სოხუმი არა — ტუაფსე!**

**— აბა, რა ბებია?**

**— შენ თუ იცი, თამრო ბებო, რომ ახლა შენი ხნის მოხუცებს, თუ ინგლისური ენა არ იცის, პენსიას აღარ მისცემენ?**

**— მემასხრები ხო, შე ტვინადუღებულო?! — პირი გაუშრა საწყალს და მე გადმომხედა.**

**— კი, ასეა ბებო, ინგლისურის ცოდნის გარეშე ფაფუ პენსია,** — დავადასტურე ამხანაგის ნათქვამი.

აქ კი რაც მოხდა, კოშმარულ სიზმარშიც თუ ნაკლებად ნახავს ნორმალური ადამიანი.

ბებიამ საგარეო „ბასანოშკებში" წაუყარა ფეხები ელვისებურად და კიბეზე დაგაზა.

გამოვენთეთ უკან და ძლივს დავიჭირეთ ჭიშკართან.

**— სა მიხვალ ალექსანდროვნა!** — მოვუქციე გურულად.

ბებიამ უხეშად მოგვიცილა:

**— გამიშვით ხელი! — ახლა არ თქვით, თუ ინგლისური არ იცი, პენსიას არ მოგცემენო?! მაგით მიდგაა სული!**

**— კი... მაგრამ სად გარბიხარ?**

**— სახელმძღვანელო არ ვიყიდო, თქვე აბდლებო? რო გააძვირებენ, მერე მე მაგის მყიდველი ვარ? (არ ვთქვი, ოპტიმისტია-თქო?!).**

**— გაჩერდი, გეხუმრეთ...**

**— მასთე ვითომ ხუმრობენ პარლამენტშიც, მარა მერე სულს მიმწარებენ! გამიშვით, კაცო!**

**— ბებო, ნუ გეშინია, ახლა ინგლისურის პედაგოგები ჩამოიყვანეს 1000 ცალი და შენც შეგხვდება, ალბათ, ერთი; მოვა და გასწავლის.**

**— მეიცა და, გურული ლაპარიკი იციენ იმგნებმა?**

**— არა, გურული ენა შენ ასწავლე, მაგიორში იგი გასწავლის ინგლისურს და იქნებით ბარი-ბარში.**

ბებია ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ ისევ გამოცოცხლდა.

**— ნენა, კაი ვორმოცი წელია, მე აქეთ ვარ გამოთხოული და ი გურული ქე დამავიწყდა პიწიწ-პიწიწ, რაი ვასწავლო?**

**— შენ თუ გგონია, ბებო, იმგენმა იმაზე მეტი ინგლისური იციენ, შენ რო გურული გახსოვს, ძაან ცდები. რავარ ინგლისურსაც იგენები გასწავლიენ, შენც იმფერი გურული ასტავლექენ,** — მოვნახეთ გამოსავალი.

**— კაი მაშინ,** — საბოლოოდ დამშვიდდა მოხუცი, მანგლისურს ვასტავლი მე და ინგლისური მასტავლოს იმანაც. იქვე მიგდებულ აკორდეონს დაწვდა, მოიმარჯვა და წკრიალა ხმით დაამღერა: „ახ ნეტავი ერთათ იყოოოს, მანგლისი და ინგლისიიი".

***

ბებიას საქმე მოთავებულად შეიძლება ჩაითვალოს, წესით. მაგრამ ჩვენს პაწაწინა მომავალ თაობას რა ეშველება? რავარი საქმეა, პირველ კლასში მისულ ცეროდენა ბავშვს ჩხირების მაგივრად რომ უზარმაზარი გამოსხივების კომპიუტერის წინ დასვამ და, ჯერ რომ კოვზის დანიშნულება მიახლოებით იცის, დაავალებ — გინდა თუ არა ინგლისური ისწავლე, თუ არა კომპიუტერის უკნიდან ამოძვრება ინგლისელი ბუა და შეგჭამსო? ხომ დაუინვალიდდა სული და გული?!

**ჯერ ჩემს დროს ეზარებოდათ სკოლაში წასვლა ბავშვებს, ვიღაც ცილინდრიანი და ბერეტიანი მასწავლებლების შიშით. ახლა რომ „სპეცფორმაში" (მუნდირ!) ჩაცმული მანდატურები დაადგებიან თავზე, შეიძლება ერთი თვე გაძლონ იძულებით, მაგრამ ერთი თვის შემდეგ „ბუქსირით" თუ მიათრევენ სკოლაში, თორემ ძნელი დასაჯერებელია, თავისი სურვილით გავარდნენ დილაუთენია და „დაფა გააპრიალონ, გამოალონ ფანჯრები".**

ახალი კანონი კი ულმობელია, მეგობრებო. არ ისწავლი კარგად? დაისჯები. არ მოიქცევი, როგორც საჭიროა? წახვალ და ტუალეტს დაასუფთავებ! დერეფანს და საკლასო ოთახებს დაგვი-დააწკრიალებ! ისე, ზოგი მგლისკენ, ზოგი თხისკენო, ნათქვამია. ამ ახალ წესსაც აქვს თავისი ხიბლი და დანიშნულება — დამლაგებელი, როგორც წარსულის გადმონაშნი — გადის თამაშიდან.

ეს კიდევ რაა? ამ ბოლო დროს სულ გაუვიდათ თავს მოსწავლეებს, ვითომ არ იცით, როგორ ცეკვავდნენ მასწავლებელთან ერთად ალგებრის გაკვეთილზე „ფოქსტროტს" „ბავშვები". როგორ არჩევდნენ საქმეებს შუა გაკვეთილზე... აბა, ახლა გაბედონ! პირდაპირ სამტრედიაში გადააგზავნიან ურჩებს და იქ რაც მოუვათ, თავიანთ თავს დააბრალონ... იქ კი იცოცხლეეე! მაკარენკო მონაგონი იქნება, ასე ვფიქრობ მე და საქმესაც ასეთი პირი უჩანს.

დარჩენილი „წარჩინებული" მოსწავლეები კი გამოვლენ ინგლისურენოვანი მოქალაქეები, ჩააბარებენ უმაღლეს სასწავლებლებში და იქვე ისწავლიან ზოგადად ქართულს.

თქვენ თუ გგონიათ, რომ ახლა მე ვხუმრობ, ეს თქვენი პრობლემაა, მაგრამ თავში ხომ ვთქვი: „ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი"-მეთქი?!

თუ მაინც არ გჯერათ, აგერ გავაჩერებ ახლა გამვლელ, საშუალოდ ჩაცმულ-დახურულ ძიას:

**— ბიძაჩემო, რა აზრის ბრძანდებით ინგლისური ენის აუცილებლობაზე?**

**— რა მოგახსენო, ბიძიკო... მე მახსოვს ამ ორი ათეული წლის წინათ ჩვენს სახელმწიფო ენად რუსული ენა რომ კინაღამ გამოაცხადეს. ახლა, ინგლისური ენა თუ აქციეს ძირითად ენად, რაც აშკარად ჩანს, ძალიან არასასიამოვნო ამბავი იქნება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძნელი ასათვისებელია; მეორეც, იმიტომ, რომ, მართალია, ზოგიერთი ნამუსზე გვაგდებს — შექსპირის ენას წუნობთო, შექსპირი კია შექსპირი, მარა რუსთაველი რითაა ნაკლები?**




**— მართალი ბრძანდებით, ბიძია.**

**— მართალი ვარ, აბა, არ ვარ მართალი? შე კაი ადამიანო, რუსული ენა უფრო ახლოს არაა ჩვენებურთან? თავისით გახვედრებს რუსული სიტყვის ქართულ მნიშვნელობას.**

**— მაგალითად? — არ ვეშვები.**

**— მაგალითად „ზავტრაკ". ადვილად მიხვდები ქართულად რომ „საჯდომის გამგეს" ნიშნავს ან, მაგალითად, „აგურჩიკ", ე.ი. პატარა, მომცრო აგური... და ვინ იცის კიდო, რამდენი ამისთანა! მართალია, კი გვაქვს რუსებთან ცოტა დაძაბული ურთიერთობა, მაგრამ დროებითია მაი ყორიფელი. მიხვთება ხალხი, რომ რუსი მარტო პუტინი და მედვედევი არაა, ესენინი და პუშკინი რაჭველები კი არ იყვნენ, ჩემო ბიძია?! რუსები იყვნენ და მსოფლიო გადარიეს... ასთე რო, მე ნუ გამამხელ და შენ დაწერე რავარცხა გინდა.**

ა, ბატონო... ესეც მე ვარ?!

მოკლედ, კიდევ ერთხელ დავდექით დილემის წინაშე, მაგრამ ქართველებს ეგეთები გადაგვიტანია?

ამერიკასთან ვიმეგობროთო.

**ამერიკა რომ თავისთავად სუპერსახელმწიფოა, ამაზე ვინ დაობს, არის, იყო და იქნება. არც ამაგის დავიწყებაა „მადურობა", აგვისტოს ომის დროს რაც მაგენმა ჩვენზე „იშფოთეს" (ისე, დღესაც შფოთავენ), მარტო ის რად ღირს, მაგრამ, აბა, გაბედოს ვინმემ და თუნდაც 37 ევროდ სცადოს იქ მოხვედრა (უბრალო მოკვდავებზე მაქვს ლაპარაკი, თორემ „ვერტუშკის" ხალხი კი დაფრინავენ, როცა „გულს სევდა შემოაწვებათ").**

**ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამერიკელს გააგებინებ შენ შენს გასაჭირს? რუსებს კი ეტყოდი: „ვაზმი ჭაჭა" და, სანამ ეს დალოცვილი ქართული „საწვავი" არ გამოგელეოდა, ვადიმიც შენი იყო, ვიტიაც, ვანიაც და კოლიაც**... ამერიკელს შენი ჭაჭა რომ შესთავაზო, ჩაგიმთხვლევს ჭაჭებს!

მაგათ ვისკი დაანახვე და...

**— აპა, ამერიკელი ზანგები რო ცხოვრობენ საქართველოში, იგი ხო კაიაო? შემომედავება „ახალი ქართველი".**

ე, მაგაშია სწორედ საქმე. ქართველები უმადურები როდი ვართ, ეგერ, ბატონო, გრიბოედოვმა შეირთო ქართველი ქალი და ძეგლი დავუდგით ქორწინების სახლთან. ზანგებმაც შეირთეს ქართველი გოგოები, მაგრამ რომელიმე ზანგმაც რომ ძეგლის დადგმა მოგვთხოვოს, თქვენი სიძე ვარ, ბოლოს და ბოლოსო, გამოვა მაგ საქმე? არ გამოვა, ბატონებო. არ გამოვა ერთი უბრალო და მარტივი მიზეზის გამო, რომ იმ ძეგლს ღამით ვერავინ დაინახავს და შარი გვინდა ახლა ჩვენ კიდე?!

სწავლა-განათლებაზე დაიწყე და საით გაუტიეო, შემომედავება ახლა რომელიმე სკეპტიკოსი. მართალიც იქნება... მართალია, მაგრამ სწავლა-განათლებაც ხომ პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია!

თუ გგონიათ, რომ საწერი მასალა შემომაკლდა? არც იფიქროთ. საწერი იმდენი მაქვს (მომავალში გაახლებთ), რომ „შეშფოთებულად გაგიკვირდებათ".

აინშტაინს უთქვამს: „უბედურია ის კაცი, რომელსაც გაკვირვება-გაოცების უნარი არ აქვსო".

თუ ამ გენიოსს „ავყვები", თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე ბედნიერი კაცი ვარ, რადგანაც ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო ხდება, მიკვირს და მაოცებს.

მაოცებს ის, რომ ქართველებს ამ ბოლო დროს არაფერი უკვირთ და არაფერი აოცებთ.

მაოცებს ის, რომ მიუხედავად სიდუხჭირისა, თბილისსა და მის შემოგარენში უხვად მიმოფანტული რესტორნებიდან გამოდის რიხიანი ქართული სიმღერების ხმა: „მასვი, მაჭამე, მალხინეეე!"

მაოცებს ამ ბოლო დროს გავრცელებული დიალოგები:

**— ქეთინოო, შენი ბაღანა თუ არაა სახლში, ცოტა ხანს მისი კომპიუტერი ათხოვე ჩემს ბაღანას, მოწყენილია რაცხა! ხაზი ქე გვაქ...**

და პასუხი:

**— გათხოვებდი, ჩემო თინიკო, რავა არ გათხოვებდი, მარა ვირუსი შეეყარა და ლოგინში მაქვს შეფუთული. იქნება ოფლი მეიდინოს!**

მაოცებს, ბატონო, ისიც, რომ ჩვენი ოპოზიცია საეჭვოდ ჩუმადაა. არადა, გადის შემოდგომა. სხვას თავი გავანებოთ და, ყველაზე მეტი იმედი რომ მქონდა, არც ზვიად ძიძიგური ჩანს თვალის საწიერზე, დრო გადის უზარ-მაზაარი და რა ვიფიქრო და რა წყალს მივცე თავი, არ ვიცი! მაოცებს, ბატონო, ისიც, რომ გუშინწინ ზანგმა კეკიკუმ სვანეთის უბანში 35 წლის ნოდარა ბეშკენაძე გალახა — ჩემ უბანში ნუ მიტრ...ბო! თქვენ არ გაოცებთ?

ალბათ, ცოტა თუ იტყვის, კიო... ბევრი, ანუ უმეტესობა, — არაო... ესეც კი მაოცებს და რა ვქნა?

ა, ბატონო, მე რომ ამას ვწერ, თურმე ცოლი დამდგომია თავზე, ჩუმად უყურებს, როგორ ვაგვირისტებ ამ ჩემს „გაოცებებს" და იცით, რა მითხრა? — „შენ, ბიძია, კაცი ხარ თუ კითხვის ნიშანიო?

ა... ასეა საქმე და, რაც ვერ ან არ დავწერე, მომავალში შეგატყობინებთ.

წარმატებულობანას გისურვებთ, ჩემო ქართველებო! თუმცა ტრადიციულად ერთ „წვერებიან" ანეკდოტსაც შემოგთავაზებთ, რომელიც ამ დროშიც შეიძლება თქვას გაბედულმა კაცმა.

ერთი აფერისტი სამამულო ომშია რიგით ჯარისკაცად, რა თქმა უნდა. ბედი რა ვთქვი მე და წინა ხაზზე მოხვდა მაინცდამაინც უბედური.

— ვ პერიოდ! — დაიძახა მეთაურმა.

— ურააა! — წამოიშალნენ წინახაზოვნები და გავარდნენ — ზა სტალინუ! ზა როდინუუუ!

ამ უბედურობას რომ შეხედა აფერისტმა, ნელ-ნელა დაიწყო უკან დახევა, ჯერ სხვა მოკვდეს, თუ კაიაო, მაგრამ ამ „ზადნი-ზადნი" სიარულში მეთაურს დაეჯახა ზურგით.

— სად მიიპარები, დეზერტირო! — შესძახა მეთაურმა.

აფერისტი რის აფერისტი იყო:

— მივიპარები კი არა, ტავარიშ კამანდირ, „რაზგონს" ვიღებო!

ე, მგონი, ასეა ჩვენი ოპოზიციის საქმეც...

**მურმან მერკვილიშვილი**
**თბილისი, შემოდგომა, შუადღის 57 წუთი...**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### სოსო ჯაჭვლიანი:

# სახლში თუ არც ცოლს უნდიხარ და არც შვილს, გარეთ რად მინდა შენი პოპულარობა?!

**ტოკიოში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე ტურნირიდან მოიხნა, რამაც ძიუდოს ფედერაციაში დაძაბულობა შექმნა. თანამდებობები დატოვეს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა, სამწვრთნელო შტაბმა და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა. დაძაბულობა ფედერაციაში დღემდე გრძელდება. შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტს სოსო ჯაჭვლიანს ვესაუბრეთ.**



**— ბატონო სოსო, რას ფიქრობთ ძიუდოს ფედერაციაში განვითარებულ პროცესებზე?**

— ხელისუფლება უხეშად რომ ერევა ფედერაციის საქმიანობაში, ყველა ვხედავთ და ეს ცუდია, მაგრამ ამ ჩარევას მიზეზები აქვს. სამწუხაროდ, საზოგადოებამ ყველაფერი არ იცის. უკეთ რომ ავხსნა სიტუაცია, მაგალითს მოვიყვან. ვთქვათ, გადაცემაში სამი ყველასთვის ცნობილი ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, ლევან თედიაშვილი და ვიქტორ სანაევი საუბრობენ სპორტზე. ნონა გაფრინდაშვილმა ჭიდაობაზე რაღაც თქვა. ამაზე ლევან თედიაშვილს შეიძლება გაეცინოს, მაგრამ მეორე დღეს საზოგადოება იმაზე იკამათებს, ნონამ ხომ თქვა ასეო?! ნონა ხომ ჭადრაკშია გენიოსი და არა ჭიდაობაში. ამას არავინ უყურებს. უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ყველას თავისი ადგილი ჰქონდეს და არავის ავურიოთ ტვინი.

როცა საუბარია იმაზე, ჩარევის უფლება აქვს თუ არა ხელისუფლებას, მინდა სიმართლე ვთქვა, თორემ საზოგადოება იტყვის, წადი შენი მიკერძოებული დედაცო. რა თქმა უნდა, ფედერაციების საქმიანობაში ჩარევის უფლება არავის აქვს. ესაა დამოუკიდებელი შპს. სახელმწიფოს ვალდებულება აქვს აღებული სპორტის განვითარებაზე და ბიუჯეტიდან გამოყოფს თანხებს ფედერაციებისთვის. მე რომ შენ გეხმარები და გიწერია, რომ იურიდიულად ჩარევის უფლება არ მაქვს, მორალურად ხომ მაქვს უფლება, რაღაც გითხრა? მითუმეტეს ისეთ ფედერაციებზეა საუბარი, რომელთაც ყველაზე დიდი დაფინანსება აქვთ სახელმწიფოს მხრიდან. ჩარევის უფლება, ამ შემთხვევაში, აქვს, მაგრამ გარკვეული დოზით. როცა ამას ვამბობ, ვერავინ იტყვის, რომ ამ მთავრობის მაქებარია სოსოო.

არსებობს პრიორიტეტები, მიმართულებები და სტრატეგია. ეს სახელმწიფოს მიმართულებაზე როცა ვსაუბრობ. მაგრამ მე, როგორც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, დავამატებ, რომ პრიორიტეტი სპორტში უნდა იყოს წარმატება.

**— თქვენი აზრით, რეალურად რა შეიძლება მომხდარიყო ტოკიოში და იყო თუ არა საჭირო სიტუაციის ასე გამძაფრება?**

— ის, რაც დღეს ხდება, ყველანაირ ზღვარს სცილდება. ძიუდოს ფედერაციას რომ 3 მილიონსა და რჩევას მისცემ, მისაღებია, მაგრამ, რაც ახლახან მოხდა, ვიცი, რომ იმაში არავინაა დამნაშავე. უბრალოდ, თავიდან ამოუვარდა ვიღაცას. იქ როგორაა, იცით? 3 წუთში რომ არ გამოცხადდეს, მსაჯი დამარცხებულად აცხადებს მონაწილეს. დარწმუნებული ვარ, რომ არც ტოტიკაშვილი, არც არავინ დამნაშავე არაა, მითუმეტეს — ხაბულიანი, რომელიც იქ არც ყოფილა. ესენიც ცოდოები არიან. კაცი რომ 40 წელი იჭიდავებს, ასე არ უნდა გაუშვა. ერთხელ თუ მაინც გაქვს ნაჭიდავები, ცოტა სხვა თვალით შეხედავ ყველაფერს. მე თვითონ ვჭიდაობდი და ვიცი, ეს რაცაა. ჟან დე ლა ბრუიერი მახსენდება ხოლმე სულ. ასეთი ფრანგი კარის მწერალი არსებობდა შუასაუკუნეებში და მას აქვს ერთი ასეთი კარგი რამ დაწერილი: რა დიდებულია, რამხელაა, რამხელა წრე აქვსო, მივდივარ ახლოს და რა არარაობაა, მაგის დედა ვატირეო. შორიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანს, ახლოს რომ ხარ ბევრ ისეთ რამეს ამჩნევ, რაც შორიდან ყურებით შეუძლებელია.

**მსოფლიო საზოგადოებამ რომ ჩემპიონატი ჩაატაროს არაკაცობაში და ქართველი რომ გახდეს ჩემპიონი, ანუ ყველაზე დიდი არაკაცი, იმასაც პატივი უნდა ვცეთ? რადგან ჩემპიონატს ატარებენ, ამის გამო? რა შუაშია პრიორიტეტული?**

**— სპორტის რომელი სახეობა უნდა იყოს დღეს პრიორიტეტული და რა ფორმით უნდა ჩაერიოს ხელისუფლება ფედერაციების საქმიანობაში?**

— ქართული ჭიდაობა. ოლიმპიზმით არ იწყება და არ მთავრდება მსოფლიო სპორტი. ოლიმპიური სახეობა არაა გოლფი, მაგრამ ამერიკაში სპორტის ნომერ პირველ სახეობად ითვლება. იაპონიაში სუმოა. ვაჟამ რომ დაგვიწერა „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, ამის შემდეგ ვინ რა უნდა გვასწავლოს?! პატრიოტიზმზე ლაპარაკს რომ იწყებ, ესენი, ფაშისტიაო, ამბობენ. არ შეიძლება, ჩემი დაცვა? აბა, ისაა სამართალი, ყველა კონფესია რომაა დაცული და მართლმადიდებლობას თავზე გვასვრიან.

მსოფლიო საზოგადოებამ რომ ჩემპიონატი ჩაატაროს არაკაცობაში და ქართველი რომ გახდეს ჩემპიონი, ანუ ყველაზე დიდი არაკაცი, იმასაც პატივი უნდა ვცეთ? რადგან ჩემპიონატს ატარებენ, ამის გამო? რა შუაშია პრიორიტეტული? უბანში რომ კაი ბიჭი გახდე, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა არაა საჭირო. შე კაი ადამიანო, თუ მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, ყველზე კარგი მანქანაც უნდა მყავდეს და ყველაზე კარგადაც უნდა მეცვას. ესენი რომ ურა პატრიოტიზმს გვახვევენ თავზე და ათასნაირ ანტინარკომანულ აქციას ატარებენ, ასე კი არ უნდა იყოს. ყველაზე მაგრად თამაშობს, კარგი სპორტსმენია? მაშინ გამორჩეული უნდა იყოს და მისაბაძი. ამის შემხედვარე ჩვენი შვილები თავს მიანებებენ იმ წამალს, იტყვიან, ნახე, რა წარმატებულიაო.

**ოლიმპიზმით არ იწყება და არ მთავრდება მსოფლიო სპორტი. ოლიმპიური სახეობა არაა გოლფი, მაგრამ ამერიკაში სპორტის ნომერ პირველ სახეობად ითვლება. იაპონიაში სუმოა.**

სახელმწიფო ფედერაციების საქმიანობაში რა ფორმითაც მე ავხსენი, ისე უნდა ჩაერიოს. ყველამ თავისი ადგილი უნდა ნახოს. არ მაინტერესებს იქ პიროვნულ პრივილეგიებზე საუბარი, მე რომ გუნდი მიმყავს, შედეგი მინდა დავინახო. პროფესიონალიზმით უნდა ირჩევდნენ ადამიანებს.

**— ყველას ახსოვს, ალბათ, თქვენ რომ მკლავჭიდელთა გუნდი წაიყვანეთ რუსეთში ჩემპიონატზე. მაშინ ხელისუფლებამ რატომღაც უარი თქვა თქვენს სრულ დაფინანსებაზე.**

— ჩემპიონატზე ნაწილობივი დაფინანსება მივიღეთ, ნაწილობივ გოჩა ძასოხოვი დაგვეხმარა, რომელიც, ადრეც მითქვამს, ქართველებში ერთ-ერთი გამორჩეული ქართველია და ოსებში — გამორჩეული ოსი. ტოლერანტობას ჩვენ ვერავინ გვასწავლის. რომ დადიან გაეროში და სიტყვით გამოდიან, გაეროში ირანიც დადის და კამპუჩიაც. მთავარია, აქ რას გააკეთებ, თორემ იქ შეიძლება ბევრი ილაპარაკო. რად მინდა შენი საგარეო პოლიტიკა, ჯერ სახლში ვინა ხარ ის მითხარი. სახლში თუ არც ცოლს უნდიხარ, არც შვილს, გარეთ რად მინდა შენი პოპულარობა?! ყველაფერს თავისი ჩარჩო აქვს, დოზა. ჩემმა ბიჭმა ვინც არ უნდა მოიყვანოს ცოლად, მე მარტო რჩევის უფლება მაქვს, ჩარევის არა. მე ხომ შვილს ვუვლი, ფულსაც ვაძლევ, ბინასაც, მაგრამ ჩარევის უფლება არ მაქვს, მხოლოდ რჩევის. ასე უნდა იყოს სახელმწიფო თავის შვილებთან, ფედერაციებთან. არ შეიძლება მთელ წარმატებულ, 30-40-კაციან ფედერაციას წელიწადში იმდენი ჰქონდეს შემოსავალი, რაც ერთ მინისტრს ხელფასი და კიდევ ამის შემდეგ ჩემს საქმეშიც ერევი?

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ




### საფრანგეთში ყველა გაფიცულია

**ხელისუფლების მიერ საპენსიო ასაკის 62 წლამდე გაზრდის გამო საფრანგეთს სატრანსპორტო კოლაფსი ემუქრება. რკინიგზელებმა, აეროპორტებისა და ავიაკომპანიების თანამშრომლებმა და ფოსტის მუშაკებმა კვლავ გაფიცვა გამოაცხადეს. პროფკავშირები ქუჩაში 3 მილიონი ადამიანის გამოყვანით იმუქრებიან.** ნახევარი დატვირთვით იმუშავებს ქვეყნის საჰაერო ტრანსპორტის კარიბჭეები — „ორლისა“ და „შარლ დე გოლის“ აეროპორტებიც, დაიხურება სკოლები და ფოსტის განყოფილებები. პრეზიდენტს კი ეს ყველაფერი სულაც არ აშინებს, როგორც ნიკოლა სარკოზიმ უკვე განაცხადა, ის კომპრომისზე წასვლას არ აპირებს და საპენსიო ასაკი 62 წლამდე მაინც გაიზრდება, რაც 2018 წლისთვის საპენსიო სისტემას უდანაკარგოს გახდის.



### შეტევა უხილავ ბოევიკებზე

**აშშ-ის ჯარმა ავღანეთში ადგილობრივ დანაყოფებთან ერთად ქვეყნის სამხრეთით მდებარე ყანდაღარის პროვინციაში მორიგი იერიში განახორციელა, ოღონდ ვის წინააღმდეგ, ჯერაც გაურკვეველია.** სამაგიეროდ ცნობილია, რომ სპეცოპერაციაში კოდური სახელწოდებით „დრაკონის დარტყმა“ სულ რვა ათასამდე სამხედრო მონაწილეობს. ოპერაციის მთავარ მიზანს ყანდაღარის პროვინციაში ბოევიკების თარეშის აღკვეთა წარმოადგენდა, მაგრამ ოპერაციის დაწყებიდან კარგა ხნის შემდეგაც მოთარეშე ბოევიკებს ვერსად მიაგნეს და რაიმე შეტაკებასაც ადგილი არ ჰქონია. ერთადერთი მიღწევა, რომლის შესახებაც სპეცოპერაციის მონაწილეები ბრძოლის ველიდან იტყობინებიან, მხოლოდ იარაღით სავსე საიდუმლო ბუნკერების აღმოჩენა გახდა.



### ახალი ნომერი პირველი — მსოფლიოში

**როგორც სააგენტო იტარ-ტასი იუწყება, დასავლეთის სპეცსამსახურებმა ანვარ ალ-ავლაკის ძებნა იმდენად გააააქტიურეს, რომ ის ახლა უსამა ბენ ლადენის შემდეგ ახალი „მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტია“.** 39 წლის იემენელი ანვარ ალ-ავლაკი დღეს ყველაზე ცნობილი რადიკალი ისლამისტია, მხოლოდ პოპულარულ ქსელ YouTube-ზე ბოლო დრომდე ალ-ავლაკის ლექციების 1900 ვიდეორგოლი იდო. ის შესანიშნავად ფლობს ინგლისურ ენას და პროპაგანდისტული ლექციების მეშვეობით ექტრემისტთა რიგებში ევროპელი და ამერიკელი ახალგაზრდების ჩათრევას ცდილობს. თითქმის ყველა ტერორისტი, ვინც ბოლო დროს დასავლეთის ქვეყნებში ტერორისტულ საქმიანობას ეწეოდა, ალ-ავლაკის გავლენით, ან უშუალო მითითებით მოქმედებდა.



### ალიევი მზადაა მოლაპარაკებებისთვის

**როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, აზერბაიჯანი მზადაა, მთიანი ყარაბახის საკითხზე მოლაპარაკებები გააგრძელოს და ამისთვის ეუთოს მინსკის ჯგუფის შუამავალთა (რუსეთი, აშშ, საფრანგეთი) შეთავაზებულ წინადადებაზე სომხეთის მხარის პასუხს ელოდება.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა ქვეყნიდან ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზრებზე მიწოდების საკითხზეც. მისი ცნობით, აზერბაიჯანი ბუნებრივი აირის 2 ტრილიონი კუბური მეტრის მოცულობის შესწავლილ და 5 ტრილიონზე მეტი კუბური მეტრის მოცულობის სავარაუდო მარაგს ფლობს.

## სიმულაცია, უპირველეს ყოვლისა

**საქართველოსა და აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა თურქულ კომპანია „Havelsan"-ს საარტილერიო დაკვირვების სიმულატორი „AFOS"-ი შეუკვეთეს.** კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, დამკვეთები სიმულატორს 2011 წელს მიიღებენ. „AFOS"-ი 3D-ში ასახავს ლანდშაფტის გეოსპეციფიურ და გეოტიპურ გამოსახულებებს, მასში შესაძლებელია ახალი, მათ შორის, თანამგზავრული მონაცამების შეყვანა, ლანდშაფტის რედაქტირება და შეიარაღების ახალი სისტემების დამატება. სისტემა რეალისტურად ასახავს სამიზნეების მოდელებს და აფეთქების ეფექტებს; ამ სიმულატორს პაკისტანის შეირაღებული ძალები იყენებენ.

## სენატორები არ ნებდებიან



**აშშ-ის სენატმა დაბლოკა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იმ წესის გაუქმებას, რომლის თანახმად ამერიკული არმიის ჰომოსექსუალისტმა სამხედრო მოსამსახურეებმა თავიანთი ორიენტაცია უნდა დამალონ.** საკანონმდებლო ინიციატივა ობამას ადმინისტრაციას ეკუთვნოდა. ეს წესი („Don't ask, don't tell" — „არ ჰკითხო, არ მოუყვე") 1993 წლიდან მოქმედებს; მისი დარღვევა ჰომოსექსუალებისთვის შეიძლება არმიიდან დათხოვნით დასრულდეს. კანონპრექტის მიღებას სენატში 6 ხმა დააკლდა. სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველები შიშობენ, რომ 2010 წლის ნოემბრის არჩევნების შემდეგ დემოკრატიული პარტია სენატში ადგილებს დაკარგავს და კანონპროექტის გატანა კიდევ უფრო გართულდება.

## წინაპრებს ასე არ ეშინოდათ



**გერმანიის საჰაერო ძალებმა „Eurofighter Typhoon"-ების ფრენები შეაჩერეს. ამის მიზეზი კატაპულტირების სისტემის ხარვეზები გახდა.** ამჟამად თითოეულ გამანადგურებელს სპეციალისტები საგულდაგულოდ ამოწმებენ. პანიკის მიზეზი აგვისტოს ბოლოს ესპანეთში მომხდარი კატასტროფა გახდა, რომლის დროს ორი კატაპულტირებული მფრინავიდან ერთ-ერთის პარაშუტი სავარძელს მოსწყდა და პილოტი დაიღუპა. გერმანიაში 55 „Eurofighter Typhoon"-ია, ამ გამანადგურებლებით ხდებოდა მოძველებული „McDonnell Douglas F-4 Phantom II"-ების ჩანაცვლება, თუმცა შექმნილი მდგომარეობის გამო „F-4"-ებს მწყობრში აბრუნებენ, ინციდენტის ამოწურვამდე გერმანიის საჰაერო სივრცის პატრულირებას სწორედ ეს გამანადგურებლები განახორციელებენ.

## ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა



**ამერიკულ არმიაში შეიძლება მფრინავი „Humvee" გაჩნდეს. ტენდერი უნიკალური მანქანის შექმნაზე თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა სააგენტომ „DAPRA"-მ გამოაცხადა, — იტყობინება „Defensenews"-ი.** მანქანას, რომლის პირობითი სახელი „ტრანსფორმერია", ტენდერის პირობების თანახმად, უნდა შეეძლოს ვერტიკალური აფრენა, 400 კილომეტრამდე სიშორეზე ფრენა, უნდა ჰქონდეს ავტოპილოტი, აგრეთვე, შესაძლებელი უნდა იყოს მისი დისტანციური მართვა. მიწაზე გადაადგილებისას და ფრენისას, ,,ტრანსფორმერი" ერთსა და იმავე საწვავს უნდა იყენებდეს. იგულისხმება, რომ მანქანა გადაუფრენს გზების საშიშ, დანაღმულ მონაკვეთებს და ამ დროს მოწინააღმდეგის ცეცხლისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნება. მფრინავი „Humvee"-ს საცდელი ნიმუშის გამოცდა 2015 წლისათვის იგეგმება.

# რუსეთში სამხედრო რეფორმა გრძელდება

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ". რა ცვლილებებს მოასწავებს ის მეზობელი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის?**



რუსეთში სამხედრო ოლქების რაოდენობა ოთხამდე მცირდება. მათ ბაზაზე გაერთიანებული სტრატეგიული სარდლობები შეიქმნება. ასეთი ტრანსფორმაციის იდეა ახალი არ არის, ის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 80-იან წლებში განიხილებოდა.

**სტრატეგიული სარდლობების შექმნას გენშტაბის უფროსი, მარშალი ნიკოლაი ოგარკოვი აპირებდა, თუმცა მაშინ მისი გეგმის ხორცშესხმა ვერ მოხერხდა. მართალია, შეიქმნა ორი — დასავლეთისა და აღმოსავლეთის სტრატეგიული სარდლობა, თუმცა ოგარკოვის რეფორმის წინააღმდეგ გენერლების რამდენიმე გავლენიანი ჯგუფი გამოვიდა, ამავე დროს, გაფუჭდა მისი ურთიერთობები თავდაცვის მინისტრ დიმიტრი უსტინოვთან (უთანხმოება ავღანეთში მიმდინარე ოპერაციების გამო), საბოლოოდ, ოგარკოვის „სტრატეგიული სარდლობები" გაუქმდა.**

იდეის რეანიმირება 2006 წელს გენშტაბის მაშინდელმა უფროსმა, არმიის გენერალმა იური ბალუევსკიმ სცადა. თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე მან გაახმიანა ოთხი სამხედრო ოლქისა და ოთხი ფლოტის ნაცვლად სამი რეგიონული სარდლობის შექმნის იდეა — დასავლეთის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის; ბალუევსკი, ასევე, წააწყდა სერიოზულ წინააღმდეგობას, მისი იდეის წინააღმდეგ ოლქებისა და ჯარების სახეობების სარდლები გამოვიდნენ, თუმცა საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, მათ იდეის „ჩაძირვა" ვერ მოახერხეს, ოთხი წლის შემდეგ რეფორმა განხორციელდა.

**თუ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ამ ამოცანების შესრულებას თავს წარმატებით გაართმევს, რუსეთის სამხედრო ძლიერება მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც მის გლობალურ სტატუსს კიდევ უფრო გაამყარებს.**

**სტრუქტურული ცვლილებები რუსეთის შეიარაღებულ ძალებში მართვის რგოლების რიცხვს სამამდე ამცირებს: გაერთიანებული სტრატეგიული სარდლობები, ოპერატიული სარდლობები, ბრიგადები; იქმნება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა. სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მთავარი შტაბები ახალ სტრუქტურაშიც დარჩება, თუმცა მათი ფუნქციების ნაწილი და, აგრეთვე, შესაბამისი ძალები გაერთიანებული სტრატეგიული სარდლობების დაქვემდებარებაში გადავლენ.**

ექვსი სამხედრო ოლქისა და ოთხი ფლოტის პრაქტიკულად ყველა საშუალება სტრატეგიული სარდლობების დაქვემდებარებაში მოექცევა, ომის შემთხვევაში კი მათ პასუხისმგებლობის ზონაში დისლოცირებული სხვა ძალოვანი სტრუქტურებიც დაექვემდებარებიან. ერთადერთ გა- ▶

# ირან-ერაყის ომი — ტანკების სასაფლაო

**ზუსტად 30 წლის წინათ ირან-ერაყის ომი დაიწყო. რვაწლიანი გააფთრებული ბრძოლების შედეგად რეგიონის ორმა ძლიერმა სახელმწიფომ ერთმანეთი გამოფიტა; ვერც ერთმა მათგანმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ამ ომის ერთ-ერთი მთავარი შედეგი კი ის აღმოჩნდა, რომ მან უცხო ძალებს, უპირველეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებს, რეგიონის საქმეებში ჩარევის გაცილებით დიდი შესაძლებლობები მისცა, ვიდრე იქამდე ჰქონდა.**



ამ ომის ყოვლისმომცველი მიმოხილვა დიდ ადგილს დაიკავებდა. ასე რომ, ამჯერად მხოლოდ მისი ერთი ასპექტით, ტანკების გამოყენებით, შემოვიფარგლოთ. გარკვეული თვალსაზრისით, ირან-ერაყის ომი არის საუკეთესო ილუსტრაცია თემაზე „როგორ არ უნდა გამოიყენო ტანკი".

ომის მიმდინარეობა შეიძლება რამდენიმე ძირითად ეტაპად დავყოთ: **1) 1980 წლის სექტემბერ-დეკემბერში ერაყელები მთელ ფრონტზე (700 კილომეტრამდე) უტევდნენ; 2) 1980 წლის დეკემბერში — 1981 წლის თებერვალში ირანმა წონასწორობის აღდგენა და ფრონტის ხაზის სტაბილიზაცია შეძლო; 3) 1981 წლის სექტემბერში — 1982 წლის ივლისში ირანმა ინიციატივა ხელთ იგდო, ომის დასაწყისში დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნა და საბრძოლო მოქმედებები ერაყის ტერიტორიაზე გადაიტანა; 4) გააფთრებული ბრძოლების მიუხედავად, ვერც ერთი მხარე სიტუაციის გარდატეხას საკუთარი თავის სასარგებლოდ ვერ ახარხებდა; 5) 1988 წლის აპრილში ერაყის არმია სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფაოს ნახევარკუნძულზე შეტევაზე გადავიდა და ირანელების მიერ დაკავებული ტერიტორია დაიბრუნა. ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ირანის ხელისუფლების თანხმობა ომის დასრულებაზე.**

**პირველ ეტაპზე ერაყმა საქმეში ოთხი ჯავშანსატანკო დივიზია ჩართო. ამ დროს დაშვებულ იქნა კლასიკური შეცდომა — ტანკები დიდი ქალაქების დაკავებისთვის გამოიყენეს, რამაც ტექნიკის დიდი დანაკარგი გამოიწვია. ამასთანავე, სატანკო ნაწილები, ფაქტობრივად, სხვა ქვედანაყოფებთან კოორდინაციის გარეშე მოქმედებდნენ.**

მთლიანობაში ორივე მხარეს ახასიათებდა შაბლონური, პირდაპირი მოქმედება, მხოლოდ ომის დასკვნით ეტაპზე ერაყის არმიამ აჩვენა „მსოფლიო სტანდარტებთან" მიახლოებული, კარგად ორგანიზებული შეტევითი მოქმედება. უდიდეს გავლენას სატანკო ნაწილების მოქმედებაზე საბრძოლო მოქმედებების თეატრის თავისებურებები, ლანდშაფტი და კლიმატური პირობები ახდენდა.

**პირველ ეტაპზე ერაყმა საქმეში ოთხი ჯავშანსატანკო დივიზია ჩართო. ამ დროს დაშვებულ იქნა კლასიკური შეცდომა — ტანკები დიდი ქალაქების დაკავებისთვის გამოიყენეს, რამაც ტექნიკის დიდი დანაკარგები გამოიწვია. ამასთანავე, სატანკო ნაწილები, ფაქტობრივად, სხვა ქვედანაყოფებთან კოორდინაციის გარეშე მოქმედებდნენ.**

მეორე ეტაპზე რამდენიმე მასშტაბური სატანკო ბრძოლა მოხდა, მათ შორის ყველაზე ცნობილი — ქალაქ სუსენგერდის მახლობლად. ირანის გაძლიერებულ მე-16 სატანკო დივიზიას 55-ე საპარაშუტო ბრიგადის მხადაჭერით უნდა განეხორციელებინა კონტრშეტევა სუსენგერდთან, რათა გაეთავისუფლებინა ახვაზისკენ მიმავალი გზა და საბოლოო ჯამში ქალაქ აბადანიდან ერაყელების ალყა მოეხსნა. ირანელი ტანკისტების განკარგულებაში იყო 300 ინგლისური „Chieftain"-ი და ამერიკული „M60". ერაყელების სატანკო დივიზიაში, რომელიც შეტევის ჩაშლისთვის გამოიყო, 300 „T-62" ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ მონაკლისს სტრატეგიული ბირთვული ძალები წარმოადგენენ; სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებს ეს ცვლილებები არ შეეხება. ოლქების რეფორმა ორ ეტაპად განხორციელდება: თავიდან შეიქმნა დასავლეთის ოლქი მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების ბაზაზე, 1 დეკემბრიდან კი — სამხრეთის ოლქი ჩრდილოეთ კავკასიის ოლქის ბაზაზე, ცენტრალური ოლქი — ვოლგისპირეთის ურალის ოლქის ბაზაზე და აღმოსავლეთის ოლქი — ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ოლქის ბაზაზე. სტრატეგიულ სარდლობებს ახალი ოლქების იდენტური სახელწოდებები ექნება.

მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაცია სავსებით შეესაბამება თანამედროვე რეალიებს, რადგან უახლოესი მომავლის მასშტაბური სამხედრო კონფლიქტები, ექსპერტთა შეფასებით, მაქსიმალურ შემჭიდროებულ ვადებში ჯარების სხვადასხვა სახეობების კოორდინირებული მოქმედების განხორციელებას მოითხოვენ. გამორიცხული რუსეთის შემთხვევაში არც ისაა, რომ მოქმედებები ერთდროულად სხვადასხვა, ერთმანეთისგან დაშორებულ, თეატრებზე განვითარდეს. ამ მხრივ გაერთიანებული სტრატეგიული სარდლობების შექმნის იდეა სავსებით გამართლებული ჩანს.

ამ რეფორმის პარალელურად, რუსეთი შეირაღების მასშტაბურ და ამბიციურ პროგრამას ახორციელებს, 2020 წლამდე მასზე 20 ტრილიონ რუბლზე მეტი გამოიყოფა. ამავე პერიოდში, აგრეთვე, ნავარაუდევია საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შესაძლებლობებს გააერთიანებს. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის უახლოეს ათწლეულში განსაკუთრებით აქტუალური იქნება: **ა) სტრატეგიული ბირთვული ძალების განვითარება და მოდერნიზაცია; ბ) ჯარების სახეობების მართვის ავტომატიზირებული სისტემების საფუძველზე ღია არქიტექტურის მქონე მართვის ერთიანი სისტემის შექმნა და განვითარება; გ) მაღალი სიზუსტის არაბირთვული შეირაღების სისტემების განვითარება; დ) ოკეანური („ლურჯი წყლის“) სამხედრო ფლოტის აღორძინება, რომელიც გლობალური შეკავების ამოცანების შესრულებას შეძლებს; ე) შეიარაღებული ძალების საავიაციო კომპონენტის სწრაფი შევსება ახალი, უპირველეს ყოვლისა, მეხუთე თაობის თვითმფრინავებით; ამასთანავე, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის გაძლიერება (2011-20 წლების შეიარაღების პროგრამაში 600-მდე ახალი თვითმფინავია ჩადებული).**

თუ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ამ ამოცანების შესრულებას თავს წარმატებით გაართმევს, რუსეთის სამხედრო ძლიერება მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც მის გლობალურ სტატუსს კიდევ უფრო გაამყარებს.



◀ იყო. წვიმების გამო ქვედანაყოფების გადაადგილება და მომარაგება გართულებული იყო.

ერაყულმა სადაზვერვო ვერტმფრენებმა აღმოაჩინეს ირანული ტანკების სამი კოლონა, რომლებიც მათი პოზიციებისკენ მიემართებოდა. ერაყული დივიზიის სარდალმა სწრაფად მოახდინა ძალების კონცენტრაცია სოფელ ახმედ-აბადთან, სადაც რელიეფი ირანული ტანკების „საცეცხლე ტომარაში“ მოქცევის შესაძლებლობას აძლევდა. იმ ქვედანაყოფებმა, რომლებიც პირველ ირანულ კოლონასთან საცეცხლე კონტაქტში პირველად შევიდნენ, სწრაფად უკან დაიხიეს, ირანელები სიღრმეში შეიჭრნენ და სწორედ იქ აღმოჩნდენ, სადაც ეს ერაყელი სარდლისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი იყო. ირანებმა 100-ზე მეტი ტანკი დაკარგეს. მეორე და მესამე კოლონა ორი დღის შემდეგ განადგურდა. ამ დროისთვის წვიმების გამო ბრძოლის ველი პრაქტიკულად ჭაობად იქცა. ტანკები ძალიან ახლო დისტანციაზე იბრძოდნენ, ავიაციას მათთვის ეფექტური მხარდაჭერის აღმოჩენა არ შეეძლო. ამ ვითარებაში საბჭოთა ტანკებმა დასავლურ ანალოგებზე მნიშვნელოვანი უპირატესობა გამოავლინეს. ირანელები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ.ერაყელების განცხადებით, ამ ბრძოლაში მათ გაანადგურეს და ხელთ იგდეს 214 ირანული ტანკი; ამ ბრძოლის შემდეგ ირანელი ტანკისტები საბჭოთა წარმოების ტანკებთან პირდაპირ შეტაკებას ყოველთვის ერიდებოდნენ.

1982 წლიდან, როდესაც ირანელების უპირატესობა ცოცხალ ძალაში მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა, ერაყელები ყრუ თავდაცვაზე გადავიდნენ. ტანკები ეორე ეშელონში, ირანული ძალების გარღვევების ლიკვიდაციისთვის გამოიყენებოდა.

**კიდევ ერთ ბრძოლას ტანკების მასირებული გამოყენებით ადგილი 1988 წელს, ფაოს ნახევარკუნძულზე ჰქონდა. ნახევარკუნძულს ათი ათასი ირანელი სამხედრო და გვარდიელი იცავდა. ერაყელები ერთდროულად ორი მიმართულებით უტევდნენ, მათი საერთო რაოდენობა 200 ათასს აღწევდა. მთავარი ამოცანა, რომელიც ერაყული სარდლობის წინაშე იდგა, იყო მოწინააღმდეგის მიერ ამ მონაკვეთისკენ რეზერვების გადასროლის არდაშვება, რაც ავიაციასა და შეტევის მაქსიმალურად სწრაფ განვითარებას უნდა უზრუნველეყო.**

ძირითადი ძალების შეტევას წინ უძღოდა ქიმიური შეტევა და ირანელთა თავდაცვით პოზიციებს შორის კომუნიკაციების გადაჭრა სპეცდანაყოფების მეშვეობით, გამთენიისას სატანკო შეტევა დაიწყო, რომელსაც მხარს ვერტმფერენები და ქვეითები უჭერდნენ. ომის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, კოორდინაცია ქვედანაყოფებს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული იყო.

ირანელები ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების ნაკლებობას განიცდიდნენ. შესაძლოა, ამან გავლენა იქონია ერაყელების მიერ შეტევის ორიგინალური ხერხის გამოყენებაზე — ქვეითთა საბრძოლო მანქანები სრული სვლით მიემართებოდნენ მოწინააღმდეგის წინა ხაზისკენ, სანგრების პირველ ხაზზე შეუჩერებლად გადადიოდნენ და ქვეითების გადმოსხმას მხოლოდ შემდეგ იწყებდნენ. ამავე დროს, ტანკები წინ ნელა მიიწევდნენ და გამოვლენილ საცეცხლე წერტილებს ანადგურებდნენ. ქვეითები სანგრების პირველ ხაზში მყოფ ირანელებს ზურგიდან უტევდნენ და, უპირველესად, ცდილობდნენ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების განადგურებას. ამ დროს ახლოვდებოდა ტანკები და მოწინააღმდეგე ორ ცეცხლს შუა ექცეოდა. ეს ტაქტიკა ცოცხალი ძალის დიდ დანაკარგებს უკავშირდებოდა, თუმცა ზოგავდა ტანკებს, რომლებიც სარდლობას შეტევის შემდგომი განვითარებისთვის სჭირდებოდა.

**შეტევა ფაოს ნახევარკუნძულზე ირან-ერაყის ომის სხვა ეპიზოდებისგან განსხვავებული იყო, ჩვეულებრივ, სატანკო ნაწილები ქვეითების მხარდაჭერის გარეშე მოქმედებდნენ, რაც მათ დანაკარგებს ზრდიდა.**



# ვის კარზე ვაკაკუნებთ?

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასია კვლავ გახდა რეგიონში სამი მნიშვნელოვანი ძალის — რუსეთის, თურქეთისა და ირანის მოქმედების საასპარეზო მოედანი. 2008 წლის მოვლენებმა კი უფრო დააჩქარა რეგიონში „ტერიტორიების გადანაწილების“ პროცესები. დღესდღეობით ანკარა, მოსკოვი და თეირანი მუდმივ მზადყოფნაში არიან, გამოიყენონ ძალა, თუ რომელიმე მათგანის სასიცოცხლო ინტერესს კავკასიაში საფრთხე დაემუქრება.**

რაც შეეხება ამერიკას. ბუშის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, დემოკრატი ობამას საგარეო პოლიტიკა, ზოგადად, კავკასიასთან მიმართებაში არ არის აქტიური და ის მხოლოდ სიტყვიერი დაპირებებით თუ შემოიფარგლება. ამერიკის დღევანდელ გამოწვევას წარმოადგენს ავღანეთი, ირანი, ერაყი და პაკისტანი. სწორედ ამ ქვეყნებს და მათთან ურთიერთობების დალაგებას ეხება 2010 წლის მაისში გამოქვეყნებული ეროვნული უშიშროების სტრატეგია. ამ სტრატეგიაში კავკასიაზე მხოლოდ გაკვრით არის საუბარი და ის მხოლოდ ეკონომიკური თუ სხვა ინსტიტუციონალური დახმარებით გამოიხატება. ამას ემატება კონფლიქტური ზონები, რომელთა უახლოეს პერიოდში მოგვარების პერსპექტივა ბუნდოვანია. აგვისტოს ომმა (უფრო სწორად „ბეცმა პოლიტიკამ“) რეგიონში უსაფრთხოების გარანტიები მინიმუმამდე დაიყვანა, ხოლო წამქეზებელი (ამერიკის სახით) ახლა განზე დგას და მხოლოდ სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის მივლინებებით თუ შემოიფარგლება.

**ხელსაყრელი გეო-პოლიტიკური მდებარეობის გამო, რეგიონში არსებულ დანარჩენ სამ სახელმწიფოს — საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, თითოეულს, განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ზემოხსენებულ მმართველ ძალებთან. სომხეთისთვის რუსეთი მნიშვნელოვანი პარტნიორია, აზერბაიჯანისთვის — რუსეთიც და თურქეთიც, ხოლო საქართველოსთვის (ამჟამინდელი მთავრობისთვის) — ამერიკა, თურქეთი. ბოლო დროს ირანიც ჩადგა მათ რიგებში.**

სწორედ, დღევანდელ ნომერში თქვენს ყურადღებას შევაჩერებ საქართველო-თურქეთისა და საქართველო-ირანის შესაძლო პარტნიორულ, მეგობრულ ურთიერთობებზე, ანუ რამდენად შესაძლებელია თურქეთისა და ირანის სახით საქართველოს ჰყავდეს მტკიცე მხარდამჭერები რეგიონში, მაშინ, როცა რუსეთი „თამაშგარეშეა“, ამერიკის ინდიფერენტულობა კი რეგიონისადმი თვალშისაცემია.

თვითონ ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიაში ორი დომინანტი ისლამური სახელმწიფო ცდილობს გავლენის სფეროების გადანაწილებას, არ არის ახალი ამბავი. ისტორიის ფურცლებიდან კარგად გვახსოვს XVI საუკუნე. კერძოდ, 1555 წელს გაფორმებული „ამასიის ზავი“, რის საფუძველზეც მოხდა საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად დაყოფა. თურქეთთან (მაშინდელ ოსმალეთის იმპერიასთან) მუდმივმა ომებმა, გაუთავებელმა კონფლიქტებმა საქართველოს ახალი პარტნიორის ძიებისკენ უბიძგა. რუსეთის სახით შეძენილი მოკავშირე დამპყრობლად გვექცა. საბჭოთა კოლაფსის შემდეგ კი, მაშინ, როცა (დამოუკიდებელ სახელმწიფოს) „აღარავინ“ გვიღობავდა გზას ევროპისკენ, სამოქალაქო „წაჯეგ-უკუჯეგობამ“ აღგვიმართა წინ კედელი და საბოლოოდ დაგვაკავშირა სამხრეთ კავკასიასთან (ასე რომ, „ბეცი თვალით“ დანახული შორეული ევროპული რეგიონის რეალობა და ამ რეალობის საქართველოს საგარეო-სტრატეგიულ სისტემაზე მორგება, დასაწყისშივე იყო დიდი შეცდომა და მკრეხელობა).

რუსეთთან ომის შემდეგ, საქართველო ახალი მოკავშირეების ძიებას სამეზობლოშივე იწყებს. თურქეთი უკვე აქტიურად მოიაზრება ჩვენი ქვეყნის უმთავრეს პარტნიორად. დღეისთვის არსებული ურთიერთობები ეკონომიკურ, სამხედრო, საგანმანათლებლო ეტაპებად იყოფა. ამას ემატება ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელშიც თურქეთი ძირითად როლს შეასრულებს. იგულისხმება როგორც ნავთობსადენის — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და გაზსადენის — ბაქო-თბილისი-ერზრუმის სტრატეგიულობა, ასევე, „ნაბუკოს“ ახალი გაზსადენის პროექტიც. თუმცა ეს ყოველივე მედლის ერთი მხარეა. რეალურად რა სურს ანკარას?

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთს მიეცა საშუალება, საკუთარი ეკონომიკური გავლენა ჩრდილოეთითაც განევრცო და ისეთ ქვეყნებზე გასულიყო, რომლებიც აქამდე მისთვის სრულიად შეუღწევადი იყო. მწვანე შუქის ანთებამ (უვიზო მიმოსვლამ ქვეყნებს შორის, თავისუფალმა სავაჭრო ზონამ) გამოიწვია თურქული კაპიტალის რეაქტივიზაცია აჭარის რეგიონსა და მთლიანად საქართველოში (ცნობისთვის: ბათუმში არსებული სასტუმროების, ოფისებისა და რესტორნების 60% თურქული ინვესტიციითაა აშენებული). თუმცა დღეს არავინ საუბრობს იმ საფრთხეებზე, რამაც, შესაძლოა, ჩვენ კვლავ ერთი უკიდურესობიდან მეორე მწვავე უკიდურესობამდე მიგვიყვანოს.**

ეკონომიკასთან ერთად ანკარა ცდილობს კულტრულ-რელიგიური ურთიერთობების განმტკიცებასაც. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ბათუმში იგეგმება ახალი მეჩეთის აშენება, ხოლო ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში ჯამეს (საკრებულო მეჩეთის) რესტავრაცია. სანაცვლოდ კი ჩვენ შევძლებთ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ოშკის, ხანძთისა და იშხანის აღდგენას. ეს ხელშეკრულება 2008 წელს საქართველოს საპატრიარქოს მოთხოვნით გადაიდო. წელს კი კვლავ განახლდა მოლაპარაკებები. ისმის კითხვა: **რამდენად გაწონასწორებულია ორივე ქვეყნის მოთხოვნა ისტორიული ძეგლების აღდგენასა თუ ახალი სალოცავების აშენებასთან დაკავშირებით? ოფიციალური ანკარა ითხოვს ახლის აშენებასა და ძველი ჯამეს რესტავრაციას, მაშინ, როცა ჩვენ მხოლოდ ძველი ისტორიული ძეგლების აღდგენით შემოვიფარგლებით. მაშასადამე, ამ ხელშეკრულებით თურქეთის უპირატესობა აშკარაა.**

ამ სტრატეგიით ისინი ადვილად შეძლებენ აჭარის გაკონტროლებას და დომინანტი მმართველის პოზიციების განმტკიცებას. ამას ემატება საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა მიხედვითაც თურქი-მესხების რეპატრიაცია, ანუ ძველ ისტორიულ ტერიტორიაზე (სამცხე-ჯავახეთზე) ჩამოსახლება 2011 წლისთვის უნდა დასრულდეს. მაშასადამე, ამ რეგიონების „ისლამიზაცია“ შეუქცევადი გახდება. ცალკე თემაა ჩვენი „მოკავშირის“ გაუკონტროლებელი ეკონომიკური ურთიერთობები აფხაზეთთან, სადაც თურქეთის გემების მიმოსვლა დღესაც გრძელდება, საქართველოს ხელისუფლებასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე.

**რაც შეეხება ირანს, კავკასიაში ირანი მტკიცე პარტნიორის გარეშე ვერ შეძლებს აქტიურ მოქმედებას, ამიტომ ის თურქეთთან ერთად შეეცდება, შექმნას ალიანსი, რომლის არსებობაც დღეს უკვე სარწმუნოა, ვიდრე, მაგალითად, ფრანგულ-გერმანული ალიანსი იყო 60 წლის წინათ.**

**ოთარ დალაქიშვილი**

**P.S. დღეს ჩვენს ხელისუფალთ მართებთ, სამეზობლო პოლიტიკა უფრო გაშუალედებული, მკაფიო და შორსმჭვრეტელური გახადონ, ახალი პარტნიორი კვლავ დამპყრობლად რომ არ გვექცეს. მწვავე, დაძაბული უახლესი ისტორიის გათვალისწინებით, ქვეყნის საგარეო მართვის ბერკეტები „ერთ არქიტექტორს“ არ უნდა ეპყრას ხელთ... ლილოში ცარიელი ადგილები კიდევაა, არა თურქებისთვის...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პაკ ჩჟონ ხი — სამხრეთ კორეის «ნაციონალური აღორძინება»

**ხელისუფლებაში „სამხედრო რევოლუციის“ შედეგად მოვიდა და მას შემდეგ არაერთხელ შეცვალა კონსტიტუცია მხოლოდ ძალაუფლების შესანარჩუნებლად და საკუთარი პრეზიდენტობის დაუსრულებელი ვადით გასაგრძელებლად, დააპატიმრა ან დახვრიტა ყველა, ვინც რაიმე წინააღმდეგობას უწევდა მის აბსოლუტურ დიქტატურას, ამერიკული კრედიტების სანაცვლოდ ვიეტნამის ომს შესწირა კორეული ჯარის არაერთი ოფიცერი და რიგითი და იმდენად მოაძულა თავი საკუთარ ხალხს, რომ მისმა მომხრეებმა დაახალეს ტყვია.**


სამხრეთ კორეის მე-5 და მე-9 პრეზიდენტი


რასაც დასთეს, იმასვე მოიმკი


ქოხმახი, სადაც მომავალი დიქტატორი დაიბადა


სამხრეთ კორეის მასტიმულირებელი ომი და ამერიკული კრედიტები იყო

პაკ ჩჟონ ხი 1917 წლის 30 სექტემბერს ღარიბი გლეხების ოჯახში დაიბადა. პირველი სამხედრო სწავლება იაპონელი მასწავლებლების ხელში მანჩჟუს სამხედრო აკადემიაში გაიარა, კორეის სამხედრო აკადემიის მთლიანი კურსის ერთ წელიწადში ათვისების შემდეგ კი, 1946 წელს, კაპიტნის წოდება მიიღო.

**ახალგაზრდა, ნიჭიერი ოფიცრით ამერიკული საოკუპაციო ძალები დაინტერესდნენ — ისინი სამხრეთ კორეის ჯარისთვის არჩევდნენ ხალხს და შერჩეულები, შესაბამისი გადამზადების შემდეგ, სამხრეთ კორეის ნაციონალური თავდაცვის მეთაურთა ბირთვს ქმნიდნენ.**

1948 წელს პაკს კომუნისტებთან თანამშრომლობა დაბრალდა და არმიიდან განდევნეს. არადა, მისი შემდგომი ცხოვრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ცრუ ბრალდება იყო. **1950 წლის ივნისში ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ომი დაიწყო და პაკი კვლავ ჯარში გაიწვიეს, არაერთხელ მოხვდა დაჯილდოებულთა სიაში და ომის დასრულებისას ბრიგადის გენერლის წოდებაც მიიღო.**

1960 წლის მარტში სამხრეთ კორეა პოლიტიკურმა კრიზისმა შეარყია — ლი სინ მანი არჩევნების შედეგების გაყალბებაში დაადანაშაულეს. ამ დროს პაკი უკვე მე-2 არმიის მეთაურის მოადილე იყო და გენერალ-მაიორის წოდებაც ჰქონდა; რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ჯარში დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა აბსოლუტურად შემთხვევითმა ადამიანმა ჩან მენიმ, რომელიც დაკისრებულ მოვალეობებს თავს ვერ ართმევდა. **ქვეყნის მმართველმა წრეებმა „ძლიერი პიროვნების“ ძებნა დაიწყეს და მალევე იპოვეს. ფულით პაკ ჩჟონ ხის ყველაზე გავლენიანი მეწარმეები და ფინანსისტები უზრუნველყოფდნენ, პრეზიდენტი იუნ ბოსონი კი პაკს თავიდანვე შეუთანხმდა, რომ გადატრიალების შემდეგაც თავის თანამდებობაზე დარჩებოდა.** სახელისუფლო ჯარებს სეულისაკენ დაძრული ნაწილებისათვის პრაქტიკულად არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

**უფროსი ოფიცრებისაგან შემდგარმა „სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა“, რომელიც ძალიან მალე სახელმწიფო რეკონსტრუქციის უმაღლეს საბჭოდ გარდაიქმნა, 16 მაისს „სამხედრო რევოლუციის“ წარმატებით დაგვირგვინების შესახებ გამოაცხადა.** პრეზიდენტ იუნ ბოსონის თანხმობით, ხუნტამ საომარი მდგომარეობა შემოიღო, დაითხოვა ეროვნული კრება, ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზცია, აკრძალა მიტინგები და დემონსტრაციები, დახურა ჟურნალ-გაზეთების უმეტესობა და უმკაცრესი ცენზურა დააწესა.

**გადატრიალების შემდეგ სამხედრო ლიდერები აცხადებდნენ, რომ „რევოლუციის ამოცანათა“ გადაჭრისთანავე მმართველობა სამოქალაქო პირებს დაუბრუნდებოდათ. სწორედ ამის გამო იყო, რომ ხუნტა, რომელსაც სათავეში პაკ ჩჟონ ხი ედგა, მსოფლიომ უმალ აღიარა.**

პაკ ჩჟონ ხის მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი „ნაციონალური აღორძინება“ იყო და ამაში „ნაციონალური თვითშეგნებისა და ნაციონალური სულისკვეთების ამაღლების“ ხარჯზე „კორეიზირებული ჯანსაღი დემოკრატიის“ შექმნა, „პიროვნების განახლება, სრულყოფა“ იგულისხმებოდა. **მის პროგრამაში ეწერა, რომ კორეელი ერის აყვავებისა და პროგრესისათვის აუცილებელი იყო „ჯანსაღი ნაციონალური ეთიკის“ საფუძვლების დანერგვა, „ადამიანის რევოლუციური გარდაქმნისა“ და „საზოგადოებრივი რეკონსტრუქციის“ განხორციელება, „მონური მორჩილებისადმი მიდრეკილების“ ლიკვიდირება და ხალხისათვის თვითმმართველობის სულის შთაბერვა.**

დაიწყო ყოველივე ამის პროპაგანდა, აღნიშნული თეზისები შევიდა მთავრობის, მმართველი პარტიისა და ყველა სხვა ორგანიზაციის სამოქმედო გეგმებში. ხუნტამ მთელი სახელმწიფო მექანიზმი გარდაქმნა ქვეყნის „სრულყოფისა და განახლებისათვის“. **1961 წლის 6 ივნისს გამოქვეყნებულმა სახელმწიფოს რეკონსტრუქციის საგანგებო ღონისძიებათა კანონმა კონსტიტუცია ჩაანაცვლა. რეკონსტრუქციის უსაფრთხოების გარანტიად უმკაცრესი ტოტალიტარული რეჟიმი ჩაითვალა.**

სამხედროების ხელში უზარმაზარი ძალაუფლების კონცენტრირებამ სადაზვერვო ორგანიზაციების მომრავლება და მათი მნიშვნელობის ზრდა განაპირობა. განსაკუთრებული როლი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ერგო. ეს უწყება „სხვაგვარად მოაზროვნე“ კორეელების ტოტალური დევნით იყო დაკავებული.

პაკის მმართველობის დასაწყისში დემოკრატიული თავისუფლებების შეზღუდვა, საზოგადოებრივი ცხოვრების ბიუროკრატიზაციასა და მილიტარიზაციას „ადმინისტრაციული დემოკრატიის“ თეორია ერქვა. ამ თეორიის მიხედვით, **სახელმწიფოს პოლიციური კონტროლი უნდა განეხორციელებინა პიროვნებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროზე. ოპოზიციური ორგანიზაციების ძალისმიერი დათრგუნვისათვის პაკმა გასცა სანქციები მთელი რიგი იურიდიული აქტების შესაქმნელად, რომელთა მიხედვითაც რეჟიმისათვის მიუღებელი ნებისმიერი პირის დასჯა სავსებით კანონიერი ხდებოდა. შედეგად, რეჟიმის 20 000-მდე მოწინააღმდეგე ციხეში აღმოჩნდა, დანარჩენები კი დახვრიტეს.**

ხუნტა სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის გაზრდას ცდილობდა. ამიტომ ხელფასების კონტროლი დაიწყო და ბოლოს ქვეყნის სულიერ ცხოვრებასაც გადასწვდა. „რეკონსტრუქციაში“ იგულისხმებოდა ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, სამეწარმეო ძალების გაზრდა, მოთხოვნების გადანაწილება და გაზრდა. წარმოებაშიც, ისევე, როგორც ყველგან, გასამხედროებული რაზმები იქმნებოდა. **ამ რაზმებში ახალგაზრდებს ძალით მიერეკებოდნენ და ყაზარმებში დემობილიზებული ოფიცრების მეთვალყურეობის ქვეშ დაუნდობელი რეჟიმისა და უმკაცრესი დისციპლინის პირობებში აცხოვრებდნენ. კარგი მუშაობისა და ქცევისათვის იქ არავის აჯილდოებდნენ.**

1963 წლის ზაფხულში, როდესაც ქვეყანაში მდგომარეობა „დასტაბილურდა“ და დადგა დრო, დაპირებისამებრ, ხელისუფლება სამოქალაქო პირებს გადასცემოდათ, გაირკვა, რომ პაკ ჩჟონ ხის თანამდებობა არ ეთმობოდა. მან ჯერ პრეტენდენტების წრე უკიდურესად შეავიწროვა — 1962 წლის 16 მარტამდე მოღვაწე ყველა პოლიტიკოსს, სულ 4000-მდე ადამიანს, ამ საქმესთან გაკარება მომავალი 6 წლით აუკრძალა. ამის შემდეგ, **1965 წელს, ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია, რომლის მისაღებადაც თავად დიქტატორმა პაკ ჩჟონ ხიმ ჯერ კიდევ 1962 წლის 17 დეკემბერს სამხრეთ კორეაში რეფერენდუმი ჩაატარა.** ამ კონსტიტუციით, პრეზიდენტის ძალაუფლება გაასმაგდა — მხოლოდ მას ჰქონდა უფლება, დაენიშნა თანამდებობის პირები, ჩამოეყალიბებინა კაბინეტები, დაედო ხელშეკრულებები, დაეწყო ომები, ემართა შეიარაღებული ძალები, შეეწყალებინა დამნაშავეები და ასე შემდეგ. საპრეზიდენტო კანდიდატურას პარტიები წარადგენდნენ და მას ოთხი წლით ირჩევდნენ, ამიტომ ქვეყნის პოლიტიკოსებმა პარტიების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომ სამოქალაქო პირებისათვის ძალაუფლების დაბრუნების შემდეგ საკუთარი კანდიდატების გაპრეზიდენტებაზე ეზრუნათ, მაგრამ ეს პაკის გეგმებთან მიახლოებული პერსპექტივაც კი არ იყო. **მას ღია და აბსოლუტური დიქტატორის პოზიციაზე დარჩენა სურდა და ამიტომ, 1963 წლის 16 მარტს სამხედრო მმართველობის მომდევნო ოთხი წლით გახანგრძლივების შესახებ გამოაცხადა. ამავე დროს ქვეყანაში კვლავ საგანგებო მდგომარეობა შემოიღო და ყველანაირი პოლიტიკური საქმიანობა აკრძალა.** მაგრამ აშშ ამ პოზიციას ცალსახად დაუპირისპირდა და პაკი იძულებული გახდა, ხელისუფლებაში დარჩენის სხვა გზები მოეძებნა. **1963 წლის აგვისტოში დემოკრატიულ-რესპუბლიკური პარტიის სხდომაზე პაკი პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს და 15 ოქტომბრის არჩევნებზე აირჩიეს კიდეც ქვეყნის მმართველად.** პაკს, ძირითადად, სოფლის მოსახლეობამ დაუჭირა მხარი, რადგან ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისთვის კრედიტები გასცა.

**1963 წლის 17 დეკემბერს სეულში მესამე რესპუბლიკა გამოაცხადეს და დიდი სიხარულით აღნიშნეს, რომ ამით ქვეყანაში 2 წლისა და შვიდი თვის მანძილზე არსებული სამხედრო მმართველობა დასრულდა და სამხრეთ კორეა კონსტიტუციური მმართველობის ფორმას დაუბრუნდა.**

პაკი უდიდეს ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო აპარატის გაძლიერებას და, ცხადია, მასში მხოლოდ სამხედრო სკოლაგავლილ, პირადად მის მიმართ ერთგულებით გამორჩეულ კადრებს იკრებდა. სასამართლოებში, პროკურატურებში, სამხედრო და საგარეო პოლიტიკურ დაწესებულებებში, პოლიციაში, დაზვერვისა და პროპაგანდის სამსახურებში — ყველგან მხოლოდ მისი მომხრეები იყვნენ. პაკის მთავარი მიმართულება ეკონომიკის განვითარება და ამ სფეროს სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი გახდა. **10-საათიანი სამუშაო დღით, კვირაში 6-დღიანი მუშაობითა და წელიწადში რამდენიმედღიანი შვებულებით ქვეყანამ ეკონომიკურ ზრდას მიაღწია.**

მაგრამ პაკის მმართველობის მუდმივი თანმდევი იყო უმუშევრობა, სიძვირე, უსახლკარობა, კორუფცია და ამ ყველაფრით გაწამებულმა ხალხმა 1964 წლის მარტში სეულში პრეზიდენტის სასახლეს მისი გადადგომის მოთხოვნით ალყა შემოარტყა. **მაშინ ხელისუფლებამ ადვილად მოახერხა წესრიგის აღდგენა — ამ საქმეს მხოლოდ 400 პოლიციელი შეეწირა, მეორე მხარის დანაკარგებით დიდად არავინ დაინტერესებულა,** მაგრამ 1967 წლის 3 მაისს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი უმრავლესობით გამარჯვებულმა პაკმა ქვეყანა რეპრესიების მარწუხებში მოაქცია. ისჯებოდა ყველა და ყველაფრისთვის, **კვლავ დაიწყო კონსტიტუციის გადასინჯვა ერთადერთი მიზნით, რომ ერთსა და იმავე პირს ზედიზედ სამჯერ ჰქონოდა პრეზიდენტობის უფლება.** ამის გამო ქვყანაში დიდი არეულობა დაიწყო. ხუთი ათასამდე სტუდენტისა და პოლიციის შეჯახება დიდი სისხლისღვრით დასრულდა, ხელისუფლებამ სტუდენტების აქტივობის შესასუსტებლად 40-ზე მეტი უნივერსიტეტი და კოლეჯი დროებით დაკეტა, უამრავი სტუდენტი ციხეში გამოკეტა. **და პაკმა კვლავ მოირგო კონსტიტუცია, რის შედეგადაც 1971 წელს კიდევ ერთხელ, მესამედ, გახდა სამხრეთ კორეის პრეზიდენტი. კიდევ უფრო იმატა რეპრესიებმა — პაკი მეოთხე პრეზიდენტობაზე ზრუნვას შეუდგა.**

1972 წლის 17 ოქტომბერს აბსოლუტურად მოულოდნელად სამხრეთ კორეაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა. პრეზიდენტმა, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, არც სჭირდებოდა, პარლამენტიც დაითხოვა. ამ ყველაფრის მიზეზად ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებები გამოცხადდა, მაგრამ, როგორც **10 დღის შემდეგ გამოქვეყნებული საკონსტიტუციო ცვლილებების ნუსხიდან გაირკვა, მიზანი კვლავ პაკის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება იყო, მესამე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგაც. რეფერენდუმმა ეს ცვლილებებიც მოიწონა და მათი წყალობით პაკს ახალი დიქტატორული უფლებები შეემატა.** 1975 წელს პაკმა მთავრობის კრიტიკის ამკრძალავი კანონი გამოსცა. ის ყოველდღიურად კარგავდა მომხრეებს და საყოველთაო სიძულვილის ობიექტი ხდებოდა.

**ხალხი აღშფოთებული იყო მისი საგარეო პოლიტიკის გამოც. ჯერ კიდევ 1965 წელს აშშ-თან გაფორმებული ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულების თანახმად და 150-მილიონიანი კრედიტის სანაცვლოდ, მან 50 000 სამხედრო პირი გაგზავნა ვიეტნამში.**

რეჟიმი, რომელიც სულს ხდიდა არა მხოლოდ დიქტატორის მოწინააღმდეგეებს, არამედ მის მომხრეებსაც, პაკის უახლოეს გარემოცვაში შეთქმულების მიზეზი გახდა და 1979 წლის ნოემბერში სასტიკი და იდუმალებით მოცული თავდახმის შედეგად ის სიცოცხლეს გამოასალმეს. პაკი კორეის დაზვერვის მეთაურმა კიმ კიუმ სადილის დროს მოკლა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იმად მუგნიე — ისრაელისა და ამერიკის დაუძინებელი მტერი

**ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტად ითვლებოდა. ლიბანის გასამხედროებული შიიტური ორგანიზაციისა და პოლიტიკური პარტია ჰეზბოლას „უშიშროების სპეციალური განყოფილების ხელმძღვანელი" და „საერთაშორისო ოპერაციების მეთაური" იმად მუგნიე ამერიკისა და ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებულ უამრავ ტერაქტშია ბრალდებული. ის იტაცებდა თვითმფრინავებს, ამერიკისა და ისრაელის მოქალაქეებს, აფეთქებდა ამერიკის საელჩოებსა და სამხედრო ყაზარმებს. ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, იმად მუგნიე მონაწილეობდა 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებული ტერაქტების დაგეგმვაშიც. პალესტინელ ტერორისტებთან, განსაკუთრებით ფატჰთან, ჰეზბოლასთან და ალ-ქაიდასთან მჭიდრო კავშირების წყალობით ის ამ ორგანიზაციების დამაკავშირებელ რგოლად და საერთაშორისო ტერორიზმის კოორდინატორად იქცა.**


იმად მუგნიე




ჰეზბოლას ტერაქტი

იმად ფაიეზ მუგნიე ლიბან?ი, სოფელ ტაირ დიბაში, შიიტურ ოჯახში 1962 წლის 7 დეკემბერს დაიბადა. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, ბეირუთის სამხრეთით მდებარე აინ ალ-დილბახის რაიონში ულატაკეს შიიტურ გეტოში ცხოვრობდა. სამოქალაქო ომის პერიოდში მამამისის, ხილის გამყიდველის, სახლი ზუსტად „მწვანე ზოლში" — ქალაქის მუსლიმანური და ქრისტიანული ნაწილების გამყოფ ხაზზე აღმოჩნდა.

**მუგნიე ჯერ მხოლოდ 14 წლისა იყო, როდესაც 1976 წელს პალესტინის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფატჰის სპეცოპერაციებისა და „პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის" ხელმძღვანელი პირების, მათ შორის თავად იასირ არაფატის, უსაფრთხოებაზე ზრუნვის ელიტარულ მე-17 ქვედანაყოფში სნაიპერის სტატუსით გაწევრდა.** ამ ქვედანაყოფს მოგვიანებით არაფატის „საპრეზიდენტო გვარდიასაც" ეძახდნენ, რადგან მისი თანამშრომლები მუდმივად თან ახლდნენ არაფატს. ზოგიერთი მონაცემით მუგნიემ ერთი წლის განმავლობაში ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტშიც მოასწრო სწავლა.

„პრეზიდენტის გვარდიაში" დიდხანს არ დარჩენილა. **1980-იანი წლების დასაწყისში მუგნიე ფატჰს საერთოდ ჩამოშორდა და შიიტების წინააღმდეგობრივ მოძრაობაში ტერორისტული შეტევების ორგანიზატორად ჩამოყალიბდა. მას ჰეზბოლას ერთ-ერთ დამაარსებლად მოიაზრებენ.**

მისი პირველი გახმაურებული საქმე ბეირუთში ცსს-ს განყოფილების შეფის — უილიამ ბაკლის გატაცებას უკავშირდება. ბაკლის წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იდგა ოპიუმით ვაჭრობის უკან და ირანში, ლიბანსა და პაკისტანში გამოძიება დაიწყო. „ოქროს ნახევარმთვარესა" და პაკისტანში ოპიუმით ვაჭრობის ზრდის შესახებ მის მიერ მომზადებულ მამხილებელ ანგარიშებს ბოლო არ უჩანდა. ისლამაბადში აშშ-ის საელჩო გადაწვეს, მაგრამ ბაკლი გადარჩა და, როგორც გამჟღავნებული აგენტი, ვაშინგტონში დაბრუნდა. ამის შემდეგ კი ძალზე უცნაური რამ მოხდა. აბსოლუტურად ყველა წესის დარღვევით ცსს-მ გამჟღავნებული აგენტი ბეირუთში დააბრუნა. ეს ფაქტობრივად სასიკვდილო განაჩენი იყო ბაკლისთვის, რომელიც სხვაგვარად ვერ გააჩუმეს. ამჯერად განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. **იმად მუგნიემ, იმ პერიოდში უკვე მეტსახელად აფთარმა, ჰეზბოლასთვის ბაკლი 1983 წელს გაიტაცა. გენერალ მოჰამედ ელ ჰოუილის მიერ წარმოებული მხეცური დაკითხვების შედეგად ბაკლი გარდაიცვალა.**

მუგნიეს კი ახალი საქმეები ელოდა. **1983 წლის 18 აპრილს ბეირუთში ამერიკის საელჩო ააფეთქა და 63 ადამიანის, მათ შორის 17 ამერიკელის, სიცოცხლე იმსხვერპლა. მოგვიანებით კი ფრანგი პარაშუტისტებისა და ამერიკელი საზღვაო ქვეითების ყაზარმებს მიადგა და გაანადგურა. მაშინ ამერიკამ 242 საზღვაო ქვეითი და 58 დესანტი დაკარგა. ზუსტად ოთხი თვის შემდეგ აშშ-ის ჯარმა ლიბანი დატოვა.**

1984 წლის 20 სექტემბერს ბეირუთში აშშ-ის საელჩოს წინ თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. ამ ტერაქტის ორგანიზებაში ბრალი კვლავ მუგნიეს დასდეს. **1985 წელს კი, აშშ-ის სპეცსამსახურების მტკიცებით, სწორედ მისი ორგანიზებით განხორციელდა თვითმფრინავ „TWA Flight 847"-ის გატაცება. ამერიკული ავიალაინერი ათონი-რომი-ნიუ იორკის რეისს ახორციელებდა, მაგრამ ტერორისტებმა მისი ხელში ჩაგდების შემდეგ მარშრუტი შეცვალეს და თვითმფრინავი ალჟირში დასვეს. თვითმფრინავის 145 მგზავრიდან 120 ევროპული წარმომავლობის ამერიკელი იყო, უკლებლივ ყველა მათგანი შიიტური ექსტრემისტული ორგანიზაციის „ახალი მსოფლიო" მძევალი გახდა.** მაშინ ალჟირის მთავრობამ სამაშველო ოპერაციის ჩასატარებლად ნებართვა არ გასცა. ტერორისტებმა თვითმფრინავი ბეირუთში გადაიყვანეს და მძევლები მთელ ქალაქში მიმოფანტეს. ამის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა თავისი ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: „ამერიკას ტერორისტებთან საქმე არ აქვს". მძევალთაგან ერთ-ერთი, ამერიკის მოქალაქე, ტერორისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

**გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, მუგნიე მსოფლიოს ყველაზე ძებნილ ტერორისტთა სიაში 1985 წლის 14 ივლისს ამერიკული ავიალაინერის გატაცებისა და ამერიკის მოქალაქის მკვლელობის შემდეგ მოხვდა. მისი ადგილსამყოფელის დასადგენად სასარგებლო ინფორმაციისათვის ამერიკა 5 მილიონ დოლარს იხდიდა. მოგვიანებით მუგნიეს ფასმა აიწია და გამოძიების ფედერალური ბიურო მის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელს 25 მილიონ დოლარს დაჰპირდა.**

**მუგნიესათვის ეს ადამიანების გატაცებისა და მძევლად აყვანის ერთადერთი შემთხვევა არ იყო. მას ბეირუთში უამრავი ამერიკელის გატაცებაში აქვს წვლილი შეტანილი. ამ მხრივ ყველაზე გახმაურებული შემთხვევა „Associated Press"-ის ადგილობრივი ბიუროს ხელმძღვანელის — ტერი ანდერსონის გატაცება იყო. 1985 წლის 16 მარტს გატაცებული ანდერსონის გათავისუფლება მხოლოდ 1991 წლის 4 დეკემბერს მოხერხდა. მან ტყვეობაში თითქმის შვიდი წელი გაატარა.**


მუგნიეს მამა (ცენტრში) ჰეზბოლას ფუნქციონერებთან ერთად სამხრეთ ბეირუთში სამძიმარს იღებს

როგორც ითვლება, მუგნიემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1985 წლის სექტემბერში საბჭოთა დიპლომატების გატაცებაშიც. მაშინ მისმა ხელქვეითებმა მძევლად აიყვანეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ბეირუთის რეზიდენტურის ორი თანამშრომელი: ოლეგ სპირინი და ვალერია მირიკოვა, ასევე, საბჭოთა საელჩოს ექიმი ნიკოლაი სვირსკი და საკონსულო განყოფილების თანამშრომელი არკადი კატკოვი. ოქტომბერში მუგნიეს ხელქვეითებმა ამ მძევლებიდან ერთ-ერთი სიცოცხლეს გამოასალმეს, დანარჩენები კი, მას შემდეგ, რაც გამტაცებლებს ყველა მოთხოვნა დაუკმაყოფილეს, გაათავისუფლეს.

2000 წლის იანვარში თავს დაესხნენ რუსეთის საელჩოს ბეირუთში. რუსული წყაროების მტკიცებით, ამ თავდასხმის ორგანიზატორიც იმად მუგნიე გახლდათ.

**იქცა რა ჰეზბოლას საკვანძო ფიგურად, მუგნიემ ხელმძღვანელ თანამდებობებზე თავისი ახლო ნათესავების დანიშვნა დაიწყო. მას შემდეგ, რაც ლიბანის რადიკალური შიიტური დაჯგუფების ერთ-ერთი დამფუძნებელის შეიხ ფადლალას პირადი უსაფრთხოების სამსახურს თავად აღარ ხელმძღვანელობდა, ამ თანამდებობაზე თავისი უმცროსი ძმა ჯაჰად მუგნიე გაამწესა. ჯაჰადი 1985 წელს ისრაელის სპეცსამსახურების მიერ ჰეზბოლას სულიერი ლიდერის გასანადგურებლად მოწყობილი აფეთქების შედეგად დაიღუპა.**

მუნგიემ ჰეზბოლას დაზვერვაში წაიყვანა თავისი ნათესავი მუსტაფა იუსუფ ბადერ ალ-დინიც. 1983 წელს ის კუვეიტში ამერიკის საელჩოს წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტის ორგანიზებაში ბრალდებულ სხვა თანამშრომლებთან ერთად დააკავეს. ამის შემდეგ იმად მუგნიემ თვითმფრინავების გატაცებისა და ადამიანთა მძევლად აყვანის ჩათვლით აქციათა მთელი სერია განახორციელა, ოღონდ კი როგორმე დაეხსნა ტყვეობიდან თავისი ნათესავი. 1990 წლის აგვისტოში კუვეიტში ერაყული ჯარების შეჭრის შემდეგ მუსტაფა იუსუფი სხვა შიიტელ პატიმრებთან ერთად ციხიდან გაიქცა და ადგილობრივ ირანულ დასახლებამდე მიღწევის შემდეგ თეირანში გადააგზავნეს. სულ ცოტა ხნის შემდეგ ის კვლავ ჩაება აქტიურ მოღვაწეობაში და 1991 წელს გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა ჰეზბოლას მიერ ვიბანში აყვანილი მძევლების გათავისუფლების პირობებზე.

**არგენტინის სპეცსამსახურები მუგნიეს ბუენოს-აირესში ისრაელის საელჩოზე 1992 წლის 17 მარტის თავდასხმაში ადანაშაულებენ. ამ ტერაქტს 29 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. უფრო ადრე, 1984 წლის ივლისში, მუგნიემ ბუენოს-აირესში ევროპულ კულტურულ ცენტრ „AMIA"-ს ტერაქტისას 88 ადამიანი იმსხვერპლა.**

2000 წელს ისრაელმა მუგნიე ლიბან-ისრაელის საზღვარზე სამი ისრაელელი სამხედრო მოსამსახურის დატყვევებაში დაადანაშაულა. 2000 წლის ოქტომბერში ტყვედ ჩავარდნენ უფროსი სერჟანტები — ომარ სუვადი და ბინიამინ ავრაამი, ასევე სერჟანტი ავი ავიტანიც. მოგვიანებით არმიის სარდლობამ მათი გარდაცვალების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. პარალელურად აბუ-დაბიში ისრაელის გადამდგარი პოლკოვნიკი ელჰანან ტანენბაუმი გაიტაცეს. ისრაელის წყაროების ინფორმაციით, ტანენბაუმი, საარტილერიო ჯარების მაღალჩინოსანი ოფიცერი, საიდუმლო და ზესაიდუმლო ინფორმაციებს ფლობდა. მისი გატავისუფლება მხოლოდ 2004 წელს მოხერხდა პალესტინელ ტყვეებზე გადაცვლის გზით.

**გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, მუგნიე მსოფლიოს ყველაზე ძებნილ ტერორისტთა სიაში 1985 წლის 14 ივლისს ამერიკული ავიალაინერის გატაცებისა და ამერიკის მოქალაქის მკვლელობის შემდეგ მოხვდა. მისი ადგილსამყოფელის დასადგენად სასარგებლო ინფორმაციისათვის ამერიკა 5 მილიონ დოლარს იხდიდა. მოგვიანებით მუგნიეს ფასმა აიწია და გამოძიების ფედერალური ბიურო მის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელს 25 მილიონ დოლარს დაჰპირდა.**

ლიბანიდან ისრაელის ჯარების გასვლის შემდეგ ჰეზბოლამ მუგნიესთან ურთიერთობა გაწყვიტა. **2002 წლის ნოემბერში ლიბანის პარლამენტში ჰეზბოლას ფრაქციის თავმჯდომარე მუჰამედ რაადი მუგნიეს შესახებ ამბობდა, რომ ის „ჯიჰადის მეომარია და ჰეზბოლასთან კავშირი არ აქვს".**

გარკვეული წყაროების ცნობით, მუგნიეს კავშირი ჰქონდა ბენ ლადენის ტერორისტულ ორგანიზაციასთანაც. **1998 წელს ტანზანიასა და კენიაში აშშ-ის საელჩოების აფეთქებისთვის დაკავებული ისლამური ჯიჰადის წევრის — ალი მუჰამედის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით, 1993 წელს ის მუგნიესა და ალ-ქაიდას წევრების შეხვედრის უსაფრთხოებას იცავდა.** მართალია, ამერიკული პრესა სერიოზულ ეჭვს გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ალი მუჰამედმა აშშ-ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა და მუგნიეზე ინფორმაციის მიწოდება გადაწყვიტა, მაგრამ მუგნიეს ალ-ქაიდასთან კავშირებს მაინც ვერავინ გამორიცხავდა. 2000 წელს ამერიკული გემის „US Cole" აფეთქებაში მთავარი ეჭვმიტანილი კვლავ იმად მუგნიე გახლდათ.

**2006 წლის აგვისტოში, ისრაელ-ლიბანის კონფლიქტისას, გაჩნდა ცნობა, რომ ბეირუთში მუგნიე მძიმედ დაიჭრა. 19 ივლისს ის თითქოსდა ჰეზბოლას მეთაურების შეხვედრაზე ჩავიდა ბეირუთში და სწორედ ამ დროს დაიჭრა ისრაელის თვითმფრინავების შტურმის შედეგად. მოგვიანებით, 2008 წლის 12 თებერვალს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჰეზბოლას დაზვერვის მეთაური იმად მუგნიე, მეტსახელად აფთარი, დამასკოს გარეუბანში საკუთარ ჯიპში ააფეთქეს.**

გვერდები მოამზადა მაია სვიანაძემ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# დაშბაშ-ახალქალაქი

## თრიალეთი

**როგორც ვარაუდობენ, ძირძველი ქართული მიკროქვეყნის ეს სახელწოდება ძვ.წ.აღ.-ის VII საუკუნეში კიმირიელთა ერთ-ერთი ტომის — თრელების გამოჩენას უნდა უკავშირდებოდეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კიმირიელებს ჩვენი წინაპრები გიმირებს უწოდებდნენ, ხოლო თრიალეთში გიმირთა, ანუ გმირთა ნაკვეთი ლოდოვანი საცხოვრისები ბევრგან გვხვდება, მაშინ, ეგების, ამ ვერსიას კიდევ უფრო მყარი საფუძველი ჰქონდეს. თრიალეთი საქართველოს ის კუთხეა, სადაც ვერც ერთმა მტერმა ვერ მოიკიდა ფეხი, არადა ძვ.წ.აღ.-ის II საუკუნიდან მოყოლებული იგი დიდი და მცირე ომების ამფითეატრი იყო. პირველი სისხლი აქ მეფე არსუკისა და ადერკის ორთაბრძოლისას დაიღვარა: ადერკმა მოკლა არსუკი და საქართველოს ტახტზე თავად ავიდა. ბოლო ცნობილი ბრძოლა 1724 წლის გაზაფხულით თარიღდება. ბაქარ ვახტანგის ძემ 500 ოსმალო გაჟლიტა.**





დაშბაშის დარბაზული ეკლესია

XIX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს ლეკთა თარეშისაგან დაოსებულ და ქართველთაგან თითქმის გაუკაცრიელებულ თრიალეთში რუსეთმა მცირე აზიიდან (თურქეთიდან) იქაური სომხებისა და ურუმების გადმოსახლება დაიწყო. **ურუმები, უმეტესად, ბერძნულ ეკლესიას დამორჩილებული თურქეთში მცხოვრები იმ ძირძველი ლაზებისა და მესხების შთამომავლები არიან, რომლებმაც ჯერ თავიანთი ენა დაივიწყეს და თურქმანულად ამეტყველდნენ, მერე კი, ბედუკუღმართობის გამო, ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, ბერძნული ეკლესიის მრევლნი გახდნენ. ამის შემდეგ მათი ცნობიერება ბერძნულად ჩამოყალიბდა და დღესაც ბერძნებად თვლიან თავს, თუმცა თავის დროზე ანატოლიაში მათი ქართველური წარმომავლობა ყველამ კარგად უწყოდა. ურუმები ახლაც თურქმანულ ენაზე საუბრობენ.** აი, ეს ურუმნი სახლობენ დღესაც თრიალეთის მრავალ სოფელში.

თრიალეთი, თავისი კლდეკარით, ყველაზე მეტად ბაღვაშების დიდ ფეოდალურ სახლთან ასოცირდება. პეროზის შთამომავლებისა და გუარამ მამფალის შემდეგ, X საუკუნის შუახანებიდან, სწორედ ბაღვაშები დაეპატრონნენ თრიალეთს და მეფის შემდეგ, ყველაზე გავლენიან პირებად იქცნენ ქვეყანაში.

ამდენად, ჩვენი ახალი მოგზაურობისა და წერილების ერთ-ერთი თემა სწორედ კლდეკარის ერისთავების ნაკვალევზე სიარული იქნება, რაც, სხვათაშორის, მანგლისის ხევში ყოფნისას დავიწყეთ და ზურტაკეტში გავაგრძელეთ. ცნობისათვის მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ ბაღვაშთა ლაპიდარული წარწერები, მათი მშობლიური კაცხის გარდა, გვხვდება ატენშიც და ზედა ვარძიაშიც.

თუ ზურტაკეტიდან თრიალეთში მდინარე ქციის ხრამის გასწვრივ ვივლით, პირველი დიდი დასახლება, რომელშიც შევალთ, სოფელი დაშბაში იქნება. ეს ახლა ჰქვია დასახლებას დაშბაში, თორემ, XI საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, აქ თრიალეთის ახალქალაქი იყო, სადაც ამ კუთხის მმართველი და ქვემო ქართლის სპასალარი ისხდნენ ხოლმე. აღსანიშნავია, რომ რუსეთში წასვლამდე აქ ჰქონდა რეზიდენცია სახელოვან გეოგრაფს, ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც თრიალეთს, როგორც სამეფო მამულს, ისე განაგებდა.

და კიდევ ერთი საგულისხმო ინფორმაცია: მდინარე ქცია სწორედ ამ ადგილებში გადმოედინება ჩანჩქერად და ხრამის სახით მიუყვება დაღმართს. ეს ჩანჩქერი უცნაური სანახავია. ერთგან იგი მთელ კლდეზე სიფრიფანა კრეტსაბმელივითაა ჩამოშვებული და, თუ მზიანი ამინდია, მის კალთებზე შვიდფერი ათინათები ცეკვავენ... თავი ზღაპარში გეგონებათ. ვუყურებთ ამ სანახაობას ზევიდან და ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები გვახსენდება, რომ ამ ჩანჩქერს ქვევით **„აქუს ტბა დიდი... ჟდ მეფემან ვახტანგ** (ე.ი. ვახტანგ VI-მ - გ.ქ.) **მოინადირა კირსაგლითა, და იპყრეს ორაგული, თვინიერ კალმახისა და სხვა თევზთა, მას ერთსა დღესა შ** (ე.ი. 900 — გ.ქ.)“. სწორედ ამ ტბის ზევით არის გაშენებული დაშბაში, ანუ ახალქალაქი, სადაც ამჟამად სომხები ცხოვრობენ უმეტესად. აქ 2 ძველი ეკლესიაა. ერთი, რომელიც სოფლის ცენტრში დგას, სიგრძით 13,5 მეტრია. ერთხელ კი შეუკეთებიათ, მაგრამ მაინც დანგრეულა. ახლა მას აღარც კამარასაბურველი აქვს და აღარც ჩრდილოეთის კედელი, რომელზეც მინაშენი უნდა ყოფილიყო მიდგმული. ამას ადასტურებს ამ მხარეს შემორჩენილი კარის ღიობი.

მოდით, თავდაპირველად ის გავარკვიოთ, როდის ალადგინეს ეს ეკლესია. თუ სომხური გადაკეთების აშკარა კვალს მივიღებთ მხედველობაში, ეს ამბავი 1827 წლის შემდეგ არის მომხდარი, როცა ისინი პასკევიჩმა გადმოასახლა აქ ანატოლიიდან. სომხებს ჩრდილოეთის დასუსტებული კედელი ხელახლა აუყვანიათ, მაგრამ უდიერად, შიგ კარი გაუჭრიათ და მინაშენიც მიუდგამთ. ჩრდილოეთის ამ კედელში მათ მცირე სანათლავი და ერთიც საფლავის ქვა ჩაუდგამთ. კიდევ ორი საფლავის ქვა ჩაუშენებიათ სამხრეთის სარკმლის ძირში და კარის დასავლეთ წირთხლში, ხოლო აღმოსავლეთ წირთხლში სამჯვრიანი ქვაჯვარა ჩაუდგამთ. ამის შემდეგ 6,5 მეტრის სიგანის შიდა სივრცე ხის სვეტებით სამ ნავად დაუყვიათ, საკურთხეველი აუმაღლებიათ, კედლები მეტრ-ნახევრის სიმაღლეზე ყვითელი საღებავით გაუთხუპნიათ, ხოლო აფსიდი, ურუმ-ბერძენთა წამხედურობით, ლურჯად შეუღებავთ, რითაც, ქართული ფრესკების აბრისები დაუმალავთ. განსაკუთრებით დიდი მეცადინეობა გამოუჩენიათ სამხრეთის ერთადერთი კარის ბალავარზე, დიდი ჯვრის მარჯვნივ, არსებული 9-სტრიქონიანი ქართული, ასომთავრული, ქტიტორული წარწერის გასანადგურებლად. 100 წლის წინათ წმიდა ექვთიმეს, საბედნიეროდ, მაინც მოუხერხებია ამ წარწერის უმთავრესი ფრაგმენტის ამოკითხვა: **„ადიდენ ღმერთმა ერისთავთ-ერისთავი რატი“**. ღვაწლმოსილ მეცნიერს სიტყვები **„რატი ერისთავთ-ერისთავი“** გაურჩევია მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპოვნ ქვაზეც, რომლის 5-სტრიქონიან ტექსტში წმ. ექვთიმეს წაუკითხავს ორი სხვა ფრაგმენტიც: **„სახელითა ღმრთისაითა“** და **„ჩუენ ახალქალაქელთა“.**

ამჟამად ტაძრის კედლებზე მხოლოდ 2 ქართული გრაფემა გვხვდება: „თანი“ და „ანი“.

რაკი ექვთიმე თაყაიშვილის დროს საყდარი ფეხზე მდგარა, ჩანს, იგი 1910-1913 წლების შემდეგ დანგრეულა. რისი მიზეზიც უთუოდ ცუდად აყვანილი ჩრდილოეთის კედელი, შიდა სივრცის გადაკეთების დროს კამარების გაუმართაობა და გაუთვალისწინებლად შედგმული სვეტები იქნებოდა. **ახლა, რაც შეეხება მთავარ საკითხს — ეკლესიის აგების თარიღს. ეს 1014-1021 წლებია. პირველი თარიღი გიორგი I-ის ტახტზე ასვლის წელია, მეორე — რატი I-ის ბიზანტიელებთან ომში დაღუპვის წელი. საქმე ის არის, რომ ბაგრატ III-მ რატი ბაღვაშს თრიალეთი ჩამოართვა, ხოლო გიორგი I-მა იგი შემოირიგა. ამის გამო რატი I და მისი ძე ლიპარიტ III ფრიად ერთგულებდნენ გიორგი მეფეს და ბიზანტიის წინააღმდეგ ომში დაიღუპნენ: რატი — 1021 წელს, ლიპარიტი — 1022 წელს.**

დაშბაშის, ეს ეკლესია რომ სწორედ ამ პერიოდშია აგებული, ამას აქედან ჩრდილოეთით, 300 მეტრში მდგარი, მეორე მშვენიერი ტაძარიც ადასტურებს. მართალი, მეორე ეკლესიას გუმბათი სანახევროდ მორღვეული აქვს, მაგრამ, რესტავრატორთა ხელშეწყობით, მაინც მხნედ და შეუბღალავად გამოიყურება.

ტაძარს სოსანისფერი პერანგი ჩაუცვამს და 1000 წელია, რაც ქციის ხრამს დარაჯობს გორაკიდან.

თრიალეთის ახალქალაქი, ალბათ, აქედან იწყებოდა. ამ ტაძრის ხუროთმოძღვარს, მცირე ზომების მიუხედავად, არც თუ ისე ვიწრო სივრცე მიუღია ინტერიერში, სადაც გუმბათის ყელის ბეჭედი მკლავების თაღებს ეყრდნობა, ხოლო ეს თაღები, თავის მხრივ — ლამაზ კაპიტელებს.

მიუხედავად იმისა, რომ ტაძარს კარი დასავლეთიდანაც აქვს, ძირითადი აქცენტი მაინც სამხრეთ ფასადზე კეთდება. დავიწყოთ იმით, რომ თრიალეთის ტაძრები რელიეფებით არ გვანებივრებს, აქ კი, სამხრეთ მკლავზე, ისეთი ორიგინალური ბარელიეფია, რომ მსგავსი არსად გვინახავს. ჯვრის ბაზისზე ამოკოდილი მარტივი წარწერაც კი — „ქრისტე შეიწყალე“ აქ განსაკუთრებულ განცდას აღძრავს. შესაძლოა, ბარელიეფში გამოძერწილი ხელი, რომელსაც განედლებული და გაბრწყინებული ჯვარი უკავია, ხუროთმოძღვრისა იყოს და უფალსაც სწორედ იგი შესთხოვდეს შეწყალებას. ასევე დასაშვებია, რომ ხუროთმოძღვრის სახელი იყოს ჯაგანა, რომელსაც აღმოსავლეთ მკლავის სამხრეთ კედლის წარწერა გვაცნობს: **„ქრისტე, შეიწყალე ჯაგანა“.** საინტერესოდ გამოიყურება დასავლეთ და სამხრეთ მკლავების გადაბმის კუთხეში არსებული მთავარანგელოზიც, რომელსაც თავთან სიტყვა **„წმიდაი“** შემორჩენია.

ამავე სამხრეთ ფასადზე, კარის თავზე ჩინებულად არის შემონახული წარწერა, რომელიც, ქვედა ეკლესიისა არ იყოს, ტაძრის აგების ხანას გვამცნობს: **„მადლითა ღმრთისაითა, ქრისტე შეიწყალე რატი ერისთავთ-ერისთავი“.** იგივე წერია აღმოსავლით სარკმლის ჩუქურთმიან საპირეში: **„ქრისტე, შეიწყალე რატი ერ ისთავთ-ერისთავი“.** ეს რომ რატი I ბაღვაშია, ამას მელქისედეკ კათალიკოსის ორჯერ ხსენებაც ადატურებს აქაურ ორ სხვა წარწერაში — აღმოსავლეთ კედელზე და სამხრეთ კარის სიღრმეში. ეს ტექსტები ასეთია: **„ქრისტე შეიწყალე მელქისედეკ და შვილნი“, „ქრისტე, შეიწყალე მელქისედეკ კათალიკოსი“.** მელქისედეკ კათალიკოსი 1010-1033 წლებში მწყემსთავრობდა.

ამდენად დგინდება, რომ დაშბაშის, ანუ ძველი ახალქალაქის, ეკლესიები და თვით ქალაქიც XI საუკუნის დასაწყისში, 1011-1021 წლებში, აიგო რატი I-ის ძალისხმევით.

დიახ, ფრიად ძლიერი ფეოდალები იყვნენ ბაღვაშები...

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**





დაშბაშის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-34

**8 ივლისს, 1810 წელს, რუსთა სამხედრო გემები კაპიტან დოდტის სარდლობით სოხუმს მოადგა და ორდღიანი მკაცრი ბრძოლით 11 ივლისს აიღო ის. ამის შემდეგ დოდტს სწრაფად სუჯუკს ლაშქრობა ებრძანა, რათა ოსმალეთს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე საბოლოოდ ფეხი ამოკვეთოდა.**
**სოხუმში რუსთა გარნიზონი ჩადგა. ინვესტიტურის ნიშნებით ფოთიდან მაიორი მოიზა გაგზავნეს და სოხუმში აფხაზი თავადების თანდასწრებით ხელმწიფის ეს წყალობა გიორგი შარვაშიძეს ჩააბარეს. ეს მოხდა 1810 წლის ოქტომბერში. ახალმა მთავარმა სოხუმში დაიდო ბინა.**



ლევ ლაგარიო — ციხესიმაგრე „ბაიაზეთზე“ შეტევის მოგერიება

მას შემდეგ, რაც ოსმალეთი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან განიდევნა, საჭირო გახდა მისი შეცვლა ეკონომიურადაც. ცნობილია, რომ გარკვეული სახის საქონელი დასავლეთ საქართველოში შავი ზღვით შემოდიოდა. ეს ვაჭრობა კი, დიდი ხანია, ოსმალეთის ქვეშევრდომთა მონოპოლიად ქცეულიყო. განსაკუთრებით საგრძნობი იყო მარილის, მატყლის, რკინისა და დამარილებული თევზის საჭიროება. რუსი ვაჭრები კი ყირიმიდან არ მოდიოდნენ. საქართველოს რუსული მმართველობა ჩიოდა ამ გარემოებას და რუსეთის მთავრობას სთხოვდა, რათა იძულებულ ეყოთ ყირიმელი ვაჭრები, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ვაჭრობა ეწარმოებინათ. ეს ფაქტი თვალსაჩინო მაჩვენებელი იყო იმისა, თუ რამდენად ჩამორჩებოდა რუსეთის ეკონომიკა მის საგარეო პოლიტიკას.

* * *

სპარსეთთან ზავი არ ხერხდებოდა, ზამთარიც იყო და იმერეთის საქმეებიც უკიდურესად დაძაბული. ასეთ პირობებში ტორმასოვმა ახალციხეს ლაშქრობა ვერ გაბედა და არც სელიმ ფაშას მიახმარა ჯარი, თუმცა მასთან მოლაპარაკება ამის შემდეგაც არ შეუწყვეტნია. საქართველოს მთავარმართებელი სელიმ ფაშას გამოყენებას სხვა უფრო ხელსაყრელი დროისათვის ვარაუდობდა.

ფაშებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. 1810 წლის ზამთარშივე ხიმშიაშვილი თავისი აჭარლებით ახალციხეს შემოადგა, მაგრამ მწვავე ბრძოლაში დამარცხდა და ისევ აჭარაში უკუიქცა. ამის შემდეგაც სელიმი თავის მოქიშპეს უთვალთვალებდა.

შერიფმა საფაშო შემოიმტკიცა და საქართველოს რუსული ხელისუფლების მიმართ აშკარა მტრობის გზას დაადგა. ახალციხეში ალექსანდრე და ლევან ბატონიშვილები გაჩნდნენ. აქ ისინი შერიფ ფაშასთან ერთად მომავალ ზაფხულზე ქართლში სამხედრო მოქმედების გეგმებს აწყობდნენ. ლეკთა დასტებიც საკმაოდ იდგნენ ახალციხეს და ქართლის საძარცვავად ამხედრებას აპირებდნენ. რუსთა ჯარის შეტევის მოლოდინში შერიფ ფაშა ახალციხეს საგანგებოდ ამაგრებდა.

თბილისში პატიმრობიდან გაქცეულმა სოლომონ მეფემ აქვე ახალციხეში დაიდო ბინა და შერიფ ფაშას ღონე და საშუალება არ დაუზოგავს ლტოლვილი მეფის იმერეთშივე დასაბრუნებლად.

ახალციხის საფაშო იყო 1810 წლის სპარსეთ-ოსმალეთის სამხედრო კამპანიის ცენტრი. აქედან იყო ნავარაუდევი შეერთებული სპარს-ოსმალთა ჯარის შეტევა საქართველოდან რუსთა განდევნისა და იქ ბატონიშვილი ალექსანდრეს გამეფების ლოზუნგით. და ბოლოს, როცა ეს წამოწყება, ახალქალაქს ხუსეინ ყული-ხანის დამარცხების გამო, ჩაიშალა და უკუქცეული სპარსელებიც ერანს გადაიკრიფნენ, როცა, შემდეგ, იმერეთის აჯანყებაც დამარცხდა და აფხაზეთიც რუსხელმწიფის ქვეშევრდომობაში შევიდა, — ყველა ამის შემდეგაც შერიფ ფაშა საქართველოს რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ სამტრო მოქმედებას ძველებურად განაგრძობდა. მან შეიფარა ლტოლვილი სოლომონ მეფე, რომელიც იმერეთის საზღვრად ოძრხის ციხეში დაბინავდა. ამავე დროს შერიფ ფაშა ამხნევებდა დვალეთს შეხიზნულ ლევან ბატონიშვილს და თავისთან მოუწოდებდა მას, რათა სოლომონ მეფესთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად მომავალი წლის სამხედრო გეგმა შეემუშავებინათ.

* * *

ტორმასოვმა ახალციხის საფაშოს დაპყრობა 1810 წლის შემოდგომისათვის დაიგულა. მაგრამ საქართველოს მთავარმართებელს ეშინოდა, რომ შემოდგომამდე ოსმალეთთან ზავი არ დადებულიყო. ბალკანეთის ფრონტზე ოსმალეთის მდგომარეობა მძიმე იყო და ფიქრობდნენ, რომ ის საზავო მოლაპარაკებას დაიწყებდა. ასე რომ, თუ ტორმასოვი იმ დრომდე ახალციხის დაპყრობას ვერ მოასწრებდა, ეს ქვეყანა ისევ ოსმალთა ხელში დარჩებოდა. ამიტომ 6 ივლისს ტორმასოვმა მოლდავეთის ფრონტის სარდალს კამენსკის მიმართა და მას ოსმალეთთან საზავო პირობებში ახალციხის საფაშოს დათმობის შეტანა გაუპირა. ასეთი მოთხოვნილების ოფიციალური საბუთი კი, ტორმსოვის აზრით, ის იქნებოდა, რომ ეს ქვეყანა „საქართველოს ძველი სამკვიდრებელია, რადგან ამ საფაშოს მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველები არიან, რომელთაგან ერთმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო, სხვები კი ახლაც ქრისტიანობას მისდევენ“.

საქართველოს პოლიტიკური უფლების ეს დემონსტრაცია ამ რუსი მოხელის მიერ ერთ-ერთი გამოვლინება იყო იმ თვალთმაქცობისა, 1801 წელს ალექსანდრე ხელმწიფის მანიფესტით რომ დაიწყო. რეალურად პოლიტიკური საქართველო ამ მანიფესტის გამოქვეყნების დღიდანვე აღარ არსებობდა, სანამ, ბოლოს, ეს უშინაარსო ფორმაცა და მისი სახელიც „საქართველო“ ისტორიას არ ჩააბარეს და მოვლენას რეალური პოლიტიკური შინაარსის შესაფერისი სახელი არ უწოდეს — „ზაკავკაზიე“. მანამდე კი, უპირატესად პირველ ხანებში, საჭირო იყო ამ შიშველი უსამართობის შენიღბვა. ამ მიზანს ისახავდა დროდადრო საქართველოს ვითომცდა პოლიტიკური არსებობის დემონსტრაცია. სხვა საქმეა, რომ ეს არავის სწამდა, ყველაზე ნაკლებად ის თვით ამ საქმის ავტორებს სწამდათ, — მთავარი ის იყო, რომ გამონახულ იქნა რაღაც ფორმა, რომლის დემონსტრაციით რუსეთის მთავრობა ამ თავის უსიამოვნო თვისებას ფარავდა და სამართლიანობის მოქმედის პოზაში მედიდურად დგებოდა.

* * *

კამენსკიმ ტორმასოვს იმედიანი პასუხი ვერ მისცა. ასე რომ, მთავარმართებელი ახლა საქართველოს ამ ძველი უფლების განაღდებას ისევ ხმლით აპირებდა.

საქმის გასაადვილებლად ტორმასოვი სელიმ ფაშასთან მოლაპარაკებას განაგრძობდა. შერიფ ფაშას წინააღმდეგ სალაშქროდ ეპატიჟებოდა მას და ხელმწიფის ხელქვეშ ახალციხის ფაშობას ჰპირდებოდა.

1810 წლის შემოდგომისათვის ტორმასოვი ახალციხეს სალაშქროდ საგანგებოდ შეემზადა. რუსთა ჯარს გარდა ლაშქრობაში მონაწილეობისათვის მოუწოდეს ქართველ თავადაზნაურობას, სიმონოვიჩს თან უნდა წამოეყვანა გურულ-მეგრელ-იმერლები. იმედი ჰქონდა, რომ ზურაბ წერეთელი თავისი ვაჟით და სოლომონის ორგული სხვა თავადაზნაური ხალისით გამოვიდოდა ახალციხის ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

ქართველებისათვის ოსმალური ახალციხე („ახისხა“) დიდი ხანია ეროვნული უბედურების სინონიმად ქცეულიყო. ახალციხე ოსმალთა ხელში ის პუნქტი იყო, საიდანაც ოსმალეთი საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ამოგდებისა და მისი გადაშენების პოლიტიკას ახორციელებდა. ოსმალთა ხელში ახალციხე ის პუნქტი იყო, სადაც თავს იყრიდა, თავშესაფარს და დასაყრდენს პოულობდა საქართველოს ყველა მტერი: ლეკი-მტაცებელი, ტყვის მსყიდველი თავადაზნაური, მეფის წინააღმდეგ აჯანყებული რეაქციონერი თავადი თუ მეფობის მაძიებელი ბატონიშვილი, ერთი სიტყვით, საკუთარი ქვეყნის ყველა მოღალატე. ამიტომაც იყო, რომ ქართველებს ახალციხის დაპყრობა, იქ ოსმალთა საბუდარის მოშლა და მესხეთის შემოერთება საქართველოს აღდგომის საწინდრად მიაჩნდათ. ამით აიხსნება, რომ ტორმასოვის მოწოდებას ცხოვლად გამოეხმაურნენ და ქართველთა შორის ახალციხეში ლაშქრობის მოხალისე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამას მთავარმართებელი ვარაუდობდა.

სიმონოვიჩის მოწოდებაზე მრავლად გამოვიდნენ გურულ-მეგრელ-იმერლები. დიდ პატრიოტულ საქმეზე იმერელმა მოხალისეებმა წინ წაიმძღვარეს დავით აღმაშენებლის დროშა.

აღმოსავლეთ საქართველოს მილიციას ტორმასოვმა თამაზ ორბელიანი უთავა, რომელსაც თანაშემწეებად ვახტანგ ორბელიანი და კონსტანტინე ბაგრატიონი დაუნიშნა.

რუს-ქართველთა ლაშქარი ახალციხის საფაშოში სამი მიმართულებით შევიდა. გენერალი სიმონოვიჩი იმერეთიდან ოძრხეზე წამოვიდა, მეორე ნაწილი — წალკაზე, ხოლო ქართლიდან ბორჯომის ხეობით თვითონ ტორმასოვი მოდიოდა მთავარი ჯარით.

**გაგრძელება იქნება**



ნიკოლაი დიმიტრიევ-ორენბურგსკი — ციხესიმაგრე „ნიკოპოლის“ დანებება



**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეათე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# მსოფლიოს ყველაზე უცნაური რეკორდები

**ამ ადამიანების სახელები მსოფლიომ მათი უჩვეულო და გარკვეულწილად უცნაური თვისებების წყალობით გაიგო. ვიღაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში განუწყვეტლივ ლაპარაკობს, ვიღაც მეტალს კვნეტს, ვიღაც კი მოულოდნელად ჩანთიდან ამოძვრება და გაგიღიმებთ. ერთი სიტყვით, განცვიფრებას არ აქვს საზღვარი, სამყარო კვლავაც სავსეა გამოცანებითა და უცნაურობებით.**

## ბიჭი მაგნიტი

**ბრიტანელმა 9 წლის ბიჭმა სახეზე უამრავი მეტალის კოვზი მიიწება და, რაც მთავარია, გაიჩერა. სიცილის დღეს ჯომ 4 ცალი კოვზი ლოყებზე მიიწება, 5 ცალი — შუბლზე, 1 ცალი — ცხვირზე, თითო-თითო — ყურებზე, 2 ცალი — ტუჩებზე და ორიც — ნიკაპზე.**



## ველოსიპედისტი მევიოლინე

**გერმანელი კრისტიან ადამი 4 წლის იყო, როდესაც ორთვლიანი ველოსიპედით სიარული ისწავლა.** მოგვიანებით ვიოლინომ გაიტაცა და უმეტეს დროს ამ ინსტრუმენტზე დაკვრის ათვისებას უთმობდა. ბოლოს კი, ვინაიდან მიხვდა, რომ ვერც ველოსიპედს შეელეოდა და ვერც ვიოლინოს, გადაწყვიტა, ორი საყვარელი საქმიანობით ერთდროულად დაკავებულიყო და შედეგად მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. მან 5 საათისა და 9 წუთის განმავლობაში თავისი ველოსიპედით 60 კილომეტრი და 450 მეტრი ისე გაიარა, რომ ვიოლინოზე დაკვრა არ შეუწყვეტია.





## პლასტიკური ნიმუში

**სინდი ჯექსონი 53 წლის ამერიკელი ქალია, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე მეტი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, თუმცა ამ ოპერაციების ზუსტი რაოდენობა თავად სინდისაც კი აღარ ახსოვს, სათვალავი აერია.** მადლობა ღმერთს, ყველაფერი დოკუმენტებშია ასახული, რომელთა მიხედვით ქალი 47-ჯერ იწვა პლასტიკური ქირურგიის საოპერაციო მაგიდაზე. ზოგიერთმა, ჯერ კიდევ 1988 წელს გაკეთებულმა, ოპერაციამ ქალის სახე და სხეული მთლიანად შეცვალა. მან სამჯერ გადაიჭიმა სახის კანი, ორჯერ შეილამაზა ცხვირი, შეისწორა თვალების მოყვანილობა, იმპლანტანტები ჩაიდგა ლოყებსა და ტუჩებში და ასე შემდეგ. ახლა სინდის იმის გაფიქრებაც კი ზარავს, თუ რა ელის, როდესაც ყველა იმპლანტანტი და დაჭიმულობა დროთა განმავლობაში რღვევას დაიწყებს.




## ადამიანი საბეჭდი მანქანა

**იტალიელმა მაიკლ სანტელინამ ბრმა ბეჭდვის მეთოდით მსოფლიოში ყველაზე ბევრი ტექსტის აკრეფა შეძლო.** ამ საქმისათვის ბიჭს პერსონალური კომპიუტერი და ოთხი კლავიატურა დასჭირდა. კლავიატურებიდან არც ერთზე არც ერთი სიმბოლო არ იყო აღნიშნული, მაიკლს კი ბეჭდვის დროს კომპიუტერის ეკრანისთვისაც არ შეუხედავს. მაშ ასე, მისი რეკორდი 67 წიგნია. საერთო ჯამში ეს 3,5 მილიონ სიტყვას და 19,8 ათას სასვენ ნიშანს შეადგენდა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ ადამიანს წიგნების ტექსტის აკრეფა აბსოლუტურად ყველა ენაზე შეეძლო, მათ შორის ძველბერძნულზეც კი.

## გოგონა ჩემოდნიდან



**ჩემოდანში ჩაძრომა მაინცადამაინც დიდი უცნაურობა არ არის მოქნილი გოგონებისთვის და ამით, დიდი ხანია, ველარავის გააკვირვებ, მაგრამ ის, რაც კალიფორნიელმა ლესლი ტიპტონმა მოახერხა, ჯეიმს ბონდსაც შეშურდებოდა.** ის ჯერ ჩემოდანში ჩაკეცეს, შემდეგ კი ჩანთა საგულდაგულოდ შეკრეს. გოგონამ ჩაკეტილი ჩემოდნიდან გამოძრომა სულ რაღაც 7,04 წამის განმავლობაში მოახერხა და რეკორდიც დაამყარა.

## მყვირალა ჯილი



**ლონდონელი ჯილ ჯეიკი ყველაზე ხმამაღლა ყვირის. ამ ქალის ყვირილის ხმა 129 დეციბალს შეადგენს, ეს კი რეაქტიული ძრავის ხმის ინტენსივობას სულ რაღაც 10 დეციბალით ჩამოუვარდება.** ქალმა ლამის ნახევარი ცხოვრების მანძილზე არაფერი იცოდა თავისი არაჩვეულებრივი შესაძლებლობის შესახებ და მხოლოდ 52 წლის ასაკში, მყვირალების კონკურსში მონაწილეობისას, შეიტყო, რომ მსოფლიოში არავის შეუძლია მასზე უფრო ხმამაღლა ყვირილი. ჯილიმ, მხოლოდ ის კონკურსი კი არა, ამ მიმართულების სხვა ყველა კონკურსიც მოიგო და მსოფლიო რეკორდმსმენიც გახდა.



## ყველაზე გრძელთმიანი

**გრძელი თმით სუსტი სქესის არაერთი წარმომადგენელი იწონებს თავს, მაგრამ ჩინელმა ხიე ქიუპინგმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა.** მისი თმის სიგრძე 4,8 მეტრს აღწევს. ქალმა უკანასკნელად თმა 1973 წელს შეიჭრა, მას შემდეგ კი ამ საქმეზე კაპიკიც არ დახარჯვია. სამაგიეროდ, ძნელი წარმოსადგენია, რა რაოდენობით შამპუნი იქნება საჭირო ამ სიგრძის თმის დასაბანად. ასე რომ, ეკონომია მაინცადამაინც ვერ გამოუვიდა. გარდა ამისა, ქალს არნახული სიგრძის თმის მოსავლელად ლამის მთელი ცხოვრების წესის შეცვლა დასჭირდა.



## ყბედი, რომელიც მუნჯმაც ვერ მოღალა

**მართალია, გარშემომყოფნი ბევრ ადამიანს პერიოდულად მაინც ეუბნებიან, ძალიან ბევრს ლაპარაკობო, მაგრამ ლუის კოლეტის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდის შემდეგ ბევრ ლაპარაკზე კაცობრიობას წარმოდგენა შეეცვალა.** ამ კაცმა ზედიზედ ორჯერ დაამყარა მსოფლიო რეკორდი. პირველად განუწყვეტლივ 48 საათი ილაპარაკა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ გაცილებით მეტიც შეეძლო და თავისივე რეკორდს მეორე რეკორდით მოუღო ბოლო. ამ ინდოელმა მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი სიტყვა წარმოსთქვა, რასაც 120 საათი მოანდომა. შემდეგ კი, არც ამას დასჯერდა და საკუთარი მიღწევა კიდევ 4 საათით გააუმჯობესა.

# თვითმკვლელი დელფინები

**ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ ნაწილში სანაპიროზე 74-მა დელფინმა გამოსცურა. მათგან 25 უკვე დაიღუპა, მოხალისეები ცდილობენ, სანაპიროზე იმორიგეონ და ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილ ძუძუმწოვრებს, რომლებიც სანაპიროს არ სცილდებიან, თვითმკვლელობის საშუალება არ მისცენ.**



ამ რეჟიმში ცხოვრება მოხალისეებს მანამ მოუწევთ, ვიდრე შტორმის გამო სანაპიროზე მოვარდნილი უზარმაზარი ტალღები დელფინების ოკეანეში დაბრუნებას შეუძლებელს ხდის.

ეს ორი თვის მანძილზე დელფინების მასობრივი თვითმკვლელობის უკვე მეორე შემთხვევაა, აგვისტოს შუა რიცხვებში ნაპირზე 58 დელფინი იპოვეს და მიუხედავად მოხალისეთა თავდაუზოგავი მცდელობისა, მხოლოდ 9 მათგანის გადარჩენა შეძლეს.

ახალი ზელანდია ვეშაპებისა და დელფინების თვითმკვლელობათა რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. სულ 1840 წლიდან დღემდე ამ ქვეყნის სანაპიროებზე ხუთი ათასზე მეტი დელფინი და ვეშაპი დაიღუპა. მეცნიერებმა ამ დრომდე ვერ ამოხსნეს დელფინების თვითმკვლელობის მიზეზები.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე უცნაური სახლები



## სულიერად თავისუფალთა სახლი კანადაში

ეს ხის სფეროები ნებისმიერ მტკიცე საკიდზე მაგრდება (ხეზე, ხიდზე, კლდეზე და ა.შ.). სახლში მოხვედრა სპირალური კიბით ან დასაკიდი ხიდითაა შესაძლებელი. ბაგირების სისტემა შენობის საძირკვლის ფუნქციას ასრულებს.



## «უკუღმართი სახლი» პოლონეთში

ამ შედევრის ავტორი პოლონელი დიზაინერი დანიელ ჩაპიევსკია.



## ბინების გროვა

ეს სახლი კანადის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ მონრეალში მდებარეობს.



## სახლი-კაქტუსი ნიდერლანდებში

ამ სახლის პროექტი თითოეული ბინის გარე სივრცისა და შიდა განათების მაქსიმიზაციისთვის შეიქმნა. უცნაური ფორმა კი ტერასებზე ეფექტიანი მებაღეობისთვის შეიმუშავეს.



## ექსტრემალური სახლი ხეზე ინდონეზიაში

ეს შენობა ზედ ხის კენწეროზე მდებარეობს და სრულიად დაუცველია სტიქიისგან. სამაგიეროდ, აქედან ვარსკვლავებით მოჭედილი ცით დატკბები.



## ბანდიტური სახლი არხანგელსკში

ეს ნაგებობა მსოფლიოში ყველაზე მაღალ ხის სახლად მიიჩნევა და 13 სართულს ითვლის. ის დაუმთავრებელია, რადგან მფლობელი, ყოფილი კრიმინალი ნიკოლაი სუტიაგინი დააპატიმრეს, ხოლო ციხიდან გამოსვლის შემდეგ მშენებლობის დასამთავრებლად ფული აღარ ეყო.



## ჰაერში მოლივლივე სახლი უკრაინაში

ამ ერთსაყრდენიანი შენობის ადგილი ნამდვილად ფანტასტიკურ ფილმშია.

# ყველაზე უკეთ ჩაცმული ვარსკვლავები

ჟურნალმა people-მა 10 ყველაზე კარგად ჩაცმული ცნობილი ადამიანის ყოველწლიური სია გამოაქვეყნა, რომელშიც მსახიობები ჯენიფერ ენისტონი, ჯესიკა ალბა და ზოი სალდანაც მოხვდნენ. ხსენებული ნუსხა ასე გამოიყურება:



**ჯენიფერ ენისტონი** — „ამერიკული კლასიკა."



**რიანა** — „თამამი ვარსკვლავი."



**ჯესიკა ალბა** — „შეხამების ოსტატი."



**ლეა მიშელი** — „მაღალი წრის ქალბატონი."



**ზოი სალდანა** — „წითელი ხალიჩის დედოფალი."



**გვენ სტეფანი** — „როკერი დედა."

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ნანამის სასახლე



**იაპონიის ქალაქ ხამამაცუს მკვიდრმა თავის საყვარელ ძაღლს უბრალო ქოხი ვერ აკადრა და ნამდვილი სასახლე აუშენა. ნანამის საცხოვრებელი იაპონიაში 1594 წელს აგებული მაცუმოტოს სასახლის ზუსტი ასლია.** სასახლეში ნანამისათვის სულ სამი ოთახია — მისაღები, სადაც ძაღლს წამოწოლა და ქუჩაში ყურება შეუძლია, ქვიშამოყრილი შესასვლელი ცხელი დღეების კომფორტულად გასატარებლად და ყველაზე დაცული პატარა ოთახი, სადაც წვიმისა და ჭექა-ქუხილის დროს შეაფარებს თავს. ნანამისათვის ეს სასახლე დაახლოებით ექვსი თვე შენდებოდა. მისი სიმაღლე დაახლოებით ორნახევარი მეტრია და მშენებლობას დაახლოებით 600 დოლარი დასჭირდა. მსოფლიოში ძაღლებისათვის უჩვეული სახლებს მათი პატრონები მხოლოდ თავად კი არ აშენებენ, სპეციალისტებსაც უკვეთავენ. ამ საქმის პროფესიონალმა დიზაინერმა, ამერიკელმა მიშელ პოლაკმა რამდენიმე თვის წინათ იორკშირკის ტერიერისთვის შუასაუკუნოვანი სასახლეების ასლი ააშენა. შემკვეთებს ეს სიამოვნება დაახლოებით 20 000 დოლარი დაუჯდათ.

## უნიტაზის ბინადარი



**73 წლის პენსიონერმა პოლონეთში, ქალაქ ვროცლავში, საკუთარი სახლის უნიტაზში, ორმეტრიანი ანაკონდა იპოვა.**

მას შემდეგ, რაც საბრალო ქალმა უნიტაზში ჩახვეული გველი დაინახა, მაშინვე თავი დაახურა, საპირფარეშოდან გამოვარდა და პოლიცია გამოიძახა. ამ უკანასკნელთ, ადგილზე მოსვლის შემდეგ, ადგილობრივი ზოოპარკის თანამშრომლების დახმარება დასჭირდათ, რათა „ბოროტმოქმედი“ შემთხვევის ადგილზევე შეეპყროთ. სავარაუდოდ, ანაკონდამ უნიტაზში თავი საკანალიზაციო მილებში მოგზაურობის შემდეგ ამოჰყო. ახლა „დამნაშავე“ ადგილობრივ ზოოპარკშია გამოკეტილი, პოლიცია კი მის პატრონს ეძებს.

შეგახსენებთ, რომ ანაკონდა, როგორც წესი, სამხრეთ ამერიკის ტროპიკებში და ტრინიდადის კუნძულზე ბინადრობს. ზრდასრულ ასაკში მისი სიგრძე, შესაძლოა, ცხრა მეტრსაც აღემატებოდეს.

## მშობიარობა პირდაპირ ეთერში



**ბრიტანელმა ფიონა სტარ-სტოუნმა სერვის „Twitter“-ზე განთავსებულ საკუთარ მიკრობლოგზე თავისი მშობიარობის პირდაპირი ტრანსლაცია განახორციელა. 34 წლის ქალი საკუთარ სახლში აბსოლუტურად დამოუკიდებლად 13 საათის განმავლობაში მშობიარობდა და მთელი ამ დროის განმავლობაში მიკრობლოგზე მიმდინარე პროცესის ყოველწუთიერ ანგარიშს აქვეყნებდა.** როგორც შემდეგ თავად განაცხადა, ეს აქცია მიმართული იყო იმ ქალების გასამხნევებლად, რომლებსაც მშობიარობის ეშინიათ, ასეთები კი მის გარშემო საკმაოდ მრავლად ყოფილან. ქალი მშობიარობის პროცესში განცდილ ყველა შეგრძნებას ასახავდა და თავისი ქმედებების შესახებაც ყვებოდა. ცხოვრების ურთულესი 13 საათის განმავლობაში სტარ-სტოუნმა წახემსებაც კი მოახერხა და ტკივილგამაყუჩებელიც დალია. ამ მონათხრობის უკანასკნელი სტრიქონი იმ ფოტოს ინტერნეტ-მისამართია, რომელზეც ქალი თავის ახლშობილ ვაჟ ოსკართან ერთადაა აღბეჭდილი. ფიონას მეუღლე ამბობს, რომ ქალს მშობიარობისას მიკრობლოგის საშუალებით ათასობით ადამიანი ამხნევებდა.

# აშშ-ისა და ევროპის ურთიერთობების წყალქვეშა ქვები

**ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ევროპა კვლავაც სტრატეგიულ „ჭაობად“ რჩება და ბარაკ ობამას „პირველ პოსტატლანტიკურ პრეზიდენტს“ უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში არის კი ევროპა ესოდენ ფრთხილი თავის საგარეო პოლიტიკაში თუ ამერიკა უგულებელყოფს ევროკავშირს?**

თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში ევროპა მსოფლიოს სტრატეგიული ცენტრი იყო. ამ კონტინენტის ყველაზე მეტად შურდათ მსოფლიოს ზესახელმწიფოებს. როდესაც ცივი ომი დასრულდა, ამერიკამ ნატოელ მოკავშირეებთან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა და ყველა პრეზიდენტს, უფროსი ბუშიდან მოყოლებული უმცროსი ბუშის ჩათვლით, ევროკავშირისგან ძლიერი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

**იდილია მაშინ დაირღვა, როდესაც ირანის ომმა ევროპის ხელისუფლება ორად გახლიჩა და უმცროსმა ბუშმა „სასურველთა ალიანსის“ იმ ძველი მოკავშირეებისაგან გამოცალკევებას მიანიჭა უპირატესობა, რომლებმაც ამ ომში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.** საუბარია საფრანგეთსა და გერმანიაზე. ჯერ კიდევ ევროპაში პოპულარულმა პრეზიდენტმა ობამამ ძველი მეგობრობის აღდგენის დანიშნულება შეითავსა, მაგრამ, როგორც „New York Times“-ის პროვოკაციულ სტატიაში ეწერა, პრეზიდენტი ევროკავშირის მიმართ „მიზანმიმართულად უყურადღებოა“.

**„ცენტრალური სარდლობა ფლორიდაში, ხელმძღვანელობს რა ავღანეთის ომს, ნატოს ანგარიშს არ უწევს. ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში ახალი მშვიდობიანი ინიციატივები დაიწყო, ახალი ავღანური სტრატეგიები ევროპელების აზრის უკითხავად გადაწყდა, ევროპელებისა, რომლებიც სამუშაოს ნაწილს ასრულებენ და ომში იხოცებიან“, — წერს „New York Times“-ი და ირწმუნება, რომ ობამა, ახორციელებს რა რადიკალურად ახლებურ საგარეო პოლიტიკას, ევროპის სრული იგნორირებით ჩინეთს, თურქეთსა და მუსლიმანურ სამყაროს ანიჭებს უპირატესობას.** მაგრამ საკითხავი ისაა, თუ რამდენადაა ეს ყველაფერი ახლოს სიმართლესთან და, თუ ახლოსაა, ხომ არ შეასრულა თავად ევროკავშირმა გარკვეული როლი ამგვარი სიტუაციის ჩამოყალიბებაში?

ობამას პრეზიდენტობის ორი წლის მანძილზე ტრანსატლანტიკური ურთიერთობები საგრძნობლად გაცივდა. გასული წლის მაისში ამერიკის პრეზიდენტმა მადრიდში გამართულ ევროპის სამიტზე ჩასვლა არ მოინდომა, რითაც ევროპა სერიოზულად გააბრაზა. **ევროპელი დიპლომატები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ობამას მმართველობის პერიოდში ტრანსატლანტიკურმა საკითხებმა უკანა პლანზე გადაინაცვლეს.**

საერთაშორისო ურთიერთობების გერმანული საბჭოს პროგრამული დირექტორი ჰენინგ რიკე ირწმუნება, რომ ობამას მუდამ ჰქონდა ევროპის მიმართ ინტერესი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ინტერესი განელდა. **„თავისი პრეზიდენტობის პირველ წლებში ობამამ რამდენჯერმე მოჰკიდა ხელი ევროპას. მისი მოგზაურობის კულმინაცია იყო, როდესაც მონაწილეობდა ლონდონის ფინანსურ სამიტში და გაემგზავრა პრაღაში, რათა შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებით სიტყვა წარმოეთქვა. ეს ყველაფერი ძალზე შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ჩნდება კითხვა: რატომ არ განაგრძო მან ეს ტაქტიკა?** ჩემი არგუმენტები შიდა დღის წესრიგია — ფინანსური კრიზისი, ჯანდაცვის რეფორმა და ასე შემდეგ“, — განუცხადა რიკემ „Deutsche Welle“-ს. შემდეგ კი თავადვე აღიარა, რომ ევროპის გარიყვა გრძელვადიანი ტენდენციის ნაწილია. **„ამერიკელები პარტნიორებს მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით უყურებენ. ევროკავშირი ძლიერი ეკონომიკური პარტნიორია, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ისეთ პოლიტიკურ საკითხებს, როგორიცაა ირანი, რუსეთი ან თუნდაც ფინანსური კრიზისი, ევროკავშირთან მოლაპარაკება იოლი საქმე არ იყო“.**



**«ერთის მხრივ, აშშ მუდამ შიშობს, როდესაც ევროპელები რაიმეს დამოუკიდებლად გაკეთებას აპირებენ. მაგრამ, მეორეს მხრივ, უნდა, რომ ის მეტად დამოუკიდებელი იყოს, რადგანაც უბრალოდ აღარ სურს, ისეთ ადგილებზე იდარდოს, როგორიც ბალკანეთი და საქართველოა».**



მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ აშშ-მა ზურგი აქცია ევროპას. რიკეს ეჭვი ეპარება, რომ ამერიკა სინამდვილეშიც ახალ პარტნიორებთან ურთიერთობებზე გადადის. **„როგორც ჩანს, ჩინეთთან და ინდოეთთან პარტნიორობა აშშ-ისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ, როდესაც საუბარია საერთო საქმეებზე, ვთქვათ ისეთზე, როგორიც ავღანეთია, ევროპელებს პარტნიორებს შორის კვლავ უპირატესობა ენიჭებათ“.**

**შესაძლოა, თავად ევროკავშირი, როგორც დიპლომატიური ორგანო, ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს. მისი მცდელობები, საერთაშორისო ურთიერთობებში ერთიან ბლოკად წარმოაჩინოს თავი, ხანდახან გადამეტებულ მონდომებას ჰგავს. შესაძლოა, ამერიკას ჯერაც არ მობეზრდა ლოდინი, როდის დაასრულებენ ევროპელები თავიანთი სხვადასხვა წევრი-სახელმწიფოების ერთიან სტრატეგიასთან მიერთებას.**

გერმანიის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს ექსპერტი ულრიკე გერო ვარაუდობს, რომ პრობლემას გაცილებით ღრმა საფუძვლები აქვს, ვიდრე ობამას საპრეზიდენტო ვადაში შეიძლება ჩაეტიოს. მხოლოდ 1989 ან 1990 წლებიდან დაიწყო ევროკავშირმა იმის მცდელობა, რომ თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა პროფესიონალურ დონემდე მიეყვანა. მას შემდეგ ამ მცდელობას სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამერიკამ. პრობლემა ისაა, რომ ევროპას ამის გაკეთება არასდროს გამოსდიოდა, შემდეგ კი ერაყის ომი დაიწყო და ევროკავშირი მთლიანად დაიხლიჩა“, — განაცხადა ექსპერტმა.

ბუშის მეორე მთავრობისას, რომელიც ხელისუფლებაში 2004 წელს მოვიდა, აშშ-მა ძალისხმევა არ დაიშურა იმისათვის, რომ ევროკავშირი სერიოზული მოთამაშის როლში გამოეყვანა. ნატოსა და ევროკავშირს შორის უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით გაჩენილი ხანგრძლივი დაძაბულობა ზედაპირზე ერთხელაც არ ამოტივტივებულა, არც მაშინ, როდესაც ფაქტიური პრობლემები შეიქმნა. **„ყოველთვის, როცა ევროკავშირი ცდილობდა, უსაფრთხოების საკუთარი პოლიტიკა ჩამოეყალიბებინა, ჩნდებოდა შიში, რომ ის ნატოსა და აშშ-ის კონკურენტობას აპირებს“**, — განაცხადა გერომ.

არსებობს უფრო პრაქტიკული პრობლემებიც. **„ევროკავშირს სურს, რომ საგარეო პოლიტიკაში აშშ-ისგან მეტად დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ ის ყოველთვის აწყდებოდა ამ მიზნის მისაღწევად საჭირო სამხედრო შესაძლებლობათა უკმარისობის პრობლემას. სწორედ ეს გაცხადდა ბოსნიაშიც. ყოველთვის, როდესაც სამხედრო ჩარევაა აუცილებელი, აშშ-ის დახმარების გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია“, — ამბობს ექსპერტი. ამის გამო ევროკავშირში მუდმივი შიდა დაძაბულობაა — ვერაფრით შეთანხმდნენ, რა უნდა გააკეთონ ამერიკასთან თანამშრომლობით და რა — არა.**

თავის მხრივ, ამერიკასაც თანმიმდევრული სირთულეები აქვს ევროკავშირთან მიმართებაში. როგორც გერო აღნიშნავს, **„ერთის მხრივ, აშშ მუდამ შიშობს, როდესაც ევროპელები რაიმეს დამოუკიდებლად გაკეთებას აპირებენ. მაგრამ, მეორეს მხრივ, უნდა, რომ ის მეტად დამოუკიდებელი იყოს, რადგანაც უბრალოდ აღარ სურს, ისეთ ადგილებზე იდარდოს, როგორიც ბალკანეთი და საქართველოა“.** გეროს აზრით, ეს აშშ-ისა და ევროკავშირის ურთიერთობის უმთავრესი პრობლემაა 1990 წლიდან, როდესაც ნატოს დაცემა და ევროკავშირის თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლა დაიწყო. ამ თვალსაზრისით, გრძელვადიან ფარულ დაძაბულობაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს ისეთი წვრილმანები, როგორიც ობამას მიერ ევროკავშირში მიმდინარე რაიმე უცნაური სამიტის ან ნიკოლა სარკოზის საპრეზიდენტო ვილაზე გამართული წვეულების გამოტოვებაა.

*„Deutsche Welle“*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჩინეთი საკუთარ მოწინავე არმიას ქმნის

**ჩინეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა, ათწლეულების მანძილზე თვითმფრინავების, გემების, წყალქვეშა ნავებისა და სარაკეტო ტექნიკის იმპორტის შესყიდვების შემდეგ, თანამედროვე შეიარაღების წარმოების საქმეში ლამის მიაღწია თვითკმარ მდგომარეობამდე. ჩინეთის ახლადშეძენილი სამხედრო პოტენციალი აზიაში ამ ქვეყნის სამხედრო ჰეგემონიისა და გარიყული ქვეყნებისათვის იარაღის მიყიდვის კუთხით ახალ საფრთხეებს აჩენს.**



მაღალტექნოლოგიური თანამედროვე იარაღის წარმოების საქმეში ჩინეთის ახალ შესაძლებლობებთან დაკავშირებით აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონებში, ისევე როგორც ვაშინგტონში, სამხედრო მეთაურები იძულებულნი ხდებიან საკუთარ სტრატეგიას გადახედონ და უახლოესი სამი-ხუთი წლის მანძილზე ამ მზარდი შესაძლებლობების კომუნისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების საპირწონე შექმნან. ამის აუცილებლობაზე დასავლეთისა და აზიის სამხედრო ანალიტიკოსები საუბრობენ.

**გარდა ამისა, სამხედრო ტექნიკისა და ტექნოლოგიების იმპორტისაგან ჩინეთის მზარდი დამოუკიდებლობა პეკინს საშუალებას აძლევს, მაღალტექნოლოგიური შეიარაღების ექსპორტირება თავადვე დაიწყოს იმ ქვეყნებში, რომლებიც ცდილობენ, თანამედროვე შეიარაღება შეიძინონ, მაგრამ აშშ-ისა და ევროპელი მომწოდებლებისაგან ამის საშუალება არ ეძლევათ.**

დღეს ჩინეთისგან იარაღის შემსყიდველი ქვეყნები არავითარ შემთხვევაში არ აღმოჩნდებიან იმ მდგომარეობაში, რომელშიც ირანი იყო 80-იან წლებში, როდესაც პეკინისაგან მოძველებული გემსაწინააღმდეგო რაკეტების ყიდვა უწევდა. ირანელებისათვის ეს სულაც არ იყო სასურველი ვარიანტი, მაგრამ ჩინეთის სამხედრო მრეწველობას მეტის შეთავაზება იმ ეტაპზე, უბრალოდ, არ შეეძლო.

**ახლა ირანი თუ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით შენიღბული თანამედროვე სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნას, გემთსაწინააღმდეგო რაკეტების ან რადიოლოკაციური სადგურების შეძენას მოინდომებს, შეუძლია, ხვალვე იყიდოს ჩინეთისაგან.**

„თუ 20 წლისწინანდელ მოვლენებს გადავხედავთ, ეს გარკვეულწილად ტრაგიკული მოვლენაა. — აცხადებს წარსულში მოსკოვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამხედრო საწარმოში წამყვანი ინჟინრის თანამდებობაზე მომუშავე რუსი სამხედრო ანალიტიკოსი, — ცივი ომის დასრულების შემდეგ, როდესაც რუსეთს, ეკონომიკის თვალსაზრისით, რთული პერიოდი ჰქონდა, რუსეთის თავდაცვითი მრეწველობა ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობას ანიჭებდა უპირატესობას. მაგრამ ეს გეგმები არ განხორციელებულა. როდესაც აშშ ძირითადად უარს აცხადებდა რუსულ მრეწველობასთან თანამშრომლობაზე, ჩვენი თავდაცვითი საწარმოების ხელმძღვანელობას დაქვემდებარებაში მშიერი თანამშრომლების მთელი კოლექტივები რჩებოდათ. ამიტომაც სხვა გამოსავალი არ იყო, გარდა ჩინელებთან ერთობლივი მუშაობისა“.

**პეკინი ბევრ ფულს იხდიდა სამხედრო შენაძენებში და შეიარაღების თანამედროვე სისტემების უზარმაზარ პარტიებს ყიდულობდა. შემდეგ ჩინელმა ინჟინრებმა ამ იარაღის კონსტრუქციების ასლები შექმნეს და თანამედროვე ომის წარმოებისთვის საჭირო საკუთარი სისტემების ჩამოყალიბებაზე დაიწყეს მუშაობა.**

**უფრო მეტიც, ჩინელმა ინჟინრებმა შეცვალეს ზოგიერთი ნიმუშის კონსტრუქცია, მათი დახვეწის მიზნით.** თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში მომუშავე კერძო სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციამ, მოსკოვის სტრატეგიული ანალიზისა და ტექნოლოგიების ცენტრმა ახლახანს განაცხადა, რომ **ჩინელმა სამხედროებმა „Су-27СК“-ის ძრავი გააუმჯობესეს და მისი საექსპლოატაციო რესურსი ფრენის 900-დან 1500 საათამდე გაზარდეს. ეს ავიამშენებლობის სფეროში მნიშვნელოვანი მიღწევაა.**

**ამდენად, ამერიკის ხელისუფლების ახლომხედველობამ, რაც მათ 1990-იან წლებში გამოამჟღავნეს, ნეგატიური შედეგები უკვე მოიტანა.**

„აშშ-ს შეეძლო სამხედრო ტექნოლოგიების მთელი საბადო მიეღო ძალიან მოკრძალებულ ფასად, მაგრამ ამის ნაცვლად ვაშინგტონმა საფუძველი ჩაუყარა იმას, რომ ჩინეთი ძალიან სწრაფად ქცეულიყო თანამედროვე სამხედრო ზესახელმწიფოდ. საბოლოო ჯამში ამერიკას გაცილებით მეტი სახსრების დახარჯვა მოუწევს იმისათვის, რომ წინ აღუდგეს ჩინეთის მზარდ სამხედრო პოტენციალს. ეს დანახარჯები იმაზე გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე მას 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთისგან შენაძენები დაუჯდებოდა“, — ამბობს სამხედრო ანალიტიკოსი.

მეორს მხრივ, ტაივანს სურს, რომ ამერიკა უფრო წინდახედულად და შორს გამიზნულად მოქმედებდეს.

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტაივანის სამხედრო საჰაერო ძალების შეიარაღებაში სულ 350 თვითმფრინავია და მათი უმეტესობა ოცი წლისწინანდელი წარმოების მოძველებული ეგზემპლარებია. მათ საწინააღმდეგოდ პირდაპირი წვდომის საზღვრებში ჩინეთში 450 ყველაზე თანამედროვე გამანადგურებელია კონცენტრირებული და მათი მახასიათებლები ტაივანის სამხედრო ძლიერების დიდ ნაწილს აჭარბებს.**

ამ ყველაფერთან ერთად, ჩინეთს 1300 ერთეულამდე ახლო მოქმედების ბალისტიკური რაკეტა აქვს და ყველა მათგანი ტაივანის სამხედრო საჰაერო ძალების ცენტრალურ ობიექტებზეა დამიზნებული.

**ტაიბეის სამხედრო სპეციალისტები აცხადებენ, რომ, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელობის აზრით, ტაივანის სამხედრო საჰაერო ძალების ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკების ჩათვლით უფრო მალე განადგურდება, ვიდრე მათი თვითმფრინავები ჰაერში აფრენას მოასწრებენ. „ჰაერში მხოლოდ ის თვითმფრინავები იქნებიან, რომლებიც პატრულირებენ, მაგრამ მათ დასაჯდომი ადგილი აღარ ექნებათ“**, — განაცხადა ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა, რომელიც მუდმივ კონტაქტშია ტაივანელ სამხედროებთან და ქვეყნის სამხედრო ბაზებსაც ხშირად სტუმრობს.

**ტაიბეის ვაშინგტონისგან უფრო თანამედროვე თვითმფრინავების პარტიის შეძენა სურდა, მაგრამ პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა. გარდა ამისა, ის საერთოდაც არ განიხილავს თხოვნას მოძველებული მოდელების დაუყოვნებელი მოდერნიზების აუცილებლობის თაობაზე.**

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ჩინეთს ამჟამად მის ხელთარსებულ ტექნოლოგიებს წაართმევს.

სავსებით ნათელია, რომ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ საკუთარი ძალა იგრძნო. როგორც პეკინის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის წამყვანი მეცნიერი აცხადებს, **„ჩინეთის ჯარმა მთელი რიგი თანამედროვე შეიარაღების საშუალებები შექმნა და დამოუკიდებელი გახდა, მაშინ, როდესაც ეს ქვეყანა მსოფლიოში ეკონომიკის მხრივ მეორე ადგილზე გადის და მსოფლიოში ერთადერთია, რომელსაც ეკონომიკურმა ვარდნამ ვერაფერი დააკლო“.**

*„The Washington Times“*



## გადაუჭრელ საკითხთა რეიტინგი



**საძიებო სისტემამ „Ask.com“ გადაუჭრელ საკითხთა ჰიტ-პარადი ჩაატარა. რეიტინგი მილიარდამდე კითხვის გაანალიზების საფუძველზე შედგა. ეს კითხვები მომხმარებლებმა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დაუსვეს საძიებო სისტემას.**

უპასუხო კითხვების პირველ ათეულში „რა არის სიყვარულის“ და „რა არის ცხოვრების აზრის“ გარდა სხვა, ნაკლებტრივიალური, კითხვებიც მოხვდა. პირველ ათეულში მოხვდა კითხვები: „არსებობს თუ არა ღმერთი?“, „როგორ დავიკლოთ წონაში?“, „არსებობენ თუ არა უცხოპლანეტელები?“, „ვინაა დედამიწაზე ყველაზე ცნობილი ადამიანი?“, „სად იმალება ბედნიერების საიდუმლოება?“, „მართალია, რომ ქერა ადამიანები უფრო მხიარულად ცხოვრობენ?“ და „რამდენ ხანს ვიცოცხლებ?“. სპეციალური ტექნოლოგიის წყალობით, ამ ინტერნეტრესურსის მომხმარებლებს შეუძლიათ, კითხვა სპეციალური ფორმით ჩამოყალიბების გარეშე, ჩვეულებრივად დასვან. მაგალითად, თუ თქვენს ქალაქში საუკეთესო პიცას ეძებთ, საძიებო სისტემაში, აუცილებელი არაა, მიუთითოთ ფრაზები „ქალაქის იტალიური რესტორნები“, „ყველაზე გემრიელი პიცა“ და ასე შემდეგ. შესაძლებელია, პირდაპირ იკითხოთ, სად შემომთავაზებენ ყველაზე გემრიელ პიცას ამ ქალაქში? ამგვარი ტექნოლოგიის წყალობით, სისტემა თვეში 16 მილიონზე მეტ კითხვას ამუშავებს.

## შიშველი მოდელების კოლექცია



**ლონდონში გამართულ მაღალი მოდის კვირეულზე დიზაინერმა ჩარლი ლე მინდუმ, არც მეტი, არც ნაკლები, შიშველი მოდელები გაგზავნა. 24 წლის მოდელიორის კოლექციის ჩვენებისას ერთადერთი, რაც გოგონებს ეცვათ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები იყო. სამაგიეროდ, თავზე ეხურათ არაჩვეულებრივად ლამაზი შლაპები.** მოდის სამყაროს ამომავალ ვარსკვლავს დებიუტი შარშან ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ შიშველი კოლექცია მისი პირველი სკანდალური ჩვენება არაა. ახლახან მან თაგვებისა და ვირთხებისაგან შექმნილი შლაპების კოლექცია აჩვენა. დიზაინერი საფრანგეთში დაიბადა, მაგრამ ახლა ბრიტანეთში ცხოვრობს. შლაპებით დაინტერესებამდე მხოლოდ ვარცხნილობებით იყო დაკავებული. მის კლიენტთა შორისაა ექსტრავაგანტული ვარცხნილობებითა და ჩაცმულობით განთქმული მომღერალი ლედი გაგა.

## გზა დაუთმეთ კიბორჩხალებს



**ტაივანის ველური ბუნების დაცვის სამსახურებმა სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს თხოვნით მიმართეს. ეს, ალბათ, ყველაზე უცნაური თხოვნა იყო, რომელიც კი ამ ადამიანებს ოდესმე მიუღიათ — მათ გზა უნდა დაუთმონ კიბორჩხალებს.**

ტაივანში ხმელეთის კიბორჩხალის 40-ზე მეტი სახეობაა გავრცელებული და ყველა მათგანი შეწყვილების პერიოდში კუნძულის სამხრეთისაკენ მიემართება. გზად მათ არაერთხელ უწევთ გზატკეცილების გადაკვეთა, რის გამოც მრავალი მათგანი მანქანების საბურავებქვეშ იჭყლიტება. ეროვნული პარკის ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, საბრალო კიბორჩხალები გაჭყლეტვისას დიდ ხმას გამოსცემენ, მათი დასრესილი სხეულებით კი მთელი შემოგარენია მოფენილი. ტაივანში ამ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტეს, მომდევნო ორი თვის მანძილზე მოძრაობა შეიზღუდოს კიბორჩხალების გზად მდებარე რამდენიმე გზატკეცილზე, გარდა ამისა, მძღოლებს სთხოვეს, შეანელონ მოძრაობა ან საერთოდაც შეჩერდნენ, თუ გზაზე კიბორჩხალებს შენიშნავენ.

**საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო**

საქინფორმი

www.saqinform.ge



## უნივერსალური წყალი „ისიდა“



### მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



## მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —

## ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



### გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

● უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;

● ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;

● სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;

● სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;

● ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;

● ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;

● ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;

● სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;

● კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;

● ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;

● ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**


## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




## აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

ტექნიკის მაღაზიათა ქსელ **„ტექნო ბუმში“** ნამდვილი ბუმი დაიწყო და პირველად საქართველოში **„ტექნო ბუმის“** საბითუმო ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **„ტექნო ბუმში“** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი **„ტექნო ბუმის“ ცენტრში** უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, ალმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**


**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

**http://www.geworld.net**


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net